Известно, что провинция Тао (арм. Таик), т. е. Хорзена античных источников, была областью Иверийского царства, которой периодически владели армяне. Но начиная с VIII века, по крайней мере, политическое влияние грузин в этой области вновь усиливается. В последней четверти этого века начинается мощное грузинское церковное и др. строительство. С этого времени Тао прочно входит в орбиту политических деятелей Грузии и становится одним из передовых очагов грузинской феодальной культуры.

Провинция Тао делилась на две части: нижнюю или посюстороннюю (Амиер-Тао груз. источников) с центром в Калмахи и верхнюю или потустороннюю (Имиер-Тао груз. источников) с центром в Олтиси.

Центром же всего юго-западного княжества при Ашоте Куропалате после его изгнания из Тбилиси арабами был город Артануджи в провинции Кларджети.

Княжество созданное Ашотом Багратиони включало следующие провинции: Тао, Кларджети, Шавшети и Ачара в Чорохском бассейне; Кола, Артаани, Джавахети, Самцхе, часть Шида Картли, Триалети иТашири, в бассейне верхнего течения р. Куры и Абоци (арм. Ашоц) — верхнее течение р. Ахуриана.

Естественно, что как и в других грузинских феодальных княжествах, здесь провинциями управляли эристави. В источниках упоминаются некоторые из них. С конца IX века правители княжества принимают титул царя, а именно титул «царя картвелов» (в смысле «всех грузин»).

Возникает вопрос, почему грузинские Багратиони приняли эту титулатуру, явно претендующую на общегрузинскую власть, а не довольствовались более скромным титулом провинциальных «царей таойцев» или «царей кларджов», по подобию титулования других феодальных грузинских династов („цари апхазов», «кахов» или «ранов», т. е. «эров»). Этот важный факт объясняется тем, что тайгоские Багратиони, как прямые наследники верховного правителя всей Картли (др. Иверии), т. е. страны населенной «картвелами», имели на нее вполне определенные претензии и это их «законное право» было признано на Ближнем Востоке (Кавказ, Византия, Халифат). Это обстоятельство указывает на то, что до принятия царской власти куропалаты официально именовались «куропалатами картвелов», т. е. грузин, что подтверждается Констатином Порфирогенетом и эпиграфическим материалом. Следовательно, касаясь IX века мы можем называть это княжество «куропалатством картвелов», касаясь же X века — «царством картвелов».

После смерти Ашота Багратиони созданное им княжество было завоевано арабами и распалось на мелкие владения. Однако в середине IX века сын Ашота, Гуарам, сумел объединить большую часть отцовского наследства. Объединение это оказалось также временным. К концу IX века активизировались армянские Багратуни, которые отвоевали у Тбилисского эмира часть Квемо Картли (арм. Гугарк), соз-

дав впоследствии царство Кюрикидов с центром в древнегрузинском городе Самшвилде.

В первой половине X века эриставт-эристави (-эристав эриставов) Гурген вновь объединяет большую часть «царства картвелов». Он ведет активную борьбу против своих соседей, грузинских династов, и против армян, за объединение грузинских земель. Он владеет значительной территорией от Амиер-Тао и Кларджети до Квемо Картли. Современник и номинальный его сюзерен, царь и куропалат Адарнасе, фактически, владеет лишь территорией Имиер-Тао и частью провинции Басиани. Граница с Византией здесь проходит по р. Араксу (Константин Порфирогенет).

После смерти «великого эриставт-эристави Гургена» княжество его вновь распадается.

В нашей историографии уже обращалось внимание на то, что «царство картвелов» по сравнению с другими грузинскими же княжествами было менее централизованным и подвергалось частым переделам. Основной причиной этого являлась, на наш взгляд, экономическая география края.

Мы знаем, что вследствие социального и экономического развития основной тенденцией историко-географических изменений в раннефеодальную эпоху было взаимное слияние низинных и горных областей. В конечном счете следствием и выражением этого процесса явились феодальные царства и княжества на территории Грузии: «царство апхазов» — на Западе, царство кахов и эров, а также Тбилисский эмират — на востоке. Определяющим и доминантным в этом процессе были, конечно, интенсивное сельское хозяйство и обширные зимние пастбища низинных районов с их торгово-ремесленными центрами — городами. Рионская низменность, куринская и иоро-алазанская депрессии являются тем мощным экономическим ядром, вокруг которого сконцентрировались определенные горные области, обусловив возникновение вышеуказнных феодальных княжеств. Следовательно, политические контуры, а также относительная централизованность этих феодальных государственных образований определялись, в сущности, их экономической географией.

Несколько иной, в этом смысле, была ситуация в «царстве картвелов». С точки зрения физической географии, а также экономики, оно делится на два региона. Первый — это восточная зона, включающая бассейн самого верхнего течения р. Куры, который представляет из себя высокогорные плато (провинции Джавахети, Артаани, Эрушети и Кола), характеризующиеся производством зерновых культур и льна, а также, в особенности, скотоводством. Одним словом, эта зона, согласно агроботанической системе Вахушти Багратиони, относится к горному региону. Определенная экономическая самостоятельность в древнейшее время предопределяла его оформление в одну политико-административную и этнографическую единицу («удел Джавахоса»),

которая, со своей стороны, на основании физико-географических особенностей (котловины Кола и Артаани, плато Эрушети и Джавахети) делилась на отдельные «хеви».

Таким образом, напрашивается вывод, важный с точки зрения исторической географии страны: при условии одинаковой, самодовлеющей экономики отдельные геоморфологические системы формируются в отдельные экономические и этно-культурные общности («хеви», «куекана»).

Западный регион «царства картвелов», обнимающий Чорохский бассейн и отделенный от восточного высоким Арсианским хребтом, представляет собой сплошную чересполосицу мелких систем горных и низинных районов, что в каждом конкретном случае обусловливает возникновение отдельных «хеви», исключая возможность создания крупного объединения вроде феодальных княжеств Западной и Восточной Грузии.

Следовательно, в этом случае наблюдается другая закономерность исторической географии страны: при условии различной экономики смежные геоморфологические системы (горные и низинные) объединяются в одну экономическую и этно-культурную общность («хеви», «куекана»).

На основании всего вышесказанного мы можем с уверенностью повторить, что основной причиной относительной децентрализации «царства картвелов» являлась специфика ее экономической географии.

Однако, все это отнюдь не означает, что между отдельными областями и регионами «царства картвелов» не существовало никаких экономических и другого рода связей. Подобные связи, притом довольно тесные, засвидетельствованы в источниках и подтверждаются более поздними аналогиями. Одно то, что это феодальное царство возникло в пределах Страбоновской «Мосхике», является достаточно многозначительным фактом, указывающим на то, что «царство картвелов» не было результатом только политического объединения. А тот факт, что в более позднее время, во всяком случае, уже в период развитого феодализма эта территория называлась «Земо (Верхнее) Картли», ясно показывает, что центром экономического и политического притяжения не только для высокогорных плато Джавахети-Артаани-Кола, но и для всего чорохского бассейна, являлась Картли в собственном смысле, т. е. бассейн среднего течения Куры. Если слияние воедино этих двух областей задерживалось, то причину этого следует искать в том, что претензии «царей картвелов» на Картли скрещивались с аналогичными же претензиями «царей апхазов», «мтаваров кахов» и «царей армян». Именно Картли являлась историческим узлом межнациональных отношений Кавказа.

Квемо (Нижняя) Картли входила в состав Тбилисского эмирата. В конце IX века южные области этого края завоевали армянские Багратуни, основатели Анийского царства. В конце X века на этой тер-

ритории образовалось царство армянских Кюрикидов, считавшихся вассалами анийских Багратуни. Граница между царством Кюрикидов и Тбилисским эмиратом проходила примерно по ущелью р. Алгети. Еще раньше, в начале X века Багратуни завладели также древнегрузинской провинцией Гардабани.

Процесс экономического и социального развития, следствием которого явилось возникновение феодальных княжеств, естественно, вылился в борьбу между ними за гегемонию. Ближайшим результатом этой борьбы должно было быть объединение враждующих сторон в одно политическое целое, создание феодального государства Грузии — «Сакартвело».

То, что процесс объединения грузинских земель начался с периферий объясняется спецификой всего процесса предыдущего политического развития. При нормальных обстоятельствах феодальное объединение страны, надо полагать, началось бы с его естественного, географического и экономического ядра, каковым являлась собственно провинция Картли. Но ею долго владели арабы. Решающее значение Картли в этом отношении прекрасно понимали правители провинциальных царств. Поэтому борьба за гегемонию началась именно борьбой за Картли, а так как Нижней Картли прочно владели арабы, то кровавая двухсотлетия эпопея объединения Грузии началась борьбой за овладение Шида Картли.

Дебютантами этой исторической драмы были куропалат Ашот Багратиони и правитель Кахети Григол, их партнерами — с одной стороны «царь апхазов», с другой — тбилисский эмир.

В Шида Картли, после ее освобождения от непосредственного владения арабами (вторая половина IX в.), по свидетельству источника, власть захватили местные азнауры (феодалы), главой которых являлся «упали Картли». Резиденцией его был Уплисцихе.

Источники содержат также определенные сведения о внутренней политической географии Шида Картли IX—X веков. Аналогично другим грузинским провинциям территориальное членение на «хеви» здесь продолжало еще существовать, но вследствие известного уже нам социального и экономического процесса «хеви» эти к северу от Куры составляли одну феодальную «землю» с центром в Уплисцихе. Другая такая «земля», с центром в Атени, охватывала южную часть провинции — правобережье Куры с нагорной областью Триалети.

В борьбе за овладение Шида Картли активно участвовали не только грузинские династы, но также тбилисский эмир и армянские цари. С середины X века инициатива в борьбе за гегемонию переходит в руки «царей апхазов», которые завладевают северной частью Шида Картли и назначают своего эристави в Уплисцихе.

Для окончательного удержания Картли необходимо было владеть южной нагорной областью, в частности, Джавахетским и Триалетским плато; кроме того, что эта территория была тесно связана с Картли экономически, она имела также огромное стратегическое зна-



ბიბლიოთეკა

чение. По этим областям проходили и здесь перекрещивались магистральные пути, соединяющие все провинции будущей Грузии. Следовательно владение этой территорией имело важное значение для объединения грузинских земель, что конечно, было ясным для политических деятелей того времени.

До 941 года, когда скончался эриставтэристави Гурген, Джавахети находилась в руках таойских Багратиони. Но с этого времени эта провинция переходит в руки «царей апхазов». Естественно, к ним же переходит с этого времени инициатива объединения Грузии.

Однако с 975 г. в «царстве апхазов» начались политические неурядицы. Этим воспользовался эристави Картли Иоан Марушисдзе, и призвал для владения страной правителя Имиер-Тао, куропалата Давида. Этот последний, действительно, принимает предложение: дает Картли в управление усыновленному им малолетнему племяннику Баграту Багратиони. Таким образом, с семидесятых годов Багратиони вновь возглавили дело объединения грузинских земель.

Куропалат Давид, известный политический деятель Ближнего Востока, прямой потомок куропалата Ашота, создателя юго-западного грузинского княжества, был одним из видных деятелей в деле создания единого национального грузинского государства. Это явствует не только из его культурной деятельности в Имиер-Тао (строительство великолепных памятников грузинской церковной архитектуры с грузинскими ктиторскими надписями в Ошки, Хахули, Пархали и др.; чеканка грузинской монеты), но также из речи, с которой вблизи Уплисцихе, он обратился в 975 году к азнаурам Картли, говоря о Баграте: «Он является наследником Тао, Картли и Апхазети, сыном и воспитанником моим и я куратор его и помощник. Все подчинитесь ему». (КЦ, I, 274). Из слов этих явствует, что политические деятели X века имели уже вполне осознанную программу объединения Грузии и что куропалат Давид был одним из первых среди них.

Таким образом, мы видим, что X век является особенно важным этапом в истории страны, именно, с точки зрения создания единой Грузии — «Сакартвело» (букв. «страна грузин»). К этому времени процесс феодально-национального формирования зашел уже далеко. Идет интенсивное строительство грузинских церквей в Зап. Грузии результатом чего, в конечном счете, явилось освобождение от византийской зависимости и национализация церкви. В это же время завершается процесс перехода эров (западных албанов) из монофизитства в халкедонитство т. е. процесс их грузинизации. Такой же процесс шел и в других окраинах, в частности, в Тао, где к этому времени еще существовало армянское население. Прослеживается также развитие аналогичных взаимоотношений с Северным Кавказом.

В этот решающий момент политического и культурного брожения престол «царя апхазов» наследует по линии матери Баграт Багратиони (978 г.). Итак, «царем апхазов» становится единственный сын

«царя картвелов» Гургена и наследник куропалата Давида. Никогда еще дело объединения грузинских земель не было таким реальным. Действительно, в 989 г. Баграт подчиняет себе непокорного эристави Триалети, присоединив эту область к царскому домену. После смерти куропалата Давида (1001 г.) он получает в наследство титул «куропалата картвелов» вместе со всеми владениями приемного отца, кроме Имиер-Тао, которую аннексировали византийцы. После 1008 г. по смерти отца, Баграт становится также «царем картвелов» и владетелем отцовского наследства (Амиер-Тао и др.). В 1010 г. он завоевывает «царство кахов и ранов», т. е. бывшие княжество Кахети и царство Эрети.

Политическая власть Баграта III-го простиралась еще дальше на соседние области Кавказа. Во-первых, вассальную зависимость от него признал Гандзийский эмир. Во-вторых, источники дают основание утверждать, что Северный Кавказ также входил в сферу его политического влияния. Это тем более достоверно, что грузинская культура, по-видимому, издавна проникала в этот край.

Конец X и начало XI веков является особенно важным этапом в этом отношении: строятся грузинские храмы в Алании, на территории Чечено-Ингушетии и Дагестана. По данным эпиграфики этих областей, в это время сюда проникают грузинская письменность, грузинский язык и даже грузинская государственность. Одним словом, идет интенсивный процесс культурного сближения с северо-кавказскими племенами.

Таким образом, к началу XI в. большая часть грузинских земель т. е. значительная часть Закавказья была объединена под единодержавной властью «царя апхазов, картвелов, кахов и ранов». Вновь ожила на более прочной основе идея Вахтанга Горгасали. Присоединение оставшихся вне Грузии грузинских областей (Имиер-Тао, Квемо Картли) со столицей Тбилиси, стало вопросом времени. Однако уже в это время соперничая с Византией, Грузия берет на себя важную миссию объединения Кавказского мира. Насколько жизненным был этот процесс доказывает то, что еще через полвека, в условиях, страшных по разрушительной силе, завоеваний турок — сельджуков, просвещенный епископ Леонти Мровели создает свою известную этнологическую концепцию, обосновывающую единство Кавказского мира. Наконец, насколько реальным и объективно обусловленным был этот процесс подтверждается также и тем, что через столетие, в начале XII века дело объединения Грузии и Кавказа действительно осуществилось под руководством блестящего политического деятеля Грузии царя Давида Строителя.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯონდო გვასალია

# არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

არაგვის ხეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. მასზე უძველესი დროიდან გადიოდა ქვეყნის მნიშვნელოვანი სამიმოსვლო არტერია, ხოლო არაგვისა და მტკვრის შესართავში კი წარმოიქმნა ქართლის უძველესი დედაქალაქი მცხეთა.

არაგვის ხეობას ქმნის მდინარე არაგვი, რომელიც შედგება მთიულეთის ანუ თეთრი, გუდამაყრის ანუ შავი, ფშავისა და ხევსურეთის არაგვისაგან. უახლესი ლანდშაფტური დაყოფით არაგვის ხეობის მთიანი ნაწილი შედის კავკასიონის ოლქის — ფშავ-მთიულეთის რაიონში[1].

მთიულეთის არაგვი სათავეს მთავარი ქედის კალთებზე ღებულობს იურის თიხოვან ფიქლებსა და ქვაქვიშებში, რომელიც მის წყალს მოთეთრო ფერს აძლევს. ფასანაურთან თეთრ არაგვს გუდამაყრის ანუ შავი არაგვი ერთვის. გუდამაყრის წყლის სათავის პალეოზოური ჯიშები შედგებიან რუხი ან შავი ფიქალებისა და ქვიშაქვებისაგან. ეს ჯიშები ადვილად იშლებიან და წყალსაც მოშავო ფერს აძლევენ.

ვახუშტი ფშავის არაგვს უწოდებს თეთრ არაგვს, გუდამაყრის წყალს — გუდამაყრის არაგვს, ხოლო მთიულეთ-ჭართლის წყალს — შავ არაგვს[2]. ასევე, ვახუშტისეულ რუკებზე ფშავის არაგვს „თეთრი“, ხოლო მთიულეთის არაგვს „შავი“ აწერია. ი. კლაპროტისეულ რუკებზეც „თეთრი არაგვით“ ფშავის, ხოლო „შავი არაგვით“ მთიულეთის არაგვია აღნიშნული. ერთი შეხედვით, ვახუშტისთან თითქოს ტერმინთა აღრევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს ასე არაა. შავ არაგვს ვახუშტი უწოდებს არა მარტო მთიულეთის არაგვს, არამედ ჭართლის წყალსაც, რომელსაც ფასანაურის სამხრეთით მას შემდეგ, რაც იერთებს გუდამაყრის ანუ შავ არაგვს, უკვე შავი შეფერილობა აქვს და ასევე თავად უერთდება ჟინვალთან ფშავის არაგვს, რომელიც წლის უმეტეს პერიოდში თეთრი ფერისაა.

თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურით (ლ. მარუაშვილი) თეთრი და შავი არაგვების წყალგამყოფს გუდამაყრის ქედი ეწოდება, ხოლო შავი და ფშავის არაგვების წყალგამყოფს — მთიულეთის ქედი. ძველ ტოპოგრაფიულ რუკებზე და ვახუშტისთან ეს ქედები შებრუნებულადაა აღნიშნული.

არაგვის ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ჩრდილო კავკასია — სამხრეთ რუსეთის ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი გზა. ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომებს შორის უკვე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანიდან არსებობს მჭიდრო კულტურულ-ეკონო-

---

1 ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, II, თბ., 1970, 96.

2 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, 93.

მიური ურთიერთობა. ამ ურთიერთობის ერთ-ერთ არხს თერგი-არაგვის ხეობები წარმოადგენდა. სკვითურ ხანაში სკვითური ტომების შემოღწევა ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში დარიალ-არაგვითაც ხორციელდებოდა[3]. უკვე სტრაბონი ასახელებს არაგვის ხეობის გზას[4]. როცა რომაელები ქართლში შემოვიდნენ საქართველოში, მათ დარიალა იბერიის სამეფოს ხელში დახვდათ[5].

ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდით· და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელეწიფების გარდმოსვლად დიდთა მათ ნათესავთა, ოვსთა და ყივჩაღთა, თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“[6].

ამიერკავკასიაში არაბთა მფლობელობის დამყარების შემდეგ დარიალის კარებს ურთიერთს ეცილებიან არაბები და ხაზარები. მე-12 ს. დარიალის კარს განსაკუთრებული ყურადღება დავით აღმაშენებელმა მიაქცია. მან ფართოდ გაღო დარიალის კარები — სამხედრო მიზნებისათვის ჩრდილოეთიდან გადმოასახლა 45 000 ყივჩაღთა ოჯახი. ეს ის ხანაა, როდესაც ფეოდალური საქართველო ძლიერ პოლიტიკურ და კულტურულ ზეგავლენას ახდენს ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ტომებზე. თემურლენგის შემოსევების შემდეგ დარიალ-არაგვის გზა თავის მნიშვნელობას კარგავს. მე-16 ს. მიწურულს ამ გზის მთიანი ნაწილი მხოლოდ ნავზაურსღა წარმოადგენდა. მე-18 ს. მეორე ნახევრიდან კვლავ გამოცოცხლდა დარიალის სავაჭრო გზა. მე-19 ს. დარიალ-არაგვის მაგისტრალის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. თბილისი, ქანვანი და დარიალი ამ გზის საყრდენი პუნქტებია. თბილისიდან გზა მიემართებოდა ჯერ მტკვრის მარცხენა ნაპირზე (ავჭალა, ჯვარი), ხოლო შემდეგ არაგვის მარცხენა ნაპირის (ბულაჩაური, წობენი, ქინვანი) გავლით. გზა არაგვის მარჯვენა ნაპირსაც უნდა გაჰყოლოდა. მას შემდეგ, რაც დუშეთი იქცა არაგვის საერისთავოს ცენტრად, მთავარი გზა მიემართება მისაქციელის, წალკნის, მჭადიჯვრის, დუშეთისა და ანანურის გავლით. ბაგისჭალასა და ანანურს შორის არაგვისპირა გზის გაყვანის შემდეგ დუშეთი მთავარი მაგისტრალიდან განზე დარჩა. ჩრდილოეთით გზა ძირითადად მიჰყვებოდა არაგვის მარჯვენა ნაპირს, თუმცა მარცხენა სანაპიროც გამოიყენებოდა სამიმოსვლოდ (იხ. სქემა 2).

ქვეშეთიდან გზა იტოტებოდა ხადის ხევის, დიდველისა და ღუდის ხევის მიმართულებით. მე-18 ს. მიწურულს გზა ღუდის ხევიდან ადიოდა თრუსოს ხეობის სოფ. ნოაყაუში, ხოლო აქედან მიემართებოდა კობისა და სტეფანწმინდისაკენ. გზის ამ მონაკვეთზე მდებარეობდა ადრეფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრე ღუდის ღვთისმშობელი, რომელიც აღწერილია მ. ლერმონტოვის პოემაში „დემონი“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, არაგვის გზის გააქტიურებასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დადგა გზის მშენებლობის საკითხი. 1811 წელს სამიმოსვლო სამმართველოს ხელში გადადის გზების გაყვანა. ამავე ხანიდან იწყება გუდამაყრის ხეობით გზის მშენებლობა. მისი ქვალი

---

[3] Е. И. Крупнов, О походах скифов через Кавказ, Вопросы скифо-сарматской археологии, М., 1954, 194.

[4] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, 129.

[5] საქართველოს ისტორია, თბ., 1948, 77—78.

[6] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, 156.

დღემდეა შემორჩენილი. გზის მშენებლობა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. მხოლოდ 1855 წელს დაიწყო ინჟინერ სტატკოვსკის პროექტით ზემო მლე-თის აღმართის ტრასის მშენებლობა, რომელიც 1861 წელს დამთავრდა. 1863 წელს გაიხსნა მოძრაობა გზის მთელ სიგრძეზე თბილისიდან ვლადიკავკაზამდე. მლეთის აღმართზე მიმოსვლის გახსნით მნიშვნელობა დაკარგა დი[illegible] მავალმა გზამ. დიდველი მიყრუვდა. ცოტა უფრო ადრე იგივე ბედ[illegible] დის ხეობას. არაგვის ხეობაზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი გზები, რომლებიც ხეობას ჰკვეთდნენ საგურამო-მცხეთასთან, ჟინ-ვალთან, ფასანაურთან, ანანურთან და მლეთასთან[7].

არაგვის ხეობაში უძველესი დროიდან სხვადასხვა ისტორიული თემი მოსახლეობდა. მთიულეთის ერთ-ერთ თემს წარმოადგენდა ცხავატი. რადგან ასეთი სახელწოდებით სოფელი ქსნის ხეობაშიც არსებობს, ხშირად მკვლევ-რებს (ი. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ი. დოლიძე) წყაროთა მონაცემები არაგვის ცხავატის თემის შესახებ გადაჰქონდათ ქსნის ხეობის სოფ. ცხავატ-ზე[8]. ჩვენს მიერ შეკრებილი მასალის მიხედვით ცხავატი მოიცავს ტერიტო-რიას ფასანაურიდან ქვეშეთამდე. „ცხავატის" ფონეტიკური ვარიანტია „ცხა-ოტი". გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაც" იძლევა მასალას ცხავატის საზღვრის დასადგენად. მასში ვკითხულობთ: „41. ლომისისა ვინც გლეხი მოკ-ლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხუათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს. თავით ძუელითგან გაჩენილი არის ლომისის სამძღვარსა ზედა, ამიერი ჯადა-ცხაოტის („ჯადა-ცხავატას" — უძველესი XVII ს. ხელნაწერით — ჯ. გ.) მიმდგომი არის, და აგრეთვე გაჩენით იყოს.

42. ამიერნი ჯევისბერნი და ჰეროვანნი იმიერთ ნუოდეს მიუდგებიან ნუ-ცა სალაშქროდ, ნუცა სასაუბროდ ისაქმებიან ერთმანეთთან თავის-თავისასა საერისთავოსაგან კიდე და რომელიც მოუდგეს, — თუ უნდა იმიერი ამიერ-სა ანუ ამიერი იმიერსა, — დარბაზით მამული წაელოს და ციხე დაექციოს"[9].

მოყვანილი ორი მუხლი ლომისის ეკლესიისათვის შეწირულ გლეხებს ეხ-ება. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს სასაზღვრო ხაზს, ლომისის ქედს რომ მიჰყვებოდა და ჰყოფდა ერთმანეთისაგან ორ თემს: ჯადა-ცხავატს (ანუ მთიუ-ლეთს) და ცხრაძმას.

სამართლის ეს მუხლები ზოგი მკვლევრის მიერ არ იყო ზუსტად გაგე-ბული. დ. გვრიტიშვილი მასში ხედავდა ურთიერთობის განსაზღვრას არაგვის საერისთავოსა და ხევს შორის[10]. მსგავს თვალსაზრისს ადგას მკვლევარი მ. ბერძნიშვილი. იგი აღნიშნავს: „ამ მუხლში ყურადღებას იქცევს გამოთქმა ლომი-სის სამძღვარი „ამიერი ჯადა-ცხაოტის მიმდგომი არის"-ო. აქედან გამოდის, რომ ლომისის მამულების „ამიერნი" საზღვარი ხადა-ცხაოტია. აქ ამიერი სრული-ადაც არ უნდა ნიშნავდეს კანონმდებლობისათვის საორიენტაციო გამონათ-ქვამს. ცნობილია, რომ „ძეგლის დადება" თბილისში დაიწერა, თბილისში მყოფისათვის ლომისის მამულების „ამიერი" საზღვარი ხადა-ცხაოტი ვერავითარ

7 იხ. ჯ. გვასალია, საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, „მაცნე", ისტო-რიის სერია, 1972 წ № 2, 30—44.

8 იხ. ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ცხავატი, წილკანი, წა-ნარნი), კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბ., 1971, 194—212.

9 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, 117.

10 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ის-ტორიიდან, თბ., 1956, 93.

შემთხვევაში ვერ იქნება. პირიქით, თბილისელისათვის ხადა ლომისიდან [illegible]ერი საზღვარი იქნება. (ხადა და ცხაოტი მთიულეთის ცალკეული ნაწილ[illegible], რომლებიც თეთრი არაგვის ხეობას მოიცავენ და ლომისიდან ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობენ). ამიტომ ცხადი უნდა [illegible] აქ ნახმარი „ამიერი“ სწორედ ხადა-ცხაოტის აღსანიშნავად გ[illegible]ნიკური ტერმინი ყოფილა. თუ ეს ასეა, მაშინ 42-ე მუხლში ნახსენები „ამიერნი“ და „იმიერნი“ საერისთავოები უნდა აღნიშნავდეს ორ ისეთ ერთეულს, რომელთა შორის საზღვარი ხადა-ცხაოტია. ანუ ერთი მათგანი „ამიერნი“ — მთიულეთი უნდა იყოს, ხოლო იმიერნი — ხევი... ზემოთმოყვანილ მუხლში ნაჩვენებაა ტერიტორიის ის არეც, სადაც მოსალოდნელია ისეთი გლეხების არსებობა — ესაა ლომისი და მისი აღმოსავლეთი მხარე — ჯადა-ცხაოტამდე“[11].

აქ ზოგიერთ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. „ამიერნი“ არაგვის ხეობის ნაწილია — მთიულეთი (ხადა-ცხავატი), ხოლო „იმიერნი“—ქსნის საერისთავოს ნაწილი (ცხრაძმა). იმას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, „ძეგლის დადება“ თბილისში დაიწერა თუ მთიულეთში. მთავარია ის, რომ ამ ძეგლის მოქმედების ფარგალი თუმცა რამდენადმე შორდება მთიულეთს (შესაძლოა სწვდება ქსნის ხეობის ზედა წელს), მაგრამ კანონმდებლობა ძირითადად მთიულეთისთვისაა დაწერილი და მიზნად ისახავს სამართლის ნორმების მოწესრიგებას მთიულეთში. ამიტომ ბუნებრივია, რომ „ამიერში“ მთიულეთი იგულისხმება. ციტირებული ადგილიდან ჩანს, რომ მკვლევარს მთიულეთისა და მეორე ერთეულის (მ. ბერძნიშვილის აზრით, ხევის, ხოლო ჩვენი თვალსაზრისით, ცხრაძმის) შუალედურ ტერიტორიად ხადა-ცხაოტი (ცხავატი) მიაჩნია. ფაქტიურად კი ხადა-ცხავატი ფარავს მთელ მთიულეთს. ძეგლში საუბარია არა ხადა-ცხავატზე, როგორც სასაზღვრო ზონაზე, არამედ ლომისის ქედზე, რომელზეც გადის საზღვარი ხადა-ცხავატსა და მომიჯნავე ერთეულს (ცხრაძმას) შორის. მკვლევარს ლომისასა და ხადა-ცხავატს შორის ეგულება ტერიტორია, რომელზეც მოქმედებს 41-ე და 42-ე მუხლები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხადა-ცხავატი უშუალოდ ლომისის ქედის ფერდიდან იწყება. არაა ზუსტი განსაზღვრა, რომ ხადა და ცხაოტი ლომისის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარობენ. სინამდვილეში ხადა მდებარობს ლომისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო ცხავატი — სამხრეთ-აღმოსავლეთით.

რაც შეეხება წილკნის თემს, ადრეფეოდალური ხანისათვის მას ეჭირა სწორედ ტერიტორია ცხავატის თემის ჩრდილო-დასავლეთით, გვიანდელი ხანის ხადას ადგილას[12]. ეჭვს არ იწვევს, რომ ვახუშტისეული ციკარა არის ხადის

---

11 მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, 105—106, 110.

12 ჟ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 199—204. სპეციალური ყურადღების ღირსია არაგვის თემის წილკანისა და სამუხრანოს სოფელ წილკანის ურთიერთ მიმართების საკითხი. სავარაუდოა, რომ წილკანის თემის წარმომადგენლებმა დააარსეს ამავე სახელწოდების სოფელი. წილკანის საეპისკოპოსო კათედრა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. წილკანის სამწყსოში არაგვის ხეობის მოსახლეობაც შედიოდა. ჩვენამდე მოღწეული მე-17 საუკუნის წილკნელის სარგოს გარიგების წიგნიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის წილკნელის უფლებები ვრცელდებოდა მხოლოდ ანანურამდე. მაგრამ იმავე წიგნიდან ვგებულობთ, რომ ანანურს ზემოთ მთიულეთი ხევს გარდა გაქრისტიანებული იყო ისე წილკნელის მიერ და, მაშასადამე, წილკნელის სამწყსოში შედიოდა. „გარიგების“ ტექსტით, თითქოს ხევიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სქემა 1




ჟ. გვასალია

სქემა 2




5. გვასალია

ხევი. ვახუშტი ციკარაში ასახელებს 60 კოშკს. ხადაშა, მართლაც, არის სამოცამდე კოშკი. ხადაში ლექსად ამბობენ:

„არ ვიცი ხანდო-ჰართალი,
გუდამაყარი სად არის,
ხადაში გამიგონია
სამოცი ციხე მაგარი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახუშტი ხადას დაბად აღნიშნავს. ასე აქვს მას აღწერილობაში და რუკებზე. თუმცა ვახუშტის ერთ-ერთ რუკაზე „ხადა“ აწერია არა სოფელს (დაბას), არამედ მთიულეთის არაგვის მარცხენა ნაპირის მოზრდილ მონაკვეთს. ამ შემთხვევაში ის აღნიშნავს თემს.

ვახუშტისეული დაბა „ხადის“ ლოკალიზაცია შესაძლოა მოხერხდეს დიდველზე. თუმცა შესაძლოა ისიც, რომ დაბა ხადა მოთავსდეს სოფ. წკერეს სამხრეთით ბენიანთ ვაკეზე. ეს ადგილი ყველაზე ვრცელია და შუაგული მდებარეობა უჭირავს ხადას ხეობაში. მას მოსახლეობა ეძახის ხადის მინდორს და ხადის კარს. ამ მინდორზე დგას ხადის მთავარი სალოცავი მთავარმოწამე. მის მახლობლად მდგარა უზარმაზარი ქვებით ნაგები დიდი ზურგიანი კოშკი.

სახელწოდება ხადა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერიტორიას მიემართებოდა. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დაბა ხადა, შემდეგ ხადის ხევი, ხადის ქვეყანა. შემდეგ კვლავ „დაბა ხადა“ და დღეს ხადის ხევი. შესაძლოა ხადის ქვეყანა მოიცავდა ღუდას და ლაკათხევსაც. ამ ვარაუდის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს შონჩოსა და ლაკათხევის გამყოფი ქედის სახელწოდება „ხადელა კარი“.

ხადას მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ „ძეგლის დადება“ ხადაში ორი ციხისთავის არსებობაზე მიუთითებს[13]. ხადის ერთი ციხისთავი უნდა მჯდარიყო ბენიანთ ვაკეზე — „ხადის კარზე“, ხოლო მეორე კი დიდველზე. იქ, სადაც სოფ. ბედონიდან გზა ადის დიდველზე, დგას ზურგიანი კოშკის ნანგრევები. მის ჩრდილოეთით დიდველი განივრდება. სეთურთკარისა და კაიშაურთკარის სამხრეთით ერთ ხაზზე ჩამწკრივებულია სამაგრეთა რვა კომპლექსი. ერთ-ერთის სახელია „ციხისთავიანი“. იგი ზურგიანი კოშკის შემცველია. ციხისთავი იყო ზაქაიძე. მათი შთამომავალნი დღესაც ცხოვრობენ სოფ. ზაქანში. ციხისთავ ზაქაიძეზე ხალხში შემორჩენილია გამოთქმა: „რასაც იტყვის ზაქაო, დაიჯერებს ხადაო“.

ამგვარად, ხადის ციხისთავები მსხდარან ხადისკარის მინდორზე და დიდველზე (ციხიანთში), იქ სადაც გადიოდა მთავარი კომუნიკაციები, მათ შორის წკერედან მილიონაზე გამავალი გზა იყო უმოკლესი და ამასთან ურთულესი. გზა მოქმედებს მხოლოდ ზაფხულსა და ადრე შემოდგომაზე. ამიტომ მთიულეთის მთავარ გზად რჩებოდა და რჩება ჯვართა ყელზე გამავალი გზა.

ინტერესს იწვევს მთიულეთის საკითხი, საკითხი იმის შესახებ, თუ რა ტერიტორიას ფარავდა ცნება „მთიულეთი“, ვის ეწოდებოდა „მთიულნი“. მთიულეთს ლეონტისთან, ჯუანშერთან, დავით ალმაშენებლის ისტორიკოსთან

---

ადრეულ ხანაში იმავე საეპისკოპოსოში შემავალად ივარაუდება (შ. ჩ ხ ე ტ ი ა, წილკნელის სარგოს გარიგების წიგნი 1669 წლისა, საისტორიო მოამბე, II, 1925, 23—24). არც ისაა გამორიცხული, რომ სამუხრანოს წილკანის სახელწოდება მთიულეთის წილკანის თემისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა.

13 ი. დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 108.

აქვს ზოგადად მთიანეთის აღმნიშვნელი ცნების მნიშვნელობა. ვახუშტი მთიუ-ლეთის შესახებ წერს: „ხოლო გუდამაყარის ჴევის შესართავს ზევით, დასავ-ლეთ ჩრდილო შუა არს მთიულეთი“[14].

გუდამაყრის ხევი არაგვს ფასანაურთან ერთვის. ჩვენი აზრით, მთიულე-თის სამხრეთი საზღვარი ფასანაურზე რამდენადმე სამხრეთით უნდა ყოფი-ლიყო, ალბათ „მთიულკართან“, რომელიც იდენტიფიცირებულია თანა-მედროვე ხამუშას ციხესთან[15].

ვახუშტის „გეოგრაფიაზე“ დართულ სოფელთა სიაში მთიულეთის შემად-გენლობაში 25 სოფელი შედის. მათგან სათაურის ქვეშ „მთიულეთი“ მოცემუ-ლია 13 სოფელი, ხოლო „სასახლეს“ ქვეშ 12 სოფელი. პირველი თემის სოფ-ლებია: ქისტური[16], ფევჩური[17], ამირთ-სოფელი, ნახიდი[18], ჩოხელი, ხარხეთი, ცეცხლის-ჯვარი, ნალვარევი, არკვეთი[19], ბურდული, მლეთი, ღუდა, ჯადა. „სა-სახლეს“ შემდეგი სოფლები განეკუთვნება სასახლის-სოფელი[20], ცხაოტი, ვეთ-ხანი, ერენდის-ძე[21], ნადიბაიძე, როროო[22], კოზანიძე[23], კევშა[24], ჩოქური, სო-რიანი[25], მკერვალი[26].

1774 წლის სტატისტიკური აღწერის მიხედვით, მთიულეთში შედის 43 სოფელი, რომლებიც ოთხ თემად ჯგუფდებიან: ხადა, გარეშემო, მრევლი, ცხა-ოტი[27]. თითოეულ ამ თემში შედიოდა შემდეგი სოფლები:

ხ ა დ ა შ ი: ზემო მლეთე, ქვემო მლეთე, სეთურთკარი, ჯალუმანთკარი, კაი-შაურთკარი, წკერე, მიღურე, ბენიანთკარი, ბეგოთკარი, იუხო, როსტიანთკარი, ქოროღო, მიდელაურთკარი, სვიანანთკარი, ციხიანთკარი, შარუმის კარი, ზაქათ-

---

14 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა.., 65.

15 ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 207—208.

16 დღეს ამ სახელის მქონე სოფელი და ტოპონიმი არ არსებობს. ვახუშტის რუკის მი-ხედვით იგი მდებარეობდა თანამედროვე ფასანაურის ადგილას.

17 დღეს ამ სახელის მქონე სოფელი და ტოპონიმი არ არსებობს.

18 არც ეს სოფელია ცოცხალი.

19 არსებობს სოფელი არაკვეთი. აქ გადაწერის დროს დაშვებულ შეცდომასთან გვაქვს საქმე: ჯ-ს მაგივრად წერია კ.

20 სასახლის სოფელი დღეს აღარ არსებობს. მისი ნაშთი უნდა იყოს „სასახლის მინ-დორი“ და მასზე მცხოვრები კომის სახელი „მოსახლიანი“ სოფ. ბედონსა და სეფეს შორის.

21 სოფლები გამქრალია. ტოპონიმიაშიც არ ჩანს კვალი.

22 ეს სოფელი გამქრალია. სოფ. წიფორის მიკროტოპონიმიაში დავადასტურეთ მინდვ-რისა და საძოვრის სახელი „როროო“. იქ ნასახლარებია.

23 ამ სახელწოდებით სოფელი დღეს არ არსებობს.

24 აქაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც „არკვეთში“. ჯევშა-ს ნაცვლად შეცდომით წე-რია კევშა. ვახუშტის რუკაზე წერია „ჯევშა“.

25 დღეს ეს სოფლები არაა ცნობილი.

26 ამ სახელწოდების მქონე სოფელი დღეს არ არსებობს. მკერვალიანი დღეს კობაიძე-თა ერთ-ერთი კომობის სახელია. 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერაში ს. ხევშას მცხოვრებ-ლებად დასახელებულია მკერვალიძე გოშფარის შვილი (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, 1967, 118). შესაძლოა ამ კომის მცხოვრებლე-ბის სოფელს ერქვა მკერვალი. საერთოდ, სოფლები, რომელთა ლოკალიზაციაც დღეს არ ხერ-ხდება—ვეთხანი, ერენდის-ძე, კოზანიძე, სორიანი, მკერვალი უნდა შერქმეოდათ იქ მოსახ-ლე გვარების ან კომობის სახელის მიხედვით. შესაძლოა შემდეგში გაქრნენ ეს გვარები, შე-იცვალეს გვარი ან კომობის სახელი და ამასთან ერთად გაქრა ან შეიცვალა სოფლის სახელ-წოდებანი.

27 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასალები, საქ. სტატისტიკური აღწერილობისა XVIII ს-ში, თბ., 1907, 428—485.

კარი; გ ა რ ე შ ე მ ო შ ი: არახვეთი, როროო, დათვიანთკარი, სეფე, ქოქოხი, შონ-ჩო, ლაკათხევი[28]; მ რ ე ვ ლ შ ი: ბექიანთკარი, ყველანთკარი, ნადიბაიძიანთკარი, გოგნაური, სალაჯური, ჩოქური, მანასეული, ხარხეთი[29]; ც ხ ა ო ტ შ ი: [illegible] კობიანთკარი, ძმიანთკარი, ბატატიანთკარი, ჭიკაანთკარი, ხევშა, წიფორ[illegible]კარი, ქავთურთკარი[30].

გიულდენშტედტი არ ასახელებს მთიულეთის თემს. მის ტერიტორიაზე კი გამოჰყოფს მხარეებს: ხადას, მრევლს, გარეშემოს, ცხაოტს[31]. ი. კლაპროტი მთიულეთში ითვლის 27 სოფელს და ასახელებს მხარეებს ხადას, მრევლს, გარეშემოს, ცხაოტს. სხვა ადგილას მოგზაური ჭართალსაც მთიულეთს მიათვლის[32]. იოანე ბატონიშვილი მთიულეთს 1799 წლის აღწერილობაში 26 სოფელს აკუთვნებს. იგი ჩამოთვლის ვახუშტის სოფელთა სიის 25-ვე სოფელს და ამატებს კაიშაურთკარს[33].

ვახუშტის შემდეგდროინდელ მკვლევართათვის მთიულეთის განსაზღვრისათვის რჩებოდა მისი მონაცემები. ვახუშტი მთიულეთში აქცევს მთიულეთის არაგვის ორივე სანაპიროს. მისი უკიდურესი პუნქტია ციკარა[34]. მაშასადამე, ვახუშტი მთიულეთში გულისხმობს ხადა-ცხავატს. ამასვე ადასტურებს მთიულეთში გავრცელებული გამოთქმა მთიულეთის მოცულობის შესახებ: „თავს ხადა ბოლოს ცხაოტი (ცხავატი)“. წყაროებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მთიულეთს ამისგან განსხვავებული გაგებაც გააჩნდა. გავიხსენოთ ცნობები, ქართლის მოქცევას რომ შეეხებიან:

„(ნინომ) მოუწოდა მთეულთა, ჭართლელთა და ფხოელთა და წილკანელთა“[35];

„...და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყვთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა“ (ქც, I, 125).

აქ „მთეულთა“ თითქოს ეხება არა საერთოდ მთიანეთის მოსახლეობას, არამედ მთიანეთის ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ თემს, რამდენადაც აქ ცხავატი არაა მოხსენებული. ამ აზრს უფრო ამტკიცებს ბერი ეგნატაშვილის ცნობა: „ხოლო ესე ნუგზარ არაგვს ერისთვის მამა-პაპათა ამოსწყვიტეს პატრონი ჯევისა თექთურმანის-ძე და დაიჭირეს ხევი, და მიერითგან მისცა მეფემან რომელთა ჯადა, რომელთამე მთიულეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური, და იქმნეს ჯევისა მის ერისთავად“ (ქც, II, 390—391).

მოტანილი ადგილიდან ჩანს, რომ „მთიულეთი“ ჯადას არ ფარავს. იგი არ ფარავს არც დუშეთს და არც ანანურს. ეს კი ცხადია, რომ მათ მეზობლად იგულისხმება. მისთვის არაგვის ხეობაში სხვაგან არ რჩება ადგილი, თუ არა ცხავატის ჩვენ მიერ შემოფარგლულ ტერიტორიაზე. ახლა თითქოს გასაგებია, რატომ არაა ცხავატის თემი მოხსენიებული მთიელთა მოქცევასთან დაკავშირებულ ცნობებში. ჩანს, ტერმინა ცხავატი და მთიულეთი ადრეფეოდალური

---

28 ე. თაყაიშვილი, მასალები საქ. სტატისტიკური აღწერილობისა XVIII ს-ში, თბ., 1907, 440—447.

29 იქვე, 448—458.

30 იქვე, 453—461.

31 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, 269.

32 I. Klaproth, Reise..., II, 692—696; მისივე, Geogr.—hist. Beschreibung. 1814, 32.

33 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები, საბ. S — 3729.

34 ვახუშტი, აღწერა..., 66.

35 ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, 88.

ხანისათვის ხშირად ფარავდა ერთმანეთს. ბერი ეგნატაშვილთან დაცული უნდა გვქონდეს მთიულეთის ძველი შინაარსი[36].

ამგვარად, ქართული საისტორიო წყაროებისა და ჩვენ მიერ [illegible]ლი მასალების შეჯერებით, არაგვის ცხავატის თემი ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში განსახლებული იყო არაგვის ხეობის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე: მთიულთკარის ჩრდილოეთით ქვეშეთამდე და შესაძლოა მლეთამდე. შუაფეოდალური ხანის დასასრულისათვის ცხავატის თემი ხადასთან ერთად მოიცავს მთიულეთს (იხ. სქემა 3).

1774 წლის აღწერილობაში მთიულეთი ოთხ ნაწილადაა წარმოდგენილი — ხადა, გარეშემო, მრევლი, ცხაოტი· ჩანს, სამი უკანასკნელი ერთეული ერთიანი ცხავატის თემის ადგილას წარმოიშვა[37].

მთიულეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ხშირად მასში იგულისხმებოდა ხანდო. ასევე ორგანულად ერწყმოდა მთიულეთს გუდამაყრის თემი. იმდენად ძლიერი იყო კავშირები მთიულეთსა და გუდამაყრელებს შორის, რომ თითქმის ყოველთვის მთიულეთ-გუდამაყარი ერთ თემად გაიაზრებოდა და გაიაზრება. დამატებითი ცნობები არც იოანე ბატონიშვილს მოეპოვება.

არაგვის ხეობის 1774 წლის აღწერილობის მიხედვით ხანდოს ხევი ფირან შაბურისშვილის სამოურაოში შედის და შემდეგ სოფლებს შეიცავს: უკანამხარს, ჯუხარათკარს, ვეშაგურთკარს, წინციხეს, სოდავეს, ჯირაულთკარს[38]. გუდამაყრის ხევში გიულდენშტედტის მიხედვით შედიოდა შემდეგი სოფლები: „ბაკურხევი, წბაურთა (?), პატარა გუდა, ფახვიჯი, ჭოჭოხი, კიტოხი, მაქართა, გოგანაურთა, ჭალა, ლიდე, ჩოხი, ათნოხი, დუმაცხო“[39]. 1774 წლის აღწერის მონაცემებით მთიულეთში 419 კომლი ცხოვრობდა. 1804 წ. სტატისტიკური აღწერით კი 309 კომლი[40]. 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ჭართლის ხევში შედიოდა შემდეგი სოფლები: ჯიქურაული, ჩიტაური, ლალიანთკარი, პაპიანთკარი, შალვანთკარი, მუგუდა, ვაშლობი, მნა, პავლეური, ციხისძირი, ავენისი. დაახლოებით ასე შემოფარგლავს ჭართლის ხევს ჭართლის თანამედროვე მოსახლეობაც.

სამწუხაროდ, კამერალური აღწერილობანი, ისევე როგორც ვახუშტის „გეოგრაფია“ და გიულდენშტედტის მოგზაურობის დღიურები, ფშავ-ხევსურეთის სოფლების შესახებ ცნობებს არ შეიცავენ.

ჭართლის სამხრეთით ისტორიული ბაზალეთის თემია. ვახუშტის მიხედვით, „აქვს ბაზალეთს აღმოსავლით არაგვი, სამჴრით ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გრემის-ჴევი და ალევის მთა, ჩრდილოეთ ჭართალის მთა“[41].

36 რა თქმა უნდა, მთიულეთს სხვა გაგებაც გააჩნდა. ასე მაგალითად, ლეონტი მროველი მთიულეთს უწოდებს კავკასიონის ცენტრალურ ნაწილს (ქც. I, 27). წილკანის სარგოს მე-17 ს. წიგნი ანანურის ზევით ტერიტორიას მთიულეთს უწოდებს (საისტორიო მოამბე, II, 23). XIV—XV სს. სვანურ საბუთებში მთიულეთი რაჭაა (ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, 1941, 31—34). შესაძლებელია, წინაფეოდალურ ხანაში არაგვის მთიულეთის სამხრეთი საზღვარი ანანურამდე ჩამოდიოდა.

37 წინაფეოდალურ ხანაში შესაძლოა ცხავატის თემი კიდევ უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე ადრეფეოდალურ ხანაში. აქეთკენ გვეწევა ქსნის ხეობის სოფელი ცხავატი და ქინვანის სამხრეთით მდებარე სოფელი საცხავატო.

38 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 473—487.

39 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1,269.

40 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 254, აღ. 1, საქმე № 77.

41 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., 65.

სქემა 3




ჯ. გვასალია

ვახუშტის სოფელთა სიაში ბაზალეთის შემდეგი სოფლებია ჩამოთვლილი: ნაოტა, არჩვეთი, ბოდორნა, ინიანი, ხიდა, საკრამული, საშაბურო, ვეჟური, მლაშე, ლაფაური, ადგალა, იწრი, მინდორული, ბაზალეთი, კოშისთკარი, ლო-შეთი, არღუნი, წითლაური, ფიტავი, ფხუნდა, საფერშეთი, ველის-ხევი, ქვა-რის-ხევი (თანამედროვე ქაისხევი; ასევეა წილკნელის სარგოს წიგნში — ჯ. გ.), აფხავი, ანანური, არანისი, ეთვალისი, აშა, ყვავილი, იორი, ურია (სასაფლაოს სახელია არაგვისპირში — ჯ. გ.), ქინვანი, ევენისი (თანამედროვე ავენისი — ჯ. გ.), ხარხევი (თანამედროვე ხორხი — ჯ. გ.), ვეძისი (თანამედროვე ნეძიხი— ჯ. გ.), ლოშო (თანამედროვე ლაუშა — ჯ. გ.), ციხისძირი, ჭართალი, პავ-ლიაური, მთიულთკარი[42].

ვახუშტისეულ ბაზალეთში ჭართლის სოფლებიცაა შეტანილი. მასშივე იგულისხმება ქინვანი და ხორხის ხეობა, რომელიც შესაძლოა მცირე დამოუ-კიდებელ ერთეულს წარმოადგენდა.

ბაზალეთის პლატოზე მოსახლეობა ჩნდება უკვე ძველი ქვის ხანაში. აქე-დან მოკიდებული ბაზალეთის მიდამოებში ჩანს ადამიანის ბინადრობის უწყ-ვეტი კვალი. ქართული საისტორიო ტრადიციით, ბაზალეთის თემი იხსენიება ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე, როდესაც ძვ. წ. II ს-ში მას ჩრდილოეთიდან გადმოსული დურძუკნი აოხრებენ (ქც, I, 5,27—28). ბაზალეთს, როგორც ქართლის თემს, იცნობს VII ს-ის სომხური გეოგრაფია და VII ს-ის არაბული წყაროც (ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი). დ. მუსხელიშვილის აზრით, არაბული ნუსხის ბაზალეთი მხოლოდ საკუთრივ ბაზალეთს კი არ უნ-და აღნიშნავდეს, როგორც ეს სომხურ „გეოგრაფიაშია“, არამედ აქ საქმე უნდა გვქონდეს გვიანდელი არაგვის საერისთავოს პროტოტიპთან, რომელიც მოიცავდა, ალბათ, მთელ არაგვის ხეობას (მარცხენა ნაპირის გამოკლებით ქინვანამდე) ცენტრით ბაზალეთში, მით უმეტეს, რომ არაბული ნუსხა, რომე-ლიც იცნობს წანარებს, არ იცნობს არაგვის ხეობის მთიულებს. ეს უკანას-კნელნი კი, როგორც ვიცით, ჩამოთვლილნი არიან სომხურ „გეოგრაფიაში“ (წილკანელნი, ცხავატნი, გუდამაყარნი). ამდენად სავარაუდოა, რომ VII ს-ის შუახანებისათვის ისინი უკვე გაერთიანებულნი არიან ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც, ჩანს, ეწოდებოდა ბაზალეთი, ალბათ, იმ საფუძველ-ზე, რომ ბაზალეთის ინიციატივით და მის გარშემო მოხდა ზემოხსენებულ მთი-ელთა ადმინისტრაციული გაერთიანება[43].

ამ ფრიად საყურადღებო მოსაზრების უკომენტაროდ გაზიარება შეიძლე-ბოდა იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული ვიქნებოდით, რომ არაბულ ნუსხა-ში არაა გამოტოვებული არაგვის მთიელთა სახელწოდებანი. „დაცვის სიგელს“, რომელიც სპეციფიკური დოკუმენტია, ვერ მოვთხოვთ ქვეყნისა და იქ მოსახ-ლე თემთა ისეთ ზუსტ აღწერას, როგორსაც ვხვდებით სომხურ გეოგრაფია-ში. საინტერესოა, რომ „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, ბუღა თურქის ლაშ-ქრობის დროს (853 წ.) ჭართალეთი და ცხავატი ფიგურირებენ, როგორც დამოუკიდებელი თემები (ქც, 1, 256).

ადრეული ხანის ბაზალეთი უნდა იყოს წილკნელის სარგოს წიგნში მოხ-სენიებული „დაბალი საერისთავო“, წინაალმდეგ მთიულეთისა, რომელსაც შე-

42 ვახუშტი, აღწერა..., 199—200.

43 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკით-ხები, 329.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძლოა ეწოდებოდა „მაღალი საერისთავო“. გიულდენშტედტი ანანურის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას უწოდებს საერისთავოს[44], რაც უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ არაგვის საერისთავოს გული უნდა ყოფილიყო ბაზალეთის პლატო და მისი შემოგარენი.

X ს-ში ბაზალეთი და მისი მიდამოები (კერძოდ, ლოწობნის ციხე) საცილობლადაა გამხდარი „აფხაზთა“ და კახთა სამეფოების მესვეურთა შორის. ბაზალეთის დაუფლება მეტად მნიშვნელოვანი იყო მთელ შიდა ქართლზე ბატონობისათვის[45].

არაგვის მარცხენა ნაპირზე ლოკალიზდება ორი თემი—წობენი და საგურამო-ხერკი. წობენი იხსენიება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში[46] და ლეონტის „ნინოს ცხოვრებაში“, წმ. ნინოს მიერ არაგვის ხეობის მთიელთა გაქრისტიანებასთან დაკავშირებით (ქც, I, 125). ხუთვერსიან რუკაზე არაგვის მარცხენა ნაპირზე, ჟინვანის სამხრეთით 10 კმ-ზე აღნიშნულია სოფელი წობონა და მთა წობონო. დღესაც არსებობს ამ ადგილას სოფელი „წობანი“[47].

ხალხში შეკრებილი მონაცემების მიხედვით დავადგინეთ, რომ ჟინვანის სამხრეთით, არაგვის მარცხენა ნაპარზე მდებარე მინდორს საკანაფე ანუ ბოდავის ხევამდე ეწოდება წობენი ან წობნები.

რამდენადაც არაგვის მარცხენა ნაპირზე სახელი „წობენი“ რამდენჯერმე მეორდება მცირე ცვლილებებით და აღნიშნავს სოფელს, მთას და სავენახე ადგილს, საფუძველი გვაქვს დავუშვათ, რომ წობენი გარკვეულ ტერიტორიულ თემს აღნიშნავდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს VII ს-ის სომხურ გეოგრაფიაში მოხსენიებული თემის სახელწოდება „წობენორ“. ამ თემს უნდა სჭეროდა ტერიტორია საგურამო-ხერკის ჩრდილოეთით ჟინვანამდე. ს. ერემიანი სომხურ გეოგრაფიაზე დართულ რუკაზე ამ ოლქის საზღვრებს გაცილებით ფართოდ წარმოადგენს, ვიდრე სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. მისი აღნიშვნით, წობენორი მოიცავს არაგვის მარცხენა ნაპირის ტერიტორიას ხერკიდან მთიულეთამდე. ფაქტიურად, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ წობენის ჩრდილოეთი საზღვარი ჟინვანის ჩრდილოეთით გადაიწიოს. ვახუშტი სახელწოდება წობენს არ იცნობს. ჩვენს მიერ ნავარაუდევ წობენის ტერიტორიას იგი ჯერ ხერკში, ხოლო შემდეგ თიანეთში შემავალად თვლის[48].

წობენი, თუ მასთან ფონეტიკურად ახლო მდგომი სახელწოდებები, რამდენიმე პუნქტს მიემართება. ისმის კითხვა: აქედან რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, როგორც ნინოს ქადაგებისა და მთიელთა მოქცევის ადგილს. ჩვენი აზრით, ასეთი უნდა იყოს ჟინვანთან მდებარე წობენი[49].

წობენის მინდორი (და ჟინვანი) მთისწინეთია, სადაც ცენტრალურ ხელისუფლებას III—IV საუკუნეებისათვის უკვე მტკიცედ უნდა ჰქონოდა ფე-

---

44 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1, 271.

45 ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, 42—43.

46 ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, 38.

47 ჯ. გვასალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წობენის ლოკალიზაციისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 59, № 3, 1970, 753—756.

48 ვახუშტი, აღწერა..., 91.

49 იხ. ჯ. გვასალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წობენის ლოკალიზაციისათვის, 753—756.

ხი მოკიდებული. სწორედ წობენის მოპირდაპირედ არანისის მახლობლად აღ-
მოჩნდა ახ. წ. III ს-ის ადგილობრივი დიდებულების მდიდრული სამარხე-
ბი[50].

მდინარე არაგვის სამხრეთ ნაწილში მის მარცხენა მხარეს მოქცეუ-
ლია ხერკის ანუ საგურამოს თემი. მის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „ამას (ბოკოწნის ხევს — ჯ. გ.) ქვეით ერთვის არაგვს ხერკის-ჴევი ანუ თეზმის-ჴევი. გამოსდის კუხეთის მთას ანუ იალონს, მოდის დასავლეთად... ამ მთის თხემსა ზედა მჭვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზედაზენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზადენი. ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა. და არს ამათ შორის ხერკი, არამედ საგურამო ანუ თეზმის-ჴევი. აქუს ხერკს: აღმოსავლეთით მთა ეწროსა და ამას შორისი; სამჴრით მთა ზედაძნისა; ჩრდილოეთ ნოკორნა-ბოკოწანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდამ არაგვამდე; დასავლით არაგვი... აქამდე (ხევძმარამდე — ჯ. გ.) უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ გურამიანთ გამო“[51].

ცნობა ზედაზნის თავზე ფარნაჯომის მიერ ციხის აშენების შესახებ ვახუშტის ამოღებული უნდა ჰქონდეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან[52].

ზედაზნის თავზე დღესაც არსებობს ციხის ნანგრევები. საუბარი მისი სიძველის შესახებ ძნელია, მაგრამ თვით ფაქტი ნიშანდობლივია, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე ამ ადგილს სამეფო ხელისუფლება საგანგებო ყურადღებას უთმობს. თუ დღეისათვის ჰქონ რაიმე გარკვეული ითქვას ზედაზნის ციხის თარიღის შესახებ, სხვა ვითარებაა მასთან სულ ახლოს მდებარე წიწამურის ციხის მიმართ, რომელსაც ა. აფაქიძე ადრეანტიკური ხანით ათარიღებს[53]. წიწამურის ციხის სიახლოვეს, კერძოდ, ადგილ კამარახევში აღმოჩნდა ანტიკური ხანის ძლიერი სამაროვანი[54].

იალნოს ანუ ზედაზნის ქედთან დაკავშირებით ისმის მისი ძველი სახელწოდების საკითხი. ვახუშტი მას კუხეთის მთას უწოდებს, ხოლო კახეთის მთად კი მიიჩნევს კავკასიონის მთავარი ქედიდან გამომავალ ერთ-ერთ შტოს[55]. ვახუშტის მთა კახეთისა იგივეა, რაც აწინდელი კახეთის ქედი.

კახეთისა და კუხეთის მთების სწორი ლოკალიზაციის საკითხს დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს, რადგან სწორედ ისინი ითვლებიან კახეთისა და კუხეთის გამმიჯნავ ქედებად. სპეციალურ ლიტერატურაში დაისვა საკითხი, რომ ამ მთების ვახუშტისეული სახელწოდებანი არ უნდა იყოს ზუსტი და კახეთის მთა უნდა ეწოდოს იალნო-საგურამოს ქედს[56]. ასეთი ლოკალიზაციით

---

50 რ. რამიშვილი, ქინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წ., „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 4, 169.

51 ვახუშტი, აღწერა..., 93—94.

52 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, 82.

53 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, 182 და შემდ.

54 რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მასალები საქ. და კავკ. არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959, 5—53.

55 ვახუშტი, აღწერა..., 87.

56 ე. ხოშტარია, ძველი ქართული საისტორიო წყაროების „კახეთის მთის“ ლოკალიზაციისათვის, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, 170—175.

კახეთ-კუხეთის ჩრდილოეთი საზღვარი იალნო-საგურამოს ქედია და კუხეთის შემადგენლობიდან, წინააღმდეგ ვახუშტისა, გამოირიცხება თიანეთი[57].

კუხეთის ფარგლებში არაგვისპირა თიანეთის ანუ წობენის შეყვანა არის შედეგი ხანგრძლივი ევოლუციისა და ისტორიულ-გეოგრაფიული შემადგენლობის ცვლილებისა. უფრო ადრე კი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს და სომხური გეოგრაფიის მიხედვით კუხეთიდან უნდა გამოირიცხოს წობენი და ხერკი. კუხეთის თავდაპირველი ტერიტორიისათვის ჩვენ გვრჩება მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ვაკე ნაწილი[58].

ვახუშტი „გეოგრაფიას“ დართულ სოფელთა სიაში გლდანსა და საგურამოს შემდეგ სოფლებს მიათვლის: ავჭალა, გრდანი, დუმაგრდანი, მანკოდა, ლელუბანი, ტუტალა, ჯაჭვი, ფოსო, ჯვარი, წიწამური, ჯამშიაური, აჩხოტი, ღურო, ძველღურო, მარავი, გორორისუბანი, ბალნიანთკარი, მანკავები, აზვი, თეზამი, ჩრდილი, ზვარეთა, ოდიშელიძე, დაფი, ახატანი, ბოკოწინი, ზაქარია, იპისი, არჯაკელა, ჯილაური, ბიწმენი[59].

ამ სოფელთა ნაწილი დღესაც ცოცხალია, ნაწილი კი აღარ არსებობს. დაზვერვითი მუშაობის დროს ჩვენ საშუალება მოგვეცა დაგვედგინა ზოგიერთი მათგანის ადგილმდებარეობა. სოფელი ჯაჭვი მდებარეობდა სოფელ ჯვარსა და წიწამურს შორის. დღესაც წიწამურელები ჯვარის მთიდან მომდინარე ერთ-ერთ წყაროს „ჯაჭვის წყალს“ ეძახიან, ხოლო ჯვარის მონასტერს „ჯაჭვის საყდარს“. ჯაჭვთან ახლოს მდებარეობდა სოფელი ფოსო ანუ ფოსი. ამაზე მიუთითებს წიწამურის მიდამოებში მინდვრის სახელწოდება „ფოსოები“. დავადგინეთ აგრეთვე ვახუშტისეული ბოკოწინისა და არჯაკელას მდებარეობა. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ბოკოწინი ყოფილა თანამედროვე სოფ. გალავნის ძველი სახელი, ხოლო არჯაკელა კი წინამძღვრიანთ კარისა. მოსახლეობა მათ გადარქმევას უკავშირებს ერეკლე II სახელს. რაც შეეხება ოდიშელიძეს, იგი უნდა ყოფილიყო სოფ. დავათის ძველი სახელი. სოფ. დავათში დღეს ოდიშელიძენი ყველაზე გავრცელებული გვარია. შესაძლოა სოფლის სახელწოდება მანკავერი (ვახუშტისეულ ხელნაწერში იგი შეიძლება წაიკითხოს „შანკავერად“) შემოინახა სოფელმა და ნასოფლარმა „შანქევანმა“.

ხევსურეთისა და ფშავის არაგვზე მდებარეობს ორი თემი — ხევსურეთი და ფშავი, რომელნიც ადრეულ ხანაში ერთ თემად — ფხოვად იწოდებოდა. ვახუშტი ხევსურეთის შესახებ აღნიშნავს: „ამ ქინვანს ზეით და ხარჭაშოს ზეით მოერთვის თეთრს არაგვს ჴევსურეთის წყალი. ამას მოერთვის ჴევნი იმაერ და ამიერ და განჰყოფს ჴევსურეთს აღმოსავლით კავკასიდამ ჩამოსული მთა სამჴრეთად, ამას და ფშავს შორისი; სამჴრით ფშავის საზღვარი; ჩრდილოთ კავკასი, ამასა და ძურძუკს შორისი; დასავლით კავკასიიდამ ჩამოსული სამჴრეთად მთა, ამასა და გუდამაყარს შორისი“[60].

ფშავის შესახებ კი შემდეგს აღნიშნავს: „ხოლო მზღვრის ფშავს აღმოსავლით მთა კავკასიიდამ ჩამოსული; სამჴრით კავკასივე, ამასა და მახვილისჴევს შორისი; სამჴრით მთა, ამასა და თიანეთს შორისი; ჩრდილოთ კავკასი,

57 იქვე, 175.

58 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, 219. მისივე, უჯარმა, თბ., 1966, 6—21.

59 ვახუშტი, აღწერა..., 205—206.

60 ვახუშტი, აღწერა..., 92.

ამასა და ღლიღვს შორისი. არამედ ძველად ეწოდა ამ ორთა ჯალაბათა ფხოველ-ნი, და აწ უწოდებენ ესრეთ“[61].

აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის მოსაზღვრე ქისტები ხევსურებს დღეს „ფხია“-ს ან „ფხაე-“ს[62] უწოდებენ, რაც იგივე ფხოველს ნიშნავს. ფხოვის სა-ხელი შემოინახა უკანა ფშავის სოფელმა შუაფხომ. შესაძლოა იგივე სახელი ისმოდეს გუდამაყრიდან ხევსურეთში გადასავალი უღელტეხილის—ფხიტურის სახელწოდებაში.

ფხოვი იხსენიება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და ლ. მროველის „ნინოს ცხოვრებაში“ ქართველ მთიელთა მოქცევასთან დაკავშირებით (ქც, I, 123). შემდეგ საუკუნეებში ფხოველნი იხსენიებიან კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკე II დიდის დროს (1014 წ.), როდესაც კვირიკე II კახეთი ხელმეორედ დაიპყრო და ახალი საერისთავოები დააწესა, მათ შორის მოხსენებულია ფხოვეთის ქვეყანა: „მეორე (ერისთავი) დასვა კვეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთ ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა ვიდრე კავკასამდე და გარდაღმად, ეს არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი, ღლიღვი“[63].

თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში ფხოველებმა და დიდოელებმა ამბოხება მოაწყეს და მათ წინააღმდეგ თამარმა ლაშქარი გაგზავნა ივანე მხარგრძელის მეთაურობით. ათაბაგისაგან ძლეული ფხოველები იძულებულნი არიან მეფეს მისცენ „მძევლები და ხარაჯა“ (ქც, II, 111—112).

შესაძლოა ისტორიული ფხოვის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი უკანა ფშავში იყო მოთავსებული. აქეთკენ გვეწევა შუაფხოში ძლიერი ხატის იახსარის არსებობა, შუაფხოს მახლობლად მდებარე ციხე-გორის ციხე, ლაშარ-თამარის ხატები და სოფ. უკანა ფშავში თლილი ქვით ნაგები ციხე-გორის ნანგრევები, რომელიც შესაძლოა ადრეფეოდალური ხანისა იყო.

XIII საუკუნის შემდეგ სახელწოდება ფხოვი და ფხოველნი ქრება. მის ადგილას XV ს-დან ჩნდება ფშავი და ხევსურეთი. XV ს-ში ერთიანი საქართველოს დაშლისა და დაცემის ხანაში ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი გამდგარია და კახეთის მეფე გიორგი I დავითის ძეს (1471—1492) არ ემორჩილება[64]. კახთა მეფემ ლევანმა გადაწყვიტა კახეთის მთიელთა დამორჩილება ეკონომიური ურთიერთობის საფუძველზე[65].

ფშავ-ხევსურეთი სახასო იყო, ის მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა. მაგრამ მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს, გაძლიერებული არაგვის ერისთავები ცდილობდნენ სხვა მთიელებთან ერთად ფშავ-ხევსურეთის დაპყრობასაც. მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, ზურაბ არაგვის ერისთავი მაინც მოახერხებდა ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებას, რომ იგი 1629 წელს თეიმურაზ I ღალატით არ მოეკვლევინებინა.

ხევსურეთი იყოფოდა პირიქით და პირაქეთ ხევსურეთად; თავის მხრივ, თითოეული მათგანი კი ორ-ორ თემად. პირაქეთში იყო ბარისახოსა და ბაცალიგოს თემები, ხოლო პირიქითაში კი შატილისა და არხოტის. ხევსურეთის

---

61 ვახუშტი, აღწერა..., 93.

62 А. Шанидзе, Отчет о летней командировке 1913 г. в Душетской и Тионетской уезды Тифлисской губернии для изучения груз. говоров, Изв. И. А. Наук, сер. VI, № 18, СПБ, 1913, стр. 1072.

63 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, 151.

64 ქართლის ცხოვრება, II, ს-პეტერბურგი, 1854, 104.

65 იქვე, 107.

ცენტრს წარმოადგენდა გუდანი, სადაც მოთავსებულია ხევსურეთის უმაღლე[illegible]სი სალოცავი გუდანის ხატი.

ფშავი იყოფოდა 12 გვაროვნულ თემად, რომელიც დაჯგუფებული იყო ორ ტერიტორიული თემის — უკანა ფშავისა და მაღაროს კარის ირ[illegible]

უკანასკნელ პერიოდამდე არაგვის ხეობა არ წარმოადგენდა [illegible]რი არქეოლოგიური კვლევის ობიექტს. არაგვის ხეობაში მიმდინარეობდა დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური ძიება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ჟინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობასთან დაკავშირებით, წარმოებს ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიება, ჟინვალსა და მის შემოგარენში. დაზვერვების დროს პირველად იქნა აღმოჩენილი მუსტიეს ხანის კაცის იარაღები ბაზალეთის პლატოზე — ვარსიმაანთკარსა და გრიგოლაანთკარში. ქვის ხანის იარაღებია ნაპოვნი აგრეთვე სოფ. წიფრანის ძირში (ფშავის არაგვის ხეობა)[66].

1970 წელს ხადის ხევში, დიდველზე ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის შემცველი არქეოლოგიური ძეგლი. 1973 წელს ადრებრინჯაოს ძეგლები მიკვლეულ იქნა ჟინვალსა და ბოდორნაში. ხადის ხევშივე აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების შემცველი განძი. მათ შორის ყურადღებას იქცევს წელში გალუნული ბრინჯაოს კოლხური ცული. იგი ანალოგიას პოულობს კოლხური ცულების IV ტიპში, რომლებიც ძვ. წ. XII—XI სს. თარიღდებიან და მომდინარეობენ სამთავროდან, ლეჩხუმიდან, რაჭიდან[67]. გვიანბრინჯაოს განძები აღმოჩნდა 1961 წელს ჩაბარუხში, ხოლო 1963 წელს ფასანაურში. ამ უაღრესად საინტერესო განძების თარიღია ძვ. წ. XI—IX სს[58]. გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებია ცნობილი აგრეთვე ჰიკაანიდან, კანატიადან, დუშეთიდან, ბულაჩაურიდან, წიფრანიდან, შუაფხოდან.

დიდველზე აღმოჩენილი ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა ანალოგიას პოულობს შიდა ქართლის ძეგლებში, კერძოდ, ქვაცხელების $B_1$ ფენის მასალებში და თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით[69].

ანტიკური და განსაკუთრებით გვიანანტიკური ხანა არაგვის შუა წელზე მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი (ანანურში ორი სამაროვანი, სამაროვნები ციხისძირში, ჟინვალში, ქვემო არანისში). განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ქვემო არანისის სამაროვანი, რომელმაც მოგვცა ახ. წ. III ს-ის მდიდრული „არმაზული“ ტიპის სამარხეული ინვენტარი. საყურადღებოა, რომ მის მახლობლად გაითხარა იმავე ხანის ნამოსახლარები[70]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესწავლილ იქნა ფეოდალური ხანის მრავალი ისტორიული ძეგლი. კიდევ უფრო მეტი ძეგლი გამოვლინდა დაზვერვითი ისტორიულ-გეოგრაფიული სამუშაოების დროს (იხ. სქემა 1).

არაგვის ხეობის ეკონომიური გეოგრაფიის საკითხების მიმოხილვას ვიწყებთ მთიულეთით. ყველაზე ძველ ცნობას, მთიულეთის ეკონომიკას რომ შე-

---

66 რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს, „მაცნე“, 1971, № 4.

67 იხ. დ. ქ ო რ ი ძ ე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, 72—73.

68 ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ჩაბარუხისა და ფასანაურის განძები, დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის I სამეცნიერო სესია, თეზისები, 1965, 26.

69 იხ. ა ლ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი. ურბნისი, I, თბ., 1962, 65.

70 რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 168—169.

ეხება, ვხვდებით „ძეგლი ერისთავთაში“. ეს წყარო მე-14 ს-ის მიწურულის ამბავის თხრობასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ამას ჟამსა იყო შფოთი და პო-ეს ჟამი დვალთა და წაასხეს ლუდით ზროხაჲ“[71].

მატიანის ამ ადგილის მიხედვით მთიულეთში (ლუდაში) [illegible] ჩანს მსხვილფეხა მესაქონლეობა. ამასვე მიუთითებს ხალხური ლექსი:

ლუდუშაურო ლუდითა
ერბო გიდგია გუდითა.

ვახუშტი მთიულეთის ეკონომიურ მდგომარეობას ასე ახასიათებს: „და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა; ამის გამო მაგარი და შეუალ არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სივიწროვის გამო“[72]...

გუდამაყრის შესახებ კი აღნიშნავს: „და არს გუდამაყრის ჴეობა მაგარი, მოსავლით, ვითარცა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალნი მსგავსნი მთიულთა, ჴელოსანნი, მშვილდმოქმედნი, აკეთებენ რქისაგან ჯიხვისა, თხისაგან და ჴართაგან“[73].

მოტანილი ადგილებიდან ჩანს, რომ მიწის ფართობისა და საძოვართა სიმცირე არ იძლეოდა მესაქონლეობის ფართოდ განვითარების საშუალებას. შედარებით მეტი საძოვრები იყო ხადასა, ხანდოსა და ლუდაში. გუდამაყარშიაც მეტი საძოვრები იყო, ვიდრე ცხავატში. მთიულები სარგებლობდნენ ქსნის საერისთავოს და ხევსურეთის საძოვრებით. მესაქონლეობის გვერდით მთიულეთშია მეცხვარეობაც იყო განვითარებული, ყოველ შემთხვევაში მე-18 ს. ბოლოს იქ გადასახადს — ყალანს ცხვრებით იხდიდნენ[74].

მთიულეთში მიწათმოქმედება საკმაოდ იყო განვითარებული, მაგრამ მიწის სიმწირისა და სიმცირის გამო არ იძლეოდა საკმაო მოსავალს და მთიულნი იძულებული იყვნენ ქართლის ბარსა და ვლადიკავკაზში წასულიყვნენ პურის საყიდლად.

მთიულეთ-გუდამაყრის სამეურნეო-ეკონომიური პირობების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნ. ჰილაშვილი, რომელმაც მთავრობის დავალებით 1827 წელს შეადგინა ამ მხარის მიმოხილვა. მისი დაკვირვებით, მთიულეთ-გუდამაყრის მიწები არც თუ ისე ნაყოფიერია. ხნავენ კავში შებმული 2 ან 3 უღელი ხარით. მოჰყავთ ხორბალი, ქერი და ფეტვი, რომლის უკმარისობის გამო პურეულს ყოველწლიურად ყიდულობენ საქართველოს სხვა ადგილებში. სამაგიეროდ სათიბები და საძოვრები საკმაოდ კარგი და ვრცელი აქვთ. ზამთრობით ცხვარს მიერეკებიან თბილისის მიდამოებში და სხვა ადგილებში, ხოლო ზაფხულობით აბალახებენ თავიანთ მთებში. ჰყიდიან ყველს, ერბოს, მატყლს და ცხვრის ტყავებს. ამზადებენ მატყლის უხეშ ქსოვილს, თელავენ ნაბადს. აქ მოდის კანაფიც, რომლისაგანაც მხოლოდ თოკს გრეხენ. მთიელთა შორის ყველაზე შეძლებულად ცხოვრობენ გუდამაყრელე-

71 შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, 355.

72 ვახუშტი, აღწერა..., 66.

73 იქვე, 65.

74 საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 1448, საბ. № 741.

ბი[75]. დაახლოებით ასეთსავე ვითარებას ასახავს XIX ს-ის 80-იან წლებში ნ. ნიკიფოროვი[76].

მთიულეთის შესწავლის შედეგად ალ. რობაქიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის „თანაფარდობა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა იყო. უდავოა, მაგ., რომ როდესაც მთიულეთში საქონლო მეურნეობა კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა, მისი საფუძველი გახდა მესაქონლეობა, ე. ი. მეურნეობის ის დარგი, რომელიც აქ აქამდე ყველაზე რენტაბელური იყო. ამან გამოიწვია სახნავი მიწების ერთი ნაწილის სათიბ-საძოვრებად გადაქცევა. ფაქტიურად ეს იმას ნიშნავდა, რომ მთლიანად მთიულეთის ფარგლებში მემინდვრეობის ხვედრითი წონა შემცირდა მესაქონლეობის სასარგებლოდ“[77].

მთიულეთ-გუდამაყარში განვითარებული იყო ხელოსნობა, განსაკუთრებით მატყლისა და რქის დამუშავება. მთიულეთში მაღალ დონეზე იდგა ქვის დამუშავების ტექნიკა[78]. საფორტიფიკაციო ნაგებობების — შესანიშნავად ტანწყობილი ზურგიანი კოშკებისა და რთულ საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობაში ჩანს მაღალი ხუროთმოძღვრული გემოვნება და ტექნიკა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ X ს. მიწურულის ქოროღოს რელიეფები უნიკალურია მსოფლიო სამშენებლო ხელოვნების მასშტაბით[79].

ვახუშტი ხევსურეთის ეკონომიური გეოგრაფიის შესახებ ცნობებს არ გვაწვდის. ფშავის შესახებაც მისი ცნობები მწირია. მათ შესახებ ვახუშტი წერს: „და არიან ყოვლითა, ვითარცა მთიულნი აღვსწერეთ... და ვინადგან ფრიად მაგარ არს ქვეყანა ესე და უბრძოლველი მთითა და კლდითა, და ტყითა, ამისთჳს იმყოფებიან მშვიდად და სიმწირისათვის მონებენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“[80].

ეს დახასიათება ფშავის რუბრიკის ქვეშაა, მაგრამ ნაწილობრივ ეკუთვნის ხევსურეთსაც. აქ მთავარი ისაა, რომ მითითებულია ფშავ-ხევსურეთის ეკონომიური დამოკიდებულების შესახებ თიანეთზე.

1836 წელს გამოვიდა წიგნი «Обозрение Российских владений за Кавказом». მასში აღწერილია მთიანი უბანი, რომელიც მოიცავს თუშეთს, ფშავსა და ხევსურეთს. აქ ხევსურეთის შესახებ აღნიშნულია, რომ ხევსურები იმყოფებოდნენ რა გამუდმებულ მტრობაში ქისტებთან, ყოველთვის იყვნენ შეიარაღებულნი. მიწათმოქმედებას მისდევდნენ ნაკლებად; უპირატესობას ანიჭებდნენ მეცხვარეობას. ზამთარში მათი ფარები სძოვდნენ ყარაიაში ფუფუნების საგნები უცხოა ხევსურთათვის; მარილს და იარაღს იძენენ მეზობელთაგან, არაყს შოულობენ ქართველებში. ყოველივე ამას ცვლიან ცხვრებზე.[81]

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ ხევსურები მესაქონ-

---

[75] Акты, VII, 350.

[76] Н. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, ч. II, 1887.

[77] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 24.

[78] ს. ბედუკაძე, ქვის დამუშავება მთიულეთში, მსე, V, 1951, 33.

[79] Р. С. Меписашвили, Рельефы рубежа X—XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого. «Советская археология», 1969, № 4, 334.

[80] ვახუშტი, აღწერა..., 92.

[81] Обозрение Российских владений за Кавказом, ч. II, С—П., 1836, 398—399.

ლეობიდან უპირატესობას აძლევდნენ მეძროხეობას და ამასთან ისინი არ ეწეოდნენ მომთაბარულ მესაქონლეობას საზამთრო საძოვართა არქონის გამო. ვ. გრიგორიევის ცნობა, თუ კი ის სანდო წყაროებს ეყრდნობა, [illegible]რებას ასახავს. მას თითქოს მხარს უბამს კლაპროტის მოგზაურობის ფრანგული გამოცემის (1823 წ.) რუკა, სადაც ყარაიის ველის ქვეშ წარწერაა: „Paturages d'hiver des Pchavi, Khewsouri et Mthioulethi" ე. ი. „ფშავის, ხევსურეთისა და მთიულეთის საზამთრო საძოვრები".

ფშავის უბნის შესახებ ვ. გრიგორიევი აღნიშნავს, რომ ფშავლები, თუშეთის მსგავსად, სახნავი მიწის სიმცირის გამო, ძირითადად მისდევენ მესაქონლეობას; ჰყიდიან ცხვარს, მატყლს, უხეშ მაუდს, ნაბადს, ქეჩას. ივნისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე ისანი ცხოვრობენ მთებში, შემდეგ კი მათი უმეტესობა მიემართება იორის გადაღმა მინდვრებზე. გაზაფხულიდან ბრუნდებიან მთებში. მათი ოჯახები არასდროს არ ტოვებენ მთის სოფლებს. ცხვარი ჰყავთ 50 000 სული, მსხვილფეხა საქონელი — 7300, ხოლო ცხენები — 1500[82].

მე-19 ს-ის 80-იანი წლებისათვის ფშავ-ხევსურეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ შესანიშნავი აღწერილობა დაგვიტოვა მ. ვ. მაჩაბელმა. იგი აღნიშნავს, რომ თიანეთის მაზრის მცხოვრებნი ზამთრობით წვრილფეხა საქონელს და ცხენებს ერეკებიან შირაქის საძოვრებზე. მხოლოდ ხევსურები და მთიელი ქისტები არ ერეკებიან საქონელს; წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელს ისინი ზამთრობით ბაგებში ინახავენ, რის გამოც საქონლის რაოდენობა მათ უმნიშვნელო ჰყავთ. ფშავლები, რომლებსაც 100 სულზე ნაკლები ცხვარი ჰყავთ, კახელი მებატონეებისაგან ქირაობენ ტყეებს და იქ ირჩევენ საქონლის ძოვებას, რადგან შირაქი მათგან დაშორებულია 150 ვერსით. მაგრამ საქონლის მფლობელთა უმეტესობა ერთიანდება ამხანაგობებად და გადადიან შირაქის მინდორზე. იქ აძოვებენ ცხვარს და ცხენს; მსხვილფეხა საქონელი კი რჩება სოფლებში ან აძოვებენ სახაზინო ან კერძო ტყეებში.

ხევსურთა საზოგადოებები თავიანთი საძოვრების დიდ ნაწილს აქირავებენ ერწო-თიანეთის და დუშეთის მაზრის მცხოვრებლებზე. მ. მაჩაბლის აზრით თუშეთი და ფშავი უშუალოდ ემეზობლებიან ქართულ პროვინციებს და რადგან არ იყვნენ მტრული ტომების გარემოცვაში, თავისი იალაღებისა და შირაქის საძოვრების წყალობით ფართოდ ავითარებდნენ მეცხვარეობას. ხევსურები კი ადრეულ ხანებში მტრობდნენ რა ფშავლებს და ზურგში ჰყავდათ ისეთი საშიში მტერი, როგორიც იყვნენ ჩეჩნები, იძულებულნი იყვნენ თავიანთი ოჯახების დასაცავად დარჩენილიყვნენ მთებში და ოცნებაც კი არ შეეძლოთ მომთაბარეობაზე. თუშები ავითარებდნენ მეცხვარეობას ალვანის მინდვრის წყალობით, რომელიც შუამავალი რგოლია მთიდან შირაქისაკენ და პირიქით მიმავალი ცხვრისათვის. თუშეთთან და ხევსურეთთან შედარებით სხვა ვითარებაა ფშავში. ფშავის მთები თოვლისაგან უფრო ადრე თავისუფლდება, ვიდრე თუშეთის მთები, ამიტომ ფშავლები არ საჭიროებენ მთისწინა სადგომებს. ამასთან ფშავი ეკვრის მაზრის დაბლობ ნაწილს და ამიტომ მასთან მიმოსვლა გაცილებით იოლია, ვინემ თუშეთთან და განსაკუთრებით ხევსურეთთან[83].

[82] Обозрение Российских владений за Кавказом, ч. II. С.-П., 1836, 396—397.

[83] М. В. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тионетского уезда Тифлисской губернии, Сб., мат. для изуч. эк. быта гос. крестьян Закавказского края, т. V, 1887, 415—419.

მ. მაჩაბლის მიხედვით, აღმ. საქართველოს მთას შირაქის საძოვრებთან აკავშირებდა ჭიაურის, წინამხარის და უკანამხარის გზები. ამ უკანასკნელი გზით მოძრაობდა ფშაველთა ცხვარი. ისინი ცხვარს ერეკებოდნენ მე[illegible] გასწვრივ. მ. მაჩაბლის მიხედვით ფშავლებს ჰყავდათ 71288 სულ[illegible] ხევსურებს — 8340, ერწო-თიანელებს — 29234[84].

არაგვის შუა წელზე, კერძოდ ჟინვანის მიდამოებში და მის სამხრეთით ფართოდ ყოფილა განვითარებული მევენახეობა. ამას მოწმობს ჟინვანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უზარმაზარი ქვევრებისაგან შედგენილი მარნები. იქვეა საწნახლებიც.

ვახუშტი ბაზალეთ-არაგვისპირის შესახებ აღნიშნავს: „არიან (ბაზალეთის — ჯ. გ.) ტბის გარემოს, მუხრანის კერძ, არაგვისკენ, გრემის კერძ და ანანურის კერძოთ, დაბნები ვენახოვანნი, ხილიანი, მოსავლიანი და უწყლობით არა მრავალ-ნაყოფიერნი"[85].

თუ ვახუშტი ჩივის მოსავლის სიმწირეზე წყლის სიმცირის გამო, ასე არ უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეებში და უფრო ადრე, როდესაც, სპეციალისტების ვარაუდით, ჟინვალთან უნდა ყოფილიყო გამოყვანილი სარწყავი არხი, რომლის წყალი შესაძლოა აღწევდა სამგორის ველამდე[86]. ამჟამად დუშეთის მიდამოებში მევენახეობას არ მისდევენ. მაგრამ დუშეთის მიდამოებში და ბაზალეთის პლატოზე ვენახი რომ გაშენებული ყოფილა არც თუ ისე შორეულ ხანაში, ეს ახსოვთ ბაზალეთელ მოხუცებს. პლ. იოსელიანი 1860 წ. გამოსულ წიგნში აღწერდა დუშეთის ბაღებს და ბატონიშვილ ვახტანგის მიერ 1784 წელს გაშენებულ ვენახებს[87]. იმავე ბაღებსა და ვენახებზეა საუბარი გ. ჭილაძის 1812 წლით დათარიღებულ წერილში[88]. ბაზალეთის პლატოზე განსაკუთრებით განვითარებული იყო მემინდვრეობა. აქ გავრცელებული იყო ადგილობრივი საუკეთესო ჯიშის ხორბალი. (დუშეთ-ბაზალეთელნი პურით არათუ თავის თავს იკმაყოფილებდნენ, არამედ ჰარბადაც ჰყიდდნენ მთიულებზე.

მეურნეობის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ხერკი ანუ საგურამო. წარსულში აქ მევენახეობას ფართოდ განვითარებაზე მიუთითებს მრავალ ადგილას აღმოჩენილი საწნახლები და ქვევრები.

არაგვის ხეობაში ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს ჩვენს მიერ მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი იქნა მიკვლეული. შევჩერდებით მხოლოდ ზოგ მათგანზე. (იხ. სქემა 4).

გუდამაყრის არაგვის მარცხენა ნაპირზე NW—SO მიმართულების მთაგრეხილის ქიმს აგვირგვინებს მახვილოს ციხე. ქიმი მასზე ამართული ციხით ხეობიდან მართლაც ამოწვდილი მახვილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქიმის ყველაზე მაღალ ადგილას ზურგიანი კოშკის ნანგრევებია. კოშკი სწორკუთხა კვადრებითაა ნაგები. მის N კედელს მიშენებული აქვს გალავნის კედელი. ციხეს კარი ჰქონია ქედის მხრიდან. ციხის NO მხარეს ქარაფოვანი კლდეებია და ამ ადგილას გალავნის კედელი არ ჩანს. კოშკის მასიური კვადრებისაგან განსხვავებით, გალავნისა და შიდა სათავსოთა კედლები ფიქალებითაა ნაგები. ჩანს,

---

[84] М. В. Мачабели, ук. соч., 419—421, 460.

[85] ვახუშტი, აღწერა..., 65.

[86] ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, 87.

[87] Пл. Иоселиани, Описание города Душета Тифлисской губернии. Тифлис, 1860, 32—33.

[88] ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd ფონდი, საბ. № 5403.

კაპიტელზეც არის გამოსახული (მაშასადამე, უკვე სრულიად განცალკევებუ-ლი მშენებლებისაგან — ჯ. გ.), მაგრამ ამ ფაქტს სათანადო კვალიფიკაციას არ აძლევს. კიდევ მეტი. ქტიტორი, როგორც ლავგარდანზე, ასევე ქტიტორები შემოსილია იმ პერიოდის ქართველ დიდებულთათვის დამახასიათებელი ჩაც-მულობით[91]. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ქოროღოს ქტი-ტორთა სახით საქმე გვაქვს სოციალურად პრივილეგირებული წოდების წარ-მომადგენლებთან.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ქოროღოს SO-ით 500 მ-ზე, ნა-სოფლარ მიდელაურების ზურგიანი კოშკის ბრტყელ კედელზე 1970 წ. მივაკ-ვლიეთ ქალისა და მამაკაცის რელიეფურ გამოსახულებას. მამაკაცის გამოსა-ხულებასთან იკითხება ასომთავრულად: ბშქნ ქე შწყ (ბეშქენ ქრისტე შეიწ-ყალე). ვინ არას იგი ძნელი სათქმელია. იქნებ ამ მხარის მმართველი. ერთი კი ფაქტია და არა შემთხვევითი, რომ მთიულეთის ძეგლთაგან წარწერები მხოლოდ სამზეა შემორჩენილი და ყველა ისინი მდებარეობენ ქოროღოს მიკ-როარაიონში. ეს უნდა მიუთითებდეს ადრეფეოდალური ხანის მიწურულს ამ ადგილის დაწინაურებასა და მნიშვნელობაზე.

ჩვენი აზრით, მთიულეთის ტერიტორიაზე ადრეფეოდალურ ხანაში სო-ციალური განვითარების პროცესი ძირითადად ემთხვეოდა ქართული ფეო-დალიზმის მაგისტრალურ ხაზს, თუმცა გამოირჩეოდა ლოკალური თავისებუ-რებებით.

გალავანი „მთავართა“ მდებარეობს ჭართალის ხევის მარცხენა ნაპირზე, არაგვისპირა მაღალ ქედზე. კომპლექსი ქვიშაქვის დიდი კვადრებით არის ნა-გები. კედლიდან 13 მ-ზე გალავნის შიგნით სასახლეა. სასახლის ერთი კედლის სიგრძე 9 მ-ია. გალავნის დიამეტრი აღწევს 50 მ-ს. გალავნის N კედელში 5 საისრეა. გალავნის ცენტრში დგას ნახევარწრიული აფსიდის მქონე დარბა-ზული ეკლესია (4,5 მ×3,5 მ), კარი აქვს S მხარეს. გალავნის S კედელს შიგ-ნიდან მიშენებული აქვს დიდი სათავსო. გალავნის S კარს თავზე 2 მ სიგრძის ბალავრის ქვა ადევს, რომელზეც ჯვარი და ცალკეული ასომთავრული ასოე-ბია გამოკვეთილი. გალავანი წმ. გიორგის სახელობის ხატია. „მთავართას“ კომ-პლექსი ადრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს. ასეთი სახელწოდება ჭართალის ხევის მარცხენა ნაპირზე გაბატონებული კომპლექსისათვის ნიშანდობლივია.

სოფ. ბუჩაანთკარის ჩრდილოეთით 1,5 კმ-ზე ბუჩაანთკარის ციხეა. მას მე-რის ციხესაც ეძახიან ადგილ „მერე“-ს მიხედვით (მერე ვაკე მამულია). ციხე შეიცავს ზურგიან კოშკს, რომელსაც გარს უვლის გალავანი.

ჭართლის ხევის მარჯვენა ნაპირზე მრავალი ძეგლია. მუგუდას ხევის მარ-ჯვენა ნაპირზე ქედია, რომელსაც წმ. გიორგის ქედს ეძახიან იქ განლაგებული კომპლექსის გამო. იგი მდებარეობს სოფლის ალმ-ით 200 მ-ზე. კომპლექსის ცენტრში ფლეთილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიაა (8 მ×3,5 მ). აფსიდა ნალისებურია, ეკლესიას ექნებოდა თაღოვანი გადახურვა. გალავნის N კედელს შიგნიდან მიდგმული აქვს სათავსო (8 მ×4 მ). ეკლესიის დასავლეთით 6 მ-ზე კირქვის მოთეთრო კვადრებით თარაზული წყობით ნაგები კოშკია. კოშკის W მხარე დაშლილია და ზურგიანი უნდა ყოფილიყო. კოშკის O კედელში მიწი-დან 4,5 მ სიმაღლეზე კარია. კოშკის S და N კედლებიდან იწყება გალავანი,

91 ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტუმი (VI—XIV სს.), თბ., 1964, 40.

რომელიც გარს უვლის კომპლექსს. გალავანს კარი აქვს N მხარეს. გალავნის კედლებში სათოფურებია. გალავნის შიდა სივრცის ზომებია 25 მ×12 მ.

სოფ. ჭალისოფლის დას-ით 3 კმ-ზე მდებარეობს ჭართლის სამლოცველო კომპლექსის ცენტრშია კირქვის დიდი ბლოკებით ნაგები სწორკუთხა ეკლესია, რომელსაც კარი სამხრეთით აქვს. O კედლის ორივე კუთხეში 2,5 მ სიმაღლეზე ტრომპისმაგვარი კონსტრუქციაა, საიდანაც იწყება სიმრგვალე. O კედელში შვიდსაფეხურიანი ვიწრო სარკმელია. S და N კედლებზე პილიასტრებია, რომლებზეც გადადის თაღოვანი გადახურვა. ეკლესიის W კედელს გარედან მიშენებული აქვს მცირე ეკლესიის ნახევარწრიული აფსიდა. ეკლესიას სამხრეთით აქვს მინაშენი. ეკლესიის SO მხარეს ოთხკუთხა მაღალი შენობაა მაღალი თაღიანი კარით. სამებას გარს უვლის დიდი გალავანი.

სოფ. ციხისძირს თავზე აღმართულია დიდი ციხე*. ციხის W ნაწილში ორი კოშკია. ისინი 4—5 სართულიანი უნდა ყოფილიყო. ციხის NW ნაწილში მესამე კოშკია. მის წინ ბათქაშებით შელესილი სწორკუთხა ნაგებობაა. გალავნის კედლებში სათოფურებია დატანებული. ციხისძირის ციხეს უჭირავს გაბატონებული მდგომარეობა არაგვის პირზე. იგი კეტავს ხეობას. ეს ციხე უნდა ყოფილიყო არაგვის ერისთავთა ძლიერი დასაყრდენი გვიანდელ ხანაში.

ანანურში ვეძათხევისპირა კონცხზე აღმართულია მძლავრი ციხე, რომელიც არაგვის ერისთავებს ეკუთვნოდა. ერისთავთა რეზიდენცია დუშეთში იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ანანურიც რეზიდენციად გამოიყენებოდა. ძირითადად კი ანანური იცავდა არაგვზე გამავალ მაგისტრალს. ანანურზევე უნდა გაევლო კახეთიდან მომავალ გზას, რომელიც ვეძათხევით გადადიოდა ქსნის ხეობაში. არაგვისპირა მთის ქიმი უჭირავს ზედა ციხეს, ხოლო მთის O და N კალთები—ქვედა ციხესა. ციხის ტერიტორიაზე ჯერ მხოლოდ სადარაჯო პირამიდულსახურავიანი კოშკი მდგარა, რომელიც აგებული უნდა იყოს არა უგვიანეს XVI ს. გალავნის კედლებში ჩაყოლებულია კოშკები, რომელთაგან ყველაზე დიდი „შეუპოვარის“ სახელითაა ცნობილი. მასთან დაკავშირებულია არაგვის ერისთავთა ოჯახის ტრაგედია. ანანურის ზედა ციხე აგებულია XVII ს-ში, ხოლო ქვედა XVII—XVIII ს-ის მიჯნაზე. არავის საერისთავოს გაუქმების შემდეგაც ანანურის ციხე აღმ. საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი შვიდ ციხეთაგანია[92].

ანანურსა და ქინვალს შორის მოთავსებულ ქედზე მდებარეობს ნასოფლარი ფიტავი და ციხის ნანგრევები. ქედის S ნაწილში დგას უზარმაზარი კვადრებით ნაგები ზურგიანი კოშკი. მის ჩრდილოეთით გალავანია. გალავნის ჩრდილო ნაწილში თაღოვანი კარია. მის წინ ოვალური ფორმის კოშკია, ციხეს N მხარეს თხრილი შემოუყვება. ყელი S მხრიდან ჰქონია მოჭრილი. ფიტავის ციხე ადრეფეოდალური ხანის ძეგლს უნდა წარმოადგენდეს.

არაგვის ხეობა მრავალი ხევისაგან შედგება. თავის მხრივ, ხევები შედგებიან სოფლებისაგან. თითოეული ხევი წარმოადგენდა თვითკმარ „ქვეყანას“ საკუთარი მთით და ბარით. ასეთი პატარა ხევება არაგვის შუა წელზე რამდენიმეა. მათგან შევჩერდებით პავლეურსა და ავენისზე.

პავლეურის ხევში რამდენიმე ნასოფლარია, 6 ხატ-სალოცავი. ნასოფლარ-

---

* ჭართლის-ხევსა და ფშავის არაგვის ხეობაში ზოგიერთი ძეგლი ჩვენს მიერაა მიკვლეული რ. რამიშვილთან და ბ. ჯორბენაძესთან ერთად 1971—1972 წლებში ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობის დროს.

92 იხ. პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1953.

თაგან ყურადღებას იქცევს ე. წ. „ნაქალაქარი“. ნაქალაქარიდან გზა ხორხის, ნეძიხისა და გუდრუხის გავლით მიდიოდა კახეთისაკენ, ხოლო მეორე ტოტი უხვევდა ბარისახო-შატილისაკენ. ნაქალაქარის შენობები ტერასებადაა განლაგებული. მათ შემოუყვება ელიფსის ფორმის გალავანი. ნაქალაქარის სიგრძე 42 მ-ია, სიგანე — 31. შენობები ნაგებია მშრალი წყობით. მათ შესასვლელი W მხარეს აქვთ. გალავნის შიგნით ითვლება 10 სათავსო.

ავენისის ხევში გამოირჩევა ღვთისმშობელი, რომელიც ნაგებია ფლეთილი ქვით. კარი აქვს S მხარეს. მასზე გადაყვანილია შირიმის ქვის თაღი. აფსიდა ნახევარწრიულია, ოდნავ ნალისებური. გადახურვა თაღოვანია. S და N მხარეს მინაშენებია. სარკმლების თაღებისა და დარბაზის კუთხეებისათვის შირიმის ქვაა გამოყენებული. ეკლესიის დასავლეთით ოთხკუთხა სათავსოა. მის დასავლეთით კი სამი ოთხკუთხა სათავსო. ერთი მათგანი შესაძლოა სამსართულიანი კოშკი ყოფილიყო. კომპლექსს შემოუყვებოდა გალავანი. მის დასავლეთით 300 მ-ზე ჩანს ნარუალის კვალი, რომელიც რწყავდა ღვთისმშობლის SW მდებარე არაგვისპირა ტერიტორიას. აქ უწინ ვენახები ყოფილა გაშენებული. ავენისის ხევი შუა და ზედა ნაწილში გაფართოებულია, ქმნის ვრცელ ტერასებს, განსაკუთრებით მარცხენა მხარეს, სადაც შემორჩენილია ტოპონიმი „ნადაბნები“ და ნასახლარები. ნადაბნების აღმოსავლეთით მთაში სათიბები ყოფილა. ავენისის ხევის მარჯვენა ნაპირზე ტყეში ოთხ უბნად გაფანტული ნასახლარებია. ავენისის ხევი ეკონომიურად ლონიერი, თვითკმარი ხევია თავისი მთითა და ბარით. ნადაბნების ერთ ფერდზე მოჭიქული ჭურჭლის ნატეხი ვიპოვეთ, რაც მოწმობს აქ მოსახლეობის არსებობას შუაფეოდალურ ხანაში. თუ უფრო ადრინდელი არა, ამ ხანისაა ღვთისმშობლის კომპლექსი.

გუდამაყრის ქედის კიდეზე აღმართულია ხმალას მთა (2137 მ). მასზე ციხის კომპლექსია. ხორხის ყელის სამხრეთით ქედი საკმაოდ მაღლდება. უკიდურეს S ნაწილში მთა ხმალივითაა ამართული და, ალბათ, ამიტომ მიიღო ასეთი სახელწოდება. წვეტის შუა ნაწილში შექმნილია მოედანი, რომელზეც აშენებულია ეკლესია და ზურგიანი კოშკი. გალავნის მოხაზულობა წრეს უახლოვდება. შესასვლელი უნდა ყოფილიყო NO მხარეს. ხმალას ეკლესია დარბაზულია (6 მ×4 მ), აფსიდა მომრგვალებული. ეკლესიას ჰქონია ორი შესასვლელი N და S მხარეს. კარზე გადადის თაღი. ეკლესიის NW კუთხეს ადგება ზურგიანი კოშკის ბრტყელი კედელი. ხმალა თავისი მდებარეობით გაბატონებულია ფშავის და მთიულეთის არაგვებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, სათიბ-საძოვრებსა და ხორხზე გამავალ გზებზე. ციხე მტრისათვის ძნელად მისადგომი იქნებოდა თავისი მაღალი მდებარეობის გამო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქალაქი ჟინვალი (ისტორიული წყაროების ჟინვანი, ჟინოვანი, ჟინოანი), რომელიც აღმოცენდა არაგვის ხეობის ცენტრში მთიულეთისა და ფშავის არაგვების შესაყარზე. იგი კონტროლს უწევდა ჩრდილოეთიდან მომავალ ცენტრალურ მაგისტრალს — „დარიალის“ გზას და ისტორიული ფხოვით ჩაჩნეთიდან მომავალ გზასაც. ჟინვანის მნიშვნელობას განსაზღვრავდა მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა არაგვის მთისა და ბარის საზღვრებზე. ჟინვანი წარმოადგენდა იმ ადგილს, საიდანაც ხორციელდებოდა სოციალურად უფრო დაწინაურებული ბარის გავლენა აღმ. საქართველოს მთიანეთზე.

ჟინვანის ყველაზე მნიშვნელოვანი უბანი ფშავის არაგვის მარცხენა ნა-

პირზე იყო განლაგებული. სწორედ მას შემორჩა დღემდე სახელწოდება „ნაქალაქარი“. მის თავზე აზიდულ მთის წვერზე მდებარეობს ქალაქის ციხის ნანგრევები, „თამარის ციხის“ სახელს რომ ატარებს. მთას, რომელ[illegible] თამარის ციხე, აღმოსავლეთიდან ყელი აქვს მოჭრილი. ამავე მ[illegible] გალავნის კედელი მაქსიმალურ სიმაღლეს (დაახ. 20 მ). ციხის N ნაწილში მოთავსებულია ფლეთილი ქვით ნაგები ძლიერ დაშლილი დარბაზული ეკლესია (3,8 მ×3,3 მ). დარბაზის სამხრეთით გრძელი შენობაა. მის სამხრეთით ციხის ეზოა, სადაც, ჩანს, მოთავსებული იყო ხაროები და წყლის რეზერვუარები. თამარის ციხეს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ქინვანის ნაქალაქარისა და ჟინვანის ქვეყანაზე. აქედან შესანიშნავად მოჩანს არაგვის ხეობა. შესაძლოა, ციხის ძირითადი ნაწილი დაუკავშირდეს თამარის ხანას. ჟინვანი მისი თამარის ციხით უნდა ყოფილიყო ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი ბასტიონი არაგვზე და მთისაკენ ბარის შეტევის საყრდენი.

ჟინვანის ძეგლთან აღსანიშნავია ციხე წმ. გიორგი, ჟინვანის დედაციხე, ხერთვისის ზურგიანი კოშკის შემცველი კომპლექსი, დიდრუვის „დევებიანის“ ნასახლარები და სხვ[93].

ჟინვანის ნაქალაქარი ჩრდილოეთით ლალაურას ხევამდე ვრცელდებოდა. მის მარცხენა ნაპირზე ზურგიანი კოშკის შემცველი საკმაოდ მოზრდილი ციხის კომპლექსია. იგი პირობითად შეიძლება შუაფეოდალური ხანით დათარიღდეს. ლალაურას კომპლექსსა და ჟინვანის თამარის ციხეს შორის ქედზე დიდ ვაკეების ნასახლარებია, სადაც მივაკვლიეთ ეკლესიას, კოშკს და XI — XII სს. მოჭიქული ჭურჭლის ნატეხს. ჟინვანის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ-ზე სოფ. გუდრუხის თავზე მივაკვლიეთ დიდ ნადაბურს, რომელიც აგრეთვე შუაფეოდალური ხანისა უნდა იყოს.

ჟინვანის ხსენებას ვხვდებით „ისტორიანისა და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორთან. მემატიანე ეხება რა თამარის კარის დიდებულთა დასაჩუქრების საკითხს, აღნიშნავს: „და ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთითა“ (ქც, II, 55).

ჩანს, მანდატურთუხუცეს ჭიაბერს ქალაქი ჟინვანი „მრავლითა მთიულეთითა“ საპატივოდ (და არა საკუთრად) მიუღია. ამაზე მიუთითებს ჭიაბერის შეწირულობის დაწერილი შიომღვიმისათვის, რომელიც უკანასკნელი გამოცემის მიხედვით 1189—1192 წლებით თარიღდება[94]. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ჟინვანი — მნიშვნელოვანი სამეფო ქალაქი — გაიცემოდა საპატივოდ (ე. ი. სამმართველოდ და „საჭმელად“) სამეფო ხელისუფლების მიერ უმაღლესი სამეფო-სამოხელეო პირებისადმი.

ჭიაბერამდე შვიდთა მთიულეთთა და ჟინვანის გამგებელი და პატრონი უნდა ყოფილიყო ქართლის ამირთ ამირა აბულასანი. თბილისის „ლურჯი მონასტრის“ ეპიგრაფიკულ ძეგლში ქართლის მთავარეპისკოპოსყოფილი ბასილი ტაძრის აშენების შესახებ წერს: „ხოლო ვაშენე ნაცვალსაგებად ჩემთჳს და საყუარლისა ძმისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირთა ამირისა, რუჲსთვისა და შჳდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასნისთჳს...“[95].

93 ჟინვანის სიძველეთა შესახებ სხვა წერილში დაწვრილებით ვისაუბრებთ.

94 ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, 28—30.

95 ვ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, „ქართული ხელოვნება“, 2. თბ, 1948. 97.

მკვლევართა მიერ „ლურჯი მონასტრის“ აბულასანი გაიგივებულია თამარის მოხელე აბულასანთან, რომელიც წმ. ანდრიას ხატის წარწერაში ერისთავთ-ერისთავად და მეჭურჭლეთუხუცესად იწოდება. ვ. ბერიძის [illegible] ანი დაკვირვებით „ლურჯი მონასტრის“ წარწერა არ შეიძლება [illegible]ლიყო 1190—1191 წლებზე გვიან. ნიშანდობლივია, რომ აბულასანის დაქვეითების შემდეგ ქინვანის და, ალბათ, მასთან ერთად „შვიდთა მთეულთა“ გამგებლობას იღებს მეორე ვაზირი ჭიაბერი. საინტერესოა, რომელი მხარეები იგულისხმებოდა „შვიდ მთიულეთში“. ჩვენი აზრით, ეს ცნება უეჭველად მოიცავდა აღმ. საქართველოს მთიანეთის შემდეგ შვიდ თემს: ფხოვს, ჭართალს, გუდამაყარს, მთიულეთს, ხევს, თიანეთს და ცხრაძმისხევს.

XIII ს-ის მიწურულის ერთ დოკუმენტში იხსენიება ქინვანის ამირა, რომელსაც ისევე, როოგრც თბილისის ამირას, ქალაქს გარდა გარეუბნის სოფლებიც ემორჩილებოდა[96]. 1297 წლის მახლობლად ყაზანყაენისაგან ლტოლვილი დავით მეფე იხიზნება მთიულეთში და ქინვანში ჰკრავს სიბას (ქც, II, 302). XIV ს. 30-იან წლებში ქინვანში გიორგი ბრწყინვალის სასახლეა[97].

XV—XVI საუკუნეებში, მონღოლთა შემოსევების შემდეგ, მკვეთრად ქვეითდება ქინვანის მნიშვნელობა, თუმცა 1474 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში ქინვანი თბილისისა და გორის გვერდით ჯერ კიდევ ქალაქად იხსენიება[98]. ამის შემდეგ წერილობით წყაროებში ქინვანის როგორც ქალაქის ხსენება წყდება. ვახუშტის დროს ქინვანია „ციხე შენი და მაგარი, და იყო ქალაქი და აწ უქმ არს“[99].

ქინვანის ქვეყანაში შემავალი იყო ხორხის ხეობა. ფშავის არაგვისა და ხორხის ხევის წყალგამყოფი ქედი იწყება ლალაურას მთიდან და ხერთვისში მთავრდება. მის ორივე ფერდზე შემორჩენილია ინტენსიური ცხოვრების კვალი. ქედზე რამდენიმეგან დადაბლებული ადგილია — ყელები, რომლებზეც გადადის არაგვთა დამაკავშირებელი და აგრეთვე ერწო-თიანეთ-კახეთიდან თერგ-არაგვისაკენ მიმავალი გზები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ გადასასვლელ-ყელთა სიმრავლემ მისცა სახელი ხორხის ხევს. ხორხი ქართულში ყელის ნაწილაა და ხშირად მას ენაცვლება. ამ სიტყვას უკვე საბასთან ვხვდებით[100]. მაგრამ რამდენად ძველია ხორხის ხევისათვის ეს სახელწოდება, ეს სხვა რიგის საკითხია. ვახუშტი მას იცნობს „ხარხევის“ სახელწოდებით[101]. 1292—1297 წლებით დათარიღებულ სიგელში იგი იხსენიება „შუანისჭევად“[102], ხოლო 1392 წლის მცხეთის საეკლესიო მამულების სიაში „ორ-ჭევად“[103]. ხორხში მეტად მდიდარი სახნავი სავარგულებია, საძოვრები და სათიბები. იგი შედგება შემდეგი სოფლებისაგან: ლაუშა, ბზიკურთა, სონდის-

---

96 საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924, 141.

97 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, 103.

98 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, საბ. Sd — 2891, გვ. 107.

99 ვახუშტი, აღწერა..., 93.

100 ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, $IV_2$, თბ., 1966, 441.

101 ვახუშტი, აღწერა..., 200.

102 საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924, 141.

103 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 196.

ველა, ხორხისუბანი, დიდი ხორხი, მენესო, კომშიანა, ზემო ხორხი. კომშიანას, ზემო ხორხსა, დიდ ხორხსა და მენესოში დგანან ზურგიანი კოშკები. ხორხის ხევის სათავეში დგას ადრეფეოდალური ხანის ციხე-სამაგრე აჩქ[illegible] გიორგი, რომლის მოსალოცავად მიდიოდა მთელი ხორხის ხეობ[illegible]ლთაგან აღსანიშნავია სოფ. ლაუშას სექტორულა ფორმის ქვენამთის ნასახლარები. 1298 წლით დათარიღებულ სიგელში იხსენიება „ქინვანისა შესავალი შუანის ჯევს სოფელი ლაუშაი“ თავისი მთით, ბარით, ტყით, ველით, ვენახით, წყლით, წისქვილით, ჭალით და სანადირო ადგილით[104].

ლაუშა და, საერთოდ, ხორხის ხეობა, შუაფეოდალურ ხანაში ეკონომიურად დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. 1928 წ. დიდხორხში აღმოჩნდა XV ს. მონეტათა განძი, რომელიც შეიცავდა 66 შირვანულ თანგას და 20 ქართულ მონეტას. მონეტების დაფლვის თარიღად თვლიან XV ს. მეორე ნახევარს[105]. დიდხორხში განძი შესაძლოა ქინვანიდან მოხვდა, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ხორხში მონეტათა შეღწევის ერთადერთი გზა[106]. დიდხორხში იკვეთებოდა ხარჭაშო-თვალივ-ნეძიხიდან მომავალი გზა. ასე რომ, მონეტებს შეიძლება ქინვანისათვის სულაც აევლოთ გვერდი.

ხორხის ქედის O ფერდზე ადგილ გაგუთოში ზურგიანი კოშკის ნანგრევებია, რომელიც ხუთსართულიანი ყოფილა. გაგუთოდან NW მხარეს 1,5 კმ-ზე ხორხის ქედზე მდებარეობს კავთის წმ. გიორგი, რომელიც ადრე და შუაფეოდალური ხანის ორი მოზრდილი ციხის კომპლექსისაგან შედგება. გაგუთოს ჩრდილოეთით სოფელი ნეძიხია, სადაც მივაკვლიეთ რამდენიმე ძეგლს. მათგან გამოირჩევა ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკური ეკლესია („თამარის ნიში“) და ღვთისმშობლის ეკლესია. ნეძიხის ჩრდილოეთით მდებარეობენ სოფლები სწროფავი, წიფრანი და ნასოფლარი ბებრისციხე. სწროფავში მივაკვლიეთ ზურგიანი კოშკის შემცველ ორ კომპლექსს და მოზრდილ ეკლესიას. ზურგიანი კოშკი დგას ბებრისციხეშიც.

უაღრესად საინტერესოა წიფრანის ხევი. აქ მივაკვლიეთ ზურგიანი კოშკის შემცველ სამ კომპლექსს. სწროფავის ხევზე გადიოდა არტან-[illegible]არახევიდან მომავალი გზა. ეს ჩანს როგორც მოსახლეობის გადმოცემებში, ასევე სწროფავის ხევისა და ბებრისციხის ხევის გამყოფი ქედის — „სამგზავრო შარის“ სახელწოდებაში. გომეწრის ხეობაში მივაკვლიეთ ზურგიანი კოშკების შემცველ ადრეფეოდალური ხანის ორ ციხეს სიმაგრეულასა და ყელყვითელას და ნასოფლარ კუდოს ადრეფეოდალური ხანის ეკლესიას.

გომეწრის ხევს მარჯვნიდან ერთვის სიმაგრეულას წყალი, რომელიც თავის მხრივ ორი წყლისაგან შედგება; ორწყალს ჩრდილოეთით გაწოლილია ქედი, რომელიც ქარაფებად ეშვება სიმაგრეულას წყლისაკენ. ამ კლდოვან ქარაფებზე მძლავრი ციხე-სიმაგრის კომპლექსია, რომელიც ამართლებს სახელწოდებას — სამაგრეულა. მის უკიდურეს O ნაწილში ფლეთილი ქვებით ნაგები ზურგიანი კოშკია. მის სამხრეთ-დასავლეთით 20 მ-ზე კლდეზე მიშენებულია უფრო დიდი ზურგიანი კოშკი. მისგან დასავლეთით 10 მ-ზე სწორკუთხა კოშკია. კოშკებს შორის ქარაფოვანი რელიეფია. პირველი სასიმაგრო ხაზის

---

104 ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, საბ. Hd — 1330.

105 გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში თბ., 1964, 106.

106 შეად. გ. დ უ ნ დ უ ა, დასახ. ნაშრომი, 106.

ჩრდილოეთით შვეულ კლდეებს მიშენებული კედლებითა და სწორკუთხა კოშ-კებით იქმნება მეორე სასიმაგრო ხაზი. მის ჩრდილოეთით მაღალი შვეული კლდეა, რომელზეც დგას ზედა ციხე-კოშკი. W ნაწილში ქედი 10 მ-ზე გადიჭრილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომეწრის ხევის თავში ციხეთ-გორაზე დგას ყელყვითელას ციხე. სავალ-გზები გადადის ფასანაურსა და ლუთხუბში. ციხე შედგება დუღაბზე ფლეთილი ქვით ნაგები კოშკისაგან. N და NO ფერდი ძლიერაა გამაგრებული. აქ რამდენიმე იარუსად სიმაგრეთა მთელი სისტემაა შექმნილი. ზურგიან კოშკს SO მხრიდან მიშენებული აქვს კედელი, რომელიც ქვევით ეშვება. იგი გალავნის კედლის ნაშთი უნდა იყოს. ციხის დასავლეთით ქედის ფერდი ფრიალოა და არაა გამაგრებული. ციხის სამხრეთით ყელია მოჭრილი. ციხის ქედის ზედა ნაწილში მოყვითალო ფერის თიხოვანი ქანებია. შესაძლოა ამიტომ დაერქვა ქედს და ციხეს სახელი „ყელყვითელა“. გომეწრის ხეობაში ამ ძეგლების აღმოჩენა სავსებით კანონზომიერია, რადგან იგი ეკონომიურად ძლიერია (მდიდარი საძოვრები, სათიბ-საძოვრები) და მასზე გადიოდა კახეთ-თიანეთ-ფშავის მთიულეთ-გუდამაყართან დამაკავშირებელი ერთ-ერთი მთავარი გზა.

უაღრესად საინტერესოა შარახევი თავისი მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლებით და მრავლისმეტყველი სახელწოდებით. ხევის მარჯვენა ნაპირზე დგას ზურგიანი კოშკის ნანგრევები, რომელიც გადაჰყურებს ბებრისციხეს. სხვა ძეგლთაგან აღსანიშნავია აგრეთვე წერეთის ნასოფლარი, წერეთის ღვთისმშობელი, მარაულების კოშკი და ხშირპანტიანის ციხე.

ქინვანსა და მის მიდამოებში ხალხი უძველესი დროიდან მოსახლეობს. ქინვანი განსაკუთრებულ აყვავებას აღწევს შუაფეოდალურ ხანაში და სახასო ქვეყანაა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ საგანგებოდ გაიცემა ყველაზე უფრო წარჩინებულ ხელისუფალთადმი. ქინვანის გამგებელს ეწოდება „შვიდივე მთეულეთი“. ქინვანის ქვეყნის აღმავლობა-დაქვეითება უშუალო კავშირშია ადრეფეოდალური ქვეყნების წობენისა და ბაზალეთის ტრანსფორმაციასთან. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ერთეული იჩენს მდგრადობას და გვიანი ხანის არაგვის საერისთავოს ბირთვია.

არაგვის საერისთავოს წარმოშობის დროის შესახებ ისტორიულ წყაროებში და ლიტერატურაში არ არსებობს აზრთა ერთიანობა. არანისთან III ს-ის არმაზული ტიპის სამარხთა აღმოჩენამ გარკვეული შუქი შეიტანა არაგვის ხეობის სოციალური ისტორიის კვლევაში. ფაქტია, რომ ეს სამარხები ეკუთვნოდა სოციალურად დაწინაურებული წრის წარმომადგენლებს. მაგრამ კერძოდ ვის, ეს საკითხი მომავალ კვლევას ელის. არანისელი დიდებულის ხელი, ალბათ, სწვდებოდა არა მთელ ხეობას, არამედ გაცილებით უფრო ლოკალური ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

აზრთა სხვადასხვაობაა არაგვის ერისთავთა ვინაობის შესახებ. წყაროთა ერთი ნაწილი ერისთავებად ასახელებენ შაბურიძეებს, სხვანი თექთურმანიძეებს, ჭარმაულებს და ა. შ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არაგვის საერისთავოს ბირთვს ბაზალეთ-არაგვისპირი წარმოადგენდა. ეს განპირობებული იყო ამ მხარის მაღალი ეკონომიური მდგომარეობით (განვითარებული მემინდვრეობა-მევენახეობით) და ბაზალეთის პლატოს ხელსაყრელი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობით. ბაზალე-

თის პლატოს შემაღლება ხელს უწყობდა იქ თავდაცვითი სისტემის ორგანიზაციას. სამწუხაროდ, ბაზალეთის პლატოდან და, კერძოდ, დუშეთიდან მატერიალური კულტურის ძეგლები ნაკლებად შემოგვრჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის დღემდე ცნობილ ერისთავთა გვარებს შორის ყველაზე ძველია შაბურისძე, რომელიც პირველად იხსენიება 1380 წელს. ვახუშტი ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპრად ასახელებს ვინმე ვანათელ აზნაურს, რომელმაც ხელთ იგდო რა ბაზალეთი, ამოწყვიტა თექთურმანიძე და ჭარმეული[107]. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, თექთურმანიძენი ფლობდნენ ხევს. ისინი ამოწყვიტეს ნუგზარის წინაპრებმა. ამის შემდეგ მეფისაგან მიიღეს რა მთიულეთი, ხადა, ანანური და დუშეთი, ნუგზარის წინაპრები იქცნენ ერისთავებად (ქც, II, 390—391). დ. გვრიტიშვილის აზრით, პირველ ხანებში არაგვის საერისთავო არსებობდა ხეობის დაბლობ ნაწილში ე. წ. „დაბალი საერისთავო“. მისივე შეხედულებით, ხევში უნდა ყოფილიყო ცალკე საერისთავო ცენტრით სიონში[108]. როგორც ჩანს, ვანათიდან გამოსული აზნაურები აერთიანებდნენ ხევსა და არაგვის ხეობას. ეს ხეობები არაგვის ერისთავებს ემორჩილებოდნენ უკვე XVI ს-ში.

1465 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ნოჯა და ნოჯიკეთი ეკუთვნოდა არაგვის ერისთავებს[109]. ზაალ ერისთავის დროს კი (1635—1660) არაგვის საერისთავოს უერთდება მთელი ერწო-თიანეთი. ფშავ-ხევსურეთი წინააღმდეგობას უწევდა არაგვის ერისთავებს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც ერწო-თიანეთი შემოდიოდა არაგვის ერისთავთა შემადგენლობაში, ფშავ-ხევსურეთს ეკონომიური დამოკიდებულების გამო უნდა ელიარებინა არაგვის ერისთავთა ბატონობა (იხ. სქემა 4).

1774 წლის აღწერით არაგვის საერისთავოს მთიან ნაწილში შემდეგი თემები შედიოდა: ხევი, ხადა, გარეშემო, მრეველი, ცხაოტი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი[110]. 1781 წლის აღწერაში საერისთავოს ბარის შემდეგი სოფლებია დასახელებული: პავლეური, ციხისძირი, ავენისი, ანანური, ქინვანი, ქაისხევი, არანისი, ეთვალისი, უნდილაანთკარი, არაგვისპირი, იორი, ყვავილი, აში, აფხავი, იწრისი, ბოდორნა, საშაბურო, ბაზალი, ტონჩა, გრემისხევი, მთიულთკარი, არღუნი, ზენდუშეთი, ჭილურტი, დუშეთი, სასახლის დუშეთი, წინდუშეთი[111].

არაგვის საერისთავოს საზღვრებს იძლევა ნ. ჭილაშვილი 1827 წელს დაბეჭდილ წერილში[112]. დ. გვრიტიშვილი იღებდა არაგვის საერისთავოს ჭილაშვილისეულ განსაზღვრას, მხოლოდ თრუსოსა და ზაყას შესახებ შეჰქონდა ეჭვი[113]. ზაყას შესახებ ვერაფერს ვიტყვით. რაც შეეხება თრუსოს ხეობას, იგი გიულდენშტედტის მიხედვითაც არაგვის ერისთავებს ეკუთვნოდათ[114].

დასავლეთით არაგვის საერისთავოს ესაზღვრებოდა ქსნის საერისთავო. სასაზღვრო ხაზი ძირითადად მიჰყვებოდა ლომის-ალევის ქედს და სამუხრა-

---

107 ვახუშტი, ისტორია..., 56.

108 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, 95.

109 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 285—286.

110 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, 507—486.

111 ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, 120—137.

112 Акты, VII, 347—348.

113 დ. გვრიტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, 97.

114 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბ., 1964, 65.

ნომდე ჩამოდიოდა. სამხრეთით არაგვის ერისთავები მუხრანბატონებს ემეზობლებოდნენ. საზღვარი გრემისხევთან იწყებოდა და ნარეკვავის ხეობის მიყოლებით სოფელ მისაქციელთან თავდებოდა. ნ. ჭილაშვილის ცნობით, აღმოსავლეთი საზღვარი ფშავ-ხევსურეთსა და თელავის მაზრაზე გადიოდა. ძნელი სათქმელია უკანასკნელ პერიოდში ერისთავებს არაგვის მარცხენა ნაპირზე ეკუთვნოდათ სოფლები თუ არა. მე-17 ს. მიწურულს ისინი ერწო-თიანეთს კარგავენ. არაგვის საერისთავოს ვახუშტი ქართლის შემადგენლობაში აქცევს, ხოლო ქართლისა და კახეთის საზღვარს ზედ მდინარე არაგვზე სდებს.

გვიანდელ ხანაში არაგვის ერისთავთა რეზიდენცია მდებარეობდა ბაზალეთ-დუშეთში. ჯერ კიდევ ერისთავი შაბურაძენი ბაზალეთის პლატოზე მოსახლეობენ. ამას მოწმობს სოფლისა და „ქვეყნის“ საშაბუროს არსებობა. დღეს სოფ. საშაბურო ჰქვია ბუჩუკურებს, უწინ კი ერქვა ბაგას. საშაბუროში შედიოდა შემდეგი სოფლები: ნაგლიანი, ვარსიმაანი, ბუჩუკურები, ბაგა, ჩანადირები, ლაზვიანი.

არაგვის ერისთავთა საძვალე-სამარხი იყო ბოდორნაში. ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს არაგვის მარჯვენა ნაპირას გამოქვაბულებით გარშემორტყმულ კლდეზე, დუშეთიდან 5 კმ-ზე. ვახუშტი ბოდორნას „ციხე მაგარს“ უწოდებს. ამჟამად ნაციხვარის არავითარი კვალი არ შეამჩნევა. 1474 წლის სიგელიდან ჩანს, რომ ვამიყ შაბურისძე ანახლებს ბოდორნის ღვთისმშობელს[115]. ეკლესიას თანამედროვე სახე მიუღია 1717 წელს, რაზედ მიუთითებს მისი განმაახლებელის არაგვის ერისთავის შვილის ნინოწმინდელი ეპისკოპოსის მიტროფანესა და სახლთუხუცესის ქაიყუბთ კობიაშვილის ლაპიდარული წარწერა.

ძნელი სათქმელია, რა დროიდანაა დუშეთში ერისთავთა რეზიდენცია. ერთი კი უტყუარია, რომ მე-17 ს-ის დასაწყისში ნუგზარ ერისთავის სასახლე და რეზიდენცია დუშეთში (ქც, II, 391). იმ პერიოდის დუშეთის სიმაგრენი ჩვენამდე არ შემორჩა. ვახუშტის ცნობით, მეფე გიორგი XI 1688 წ. დაწვა დუშეთი[116]. 1743 წ. არაგვის ერისთავს ბექანს კლავენ აჯანყებული გლეხები. თეიმურაზ II სარგებლობს მდგომარეობით, აუქმებს არაგვის საერისთავოს და მხარეს საგამგეოდ გადასცემს თავის შვილიშვილ ვახტანგს. ბატონიშვილის სრულწლოვანებამდე მხარე სამმართველოდ გადაეცა ჯიმშერ ჩოლოყაშვილს. ამ პერიოდში დუშეთი წარმოადგენდა გავერანებულ ადგილს და ჯიმშერი იძულებული გამხდარა აქ ახალი მშენებლობა წამოეწყო[117]. სამწუხაროდ, არც ეს სასახლე და ციხესიმაგრენი შემორჩა დუშეთს. მის აღწერილობას ვხვდებით პლ. იოსელიანთან[118]. თანამედროვე დუშეთში შემორჩა ყარანგოზაშვილების XVII ს. კოშკი და ბაბანა ჭილაძის მიერ 1800 წ. აშენებული ციხე-სიმაგრე მილახვრიანთ კარში[119].

არაგვის ხეობის ბუნებრივ-კლიმატურ პირობები ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა აქ ადამიანთა საზოგადოების ძველი ქვის ხანიდან მოსახლეობისათვის. არაგვის ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ჩრდილო კავკასია სამხრეთ რუსეთის ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი

115 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, 291.

116 ქართლის ცხოვრება, II, ს-პეტერბურგი, 1854, 59.

117 პ. ორბელიანი, ისტორია, გვ. 194, 204.

118 П. Иоселиани, Описание города Душета, Тифлис, 1860, 59.

119 П. Закарая, Древние крепости Грузии, Тб., 1969, 80—81.

გზა. არაგვის, როგორც მაგისტრალურ გზათა თავშესაყარის ადგილმა, განსაზღვრა მისი როლი აღმ. საქართველოს ისტორიაში. ჩვენი ისტორიის გრძელ მონაკვეთებზე არაგვის ხეობა სახასო ქვეყანას წარმოადგენდა. იგი [illegible] უნდა გაცემულიყო ქვეყნად გამრიგე მოხელეებზე. ამაზე უნდა [illegible] არანისში აღმოჩენილი III ს-ის მდიდრული სამარხები, რომლებიც შესაძლოა ერისთავებს ეკუთვნოდა.

არაგვის ხეობა უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციათა თუ სამეფო-სამთავროთა საზღვარს. არაგვზე გადიოდა აღმ. საზღვარი ზენა სოფლისა, რომელსაც შემდგომში შიდა ქართლი და სასპასპეტო ეწოდა. არაგვივეა ქართლისა და კახეთ-კუხეთის, ხოლო მოგვიანო ხანებში კახეთის სამეფოს საზღვარი. ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში არაგვი რამდენიმე თემისაგან შედგებოდა. ეს თემებია: ხერკა (საგურამო), ბაზალეთ-არაგვისპირი, წობენი, ფხოვი (ფშავ-ხევსურეთი), ჭართალი, მთიულეთი (ხადა-ცხავატი), გუდამაყარი. შესაძლოა ცალკე თემი იყო ხორხა. ადრეფეოდალური ხანის მიწურულს ჩანს ბაზალეთის გაძლიერების ტენდენცია. XI—XIII სს. განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევს არაგვის მთის და ბარის მიჯნაზე წარმოშობილი ქალაქი ჟინვანი, რომელიც „შვიდ მთიულეთთან“ ერთად მეფის მიერ საგამგებლოდ გაიცემოდა ერთ-ერთ ვაზირზე. ჟინვანის აყვავების ხანაში უნდა შექმნილიყო პირობები არაგვის მთისა და ბარის მაღალგანვითარებული ურთიერთობისათვის. ამასთან ჟინვანის დაწინაურებას უნდა გამოეწვია ბაზალეთისა და წობენის დაქვეითება.

ეკლესიურად არაგვის ხეობის დიდი ნაწილი წილკნის საეპისკოპოსოში შედიოდა, ხოლო ნაწილი ჟალეთ-ჩელეთის, შემდეგ კი ხარჭაშოს ეპარქიაში. ადმინისტრაციულად არაგვის ხეობის დიდი ნაწილი შედიოდა ქართლის საერისთავოში. სავარაუდოა, რომ მონღოლთა შემოსევების შემდეგ მას გამოეყო არაგვის საერისთავო, რომლის ერისთავთა შესახებ ცნობებს XIV ს-დან ვხვდებით. ამავე ხანიდან იწყება არაგვის საერისთავოს ტრანსფორმაცია სათავადოდ. საერისთავოს ბირთვს წარმოადგენდა ბაზალეთი ანუ „დაბალი საერისთავო“. მე-15 ს-დან ფართოვდება არაგვის საერისთავოს ფარგლები. მასში ბაზალეთ-არაგვისპირის გარდა შედის ჭართალი, მთიულეთი, ხოლო მე-16 ს-დან ხევი. არაგვის ერისთავებს აქვთ არაგვის მარცხენა სანაპიროს დაპყრობის ტენდენცია, რასაც XVII ს-ში ახერხებენ. სავარაუდოა, რომ ამავე პერიოდში მათ ემორჩილება ფშავ-ხევსურეთიც. მე-18 ს. დასაწყისისათვის მათი გავლენის სფეროდან გამოდის ფშავ-ხევსურეთი, თიანეთი და თითქმის მთელი არაგვის (ჟინვანის სამხრეთი) მარცხენა სანაპირო. არაგვის ერისთავები თითქმის ყოველთვის ოპოზიციაში ედგნენ სამეფო ხელისუფლებას. თეიმურაზ II იყენებს რა 1743 წ. ბეჟან ერისთავის მკვლელობას, არაგვის გამგებლებად ნიშნავს თავის შვილიშვილებს. ამით სამეფო ხელისუფლება ახერხებს არაგვის ხეობის კვლავ სახასო ქვეყნად ქცევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дж. Г. ГВАСАЛИА

# ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ АРАГВСКОГО УЩЕЛЬЯ

## Резюме

Климато-географические условия Арагвского ущелья были благоприятны для жизни человека уже с эпохи палеолита (Мустье). С этой древнейшей эпохи в Арагвском ущелье прослеживается непрерывная оседлая жизнь. Ущелье представлено памятниками эпохи как ранней, так и поздней бронзы. У слияния рек Арагви и Куры в эпоху бронзы засвидетельствовано большое поселение, близ которого в античный период возникает столица Картлийского царства (Иберии) — Мцхета.

Наиболее удобная и короткая дорога, соединяющая Северный Кавказ с Центральным Закавказьем и Ближним Востоком, с древнейших времен шла вдоль р. Арагви. Здесь же пересекались и другие дороги Восточной Грузии. Это обусловило роль Арагвского ущелья в истории Восточной Грузии, как перекрестка магистральных дорог. Для защиты Грузии от нападения северокавказских кочевников «Арагвские ворота» («Дарьяльские ворота») были сильно укреплены еще в античную эпоху. В V в. царь Грузии Вахтанг Горгасал покорил овсов и еще более укрепил «Арагвские ворота». Дарьяльский вопрос играл важную роль во взаимоотношениях хазар с арабами.

В XI—XIII вв. значительно возросла роль Арагвской дороги. Царь Давид IV, Строитель (1089—1125), укрепив Дарьяльское ущелье, обеспечивает «дорогу мира» для культурно-экономических связей Грузии с северными странами. Он широко открывает Дарьяльские ворота: для военных целей переселяет в Грузию 45000 семей половцев.

После нашествия монголов Арагвская дорога надолго замирает. В связи с развитием отношений между Грузией и Россией Дарьяльский торговый путь вновь оживает лишь с XVIII в.

Тбилиси, Жинвани и Дарьял являлись главными опорными пунктами Арагвской дороги. Первоначально она проходила по левому берегу Куры (Авчала, Джвари), затем по левому берегу Арагви (Булачаури, Цобени, Жинвали). К северу от Жинвали дорога направлялась по обоим берегам р. Мтиулетской Арагви. Из Квешети она ответвлялась в сторону Хада, Дидвели (Кайшаурская долина) и Гуда. Еще в конце XVIII в. дорога через ущелье Гуда подымалась в с. Ноакау (И. Гюльденштедт), а оттуда через Коби, Степанцминда (Казбеги), Дарьял и Балта направлялась к Владикавказу (Орджоникидзе). В Гуда сохранились развалины раннефеодального замка, описанного М. Ю. Лермонтовым в «Демоне». В 1861 году, с завершением строительства трассы Млетского подъема, дорога, пролегающая через Кайшаурскую долину, теряет свое значение. Еще раньше это произошло с ущельем Гуда.

После присоединения Грузии к России в 1801 году Арагвская дорога приобрела важное стратегическое значение. С этого времени она получила название «Военно-Грузинской дороги», являясь единственной артерией, связывающей Россию с Закавказьем.

В 1863 году открылось движение на протяжении реконструированной Военно-Грузинской дороги от Владикавказа до Тбилиси. Участок трассы от Мцхета до Ананури с XVI в., когда Душети стал резиденцией Арагвских эриставов, проходил через Мисакциели-Цилкани-Душети, а с XX в. — вдоль берега Арагви.

На протяжении истории грузинского царства Арагвское ущелье часто находилось в составе царского домена. Предполагается, что управление Арагвским ущельем выдавалось царским чиновникам. Южнее Жинвани, в местности Аранисн были обнаружены богатые погребения III века «армазского» типа, которые, возможно, принадлежали эриставам (воеводам). Симптоматично, что именно напротив Аранисн в местности Цобени в 337 году св. Ниной совершается акт обращения горцев Арагвского ущелья в христианство.

Арагвское ущелье с древнейших времен являлось границей между историко-географическими провинциями и царствами — княжествами Грузии. В доэллинистический период по реке Арагви проходила восточная граница Зена Сопели («верхняя страна»), которая впоследствии именуется как Шида Картли и Саспаспето. Арагви же являлась границей между Картли и Кахет-Кухети (в поздний период Кахети). В связи с усилением Кахетинского княжества в IX—XI веках граница Картли-Кахети проходит по р. Ксани.

В позднее средневековье граница между царствами Картли и Кахети проходит вдоль р. Арагви и Гудамакарского хребта.

В раннефеодальный период Арагвское ущелье состоит из следующих общин: Херки (Сагурамо позднего периода). Базалет-Арагвиспири, Цобени, Пхови (Пшав-Хевсурети позднего периода), Чартали, Гудамакари, Мтиулети (Хада-Цхавати). В позднее средневековье Цхавати разделяется на более мелкие общины: Мревли, Гарешемо, Цхаоти. Территория между Пшавской и Мтиулетской Арагви, возможно, представляла отдельную общину, которую условно называем Хорхи. В пользу этого говорят нами обнаруженные крепости раннефеодального периода — Ачаквели, Хмала, Мтаварта, составляющие сильный оборонительный треугольник. В конце раннефеодального периода намечается тенденция к усилению Базалети.

В XI—XIII веках особого подъема и могущества достигает город Жинвани, возникший на стыке горной и равнинной частями Арагвского ущелья, у слияния рек Пшавской и Мтиулетской Арагви. Росту Жинвани способствовало и усиление торговых отношений с южнорусскими городами. Жинвани вместе с «семью горскими областями» сдавался в управление самым крупным должностным лицам — везирям. В период расцвета Жинвани должны были создаваться условия

ჯავახეთის ასე შემოსაზღვრა ნებისმიერი რომ არაა, კარგად ჩანს ქართლ-მწერლის ცნობიდან: დავით ნარინი და ძე მისი—ვახტანგ ტაშისკარს იდგნენ; აქ მათ მოუწოდეს „სპათა თჳსთა... აქათ მოვიდეს სირმონ ნოინის შვილი ყორჩიბა, ალიყანის შვილი ყურუმჩი, რომელი დგის მთათა ჯავახეთისა[illegible]თა, რომელ არიან არტანსა და სამცხეს შუა...“[5] არტანს და სამცხეს შუა მთები მხოლოდ მტკვრის მარცხენა ნაპირზე შეიძლება იყოს. ამ მთებს „ჯავახეთისას“ უწოდებს ავტორი, სწორედ იმიტომ, რომ იგია საზღვარი სამცხესა და ჯავახეთს შორის. ეს ავტორი სამცხის მკვიდრია, კარგად გარკვეული იქაურ გეოგრაფიულ დეტალებში, ამიტომაც მისი ეს ცნობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. იგივეს მოწმობენ სხვა წყაროებიც (იხ. შემდეგ).

ქართული წყაროებიდან ჯავახეთის უძველესი ხანის ისტორიის შესახებ ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომლის მიხედვით მცხეთოსმა „ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსაც მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვიან ჰური“[6]. საინტერესოა, რომ ამ პირველსავე ცნობაში ზოგადად არის დასახელებული ქვეყნის თავი და ბოლო, რომელიც ჯავახოსს ერგო, აქ კოლა და არტანიც იგულისხმება, თუმცა ავტორი მათ ჯერ არ ახსენებს. აქვე ჩანს, რომ კოლა-არტანი ჯავახეთს მოკიდებული ქვეყნებია, მისი უპირატესობით გაერთიანებული, რადგან არც კოლას, არც არტანს მამამთავარი საკუთარი არ გააჩნიათ და ჯავახოსის სამფლობელოში შედიან. ჯავახოსი აშენებს წუნდას და ქაჯთა ქალაქს არტანში, კოლას კი ასეთი ცენტრი არ უჩანს; გამოდის, რომ იგი არტანის ცენტრს ემორჩილება... ჯავახეთი-არტანი-კოლა, თითქოს ასეთია იერარქიული რიგი ამ ქვეყნებისა, რაც ქართლ-მცხეთასთან პოლიტიკური და ეკონომიურ-გეოგრაფიული სიახლოვის პირდაპირი ასახვა უნდა იყოს.

იგივე ლეონტი მოგვითხრობს ფარნავაზის მიერ ერისთავთა განწესების ამბავს: „მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვარითგან, ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი“[7]. აქაც ჯავახეთის პირველობა არტან-კოლასთან შედარებით აშკარაა: საერისთავოს ცენტრია წუნდა, ის კი სწორედ ჯავახეთში მდებარეობს.

ანალოგიური ვითარება უნდა ჩანდეს მეზობელი სამცხის მაგალითზე, როდესაც სამცხისა და აჭარის ერისთავი ოძრჴეში ჯდება.

„დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყოველი ქართლი; და მეფობდა იგი ნებიერად. და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას“[8]. ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს ჯავახეთის სიახლოვე ქართლთან; მისი უპირველესი შემომტკიცება ქართლის სამეფოს მიერ; აკი ამიტომაც ზემო ქართლის სამი ერისთავიდან პირველად წუნდის ერისთავია განწესებული.

---

[5] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, 1959, გვ. 292. შემდეგ ყველგან: ქ. ც.

[6] ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 10.

[7] ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 24.

[8] იქვე, გვ. 30.

ლეონტის მითითება ერთგან, რომ მეფე ფარნავაზი გაზაფხულსა და შემოდგომას მცხეთაში ატარებდა, ზამთარს გაჩიანში, ხოლო ზაფხულს წუნდაში (გვ. 25), უნდა გავიგოთ, როგორც ძველი ქართლის სამეფოს სამი უმნიშვნელოვანესი ცენტრის ხაზგასმა, საიდანაც მოსახერხებელი იყო შიდა, ქვემო და ზემო ქართლის ადგილზე მართვა-განგება.

ასევე საინტერესოა ეპიზოდი წმინდა ნინოს ცხოვრებიდან, სადაც იგი სომხეთიდან „მოიწია მთათა ჯავახეთისათა“ და შეჩერდა ფარავნის ტბასთან. აქ მას უნახავს მწყემსები მცხეთის მიდამოებიდან, საქონლით ამოსულნი საზაფხულო საძოვრებზე[9]. ეს ფაქტი მიუთითებს ქართლის მეფის უფლებაზე მთელ ჯავახეთზე თუ არა, ფარავნის რაიონზე მაინც.

ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალს თავისი პირმშო დაჩისთვის მიუნდვია მეფობა და სამეფოს სხვა მნიშვნელოვან ქვეყნებთან ერთად დაუტოვებია მისთვის ჯავახეთის ნაწილიც წუნდამდე; სხვა ქვეყნები კი მას დაჩის ნახევარძმებისთვის მიუცია[10]. აქ ერთხელ კიდევ ხაზგასმულია ჯავახეთის მნიშვნელობა ქართლის სამეფოსათვის, კერძოდ მისი იმ ნაწილისა, რომელიც დაჩის დაუტოვა ვახტანგმა, ვითარცა სამეფო დომენის უძველესი დროიდანვე მნიშვნელოვანი საძოვარი.

როდესაც ლეონტი-ჯუანშერის მიერ აღწერილ სურათს ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ ერისთავთა განწესების ფაქტში, საერისთავო ქვეყნების ჩამოთვლის თანმიმდევრობაში, მათი ცენტრების არჩევასა, თუ სამეფო დომენისადმი მიკუთვნებაში, ჩანს ავტორთა წარმოდგენა ამ ქვეყნებში ქართლის თანდათან შეღწევასა და მათ ათვისებაზე, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდეც ამ მხარის „ზემო ქართლად“ ქცევა.

აღწერს რა ქართლის ისტორიას I ს-ის 30—60-იანი წლებისას, ლეონტი მოგვითხრობს, რომ სომხეთის მეფე იარვანდი „ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოუღო საზღვარი ქართლისა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე. და დასხნა წუნდას შინა კაცნი მჴეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგმნების დევთა სახლად. და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს“[11].

აქ მნიშვნელოვანი გარემოებაა ხაზგასმული: ესაა დამპყრობლის მიერ წუნდაში ჩამოსახლება „დევთა ნათესავებისა“, რის გამოც წუნდას ქაჯატუნი ეწოდაო. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი ამ ამბავს ასე აღწერს: „სომხეთს გამეფდა ერვანდ დიდი და წაართვა ქართველთ არტაჰანი მდინარე მტვრამდე და ქალაქი წონდა. დაასახლა მასში ეშმაკებრ მეტყველი კაცები და უწოდა მას ქაჯატუნი“[12].

აშკარაა ეს წუნდას დასხმული ხალხი ეთნიკურად განსხვავებულია როგორც ქართველთა, ისე სომეხთაგან, ხოლო მათი მოყვანა და აქ დასახლება ნიშნავს სომეხთა მეფისათვის დასაყრდენის გაჩენას, მოკავშირეთა შეძენას.

---

9 ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 85.

10 ქ. ც. I, ჯუანშერი, გვ. 203—4.

11 ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 44.

12 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოც. ილ. აბულაძისა, თბ., 1953, გვ. 49.

ასევე მოიქცა მაგალითად ბუღა თურქიც, რომელმაც დარუბანდიდან გამოყვანილი ხაზარები შამქორს დაასახლა, ხოლო დარიალით წამოყვანილი ოსები დმანისს დასხა. იგივე წუნდის შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: „წუნდას [illegible] ლი აღაშენა... ჯავახოს, მცხეთოსის ძემან. ამასვე უწოდეს ჰური — [illegible] უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთა-ტუნი და მერმე ეწოდა ქაჯთა ციხე. იყო ქალაქი და ციხე და საერისთო ერთმეფობამდე“[13]. ალბათ ვახუშტის ეშლება, როდესაც წუნდას ჰურს უწოდებს (ეს არ დასტურდება სხვა წყაროებით), მაგრამ ვფიქრობ, ამ შეცდომის წყარო უნდა იყოს წუნდასა და არტანის ქალაქში ჩასახლებული ერთი ეთნიკური ჯგუფის საზოგადოება, რომელიც განსხვავებული იყო სომხებისა და ქართველებისაგან, თუმცა სომეხთა მოკავშირედ გამოდიოდნენ. ჰური არტანის ქალაქს ერქვა, მაგრამ რაკი ისიცა და წუნდაც ქაჯთა სამოსახლო იყო („ქაჯთა ქალაქი“, „ქაჯატუნი“) ვახუშტიმ წუნდაზეც ჰური გაავრცელა. რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა ამ „ქაჯებსა“ და მათი ქალაქის სახელში, ძველი აღმოსავლეთის მოსახლეობის რომელიმე ტალღა ვიგულისხმოთ (შდრ. „ქაჯის ციხე“ ჩილდირის ტბასთან). როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა „ქაჯთა ქალაქებს“ (ციხეებს) და „გმირთა ნაკვეთებს“ ძველ საქართველოში უძახდნენ უძველეს ცენტრებს, კერძოდ ციკლოპურ ნაგებობებს, რომელთა ანალოგიებს ჩვენ იმავე ურარტუში ვპოულობთ. არტაანის ჰური იმეორებს ცნობილი ქვეყნისა და მასზე უფრო ადრინდელი, მესოპოტამიის ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრთაგანის, ქალაქ ჰურის სახელებს“[14].

სომეხთა მეფის მიერ წუნდას დასხმული მოსახლეობა რომ მას შემწედ გამოადგა ქართველების წინააღმდეგ, ეს კარგად ჩანს ამბის შემდეგი მსვლელობიდანაც, როცა სუმბატ ბივრიტიანისაგან დემოთში დატოვებულ ჯარს წუნდელნი შეეწეოდნენ ქართველების წინააღმდეგ[15].

სომეხ-ქართველთა ეს ბრძოლა ჯავახეთ-არტანისა და დემოთისათვის შემდეგაც გაგრძელებულა. ქართველ-ოსთა გაერთიანებულ ლაშქარს „ქუეყანასა ჯბვახეთისასა“ დაუმარცხებია სომეხთა ლაშქარი, მეფის ძე ტყვედ ჩაუგდია. მხოლოდ ამის მერე დაზავებულან მხარეები და „სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი“[16].

ჯავახეთის და წუნდის შემდგომი ხანის ისტორიიდან მნიშვნელოვანია პირველი ქრისტიანული ეკლესიების შენების ამბები: მირიან მეფის თხოვნის პასუხად, კონსტანტინე მეფემ იოვანე ეპისკოპოსს გამოატანა გალატოზნი და საგანძურნი „და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსაც ჰქჳან ერუშეთი, დაუტევნა ხუროni საქმედ ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევა წუნდას ხურონი და განძი და, რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს“, სადაც დატოვა უფლის ფიცარნი და იწყო ეკლესიის შენება[17]. როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ერუშეთი ქალაქი არაა წუნდასავით, იგი „ადგილია“. ესაა მისი პირველი ხსენება მატიანეში და ლეონტი არც ერუშეთის მდებარეობას განსაზღვრავს, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეულია ამ ორი პუნქტის (ერუშეთი, წუნდა) ერთ-

13 აღწერა... გვ. 130.

14 ს. ჯანაშია, შრომები II, თბ., 1952, გვ. 12.

15 ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 47—48.

16 ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 49—50.

17 იქვე, გვ. 117—118.

სა და იმავე საერისთავოში ყოფნით. ნიშანდობლივია, რომ წუნდაში ეკლესიის შენებას კი იწყებენ, მაგრამ უფლის წმინდა ნაწილებიდან იქ არაფერს ტოვებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბების თხრობისას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მხოლოდ ერუშეთსა და მანგლისს ახსენებს[18], ასევე ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი— წუნდას საერთოდ არ ახსენებს. იქ მხოლოდ ერუშეთისა და მანგლისის ეკლესიებზეა საუბარი, სადაც დატოვეს კიდეც წმინდა ნაწილები. მეორე განსხვავება, რასაც ეს თარგმანი ამ ადგილას იძლევა, არის ის, რომ ერუშეთი „ქვეყანადაა“ მოხსენიებული („მოვიდა ეპისკოპოსი ერუშეთის ქვეყანას...“), ოღონდ არა ჩანს არტანისა, თუ ჯავახეთისაა ეს ქვეყანა[19]. ერუშეთი-წუნდა-მანგლისი-მცხეთა — ესაა გზა საბერძნეთიდან მცხეთისაკენ, უძველესი მარშრუტი მტკვრისა და მერე ჯავახეთის ზეგან-თრიალეთით შიდა ქართლში.

მირდატ ბაქარის ძეო, მოგვითხრობს ლეონტი, „მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შინა... და მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა“[20]. საეკლესიო ცენტრების „მატება“ და „შენება“ გაგრძელებულა შემდეგაც და უკვე ვახტანგ გორგასალმა „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს, ერუშეთს; ერთი ჯავახეთს, წუნდას“[21]. ეს არის პირველი ჩვენება ქართული წყაროებისა, სადაც ერუშეთი არტანის პუნქტად არის გამოცხადებული, მაგრამ ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს უფლება არტანისავე ქვეყნად ვცნოთ ერუშეთის ოლქიც, რომელსაც ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანი ასახელებს, რომ ეს ასე დარჩენილა გვიანაც, ჩანს ვახუშტას ცნობიდანაც, სადაც ერუშნელის სამწყსოში ერუშეთისა და არტანის ნახევარია გაერთიანებული.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სამი ქვეყნის (ჯავახეთ-არტან-კოლას) შეერთებით მიღებულ წუნდის საერისთავოში, ჯერ ორი საეპისკოპოსო ცენტრი — წუნდისა და ერუშეთისა გამოიყო, ხოლო მალე მესამეც მიემატა—წყაროსთავისა: მირდატ ვახტანგის ძემ „აღაშენა ჯავახეთს ეკლესია წყაროსთავისა“[22].

აქ არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ ერთხელ უკვე აღნიშნულმა ვითარებამ კუმურდოს ტაძრის შესახებ. ნ. ბერძენიშვილი თვლიდა, რომ იოანე ეპისკოპოსს მხოლოდ ჩვენამდე მოღწეული ტაძრის აგება ეკუთვნის და არა საეპისკოპოსო კათედრის შექმნა, რომ კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრის შესახებ ჩვენ ამაზე ძველი ცნობა არა გვაქვს, სამაგიეროდ გვაქვს ცნობა წუნდის საეპისკოპოსო კათედრის შესახებ წუნდის საერისთავოსთან დაკავშირებით. „ძნელი დასაჯერებელიაო, — აღნიშნავს ავტორი, — წუნდისა და წყაროსთავის, როგორც საეპის-

---

18 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 86—87, შემდეგ ყველგან: ძქალძ.

19 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 117.

20 ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 131.

21 იქვე, ჯუანშერ, გვ. 198:

22 იქვე, გვ. 204—205.

კოპოსო კათედრათა არსებობის პირობებში (და ეს კი ასე იყო) კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა ყოფილიყო. ამიტომ უნდა დავუშვათ: ან წუნდის საეპისკოპოსო კათედრაში იგივე კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრის არსებობა, ან კიდევ წუნდასთან გარკვეულ ურთიერთობის პირობებში, მისი დაქვეითება-დაცემასთან დაკავშირებით და მის ნაცვლად წარმოიშვა კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა... ძნელი დასაშვებია, რომ კუმურდოში X ს-მდის რაიმე სამლოცველო არ არსებულიყოს... ამის უტყუარი მოწმეა კუმურდოს „ჯვარი", ტაძრის შესავალთან რომ არის აღმართული"[23].

საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ლეონტი-ჯუანშერისგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს; მისი. აზრით, კონსტანტინეს წარმოგზავნილ გალატოზებს, წუნდაში კი არა — კუმურდოში აუგიათ საყდარი, რომელიც მერე ჯავახეთის საეპისკოპოსოდ ქცეულა..[24].

ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი პირველი ეკლესიების მშენებლობის დროს წუნდას საერთოდ არ ახსენებენ. ამავე დროს, 506 წლის საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა ნუსხაში, იხსენიებიან კუმურდოელი და წყაროსთაველი ეპისკოპოსები („იოვანე ეპისკოპოსი სარუსთიელ, იოსებ ეპისკოპოსი კუხორდოსი"...), რაც, ცხადია, ამ დროს აქ არსებულ საეპისკოპოსო კათედრალებს გულისხმობს[25]. ამიტომ ამ წინააღმდეგობის შეთანხმება შეიძლება აქაც ნ. ბერძენიშვილის ვარაუდის გამეორებით: ლეონტი — ჯუანშერის წუნდის საეპისკოპოში იგულისხმება მისგან არც ძლიერ მოშორებული კუმურდოს საეპისკოპოსო, რომლის ძველთაგან არსებობას ადასტურებს „ეპისტოლეთა წიგნი", შუა საუკუნეებში არსებული და გვიანაც დადასტურებული ტრადიცია.

ზემოხსენებულ ამონაწერში ლეონტიდან, სადაც იარვანდ სომეხთა მეფე ფარსმან არმაზელსართმევს წუნდას და არტანს მტკვრამდე, საყურადღებოა, რომ ესაა ქართლის სამეფოს კუთვნილი, „საზღვარი ქართლისა", მაგრამ აქ ახალი ისაა, რომ ორმეფობის დროს, წუნდის საერისთავო არმაზელი მეფის მოსაკითხია და იგი, პირველ ყოვლისა, მტკვრის მარჯვენა მხარის დიდ გაერთიანებაში შედის. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ხდება ქართლში ორმეფობის მესამე წყვილის ბატონობისას, ხოლო ორმეფობა იწყება სამეფოს ორად გაყოფით მტკვრის მიხედვით „მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა" — ერთი საგამგეოა, „ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და კლარჯეთი" — მეორე[26]. ასეთ ვითარებაში გამოთქმა „მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე"-ო, ნიშნავს მტკვრის მარჯვენა სანაპირო არტანისა და მტკვრის მარჯვენა სანაპირო ჯავახეთის წაღებას. ჯავახეთ-არტანის მტკვრის მიხედვით გაყოფა რომ შემთხვევითი არაა, ჩანს იქიდან, რომ არტანი „ზენა" და „ქუენა" იცის ლაშა გიორგის დროინდელმა მემატიანემ, ჟამთააღმწე-

23 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 136, შემდეგ ყველგან: სის....

24 აღწერა... გვ. 130.

25 ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968, გვ. 97, 161.

26 ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 43.

რელმა[27]; ეს „ზენა“ და „ქუენა“ მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებია. მესხეთის მღვდელმთავართა ნუსხა ამ ტერმინების ფარდად ხმარობს „მტკვარს აქეთა არტანს“ (წყაროსთაველის სამწყსო), რაც „მტკვარს იქითა არტანს“ გულისხმობს[28] (ერუშნელის სამწყსო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ამ საერთო ვითარებიდან გამომდინარე, იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ჯავახეთზედაც, თუმცა მივყვეთ წყაროებს...

ვახტანგ გორგასალმა სიკვდილის წინ დაჩის დაუტოვა სამეფო გვირგვინი, ხოლო მის ნახევარძმებს მისცა „ტასისკარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე“, მათივე ყოფილა აგრეთვე „საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურას შუა“. ესენი უნდა ყოფილიყვნენ ერისთავებად დაჩის მორჩილების ქვეშ. შემდეგ ვახტანგმა „მოუწოდა ნასარს, ერისთავსა წუნდისასა, და არტავაზს, ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანს, ერისთავსა ოძრჴისასა, და მათ მიათუალა ცოლი თჳსი ელენე და შვილნი მისნი, რომელთა ერქუა ლეონ და მირდატ“[29].

ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ დაჩის—ვახტანგის მემკვიდრეს, სამეფოს სხვა ქვეყანათა შორის ჰქონია ტასისკართამდე და წუნდამდე ქვეყნებიც, (რადგან აქიდან უკვე ნახევარძმების კუთვნილი ქვეყნებია). თან საინტერესოისაა, რომ წუნდის ერისთავი ნასარი, ორ სხვასთან ერთად, დაჩის ნახევარძმებს ემორჩილება. გამოდის, რომ წუნდის საერისთავო აქ ორადაა გაყოფილი და ქართლის მეფის საკუთრებაა ფარავნითგან წუნდამდე. დანარჩენი ჯავახეთი, არტანი და კოლა ნასარის ერისთავობით—ნახევარძმებს შერჩათ. „ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრჴეს. და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა-მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა“[30].

მოგვიანებით დაჩიმ მირდატისაგან აიღო კლისურასა და ეგრისწყალს შუა ქვეყანა და „მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე. დაიპყრა მირდატ... ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა და ერისთავობდა მუნ; და იყო მორჩილ დაჩი მეფისა ძმისა თჳსისა. ამან აღაშენა ჯავახეთს ეკლესია წყაროსთავისა“[31].

აქ პირველად ქართულ წყაროებში, პირდაპირ არის ნათქვამი ის, რაც ზევით მხოლოდ იგულისხმებოდა, — რომ არის ჯავახეთი ფარავნიდან მტკვრამდე, და არის ჯავახეთის დანარჩენი ნაწილიც. არის თუ არა ქვეყნის ასე განაწილება ნებისმიერი? რა თქმა უნდა, არა. ცხადია, რომ დიდ ქვეყნებში ძველთაგან შემავალი უფრო მცირე ერთეულები იძლეოდა ამ განაწილების საფუძველს; რომ, ე. ი. ჯავახეთის ორად გაყოფა ტრადიციულია და მტკვრის მი-

27 ქ. ც. I, გვ. 365, II, გვ. 252, 273.

28 ის. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 245, შემდეგ ყველგან: ქსძ.

29 ქ. ც. I, ჯუანშერი, გვ. 203—204.

30 ქ. ც. I, ჯუანშერი, გვ. 204—205.

31 იქვე.

ხედვით ხდება (შდრ. „ზენა და ქვენა არტანი", „მტკვარს აქეთ არტანი", იგივე მოვლენა ქართლში, ორმეფობის დროს და სხვა.)

სომხური წყაროებიდან პირველად მოსე ხორენელთან ვხ[illegible] საინტერესო ფაქტს. მისი სიტყვით, მეფე ვალარშაკის დრო[illegible] ძეთაგან მემკვიდრეობით მიიღო ბნელი მთა, რომელიც არის კანგარქი. და ნ ა ხ ე ვ ა რ ი  ჯ ა ვ ა ხ ე თ ი ს ა, კოლბი, წოფი, ძორი ვიდრე ჰნარაკერტის სიმაგრემდე"[32]. მე ვფიქრობ, აქაც ჯავახეთის ის ნაწილი ივარაუდება, რომელიც მტკვრის მარჯვნივაა, „ფარავნითგან მტკვრამდე".

სომხურ გეოგრაფიაში უკვე პირდაპირ „ზემო ჯავახეთია" დასახელებული. აქ გუგარქის ოლქებში ჩამოთვლილია ძოროფორი, კოლბოფორი, წოფოფორი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარქი, ზ ე მ ო  ჯ ა ვ ა ხ ე თ ი, არტაჰანი და კლარჯეთი[33]. აქაც ოლქების ჩამოთვლის თანმიმდევრობა ისეთია, რომ გეოგრაფიული მეზობლობაა გათვალისწინებული, ამიტომ ავტორისმიერი „ზემო ჯავახეთი" სწორედ ქართული წყაროების „ჯავახეთი ფარავნითგან მტკვრამდე" უნდა იყოს. იგულისხმება, რომ დანარჩენი ჯავახეთი, ე. ი. „ქვემო ჯავახეთი" იქნებოდა მტკვრის მარცხენა ნაპირი სამცხემდე და ნიალას ველი.

აქვე შეიძლება დაზუსტდეს ამ „ზემო" და „ქვემო" ჯავახეთის გამყოფი ხაზი: როგორც ვნახეთ ვახტანგმა დაჩის დაუტოვა „წუნდამდის", ხოლო „წუნდითგან" ჰქონდათ ნახევარძმებს დაჩისასა. თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს ტერმინები („წუნდამდის" და „წუნდითგან"), ჩანს იქვე, სადაც ნათქვამია, რომ ნახევარძმანი „დასხდეს წუნდას ქალაქსა". მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხაზი გადიოდა ჯავახეთის ზეგანის პირზე და რომ მტკვრის კანიონის მარჯვენა სანაპირო (აქ იყო წუნდაც) უკვე „ქვემო" ჯავახეთს ეკუთვნოდა. გარდა იმისა, რომ მტკვრის ორივე ნაპირის ეს მონაკვეთი ერთიან სასოფლო-სამეურნეო რაიონს შეადგენს, სრულიად მსგავსი ბუნებრივი პირობებით და ხასიათდება როგორც ვახუშტისეული ბარი (ვენახ-ხილიანობა), ამ ერთიანობაზე მიუთითებს „გაღმა" და „გამოღმა" ჭაჭკრის არსებობა, ის რომ თმოგვის ქალაქის ნაწილი ციხის გამოღმა იყო და მათ ხიდი აერთებდა, და ბოლოს ისიც, რომ თმოგველთა საგვარეულო მონასტერი ვანის ქვაბში თმოგვის ციხის გამოღმა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო.

სომხურ გეოგრაფიაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „მტკვარი, რომელიც გამოდის ტაოდან, კოლას კანტონიდან, დის ჯავახეთის ძირობაზე („**Տայոց Ջաւախաց**") ჩადის სამცხეში, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და მოედინება ქართლის ზემო ქვეყანაზე"[34].

აქედან ცხადია, რომ მტკვრის დასავლეთითაც ჯავახეთია და არა სამცხე, როგორც ეს ვახუშტის ჰგონია (სამცხეში მტკვარი შემდეგ ჩადის), ამიტომაც ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ თუ ქ ვ ე მ ო  ჯ ა ვ ა ხ ე თ ი  ს ა დ მ ე  ა რ ს ე ბ ო ბ დ ა,  ი გ ი  ა მ  ქ ვ ე ყ ნ ი ს „ქ ვ ე დ ა  ნ ა წ ი ლ ზ ე"  უ ნ დ ა  დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი ყ ო.

ქართული წყაროების მიხედვით, ჯავახეთი არა მარტო მეზობელ მხარეებთან (ცოლა-არტანი) ერთიანდებოდა, არამედ ჩანს, შედიოდა საერისთავოთა გაერთიანებაშიც, რომელსაც „დ ა ს ა ვ ლ ე თ ი  ქ ა რ თ ლ ი ს ა" ე რ ქ ვ ა. ზე-

---

[32] **Մովսէսի Խորենացւոյ պատմութիւն Հայոց. Թիֆլիս**, 1910, გვ. 108.
[33] **Ս. Երեմյան, Հայաստանը ըստ „Աշխարհացույց"-ի. Եր.** 1963, გვ. 110.
[34] **Ս. Երեմյան**, იქვე, გვ. 104.

მოთ მოყვანილ ამონაწერებში ჯუანშერიდან, წუნდის, ოძრჯისა და კლარჯეთის საერისთავონი ერთიანდებიან დაჩის ნახევარძმების ხელქვეით. ეს „დასავლეთი ქართლისა“ იყო „ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე [illegible]სა“, სადაც გაბატონებული უფლისწულები იწოდებოდნენ არა [illegible] არამედ „ერისთავთა მთავრად“. ეს არის მთელი სამხრ. საქართველო.

უმეფობის დროს (VI ს.) „ნათესავნი მირდატისნი ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“[35]. ეს მირდატის ნათესავები მისი მთავრობის მემკვიდრენი არიან და ე. ი. ისინიც მთელ „დასავლეთს ქართლისას“ უნდა განაგებდნენ.

სპარსელთა მოუცლელობით ისარგებლეს ქართლის ერისთავმა და სთხოვეს ბერძენთა მეფეს დაენიშნა მათთვის მეფე. იმანაც მოსცა მეფედ დისწული მირდატისი,.. რომელსა ერქუა გუარამ; რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“[36].

ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, აქ საინტერესოა ჯავახეთის გაერთიანება კლარჯეთთან ერთ სამთავროში. თუ ჯავახეთს განვიხილავთ როგორც მთას, ხოლო კლარჯეთს და ჭოროხის აუზს, როგორც ბარს, მაშინ აქ, ამ ორი ქვეყნის გაერთიანების ეკონომიურ-გეოგრაფიული საფუძველი წარმოჩნდება.

ქვემო ჯავახეთში მტკვრის კანიონის შედარებით ფართო ნაწილში, ადრევე დაწინაურებულ სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონში წარმოიშვა ქალაქი წუნდა. ამას უთუოდ შეუწყობდა ხელს ის დასახლებანიც, რომლებიც მის მიდამოებში უძველესი დროიდან არსებულა: წუნდის გორა, ბერთაყანა და სხვები.

მტკვრის ხეობის ეს ნაწილი მკვეთრად გამორჩეულია მთელ ჯავახეთში ბუნებრივ-კლიმატური პირობების უმჯობესობით. ამას არ შეიძლება თავიდანვე არ დაეწინაურებინა მნიშვნელოვანი გზების შემცველი მონაკვეთი მტკვრის აუზისა მირაშხანიდან ხერთვისის „შესავალამდე“, რომლის ცენტრი ჯერ „ქვემო ჯავახეთის“, შემდეგ კი, მთელი ჯავახეთისა და წუნდის საერისთავოს (ჯავახეთი-არტანი-კოლა) ცენტრად იქცა.

ქალაქი დიდ ფართობზე ყოფილა გაშლილი, დღევანდელი სოფელი ნაქალაქევი ძველი ქალაქის ერთ ნაწილზეა გაშენებული. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი ნაქალაქევის გვერდით ასახელებს სოფ. წუნდასაც. მატერიალური კულტურის ძეგლთაგან შერჩენილია XII—XIII სს. ეკლესია და სამრეკლო; აქვეა ტოპონიმი „ნასოფლარი“, დამოწმებულია გელაზის ქვა და ქვაში ამოჭრილი საწნახლები; ნაქალაქევის NW მხარეს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ივ. როსტომაშვილის დროს ჯერ კიდევ იყო ნაციხარი — ვერანყალა[37].

გზის პირას მდებარე ქარვასლა გვიანფეოდალური ხანისაა; უფრო S-ით გაირჩევა ნასასახლევი და მისი აბანო. ეს ძეგლები ძველ წუნდას ვერ დაუკავშირდება (თუ არ დავუშვებთ, რომ აქ ადრეც იყო უძველესი ნაგებობანი),

---

35 ქ. ც. I, ჯუანშერი, გვ. 217.

36 ქ. ც. I, იქვე, გვ. 218.

37 И. Ростомов, Ахалкалакский уезд... СМОМПК, XXV. გვ. 126.

რადგან წუნდის შემდეგ დაწინაურებული თმოგვის ციხე სწორედ აქ ავრცელებს თავის სამოსახლოს ნაწილს, რომელსაც მტკვარზე მყოფი ხიდით უკავშირდება (მისი ბურჯები ახლაც ჩანს).

ლ. ჭილაშვილის აზრით, წუნდა-ნაქალაქარის გვერდით, [illegible] სახელწოდება „ჯიუტ-მალა“ რომელიც მისი აზრით, შეიძლება „ურიათ უბანი“ იყოს (ჯიეპუდ-იეპუდ-ურია)[38]. ძველი მცხეთის ანალოგიით ასეთი უბანი შეიძლება წუნდაშიაც ვივარაუდოთ, მით უფრო, რომ აქაურ ტოპონიმიკაში გვხვდება „ურიების საფლავებიც“...

ძველი ქვემო ჯავახეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო ხერთვისიც, ფარავნის წყლისა და მტკვრის შესაყარში აგებული უძლიერესი ციხე. ლეონტი მროველის ცნობით, საქართველოში მოსულ ალექსანდრე მაკედონელს სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად უნახავს წუნდა და ხერთვისიც[39]. სახელწოდება „ხერთვისთან“ ერთად, ამ პუნქტის სიძველეს მოწმობს ციხეზე შერჩენილი ადრეფეოდალური ხანის ფენაც[40], რაც ლეონტის ცნობის ფონზე მას წუნდის გვერდით დიდი მნიშვნელობის სიმაგრედ სახავს.

დიმ. ბაქრაძე ახსენებს ხერთვისის ციხის ეკლესიიდან მოტანილ წარწერას, სადაც ირჩეოდა თარიღი — 985 წ[41]. ჩანს, ძველი ციხის ტერიტორიაზე X ს-შიაც უწარმოებიათ სამშენებლო სამუშაოები, რაც მისი აქტიური ცხოვრების მოწმობად შეიძლება გამოდგეს.

ხერთვისის ციხის „შესავალი“, უშუალოდ მისთვის დაქვემდებარებული ქვეყანა უნდა ყოფილიყო, პირველ ყოვლისა სტრატეგიულად გამორჩეული მონაკვეთები, რომლებსაც ეს პუნქტი აკონტროლებდა ფარავნის წყლისა და მტკვრის კანიონებში. ასეთი იყო ვიწრო ხეობა მტკვრიდან მერმინდელ ახალქალაქამდე უმნიშვნელოვანესი მაგისტრალით, რომელიც ჯავახეთის ზეგანზე განტოტდებოდა.

აქ, თბილსა და ნაყოფიერ ხეობაში იყო სოფლები: ხერთვისი, შოდირვანი, ნაისა; ხოლო მათ შორის, ზეგნის პირს მომდგარი სოფლების მიწები და ბაღები იყო ტერასებზე გაშენებული. ყველა ესენი: მურჯიკანი, პრტენა, ჩუნჩხელი, ცხიკნელი, ალჯუა და კვარშა ადრეფეოდალური ხანის საყურადღებო ძეგლებს შეიცავენ და მჭიდროდ არიან დაკავშირებული ხერთვისის ხეობასთან გზებით, ნახიდურებით, სასმელი წყლით, სახიზარ-გამოქვაბულებითა თუ ბაღბოსტნებით. საკულტო ძეგლებიდან აქ ყველაზე მნიშვნელოვანია კვარშის დიდი დარბაზული საყდარი VII—VIII საუკუნეებისა, რომელიც შემდეგ არაერთხელ შეუკეთებიათ[42].

ამას გარდა, ხერთვისის ციხეზე დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მტკვრის ხეობის ნაწილი ნაქალაქევიდან დაახლოებით ასპინძამდე, საიდანაც უკვე სხვა ერთეული იწყებოდა. ხერთვისის გაბატონებას ამ ნაწილზე ხელს უწყობ-

---

38 ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 26—30, გვ. 106—112, სადაც დაწვრილებითაა განხილული ქალაქი წუნდა და მისი უბნები.

39 ქ. ც. I, ლეონტი, გვ. 17—18.

40 К. Мелитаури, Крепости дофеодальной и... II, Тб. 1972, გვ. 34.

41 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ., 1885, გვ. 146.

42 ნ. ჩუბინაშვილი, ჯავახეთის ადრე შუასაუკუნეების კამაროვანი არქიტექტურის ძეგლები, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის XXV სამეცნიერო სესია, 1974, გვ. 17.

და მისი ცენტრალური მდებარეობა და გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან იგი ჰკეტავდა ყველა ძირითად გასასვლელს ხეობის ამ ნაწილში. ვახუშტის ცნობით ხერთვისთან მტკვარზე ყოფილა ხიდიც[43].

ხერთვისის ციხეზე დამოკიდებული მტკვრის ხეობის ეს მონაკვეთი, თავის მხრივ, კიდევ უფრო მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად იყოფოდა. ასეთი იყო მტკვრის მარცხენა შენაკადი ტოლოშის ხეობის აუზი, ანუ ქვაბიხევი. ამ ხეობაში ადრეფეოდალური ხანის ნასოფლარებში ძალიან საინტერესო მატერიალური კულტურის ძეგლებია შემორჩენილი. ამ ხევის ბალვენახებიან ჭალებში გადის გზა ბუზმარეთის საძოვრებისაკენ. იქ, სადაც გზა მეზობელ ქუნცის ხეობაში გადაუხვევს, მრავალრიცხოვან გამოქვაბულებს შორის, დგას ადრეფეოდალური ხანის ციხე და კოშკი. ეს უნდა ყოფილიყო ამ ხეობის ცენტრი და რეზიდენცია ტოლოშელი აზნაურისა, რომლის გვიანი შთამომავალი XI ს-ში იხსენიება (ისაკ ტოლოშელის ძე)[44].

მეორე ერთეული ადრეფეოდალური ხანისა უნდა ყოფილიყო მტკვრის მარცხენა შენაკადი სალოშეთის ხევი. ამ ხევს მიყვება გზა ბუზმარეთისაკენ, რომელიც ადრეული ხანის ნასოფლარებზე გადის. ხეობის ცენტრი, ჩანს, სოფ. ალანძიასთან იყო, სადაც შემორჩენილია ნაციხარის ნანგრევი და შესანიშნავი დარბაზული ეკლესია VII ს-სა[45].

ცალკე ერთეული უნდა ყოფილიყო ქუნცის ხეობაც მეზობელი მცირე ხევებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. აქაური ნასოფლარები — დადეში, აძგვიტა, ქუნცა, ბნელა, როკეთი და სხვ. ყველა ადრეფეოდალური ხანიდან არსებული დასახლებანი ჩანს. ვახუშტი ახსენებს დადეშის მონასტერს, გუმბათიანსა და მის დროს ცარიელს; ასეთი ნაგებობა არ დასტურდება, თუმცა არაა გამორიცხული იქაური ადრეფეოდალური დარბაზული საყდარი შემდეგ მონასტრად შერჩენილიყო. იმავე ცნობაში, ქუნცა-როკეთის ხევს ვახუშტი შულავრის ხევს უწოდებს[46]. შეიძლება ეს იყოს ჯუანშერთან მოხსენიებული ერთეული, რომელიც VIII ს-ში არჩილ მეფეს ადარნასე ბაგრატიონისათვის მიუცია...[47].

როდესაც ამ ერთეულების ხერთვისის ციხისადმი დაქვემდებარებას ვვარაუდობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი რამ მოხდებოდა მთელი ჯავახეთის, თუ ქვემო ჯავახეთის ერთიანობის პირობებში, როდესაც მეტი მნიშვნელობის მქონე ციხე სხვა უფრო მცირეს გაუბატონდებოდა („თავადი ციხე“).

აღსანიშნავია, რომ ლ. ჭილაშვილი ხერთვისს განიხილავს როგორც წუნდის ციხეს, „მისი ხეობის და თვით ქალაქის ციხეს“[48]. შეიძლება მაშინ, როცა წუნდა საერისთავოს ცენტრად იქცა, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ დაარსებიდანვე რომ ხერთვისი წუნდის ციხედ წარმოშობილიყო, მაშინ წუნდასთან ერთად დაეცემოდა ისიც, შეწყვეტდა დამოუკიდებულ არსებობას... წუნდა-ქა-

---

43 აღწერა... გვ. 128.
44 ქ. ც. I, მატიანე ქართლისა, გვ. 311—312.
45 ნ. ჩუბინაშვილი, ჯავახეთის ადრე შუასაუკუნეების..., იქვე, გვ. 17.
46 აღწერა... გვ. 127—128.
47 ქ. ც. I, ჯუანშერი, გვ. 243.
48 ლ. ჭილაშვილი, იქვე, გვ. 30, გვ. 111—112.

ლაქის ციხე ვერანყალა უნდა ყოფილიყო; ლეონტის ცნობითაც წუნდა და ხერთვისი ცალ-ცალკე ციხე-ქალაქებია; და რაც მთავარია, ხერთვისი თავის „შესავალ ქვეყანაზე“ საბატონოდ წარმოიშვა, რამაც მისი [illegible]ლი არსებობა განაპირობა წუნდის დაცემის შემდეგაც X ს-ის [illegible] ლურ ხანაში.

ზემოთ დასახელებულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს გარდა, ქვემო ჯავახეთში შედიოდა აგრეთვე ბუზმარეთი და ნიალას ველი, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ზეგან-მთიანეთში. პირველი მათგანი ქუნცის, ტოლოშისა და სალოშეთის ხეობათა სათავეში იყო, ფიზიკურ-გეოგრაფიულად კარგად გამოკვეთილი რაიონი თავთავას, ვანის, გელენის, ინჯის, დიგრასა და სათოვლოს მთებით მოზღუდული. ეს იყო მესაქონლეობის, მემინდვრეობის და ზეთის წარმოების რაიონი, რომელსაც დამახასიათებელი ტოპონიმები შემორჩა — ვანი, ბაზირხანა (ზეთის სახდელი). აქაურ ადრეფეოდალურ ეკლესიათა სიმრავლე და ხარისხი ამ რაიონის ადრეულ დაწინაურებაზე მეტყველებს (მაგ. გუნდის დარბაზული ეკლესია — VI ს-სა[49]). აქ ცენტრი უნდა ყოფილიყო ბუზმარეთი, რომელიც მოგვიანებით სამ სოფელს ერქვა. ეს სახელი გაგებულია, როგორც „მამული ბუზმარეთი“ (ე. ი. ბუზმარიანთ გვარის მამული, სოფელი, ქვეყანა), ნაწარმოები პირის სახელისაგან — ბუზმარი[50], თუმცა მისი ვინაობა უცნობია.

ქართული წყაროები ქვემო ჯავახეთის კიდევ ერთ რაიონს გამოყოფენ ცალკე ერთეულად; ესაა „ნიალის ველი“[51], ანუ „ნიალისყური“[52]. ვახუშტი ახსენებს „ნიალის-ყურის მთას“[53]. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მაღალმთიან პლატოზე გაშლილი, ნიალის ველი აერთიანებდა სოფლებს ქარზამეთისა და ნიალის წყლის აუზებში. ეს მიკროქვეყანა გეოგრაფიულადაც თვალსაჩინოდ იყო გამიჯნული SO მხრიდან მტკვრით, შემდეგ ზემოხსენებული ბუზმარეთის მთებით (N), კასრის სერისა და გუმბათის მთებით (W), ქარზამეთის, ანუ ხინგირის წყლის აუზით (WS). ეს იყო მთიანი ჯავახეთის ტიპიური სასოფლო სამეურნეო რაიონი: მესაქონლეობის, მემინდვრეობის და ზეთის წარმოების მაღალი დონით. ამით იგი ძლიერ წააგავდა მეზობლად მყოფ ბუზმარეთის მიკროქვეყანას, რომელსაც ლეპისის გზით უკავშირდებოდა (იგი ახლაც მოქმედია). ბუზმარეთისა და ნიალისყურის რაიონების მნიშვნელობას ზრდიდა ისიც, რომ აქედან გადადიოდა გზები სამცხეს, ურავლის ხეობაში. სუმბატ დავითის ძის მიხედვით, ბასილი კეისართან ომგადახდილი გიორგი I, ბასიანიდან კოლა-არტანზე გავლით, „წარვიდა ნიალით კერძო სამცხედ“[54].

ნიალის ველის თითქმის ყველა ნასოფლარში ადრეფეოდალური ძეგლები გვხვდება; მრავლადაა აქ ადრეული სტელები, თუ მათი ბაზისები. აგარის საყდართან (ვისი აგარა იყო?...) ახლაც დგას დაახლოებით 4 მ-იანი სტელა; ასეთივე ყოფილა გიორგიწმინდის ადრეფეოდალურ ეკლესიასთანაც. ბაზისები გვხვ-

---

49 ნ. ჩუბინაშვილი, იქვე.

50 ივ. ჯავახიშვილი, ქეი, I, თბ., 1951, გვ. 237; ვ. დონდუა, „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური... საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967, გვ. 119.

51 ქ. ც. II, ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, გვ. 51—52.

52 ის. დოლიძე, ქსძ III, თბ, 1970, გვ. 242.

53 აღწერა... გვ. 130, 131, 133.

54 ქ. ც. I, გვ. 383.

დება ქარზამეთში, გავეთში, არტახში; ყველა ესენი V—VII სს. ძეგლებია[55].

საყურადღებოა, რომ სახელებში „ნიალის ველი“, „ნიალისყური“, „ნიალისყურის მთა“, ჩანს ამ მიკროქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტის დასახელება (შდრ: ლალისყური, წალასყური, ე. ი. — ლალის ყური, წალისყურე და სხვ.)[56]. შემდეგ ნიალა ერქვა უკვე ორ სოფელს (შდრ. სამი ბუზმარეთი ნიალისყურის მეზობლად), რომელთაც ცენტრალური ადგილი ეჭირათ მდებარეობით, მნიშვნელობით. როგორც ვხედავთ, ცენტრის სახელი ვრცელდება მთელ რაიონზე, რის მერეც ეს ერთეული ნიალის სახელს ატარებს (ასე ხდებოდა თითქმის ყველგან).

აქვე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი უნდა ყოფილიყო ვარნეთის ციხეც — ქარზამეთის წყლის მარცხენა სანაპიროზე (იგი ახლა თურქეთის საზღვარშია და ამიტომ უნახავი დაგვრჩა), რომელიც XVI ს-ში იხსენიება[57].

ქვემო ჯავახეთისაგან განსხვავებით, ზემო ჯავახეთი უფრო ერთიანია თავისი ბუნებრივი პირობებით. ახალქალაქის პლატო 2000 მ-ზეა ზღვის დონიდან, იგი თანდათან მაღლდება O და N მიმართულებით. ზეგანზე ალაგ-ალაგ მცირე გორაკები გამოიყოფა, ხოლო მდინარეები ღრმა ხეობებს არ ქმნიან (გარდა ფარავნის წყლის ქვემო დინებისა, ახალქალაქიდან ხერთვისამდე). ესაა მთური მეურნეობის რაიონი, რომელსაც „ბარი“ (ვენახ-ხილიანობა) არ ახლავს, „ბარი“ — ქვემო ჯავახეთშია, მტკვრის ხეობაში.

გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, ზემო ჯავახეთის ცალკეული მდინარეები არ ქმნიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, რაც აღმ. საქართველოს უმეტეს ნაწილს ახასიათებს. ამიტომაც აქ მცირე ქვეყნები „ხევობით“ არ გამოიყოფა. სამაგიეროდ დიდი და მცირე ტბები ქმნიან პატარა მდინარეთა შესაკრებ აუზებს, მთაგორებით გამოყოფილს სხვა ასეთივე, ან მშრალი ქვაბურებისაგან. სწორედ ამ ტბების ირგვლივ არსებული სოფლები შეადგენენ აქაურ მიკროქვეყნებს. ძირითადი, ცენტრალური პუნქტის სახელი გადადის ტბაზე, ტბიდან კი მთელ რაიონზე ვრცელდება.

ადრეფეოდალური ხანის ასეთი ერთეული უნდა ყოფილიყო ტაბისყური, განთქმული თავისი საზაფხულო საძოვრებითა და ტბის თევზით. ცენტრი ამავე სახელწოდების სოფელში იქნებოდა, სადაც შემორჩენილა ეკლესია და ციხე. შესანიშნავად ნაგები „წითელი საყდარი“ ახლა თითქმის სულ დაქცეულია. ნანგრევებში ჩანს ადრეფეოდალური ხანის დეტალები, რელიეფები. ეკლესია შემდეგ ხანებში აღდგენილ-გადაკეთებულია; იგი 1947 წ. სანახევროდ დანგრეული უნახავს აკად. ნ. ბერძენიშვილს[58].

სოფლის SW მხარეს, მაღალი მთის გამოზიდულ ფერდზე ციხეს მიუთითებენ, ესაა „ნინო-ყალა“. აქ მშრალად ნაწყობი კედლების მთელი სისტემაა, რომლებსაც ტერასებად შემოუყვება სათავსოთა რიგები. თხემზე პერანგშემოცლილი ეკლესიის ნაშთი ჩანს, ისიც ნინოს სახელობისაა; კედლის ბათქაშზე,

---

55 Н. Чубинашвили. Хандиси, Тб., 1972, стр. 110—113.

56 აკ. შანიძე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 2, 1960, გვ. 227.

57 ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ. 1961, გვ. 45, შემდეგ ყველგან: სსიმ.

58 ნ. ბერძენიშვილი, სის I, თბ., 1964, გვ. 220—221.

შიგნიდან და გარედან თარაზული წყობის ანაბეჭდებია, ხოლო ნათხარში ადრეფეოდალური ხანის კარამიკა ჩანს; ერთ ნატეხზე რელიეფური ჯვარია გამოსახული.

ციხის მახლობლად მშრალი ხევიც „ნინოღელეს“ სახელწ[illegible] მელიც ბერი ეგნატაშვილის ცნობაში „ნინოსხევად“ იხს[illegible] რის დაწინაურებას თავიდანვე განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ აქედან გადადიოდა გზა თრიალეთში საპიტიახშოს გავლით. როგორც ჩანს, ეს გზა საკმაოდ ძველია... მეორე გზა N-ით მიემართებოდა, მთების: კენჭიყარას და ქვაჯვარას გავლით სოფ. მიტარბში გადადიოდა, საიდანაც გუჯარეთით შიდა ქართლში შემოდიოდა; ეს გზა ახლაც მოქმედებს. ასეთ პირობებში აქაური ციხის როლი იზრდებოდა.

ქართულ წყაროებში ცალკე ერთეული ჩანს ფარავანიც (ფარვანა) — ყველაზე დიდი ჯავახეთის ტბებს შორის. აქაური ნასოფლარები ადრეფეოდალური ხანის მჭერმეტყველ ძეგლებს მოიცავენ, რომლებშიც წინაფეოდალური დასახლებების კვალიც ჭარბად ჩანს. აქაც სოფლის სახელი ტბას მისცემია, მერე კი—ქვეყანას. ფარავნის ადმინისტრაციული ცენტრი ფოკა ყოფილა, სადაც დღემდეა შემორჩენილი ძველი ციხის ნანგრევები და ეკლესია. ნაციხარი მშრალი წყობის კედლებითაა (3 მ.) ნაგები, მსხვილი საპირე ლოდებით, რომელთა შორის ხურდაა ჩაყრილი. აქაურ კერამიკაში არის წინა და ადრეფეოდალური, ასევე შუაფეოდალური ხანის მოჭიქული ნატეხები. ცხადია, იგი სხვადასხვა დროს ხშირად გამოუყენებიათ აქ გამავალი გზის დასაცავად. ციხის გარეთ ეკლესიის ბუდეა, სადაც ორმეტრიანი ქვაჯვარი დგას.

კასტორიუსის რუკაზე (IV ს.), არტაშატ-სებასტოპოლისის გზის ერთი მონაკვეთი, სომხეთიდან ფოკას მოდიოდა (Pagas) და ჯავახეთის გავლით სამცხეში მიიმართებოდა[60]. ამ საერთაშორისო მნიშვნელობის გზის გარდა, ფარავანზევე გადმოდიოდა გზა თრიალეთიდან—ნარდევნით, და ზურტაკეტიდან—ქარვასლის ხევით. ამრიგად, ფარავანი ძველი დროიდანვე გზაჯვარედინზე მყოფი რაიონი იყო, ადრევე დაწინაურებული მესაქონლეობის, მემინდვრეობის, ზეთის წარმოებისა და მეთევზეობის მხარე (წმ. ნინოსაც თევზით გაუმასპინძლდნენ აქაური მწყემსები).

საინტერესოა, რომ ქართული წყაროების ცნობით, ნინოც დაახლოებით ამ გზით მოსულა სომხეთიდან ფარავანზე. აქ ნიშანდობლივ დასახელებულია „გარდასადინელი მის ტბისა“[61]. ჩანს, მაშინ ფოკა ერქვა ფარავნის წყლის მხოლოდ მარჯვენა ნაპირზე არსებულ სოფელს, რომლის სახელიც, შემდეგ მდინარის მარცხნივ სოფელსაც შეერქვა. ასე შექმნილა „ფოკანი“, რომელიც XI ს-ში უკვე მრავლობითი ნიშნით იხმარება ქართულ წყაროში[62].

მშრალი წყობით ნაგები ციხე ყოფილა სოფ. ასფარაშიც, რომლის ნაშთები ძლივსღა ჩანს, ხოლო ნასოფლარ შაორთან, მთის წვერზე ნამდვილი „ციკლოპური“ სიმაგრეა შემორჩენილი.

---

59 დ. ბერძენიშვილი, ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები XVIII ს-ში, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ. 1971, გვ. 16.

60 С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья... ВДИ, 1939, № 1, стр. 91—92.

61 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ძქძლ I, თბ., 1964, გვ. 116.

62 ქ. ც. I, მატიანე ქართლისა, გვ. 300.

ფარავნის (ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის ცალკე ხსენება პირველად XI ს-ის წყაროში გვხვდება[63], მაგრამ როგორც ჩანს, იგი გაცილებით ადრეული წარმონაქმნია.

გეოგრაფიულად ზემო ჯავახეთში მყოფი ფარავანი პოლიტიკურად ქართლში იგულისხმებოდა. „ჯავახეთის მთებშია“ იგი ნინოს ცხოვრების ავტორისათვის, რასაც იმეორებენ ლეონტი და სუმბატ დავითის ძეც[64]. ამავე დროს ჯავახოსის წილს ქართული წყაროები ფარავნის დასავლეთიდან იწყებენ, ხოლო ვახუშტი ტაბისყურსაც და ფარავანსაც თრიალეთში აღწერს[65].

უფრო მცირე ერთეული ჩანს სალამოს ტბის აუზი, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო განძანი. ამ სოფელსა და მის მიდამოებში გვხვდება „ვეშაპი“, ადრეფეოდალური ეკლესია, ციხე. ს. ერემიანის აზრით, კასტორიუსის რუკაზე აღნიშნული გზა, ფოკაში მოსვლამდე გაივლიდა განძასაც (Tendava, Gendava[66])... როგორც არ უნდა იყოს, განძანი მართლაც ძველი პუნქტი ჩანს მნიშვნელოვან გზაზე მდებარე. აქაური ციხე ოვალური ფორმის გალავანია დაახლ. 100 მ×50 მ. კედლის წყობა მშრალია, ალაგ-ალაგ ნახევარწრიული ბურჯებით და ხელოვნური არხით გამაგრებული. კერამიკაში ჩანს წინა და ადრეფეოდალური ხანის ნატეხები. სოფელი ფარავნის წყლის ორივე ნაპირზეა გაშენებული და აქედანვეა სახელის მრავლობითი ფორმაც (შდრ: „ფოკანი“)[67], დამოწმებული XI ს-ის წყაროში[68].

ძველი ნასოფლარება და ნაციხარები ახლავს ჯავახეთის თითქმის ყველა ტბასა და ნატბეურს. ასეთებია ორლოვკის, ბუღდაშენისა და მადათაფის ტბათა სანაპიროებზე (სახელები ყველა ნაგვიანევია). ასეა ხანჩალის ტბასთანაც, რომელსაც ბერი ეგნატაშვილი ხენჭურ-ს უწოდებს[69].

ამ ტბის ირგვლივ მყოფ სოფლებში, ადრეფეოდალური ხანის ეკლესიებთან ერთად რამდენიმე ციხე-გალავანიც გვხვდება, დამახასიათებელი მშრალი წყობის კედლებით. ორი ასეთი ნაგებობა ტბის N ნაპირზეა, სადაც ფეოდალურთან ერთად წინაფეოდალური ხანის კერამიკაც ჩანს. ორი გალავანი ახლავს სოფ. დიდ ხანჩალს, ტბის O ნაპირას; აქ მეტი მიუვალობისთვის ხელოვნური თხრილიც შემოუყვება კედელს, რომელიც, ჩანს, წყლით ივსებოდა.

ტბის W მხარეს არის სოფელი ღლივი, კარგად ცნობილი სამეფო სადგომი შუაფეოდალურ ხანაში; აქაურ ნასოფლარში გვხვდება ძველი ეკლესიის ნაშთი: მას ნალისებური აფსიდა აქვს, რაც მის დიდ სიძველეზე მეტყველებს. ღლივზე მოდიოდა ძველი გზა, რომელიც სულდა-კარწახის გავლით არტანში ჩადიოდა, საიდანაც კლარჯეთსა და ტაოსკენ მიემართებოდა. ეს გზა ძირითადი და უმოკლესი მაგისტრალი იყო, ტაო-კოლა-არტახის ქართლთან დამაკავშირებელი ჯავახეთის მეშვეობით, ამიტომაც მის გასწვრივ მყოფი პუნქტები,

---

63 ქ. ც. I, მატიანე ქართლისა, გვ. 290.

64 ქ. ც. I. ლეონტი, გვ. 85, სუმბატი, გვ. 376.

65 აღწერა,... გვ. 43.

66 С. Т. Еремян, იქვე, გვ. 91—92.

67 ნ. ბერძენიშვილი, სის, I. თბ. 1964, გვ. 41.

68. ქ. ც. I, მატიანე ქართლისა, გვ. 291—292.

69 დ. ბერძენიშვილი, ქართლის სამეფოს..., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 17.

ყველა ადრევე დაწინაურებული სამოსახლოებია. ამ მხრივ ნიშანდობლივია ქუფური მონეტების განძის აღმოჩენა სწორედ ღლივში[70].

ჯავახეთის ცალკე რაიონს ქმნიდა, როგორც ჩანს, თავისი სიდიდით მეორე ტბა ამ მხარეში — კარწახი. ამ ტბის მიმდგომი მოკროქვეყანა, [illegible]ყვით — ფოსო, ანუ ჩუღურეთია[71], რომელსაც ხშირად ახსენებს შესხური მატიანე[72]. კარწახის ტბის W მხარეს მდებარეობს წყაროსთავის საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც ჯუანშერის მიხედვით ვახტანგ გორგასლის ძეს მირდატს აუგია. იქაური ეპისკოპოსი — იოვანე წყაროსთაველი უნდა იხსენიებოდეს VI ს-ის ქართველ მღვდელმთავართა შორის (იხ. წინ); მისი ეპარქია, ჯავახეთის სანაპირო სოფლებთან ერთად, ვრცელდებოდა ზედა არტანზედაც[73]. თავისთავად ეს ფაქტი ამ ტრადიციის სიძველეზე მიუთითებს და ისეთ დროს ეკუთვნის, როდესაც წუნდის საერისთავოში შემავალი არტანის ნახევარი ჯავახეთში აგებული კათედრალის სამწყსო შეიძლებოდა გამხდარიყო.

კარწახის ტბისა და მისი რაიონის SW ნაწილი, წყაროსთავთან ერთად ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული და მისი მოხილვა არ მოხერხდა. სამაგიეროდ ტბის NO ნაპირებზე მყოფ ნასოფლარებში ადრეფეოდალური ეკლესიები, ქვაჯვარები დადასტურდა, ხოლო სოფ. დიდი კარწახის მაღალ მთაზე მშრალი წყობით ნაგები ციხე-გალავანიც აღმოჩნდა. იგი, ისევე როგორც ჯავახეთის სხვა ასეთი გალავნები, ბუნებრივი ლოდოვანის ათვისებითაა შექმნილი, ზღუდავს ფართობს დაახლ. 30 მ×50 მ და ერთი მომრგვალებული ბურჯი ახლავს. ცხადია, ეს სიმაგრე უწევდა კონტროლს ტაო-კლარჯეთიდან წამოსულ, აქ გამავალ გზას, რომელიც შემდეგ ღლივს მისული, თრიალეთში, ან ქართლში გადმოდიოდა.

ზემოხსენებულ კასტორიუსის რუკაზე, არტაშატ-სებასტოპოლისის გზა, ფოკას შემდეგ გაივლიდა აბულს (Apulum), შემდეგ იყო სადგური Caspiae, რომელსაც მკვლევარნი ახალქალაქის მახლობლად მდებარე ხოსპია-სთან აიგივებენ. ეს უკანასკნელი რუკაზე ქალაქის აღმნიშვნელი ნიშნითაა გამოხატული (ორი კოშკი); ს. ერემიანის აზრით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ხოსპიას მახლობლად მდებარეობდა წუნდა, ჯავახეთის უძველესი ქალაქი, რომელიც პტოლემაიოსთანაც იხსენიება[74].

გარდა იმისა, რომ წუნდა სულაც არაა ხოსპიას მახლობლად, ჯავახეთიდან სამცხეს მიმავალ გზას, უფრო ბუნებრივია ხერთვისზე გაევლო, ფარავნის წყლის დაყოლებით, რასაც ვარაუდობს კიდეც ლ. ჭილაშვილი[75]. აქედან გამომდინარე, რუკაზე აღნიშნული ციხე-ქალაქი შეიძლება ხერთვისად მივიღოთ (მდრ. ლეონტის ცნობა), მაგრამ არც ისაა გამორიცხული — ეს ორი კოშკი თვითონ ხოსპიას აღნიშნავდეს, თუმცა მისი ქალაქობა წყაროებში არ გვხვდება. ეს ვარაუდი ემყარება ამ პუნქტში და მის ირგვლივ არსებულ ძეგლებს, რომლებიც დაზვერვებმა გამოავლინა. აქაურ სოფლებსა და ნასოფლარებში

---

70 ირ. ჯალაღანია, ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972, გვ. 23.

71 აღწერა... გვ. 129—130.

72 ქრ. შარაშიძე, სსიმ, თბ., 1961, გვ. 44—47.

73 ი. დოლიძე, ქსძ, III, თბ., 1970, გვ. 245.

74 С. Еремян, იქვე, გვ. 91—92.

75 ლ. ჭილაშვილი, იქვე, გვ. 112.

გვაქვს ადრეფეოდალური ეკლესიები, ასევე ქვაჯვარები და მათი ბაზები; ხო-რენიასა და ხოსპიაში კი ორი ციხე-გალავანია შემორჩენილი, სადაც ადრეფე-ოდალურთან ერთად წინაფეოდალური ხანის კერამიკაც გვხვდება. ხოსპიას სა-მაგრე მაღალ მთაზეა, სოფლის S მხარეს. ლოდოვანი თხემი მშრალი წყობის კედლებითაა გამაგრებული ჩვეული ტექნიკით: მოზრდილ, საპირე ქვებს შო-რის ჩაყრილია ხურდა. მოზღუდულია ფართობი დაახლოებით 40 მ×25 მ. სხვა გალავნებისაგან განსხვავებით, აქ თხემიდან წამოსული კედლები მარაო-სავით იშლება ფერდზე და სამკუთხა გალავანში აქცევს რამდენიმე ტერასაზე განლაგებულ სადგომებს. როგორც ვხედავთ, რუკისეული Caspiae-ს ხოსპიად გაგებას, სახელთა მსგავსების გარდა, მატერიალური დასაბუთებაც უჩნდება, რაც სანდოობას მატებს ჯავახეთზე გამავალი ძველი გზის ლოკალიზაციას.

დასასრულს აბულის შესახებ, რომელიც კასტორიუსის რუკის გზის ამ მო-ნაკვეთზე, ფოკასა და ხოსპიას შორისაა აღნიშნული (Apulum). ამჟამად ეს სა-ხელი ეწოდება ორ მწვერვალს ახალქალაქის O მხარეს: დიდი აბულის მთა და მცირე აბული; ასევე ჰქვია მათ შორის მოთავსებულ სოფელსაც, სადაც სამი ეკლესიაა; მათ შერჩენიათ ადრეფეოდალური ხანის დამახასიათებელი დეტალე-ბი, აქვეა ძველი ქვაჯვარები: კუბურ ბაზებში ჩასმული სწორკუთხა სტელე-ბი, რომლებსაც „ბოლნური მედალიონები“ და აყვავებული ჯვრები ამკობს.

სოფელი შუაფეოდალურ ხანაშიც ძლიერი ყოფილა, რაზედაც მეტყვე-ლებს ამდროინდელი საყდრის მშენებლობა, XI—XII ს-ის წარწერით.

ციხე, რომელიც აბულის „ქორ-ოღლის“ სახელითაა ცნობილი ადგილობ-რივ მოსახლეობასა და ლიტერატურაში[76], მდებარეობს მცირე აბულის მთის (2800 მ) კალთაზე. საერთოდ ეს ქედი მწვერვალიდან სოფ. აბულამდე მორე-ნებითაა დაფარული, ასევეა თხემი და კალთებიც. ჩანს, ამით უსარგებლიათ უძ-ველესი დროიდანვე და გამზადებული ლოდების მცირე გადაადგილებით მიუ-ღიათ დარან-სამალავები, რომლებსაც ვიწრო, დაბალი შესაძრომი აქვთ; საკ-მარისია შესასვლელზე ერთი ლოდის მიფარება, და ყველაფერი შეუმჩნევე-ლია, არაფრით გამორჩეული ქვიანი მასის საერთო გროვიდან.

თვით ციხე, ამ დარნების შუაში, მაღალ ადგილზეა აგებული; მას აქვს გალავანი, შიდა ციხე, სათავსოები. მიუხედავად იმისა, რომ წყობა მშრალია და არსად არაა კირი ნახმარი, კედლების სიმაღლე ზოგან 4 მ-ს აღემატება, სი-განე კი 3 მ-ს. გალავანი ოთხკუთხაა, დაახლოებით 60 მ×40 მ; ორი კუთხე (W) მართია, ორი (O) — მომრგვალებული, ასევეა ბურჯებიც: ორი ნახევარწრიუ-ლი, სამი — ოთხკუთხა. თითო შესასვლელი აქვს გალავანს W და O კედლებში.

ციხის შიდა ნაწილში 40-მდე სათავსოა, რომლებიც გალავნის კედლებსა და ბურჯებზეა მიშენებული ზოგან ორ-სამ სართულად. ციხის O მხარეს, გალავ-ნის გარეთ ტერასებად დაშვებული სამალავები, ისევე როგორც გალავანს შიგ-ნითა სათავსოები, სხვადასხვა გეგმისანი არიან: 1) წრიული, დიამეტრით 2 მ; 2) მოგრძო დარნები, რომლებსაც ერთი ბოლო მომრგვალებული აქვთ, მეორე — სწორკუთხა, 4 მ×2 მ; 3) მოზრდილი სწორკუთხა ოთახები.

გადახურვა პირველი ორი ტიპისათვის ერთნაირია: ვერტიკალური კედლი-დან თანდათან, საფეხურებად ცენტრისაკენ გადმოწეული ბრტყელი ფილები,

---

[76] И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, вып. 25, 1898, გვ. 24; ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938, გვ. 68, ტაბ. XXIV, XXV.

იძლევა ხის დარბაზების მსგავს გვირგვინს. დიდი ოთახების სახურავი ყველგან ჩაქცეულია, შესაძლოა აქ ბანური გადახურვაც ყოფილიყო... ციხის S [illegible] წყარო გამოდის, რაც აძლიერებს მის თავდაცვისუნარიანობას.

საერთოდ, აბულის „ქორ-ოღლი" ძლიერ წააგავს შაორის[illegible] ტბასთან. ერთნაირია პირობები, მშენებლობის ტექნიკა, გად[illegible]ბი, თუ მისასვლელი — ფართო საურმე ქვაფენილები. განსხვავება შეიმჩნევა გეგმარებაში: აბულის ციხეს შიდა ციხე აქვს[77], მას წყარო ახლავს და შაორივით მწვერვალზე კი არა, არამედ ფერდზეა, S-ით გამავალი გზისკენ გადმოწეული, ე. ი. მის საკონტროლოდ. ეს გზა ფოკა-განძანიდან მოემართება, აბულს ჩაუვლის, ხორენია-ხოსპიას გავლით ხერთვისში ჩავა.

აბულის ციხე უძველესი დროიდანვე ერთი უპირველეს ცენტრთაგანი ჩანს ზემო ჯავახეთში. აქ გათვალისწინებულია არა მხოლოდ მისი სიდიდე, სიძლიერე-მიუვალობა, ან სტრატეგიული მნიშვნელობა სავაჭრო გზებზე, არამედ მისი ალნაგობა-შეკავშირების სოციალური მხარეც. აქ დიფერენცირებული საზოგადოება ჩანს — ზოგი შიდა ციხეში მობინადრე, ზოგი გალავნის შიგნით, სხვები კი — მის გარეთ. პირველ ყოვლისა ამითაა ეს ციხე გამორჩეული ზემო ჯავახეთის უმრავლეს ციხეთაგან, რომლებიც ადრეფეოდალურ ხანაში ფუნქციონირებენ. ცხადია, შეიძლება ამის მიზეზი იყოს სხვა ციხეების ცუდი შენახულობაც, ან თვით აბულის ციხის არაერთგზისი გადაკეთება ადრეფეოდალური ხანის შემდეგ, მაგრამ მაინც, მისი უპირატესობანი მეტად თვალში საცემია.

ზემო ჯავახეთის სხვა სიმაგრეები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ციხე-გალავნებია, ნაგები მსგავსი ტექნიკითა და გეგმარებით. ისინი ახლავს სოფლების უმრავლესობას. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ უკლებლივ ყველა ერთ დროს მოქმედი ციხეებია, წინაფეოდალურსა, ადრე, თუ შუაფეოდალურ ხანაში; ამას არ ადასტურებს მათზე მონაპოვარი კერამიკული ფრაგმენტები. ქვემო ქართლისა და თრიალეთის სხვა ასეთი ციხე-გალავნების მსგავსად, ეს კერამიკა ზოგან ძველიც არის და ახალიც, სხვაგან კი — მხოლოდ ერთი პერიოდი დასტურდება. ჩანს, ამ უძველესი ტექნიკით ნაშენი სიმაგრეები არაერთგზის გამოუყენებიათ სხვადასხვა ეპოქაში[78]. ერთსა და იმავე ციხეებს გულისხმობენ კასტორიუსის რუკაზე და ქართულ წყაროებში (XI ს.) მოხსენიებული პუნქტები....

და მაინც, თრიალეთ-ჯავახეთის ზეგანზე ამ გალავანთა სიმრავლე აშკარად შესამჩნევია საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით. შესაძლოა ეს ახსნილიყო ბუნებრივი პირობებით: აქ ტყე არაა, რომ გახიზვნით გადაურჩე შემოსეულ მტერს, ზედაპირი შედარებით სწორია და თვალსაწიერი ფართო; სამაგიეროდ თითქმის ყველა მთა, თუ გორაკი სავსეა ნაშალი ლოდებით, რომლებიც თვით კარნახობენ გამოსავალს აქაურ მკვიდრთათვის; ასე შენდება დარან-სამალავები, გალავანი, სიმაგრე, დროებითი სადგომი მოსახლეობისა და (ხშირად) მათი პირუტყვის დასაცავად. მუდმივი საცხოვრებელიც აქ ღრმად ჩამჯდარი მიწურები იყო, რასაც ასე

77 ლ. მელიქსეთ-ბეგი, იქვე, ტაბ. XXIV.

78 დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 6, ტაბ. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტად გადმოცემს ტოპონიმ „ჩამძვრალას“ სიმრავლე თრიალეთ-ზურტაკეტსა და ჯავახეთის პლატოზე.

გადამწყვეტი ფაქტორი მაინც მთიური მეურნეობა უნდა ყოფილიყო, მესაქონლეობის წამყვანი როლით, რომელიც სოციალურ დაფერენციაციას ზღუდავდა, წარმოშობდა შედარებით მრავალრიცხოვან, მაგრამ ერთგვაროვან დაწინაურებულ ფენას (ვთქვათ წვრილი აზნაურობა). ამისი პირდაპირი ასახვა უნდა იყოს ძველ, საჯარო ციხე-გალავანთა სიმრავლე, რომელიც არ გადაიზარდა ბარისთვის დამახასიათებელ, ადრეფეოდალურ რეზიდენციად, მუდმივ სადგომად ამა თუ იმ ერთეულის უფლისათვის (შდრ: ერთნაირი კოშკების სიმრავლე საქართველოს მთიან რაიონებში).

ეს ფაქტი განსაკუთრებით ზემო ჯავახეთშია დამახასიათებელი, რადგან ქვემო ჯავახეთსა და მის მეზობელ სამცხის ხევებში, სადაც ბარული მეურნეობაა, სწორედ ასეთმა ადრეფეოდალურმა სახევისუფლო რეზიდენციებმა მოაღწიეს ჩვენამდე; ხერთვისი, თმოგვი, ტოლოში, კოხტა... თრიალეთ-ჯავახეთის ზეგანზე კი, მხოლოდ ერთი კლდეკარი შეიქმნა ნამდვილ ფეოდალურ რეზიდენციად და აკი ისიც შინაურ ბრძოლებში დაემხო, როგორც არაორგანული, შეუთავსებელი წარმონაქმნი ქართლის სამეფოში.

ასევე აიხსნებოდა მაშინ დიდრონ ქვაჯვარებისა, თუ სტელათა სიმრავლე ამავე რაიონებში: უტყეო ზეგანთა შედარებით სწორი ზედაპირის ერთგვაროვან გარემოში, ეს მაღალი სილუეტები შორიდანვე შეიმჩნევა და მნახველს მიანიშნებდა გზა-გადასასვლელს, საზღვარს, ან სხვის სამფლობელოს მიწაზე. თუ ამ ძეგლების საკულტო-მემორიალურ დანიშნულებასთან ერთად (ძველი ვეშაპ-მენჰირების განვითარება), გავითვალისწინებთ მათ სხვა ფუნქციასაც: აღნიშნონ მიწის ნაკვეთზე კერძო საკუთრების უფლება[79], მაშინ ამათი სიმრავლეც წვრილი მიწისმფლობელობის ნიშნად შეიძლებოდა მიგვეღო (უნდა ვიფიქროთ, ასევე იქნებოდა ეს ქართლის სამეფოს ბარშიაც, მაგრამ აქ უმეტესი მათგანი მოისპობოდა მიწისმფლობელობის გამსხვილებასთან ერთად.)

საქართველოში არაბთა შემოსევებს ვერც ჯავახეთი გადაურჩა, თუმცა ბრძოლები გრძელდებოდა და აშოტ კურაპალატს ერთ ხანს ჯავახეთიც უნდა სჭეროდა[80].

IX ს-ის 70-იან წლებში გუარამ მამფალს „დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი და ბრძოდა სარკინოზთა“...[81] გვარამის ძეს—ნასრს, მემკვიდრეობით უნდა ჰქონოდა ჯავახეთი 888 წლამდე, ვიდრე ბრძოლაში არ მოკლეს იგი[82], ხოლო ამის მერე ამ მხარეს ბაგრატიონთა უფროსი შტო იგდებს ხელთ (ადარნასეს შთამომავლობა).

ეს ფაქტი ასახულია არეშის (არშტის) სტელის წარწერაში, სადაც ლაპარა-

79 ნ. ბერძენიშვილი, სის, III, თბ., 1966, გვ. 156, 164, 382—383.

80 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 252—253.

81 იქვე, გვ. 257.

82 ქ. ც. I, იქვე, გვ. 261.

კია გურგენ კურაპალატის ძის (ადარნასეს) მიერ, კუმურდოს საყდრისათვის სოფ. არშტის შეწირვის შესახებ[83]. ეს სოფელი, რომელიც კუმურდოს ტაძრიდან დაახლოებით 3 კმ-ზეა, მისგან S-ით, ახლა აღარ არსებობს, არც [illegible] ლაოა. აქ მდგარა ბაზაში ჩასმული სვეტი, რომელიც ასაბუთებდა კუმურდოს ტაძრის საკუთრებას ამ სოფელზე. ჯავახეთის საეპისკოპოსო კათედრალს ასეთი საკუთრებანი სხვაც ბევრი ექნებოდა, განსაკუთრებით მის ახლომდებარე სოფლებში.

X საუკუნის ამბების აღწერისას, „მატიანე" მოგვითხრობს აბულ კასიმის შემოსევაზე ქართლში, რომელიც „შევიდა მუნით სამცხეს და მოაოჴრა სამცხე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა, თმოგჳსასა. და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით, მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და უწყო ბრძოლად". არაბებს ეს ციხე მაინც აუღიათ და იქ გმირულად მებრძოლი გობრონი უწამებიათ[84]. აქ არის თმოგვის ციხის პირველი ხსენება, როგორც ჯავახეთის უძლიერესი ციხისა, რომელიც არაბებს ვერ აუღიათ, შემდეგ ყველის ციხეზეა საუბარი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყველის ციხე ჯავახეთში იგულისხმებოდა?!...

სტეფანე მტბევარი იგივე ამბავს ასე გადმოსცემს: „და მოვიდეს იგინი ციხესა მას ყველისასა, რომელი იყო გურგენ ერისთავთ ერისთავისა, რომელსა შინა იყვნენ აზნაურნი წარჩინებულნი და სანატრელი მოწამე ქრისტესი გობარონ მათ თანა"[85]. არც აქაა ყველის ციხის მდებარეობა განსაზღვრული, მხოლოდ მისი მფლობელი გურგენ ერისთავია მოხსენებული. ეს გურგენი კი გურგენ დიდი ერისთავთერისთავია ძე ადარნასესი, რომელმაც სუმბატ დავითის ძის სიტყვით, „უმეტესნი სიმჴნენი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მისთასა, და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი"[86] (+941 წ.).

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, გურგენ მაგისტროსი სხვა, მეზობელ ქვეყნებთან და ციხეებთან ერთად ტიროკასტრონსაც ფლობს, ეს კი სწორედ ყველის ციხეა, თუმცა არც აქაა ნათქვამი — რომელი ქვეყნისაა ეს ციხე[87].

იმავე გობრონის წამებაში მოთხრობილია, რომ ყველის ციხის ირგვლივ დამდგარი არაბთა ბანაკიდან „ოდესმე გამოეტევნიან სიმრავლენი იგი ზღვარსა არტაონისასა და რომელნი პოვნიან... შეკრიბნიან მახლობელად ციხესა მას... და ურიცხუნი იგი ერნი მართლმადიდებელთაგანი აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყვნეს"[88]. ამ კონტექსტიდან ცხადია, რომ ყველის ციხე არტანში, აჭარაში და შავშეთში არ იგულისხმება, იგი ამ სამი ქვეყნის საზღვართა სიახლოვესაა. რჩება ორი ქვეყანა, რომელიც არ იხსენიება და სადაც შეიძლება ვივარაუდოთ ყველის ციხე — ესაა ერუშეთი და სამცხე.

„ყველის ჰევი" იხსენიება სერაპიონ ზარზმელის თხზულებაშიც: კლარჯეთიდან წამოსული ბერები გადადიან არსიანის მთას და „მივიდეს ჰევსა ყველისასა", აქ აშენებენ მონასტერს და მიემგზავრებიან ზარზმას[89].

---

83 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა... თბ., 1959, გვ. 25—27.

84 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 263—264.

85 მარტვილობაჲ გობრონისი, ძქალძ, I, 1964, გვ. 176.

86 ქ. ც. I, სუმბატი, გვ. 380.

87 გეორგიკა IV, ნაკვ. II თბ. 1952, გვ. 276.

88 მარტვილობაჲ გობრონისი, ძქალძ, გვ. 177.

89 სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, იქვე, გვ. 338—339.

„ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება „მთა ყუელისა“, „თავი ყუელისა“, „ყუელის ყური“[90].

კონსტანტინე პორფიროგენეტი მოგვითხრობს, რომ იბერიის კურაპა-ლატს დაქვემდებარებული ჰყავდა „ოთხი სხვა სამთავრო ვერიასახის ერისთა-ვის... კარნატაის ერისთავის... ყუელის ერისთავის ...აჭარის ერისთავისა“ — ყუელა იბერიაში[91].

აკად. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ყუელი ერუშეთშია (იხ. მისი ის-ტორიული რუკა), ხოლო ერუშეთი ჯავახეთს ეკუთვნოდა[92]. ამიტომაც მისი აზრით, პორფიროგენეტის ყუელის ერისთავი ჯავახეთს გულისხმობს[93]. (ეს აზრი შემდეგ საერთოდ გავრცელდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში).

საყურადღებოა, რომ „მატიანე ქართლისას“ ავტორი ბაგრატ IV მეფო-ბაში (1060-იანი წლები) ასახელებს მურვან ჯაყელს, ყუელის ერისთავს; მაგ-რამ იგივე მატიანე, ბაგრატ IV-სავე მეფობაში იცნობს ფარსმან თმოგველს[94], რომელიც სათხის, ზედა თმოგვისა და მირაშხანის წარწერებში ერისთავადაა დასახელებული[95]. ცხადია, ზემო და ქვემო ჯავახეთის პუნქტებში მოხსენიებუ-ლი ფარსმან თმოგველი მთელი ჯავახეთის ერისთავია, რაც მურვან ჯაყელი-სათვის ჯავახეთში ადგილს არ ტოვებს და გვაფიქრებინებს, რომ იგი ყუელის ციხიანად სხვა მხარის ერისთავი უნდა ყოფილიყო.

ვახუშტი ბატონიშვილი ყუელის ციხეს, ისევე როგორც მახლობლად აღ-ნიშნულ წურწყაბის ეკლესიას, სამცხის აღწერაში ათავსებს და წერს: „იჯ-და ეპისკოპოსი (წურწყაბს — დ. ბ.) მწყემსი ბოცოსწყლისა და ახალციხის-წყლის სამჯრეთისა, ვიდრე მტკვრამდე და ერუშეთის და არსიანის მთამ-დე“[96]. ავტორისეული ეს განსაზღვრა სრულიად მართებულია, რადგან ყუელიც და წურწყაბიც ფოცხოვის წყალზე მდებარეობენ, რომელიც ახალციხის წყლის მარჯვენა შენაკადია. ამიტომ აჭარა-ფოცხოვის საზღვართან მყოფი ყუელის ციხე სამცხეში უნდა ვიგულისხმოთ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ერუშეთს ჯავახეთის ნაწილად თვლიდა, რის სა-ფუძველსაც მას „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისა“ და „ისტორიათა და აზ-მათა“ ორი ადგილი აძლევდა[97].

გიორგი მერჩულეს სიტყვით, IX ს-ში ქართლის ეპისკოპოსები ემდუ-როდნენ სამცხის მთავარს მირიანს, რომელმაც თითქოს სამცხის მძლავრი ერის დახმარებით, ძე მისი არსენი კათალიკოსად დაადგინა. გვარამ მამფალს („დიდს“) ეპისკოპოსთა შეკრება უბრძანებია „და ყოველნი შემოკრბეს ჯავა-ხეთს... მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან მის ქამისამან ჰრქუა ყოველთა“ და სხვ[98].

---

90 ქ. ც. II, ჟამთააღმწერელი, გვ. 260, I, მატიანე, გვ. 306.

91 გეორგიკა, იქვე, გვ. 291.

92 ივ. ჯავახიშვილი, ქეი, II თბ., 1965, გვ. 59.

93 იქვე, გვ. 114.

94 ქ. ც. I, გვ. 310, 298.

95 რ. ბვერდწითელი, ზედა თმოგვის წარწერები. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV. 1947, გვ. 242; გ. გაფრინდაშვილი, ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები, „ძეგ-ლის მეგობარი“, 3, თბ., 1964, გვ. 9.

96 აღწერა... 126.

97 ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 58.

98 ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ, ძქალძ, I, 1964 წ. გვ. 287.

ჩანს, ყველის ციხესთან დაკავშირებულ საეჭვო ადგილებთან ერთად, ჯავახეთის შეკრება და ერუშნელი ეპისკოპოსის მიერ იქ გამოჩენილი ინიციატივაც აფიქრებინებდა განსვენებულ მეცნიერს ამ ორი მხარის ერთობას. ამას ერთვოდა თამარის ისტორიკოსის ჩვენებაც: გიორგი რუსი [illegible] აჯანყებულნი ჯავახეთის ალებას გადაწყვეტენ. შეტაკება თამარის ლაშქართან ხდება თმოგვის ხიდზე, საიდანაც უკან დახეული აჯანყებულნი ტორნაძიიდან „მიიწივნეს ველსა ნიალისასა და წყალსა ხინგრისასა: თმოგუსა და ერუშეთს შუა შეიქმნა ომი“, სადაც მეფის ჯარმა გაიმარჯვა[99]. აი ეს ცნობები განაპირობებდა ივ. ჯავახიშვილის ზემოხსენებულ აზრს.

ნიალას ველი, მთელ მტკვრის დასავლეთ ჯავახეთთან ერთად, მოიხილა ჩვენმა ექსპედიციამ, იარა იმ გზითაც, მემატიანე რომ აგვიწერს. დავამოწმეთ „ხინგირის წყალიც“ — ნიალის ველის ბოლოზე; ეს ჰიდრონიმი იხმარებოდა ქარზამეთის წყლის აღსანიშნავად. როგორც ამონაწერიდან ჩანს, ხინგირის წყალი არის საზღვარი ნიალას ველისა და ერუშეთისა. „თმოგუსა და ერუშეთს შუა შეიქმნა ომიო“ — ეს ნიშნავს ერუშეთს — ქვეყანას და თმოგვსაც — ქვეყანას, ე. ი. თმოგვის ციხის „შესავალს“; სწორედ ამ ორი ქვეყნის შუა დევს ნიალას ველი, სადაც მომხდარა ომი. აქედან არაა აუცილებელი დავასკვნათ, რომ ერუშეთი ჯავახეთშია.

ერუშეთის არტანისადმი კუთვნილებას პირდაპირ მიუთითებს ზემოთ მოტანილი ცნობა ჯუანშერისა (დასვა ეპისკოპოსი „არტანს, — ერუშეთს“); ამას გარდა, ერუშეთის წყალი მისი შენაკადებით, არტანის ჰურთან უერთდება მტკვარს ჩრდილო-დასავლეთიდან, რაც მთელს ერუშეთს ქვემო არტანისკენ პირმიქცეულ რაიონად აქცევს. ამას კი, როგორც ჩანს, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში. რომ ეს ასე ყოფილა გვიანაც, კარგად ჩანს 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯრიდან, სადაც დასახელებულია „არტანს: ზემო ჰინჯარი და ქვემო ჰინჯარი, მთა კორომეთი და სოფელი ჯუარა“[100]. საბუთის მიხედვით არტანში დასახელებული მთა კორომეთი და სოფელი ჯვარა კი, ერუშეთის პუნქტებია და გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებული ქარამუთი და ჯვარისხევი უნდა იყოს[101]. ასევე არტანს უკავშირებს ვახუშტი ცალკე აღწერილ ერუშეთს, როდესაც წერს, რომ ერუშნელი მწყემსი იყო ერუშეთისა და მტკვრის დასავლეთი არტანისაო (იხ. წინ).

ამრიგად გამოდის, რომ ერუშეთი არტანს ეკუთვნოდა, ხოლო ყველის ციხე სამცხეში შედიოდა და X-სში ეპყრა გურგენს. გურგენ დიდი ერისთავი, რომელიც ქვემო ქართლის მნიშვნელოვან ცენტრებზე — სამშვილდესა და ბოლნისზე აცხადებდა პრეტენზიებს[102], საფიქრებელია ჯავახეთსაც ფლობდა, რადგან იგი სწორედ გზა იყო ქვემო ქართლისაკენ.

გურგენის გარდაცვალების შემდეგ (941 წ.) ჯავახეთს, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეები გაუბატონდნენ, რადგან კუმურდოს 964 წ. წარწერაში უკვე ლეონი იხსენიება, რომელიც ერისთავის მეშვეობით მართავს ჯავახეთს. კუმურ-

---

99 ქ. ც. II, ისტორიანი და აზმანი... გვ. 51—52.

100 იხ. დ ო ლ ი ძ ე, ქსძ, III, 1970, გვ. 177—178.

101 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, 1958, და რუკა.

102 დ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, „მაცნე“, 1968, № 6, გვ. 103.

დოს წარწერაში მოხსენიებული ერისთავი ზვაი, ვარდანისძეთა საგვარეულოს უნდა ეკუთვნოდეს[103].

ჯავახეთის მფლობელთა ამ მონაცვლეობას, დაინტერესებას ამ [illegible] კარგად ხსნის აკად. ნ. ბერძენიშვილი: „უკვე X ს-ის მეორე ნახევრიდან ჯავახეთი აფხაზთ მეფეთა საუფლისწულო ტერიტორია იყო... აღმ. საქართველოს სამეფო-სამთავროებთან და ქართლის დიდგვარიანებთან ბრძოლაში, აფხაზთ მეფეთა ხელში უშუალოდ მყოფი ჯავახეთი დიდ უპირატესობას უქმნიდა უკანასკნელთ. ის ყოფდა და იგივე აერთებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსთან. ჯავახეთის მფლობელ აფხაზთა მეფეს ხელი ადვილად მიუწვდებოდა სამხრეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს ყოველ მხარეს. მის ხელში იყო მთავარი გზები სამხრეთიდან (სომხეთი), თუ სამხრეთ-დასავლეთიდან (ბიზანტიიდან). ჯავახეთზე გამოვლით შედიოდნენ ეს გზები „აფხაზეთში“ (სამცხით), შიდა ქართლში (სამცხით, თრიალეთით) მცხეთა-თბილისში (თრიალეთ-მანგლისით) და კახეთში.

გამტარი გზების სიმრავლით და ცენტრალური მდებარეობით მხოლოდ თრიალეთი თუ შეედრებოდა ჯავახეთს. თუ ჯავახეთი სამცხე-ტაო-კლარჯეთის მხრით ჰკეტავდა თრიალეთს, თრიალეთი ქართლ-კახეთის გზით ჰკეტავდა მას. ამ ორი ქვეყნის ასე თუ ისე გაერთიანების გარეშე, მათ მფლობელთა ურთიერთ ქიშპის პირობებში საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანება ფრიად ფერხდებოდა. აუცილებელი ჩანდა (ქვეყნის ეკონომიური განვითარება ამას მოითხოვდა): ან ჯავახეთის პატრონს (აფხაზთა მეფეს) უნდა აეღო თრიალეთი, უნდა დაემორჩილებინა ის, ან კიდევ აფხაზთ მეფეს უნდა დაეთმო ჯავახეთი თრიალეთის პატრონისათვის და მაშასადამე აღმოსავლეთ საქართველოსაც გასცლოდა, ხოლო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე სხვას ეთავა, მაგრამ იმას კი, ვინც უპირველეს ყოვლისა ამ ორი ქვეყნის ხელში აღებას შესძლებდა“[104].

988 წ. დავით კურაპალატს შეატყობინეს ბაგრატ III მზადყოფნა მასთან საომრად. ბაგრატის მამა გურგენიც შვილის დასახმარებლად გამოვიდა. „ხოლო დავით კურაპალატი წარმოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თჳსსა და უჰმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა... მოვიდეს და დადგეს ძლივს სპითა დიდითა“. გურგენს დავითმა ჯარი დაახვედრა და დაამარცხა „გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა“, ამასობაში ბაგრატი თრიალეთს მოვიდა და დადგა კარუშეთს[105].

ამ ეპიზოდიდან ცხადია, რომ ძლიერი დავით კურაპალატისაა ამ დროს, ოღონდ არ ჩანს მთელ ჯავახეთს სწვდება მისი უფლება, თუ მხოლოდ რომელიმე ნაწილს ამ ქვეყნისას.

---

103 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია... „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 56—59.

104 ნ. ბერძენიშვილი, სის, I, 1964, გვ. 52—53.

105 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 277, ეს კარუშეთი შემდგომი დროის ჯინისია: მას ვახუშტი არ იხსენიებს. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ქუთაისი, 1942, გვ. 225—237.

ბაგრატ III-ის გამეფების მესამე წელს — 978 წ. როცა თეოდოსი, აფხაზთა უსინათლო მეფე, გარდაიცვალა, ბაგრატი ხდება ერთადერთი მემკვიდრე, მოსურნე „აფხაზთა“ მეფეების ჯავახეთზე გაბატონებისა; [illegible] როცა რატი ბაღვაშს კლდე-კარი წაართვა მეფემ, იგი თრია[illegible]რონა და ბუნებრივია მისი მეზობელი ჯავახეთის საბოლოო დაუფლება მაშინვე საზრუნავი გაუხდებოდა ბაგრატს, რაც დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (1001) მას უნდა განეხორციელებინა კიდეც. ამას უნდა მოწმობდეს ერთი ხელნაწერი 1002 წლისა, ბაგრატ აფხაზთა მეფისა და ქართველთა კურაპალატის ბრძანებით გადაწერილი „შაორს... ჴელითა აკჳლა მტბევრისეთა“[106]. აქ ფარავნის შაორი უნდა იგულისხმებოდეს.

1006 წ., როდესაც დავით ქორეპისკოპოსმა მას ქართლის ციხეების დაბრუნებაზე უარი შემოუთვალა „განუწყრა ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე. და კურაპალატი იყო მას ჟამსა დღივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა“[107]. სუმბატ დავითის ძის ცნობით, ბაგრატ III, 1010—1011 წლებში არტანუჯელი ხელმწიფენი, თავისი მამიდაშვილები სუმბატ და გურგენ, შეიპყრო ფანასკერტის ციხეში. წაართვა რა მათ ციხეები და ქვეყნები, ისინი თმოგვის ციხეში გამოკეტა, სადაც ორივე გარდაიცვალა[108].

მოტანილი ცნობები ამტკიცებს აზრს, რომ ღლივი და თმოგვი, ეს უძლიერესი ციხე ჯავახეთისა, ისევე როგორც ალბათ მთელი ჯავახეთი, ბაგრატის უცილობელი სამფლობელო იყო, საიდანაც ადვილად ხდებოდა როგორც ტაოსი, ისე ქართლის საქმეთა კონტროლირება.

ბასილი კეისარსა და გიორგის I-ს შორის ბასიანს დაწყებული ბრძოლა კეისარმა შეტევით გააგრძელა, ააოხრა ოლთისი, კოლა, არტანი, „აწყუდა ქუეყანა ჯავახეთისა“, მივიდა თრიალეთს და უკანა გზაზე „უბოროტესადრე შურისგებით მოაოჴრნა... ჯავახეთი და არტანი“[109].

დაზავების მერე გიორგი I-მა ბასილი კეისარს შვილი მისცა მძევლად, ჩააბარა ციხეები „და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს, ხოლო რომელნიმე ამა ქვეყანათაგან, ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა. და წარვიდა ბასილი მეფე“[110]. სუმბატი ჩაბარებული ციხეების რიცხვს 12-ით განსაზღვრავს, ოღონდ არ ასახელებს მათ[111].

ამ მეტად საყურადღებო ადგილიდან შუქი ადგება ჯავახეთის საკითხს ერთბაშად სამი მეფის ზეობის მანძილზე. გამოდის, რომ დავით კურაპალატს ჰქონია ტაოსი, ბასიანის კოლა-არტანისა და ჯავახეთის ქვეყანათა ნაწილები. ბაგრატ III-ს ეს ქვეყნები გადაცემია ბასილისაგან, რასაც არისტაკეს ლასტივერტაცი მოწმობს[112]; ახლა კი ბასილის უკან წაუღია სხვებთან ერთად ნაწილი ჯავახეთის ქვეყნისაც. აქ უფრო საინტერესო ისაა, რომ ბასილის თხოვ-

---

106 ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, თბ., 1926, გვ. 172.
107 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 278—279.
108 იქვე, გვ. 382.
109 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 285.
110 იქვე, გვ. 288.
111 ქ. ც. I, სუმბატ. გვ. 383—385.
112 Պատմութիւն Արիստակիսի Լաստիվերտացւոյ, Եր. 1963, გვ.25.

ნის მიხედვით, გიორგის მისთვის „ციხე-ქუეყანანი“[113] გადაუცია, მას კი გიორგისათვის ამ ქვეყნებიდან მხოლოდ „ეკლესიანი, სოფელნი და ადგ[illegible]ლოცნია“. გამოდის, რომ ბასილი ამ ციხეებში მეციხოვნეებს ტოვებს [illegible]ხეთა ქვეყნების კონტროლი ხელთა აქვს. ისიც საყურადღებოა, რომ გიორგი I-ს მოხსენიებით მხოლოდ ერთი წარწერაა ჯავახეთში შემორჩენილი სოფ. ღორმაკისა (ყაურმა).

ბაგრატ IV-ის დროინდელ საქართველოს ისტორიაში ჯავახეთი აქტიურად მონაწილეობს. ამ დროს ხდება აქ მნიშვნელოვანი ძვრები, ძირეული ცვლილებები, რაც ჭარბად ატყვია მატერიალური კულტურის ძეგლებსაც.

ბაგრატის მეფობის პირველ ხანებში, სახელმწიფო საქმეებში ენერგიულად მოღვაწე მარიამ დედოფალი ხშირად მოჩანს ჯავახეთის ეპიგრაფიკაშიც; კუმურდოს ტაძრის „შტოის“ აგების მაუწყებელ წარწერაში იხსენიება მეფე ბაგრატ „და დედა მათი მარიამ დედოფალი“[114], ასევეა ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერაშიაც[115]. ჯავახეთის საეპისკოპოსო ტაძრისა და თმოგვის ეკლესიის წარწერებში მოხსენიებული მეფე და დედოფალი, ცხადია, ამ ქვეყნის პატრონებად იგულისხმებიან.

ჯავახეთს მეფე ერისთავის მეშვეობით მართავდა. ბაგრატ IV-ის დროს ამ ქვეყნის სამ განაპირა პუნქტში დადასტურებული ფარსმან ერისთავთერისთავი, უნდა იყოს იმდროინდელი ჯავახეთის გამგებელი. იგი ზედა თმოგვის, სათხისა და მირაშხანის წარწერებში გვხვდება; პირველ ორ შემთხვევაში ის ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობს, მესამეში კი — იუწყებიან ერისთავთერისთავის ფარსმან თმოგველის დაღუპვას ალფ-არსლანის შემოსევისას — 1065 წ[116].

ჯავახეთის ერისთავი ფარსმან თმოგველი, ცნობილია „მატიანე ქართლისაჲთ“[117] და ათონის მონასტრის აღაპებითაც, სადაც იკითხება: „თუესა ივლისსა, ზ... აღაპად განგვწესებია ფარსმან თმოგუელისადა. ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდნენ, რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“[118].

ამ ერისთავის წოდება — „თმოგუელი“ — მიუთითებს, რომ იგი თმოგვის ციხის მქონებელია, რომელიც მაშინდელი ჯავახეთის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. თმოგვის დაწინაურება უნდა დაწყებულიყო წუნდის დაცემის შემდეგ, მას მერე, რაც წუნდა მოიშალა, როგორც ჯავახეთის საერისთავოს ცენტრი. ამიტომაც იყო, რომ ყაფარ კლდეებში აგებულმა, თითქმის აუღებელმა ციხემ — თმოგვმა, თავისი ბატონობა სწორედ წუნდის ძველ ქვეყანაზე გაავრცელა და შემდეგ ქვემო ჯავახეთის უპირველესი ცენტრი გახდა.

არაბთა შემოსევების დროს თმოგვი შესაძლოა კუმურდოსთან ერთად, ადარნასე ბაგრატიონის ჩამომავალთა ხელში იყო, ხოლო ბაგრატ III დროს ის უკვე სამეფო ციხეა, სადაც მან თავისი მამიდაშვილები გამოამწყვდია[119].

113 ქ. ც. I, გვ. 384.

114 ვ. ცისკარიშვილი, იქვე, გვ. 21.

115 რ. გვერდწითელი, იქვე.

116 გ. გაფრინდაშვილი, იქვე,

117. ქ. ც. I, გვ. 298.

118 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 238 — 239.

119 ქ. ც. I, სუმბატ დავითის ძე, გვ. 382.

არ ჩანს, სად ისხდნენ ჯავახეთის ერისთავები ფარსმან თმოგველამდე, მაგალითად კუმურდოს 964 წლის წარწერაში მოხსენიებული ზვ[illegible] რამ თმოგვის ციხე, საფიქრებელია სამეფო იყო მაშინაც. [boilerplate stamp omitted]

ფარსმან ერისთავი პირველი თმოგველია. შესაძლოა ეს მართლაც თმოგვისა და მისი ქვეყნის მამულობით მფლობელობასთან იყოს დაკავშირებული[120], რადგან ფარსმანის შემდეგ თმოგვის მქონე ფეოდალები თმოგველებად აღარ იწოდებიან (ვიდრე სარგის მხარგრძელამდე); ისინი ამ ციხეს სამოხელეოდ იღებენ და ერისთავობენ ჯავახეთში (ან ქვემო ჯავახეთში).

1044-45 წლებში ლიპარიტ ლიპარიტის ძემ მეფის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. მას „მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს... და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისსა, თჳნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა. გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად რამეთუ მას ჟამსა უზღუდოი ყო“[121].

აქედან კარგად ჩანს, რომ ლიპარიტს მიმხრობილი ფარსმან თმოგველი ციხის უფალი, ისევე როგორც თუხარისის ერისთავი ბეშქენ ჯაყელი, ხოლო თუ მათ ბაგრატის ერთგულება მართებდათ ატენელ ციხისუფალთა მსგავსად, ეს იმიტომ, რომ მეფის მოხელენი იყვნენ და მის მიერ დადგენილნი ამ ციხეთა უფლებად. ზედა თმოგვის წარწერაში ფარსმანი თითქოს იოანე ჭიმჭიმელის ძედაა დასახელებული, შეიძლებიც მას ჯავახური წარწერების მიხედვით, არ ჩანს, რომ ჰყოლოდა. გამოდის, რომ მისით იწყება და მთავრდება თმოგველობა, ციხე-ქვეყნის სამამულოდ ფლობა...

მოტანილ ამონაწერში ფრიად საყურადღებოა ცნობა ახალქალაქის ზღუდეთა შენების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ქალაქი იყო (მართალია ახალი), მაგრამ — უზღუდო. ახალქალაქის მდებარეობა (ორი წყლის შესაყარი სამკუთხედი), მის ადრიდანვე დასახლებას უნდა გვაფიქრებინებდეს. მართლაც, ამირანის გორა ახალქალაქის მახლობლად ფრიად მეტყველი არქეოლოგიური ნაშთების შემცველია; ნაქალაქარის N ნაწილშიაც გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ნიშნები, ხოლო განათხარი ტერიტორიის ადრეულ ფენებში ჩანს გვიანანტიკური, თუ ადრეფეოდალური ხანის სამოსახლოს ნაშთები.

ქალაქობის პერიოდის განათხარში ყურადღებას იქცევს ჯვრის ტიპის ეკლესიის ნაშთი, რომელიც XI ს-ის II ნახევარში უნდა იყოს დანგრეული, ზეთსახდელი, ქარვასლა, კერამიკული სახელოსნო. გათხრით გამოვლენილი ზღუდის ნაშთების შესწავლამ, მშენებლობის ორი პერიოდი გამოყო — ბაგრატ III-ის და ბაგრატ VI-ის დროისა[122].

მატიანის მოტანილ ცნობაში ახალქალაქის ზღუდეთა მშენებლობის ინიციატორი დასახელებული არაა; თხრობა ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელის სახელებს მოსდევს, რაც ქმნის საცდურს ეს საქმიანობა მეფის მოწი-

---

120 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია.., კრებ. „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 50.

121 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 298.

122 ეკ. ჯანდიერი, ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, „ფეოდალური საქ. არქეოლოგიური ძეგლები“, I, თბ., 1969, გვ. 47, 52, 57—59.

ნაალმდეგეთა ჯგუფს მიეწეროს[123]... მაგრამ ვახუშტი თავის „ისტორიაში“ ამ ამბებს ასე აღწერს: ლიპარიტი და მისი მომხრენი „მოადგნენ ატენს, არამედ ციხე ვერ დაიპყრეს; ხოლო ბაგრატ მეფე მოვიდა ჯავახეთს, განამაგრა ახალქალაქი“[124]. თვით მატიანის ზემოხსენებული ცნობისათვის, Mm ვარიანტები აძლევიან კითხვასხვაობას „გავიდა მეფე ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენება დ“[125]. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის მიხედვითაც, ბაგრატ მეფემ „ააშენა ახალქალაქის ზღუდე“[126]. ბოლოს, თვით ახალქალაქის გათხრების დროს აღმოჩნდა გალავნის კარიბჭეზე წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მარიამ“...[127] ეს კი ბაგრატ IV-ს დედა, დედოფალი მარიამი უნდა იყოს.

ამიტომ საფიქრებელია, რომ ახალქალაქის ზღუდეთა მშენებლობა მეფის ინიციატივა ყოფილიყო, რომელიც თავს ჯავახეთის პატრონად თვლიდა. მას არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია ამ საკვანძო პუნქტისათვის, რადგან ის ზემო ჯავახეთის ცენტრში ძირითად მაგისტრალებს აკონტროლებდა.

ახალქალაქთან, ფარავნის წყლის დაყოლებით არსებულ ძველ გზას, უერთდებოდა მეორე: ტაო-კოლა-არტანიდან, კარწახის ტბით მომავალი თბილისისაკენ. ამ უკანასკნელს, იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების გამო, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. სწორედ მას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშნელობა ახალქალაქის დაწინაურებაში, რადგან ძირითადად ამ გზით ხდებოდა ურთიერთობა ბიზანტიისა საქართველოსთან და სპარსეთთან; მანვე შეცვალა მტკვრის გზა და გამოიწვია სამხრეთით მყოფი ძველი ქალაქების აღორძინება, თუ ახალ ქალაქთა წარმოშობა[128]. დამახასიათებელია ჯავახეთის ახალქალაქის, თრიალეთის ახალქალაქისა და ატენის ქალაქის აშენება, სწორედ ამ პერიოდში, რაც ზემოხსენებულ გზასთან უშუალოდაა დაკავშირებული.

ახალქალაქის წარმოშობის მხოლოდ გზებით ახსნა არ იქნებოდა სრული. ამას ემატებოდა სხვა რიგის მოვლენათა კომპლექსიც, რაც ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ ცვლილებებშიაც ჰპოვებდა ასახვას.

ზემო ჯავახეთის მთური მეურნეობის გამო ამ მხარის დაწინაურება მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა ადგილობრივი მეურნეობა—მესაქონლეობა, მემინდვრეობა, თაფლისა და ზეთის წარმოება, ბოლომდე იყენებდა თავის შესაძლებლობებს; როცა ჯავახეთი სხვა ქვეყნების პასიური სამოვარი კი არ იყო მხოლოდ, არამედ აქტიური მონაწილე ბარის ქვეყნების მეურნეობისა, სადაც ჯავახური ნამატი დაუბრკოლებლივ რეალიზდე-

123 სწორედ ასეა ეს გაგებული რიგ ნაშრომებში; იხ. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქ-ში, II, თბ., 1970, გვ. 101; ეკ. ჯანდიერი, ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, იქვე გვ. 54; გ. აფრასიძეს კი ჯავახეთის ახალქალაქი კლდეკარის საერისთავოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად წარმოუდგენია — იხ. მისი „ფეოდალური ქალაქის წარმოშობა საქ-ში“, საისტორიო კრებ. IV, თბ., 1974, გვ. 182.

124 ქ. ც. IV, თბ., 1973, გვ. 146.

125 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 298.

126 ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ი. აბულაძის გამოც. თბ., 1953, გვ. 226.

127 ეკ. ჯანდიერი, იქვე, გვ. 53.

128 ლ. ჭილაშვილი, იქვე, გვ. 88—89.

ბოდა და პირიქით — ბარისა ჯავახეთს გამთადგენოდა.

თავისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შექმნილი პოლიტიკური, თუ ეკონომიური პირობების მიხედვით, ჯავახეთი ხან თვითკმარი ერთეული — ხან და შემცირებული, უნებურად სჯერდებოდა თავისსავე ბარს—ქვემო ჯავახეთს; ხან შუაზე გაყოფილი, სხვადასხვა ბარული ქვეყნების დანამატი იყო (მაგ. ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების პირველ ხანებში); ხან კლარჯეთის მთას წარმოადგენდა კლარჯეთ-ჯავახეთის სამთავროში; გვიან კი, სამცხის ბართან გაერთიანდა საათაბაგოში...

არაბთა ბატონობის შესუსტებისთანავე, სამხრეთის ზეგან-მთიანეთის ქვეყნების განვითარებას ახალი ბიძგი მისცა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის „ჭალებთან" გაერთიანებამ[129]. ამ პროცესმა ყველაზე მეტი გასაქანი ბაგრატ III-ის მეფობიდან მიიღო, როცა ზემო და ქვემო ჯავახეთი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დომენშია გაერთიანებული, აღმავლობის გზაზე შემდგარ ქართულ სახელმწიფოში.

ამ დროიდან მოყოლებული, ჯავახეთის ეკონომიური აღორძინება ვერ დარჩებოდა თმოგვის ციხისა, ან სხვა მცირე ადმინისტრაციული ცენტრების ანაბარა. ახლებურ ქვეყანას ახალი ეკონომიური ცენტრი სჭირდებოდა და გაჩნდა ახალქალაქი; გაჩნდა ქვეყნის შუაგულში, მნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაზე, სადაც გაქალაქებამ დაასწრო თავდასაცავ ზღუდეს. ახლა მთავარი თმოგვსავით მიუვალობა კი არ იყო, ან აუღებლობა, არამედ ქარავნების ადვილად მოსვლა[130]. ამის გამო ახალქალაქი თავიდანვე მკაცრად დაისაჯა, როცა ზღუდედაუმთავრებელი მიწასთან გაასწორა ალფ-არსლანმა; მაგრამ ამიტომვე იგი არაერთხელ აღსდგა და ბოლომდე შემორჩა, ადვილმისადგომობის გამო მრავალგზისი განადგურების მიუხედავად.

ახალქალაქის წარმოშობის ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი დასრულებული არ იქნებოდა, მას თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, საკუთარი „სამოქალაქო" რომ არ ჰქონოდა. ეს კი პირველ ყოვლისა უნდა ყოფილიყო ზემო ჯავახეთის S ნახევარი, რომელიც უშუალოდ ეკვროდა ახალქალაქს და გამოყოფილი იყო N ნაწილისაგან ფარავნის წყლის ღრმა კანიონით, შემდეგ კი სამსრის ქედიდან წამოსული წყალგამყოფი მთებით — ქორ-ოღლითა და ფულუთლუღით.

სწორედ ამ „ახალქალაქისა სამოქალაქოზე" იდო ის ძირითადი მაგისტრალები, რომლებიც ბიზანტიიდან და სომხეთიდან მოემართებოდა, აქედან— სამცხეში, ფარავნით—თრიალეთსა და თბილისისაკენ, კახეთისა და ირანისაკენ გადადიოდა.

ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქაც ცენტრის სახელი ნელ-ნელა გადავიდა მის „შესავალ ქვეყანაზედაც" (შდრ. „სამშვილდე", „დმანისი", „ლორე" — ქვეყნების მნიშვნელობით). ეს კარგად ჩანს XIV ს-ის ერთი საბუთიდან, სადაც დასახელებულია „ახალაქალაქის თავს სოფელი ოკამი"[131].

---

129 დ. ბერძენიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, „მაცნე", 1968, № 6, გვ. 107.

130 შეადარე ანალოგიური ამბავი: კლდეკარი და თრიალეთის ახალქალაქი.

131 ის. დოლიძე, ქსძ III, თბ. 1970, გვ. 177—178.

ოკამი სხვაცაა — შიდა ქართლში, ამიტომ ნიშანდობლივ საჩვენებლად ავტორი განსაზღვრავს — „ახალქალაქის თავსო“. აქ რომ ჯავახეთის ახალქალაქის მხოლოდ პუნქტი იგულისხმებოდეს, მაშინ ოკამიც მის სიახლოვეს უნდა იყოს; სინამდვილეში კი, იგი დაახლოებით 20 კმ-ზეა ახალქალაქის სამხრეთით, მისი რაიონის თითქმის საზღვარზე (შდრ. სხვა საბუთში — „დმანისის პირს სოფელი ორომაშენი“[132], — აქაც სოფელი ქალაქს დაახლოებით ასევეა მოშორებული).

ახალქალაქი თანდათან მთელი ზემო ჯავახეთის ცენტრი გახდა, რომლის N ნაწილზე გადიოდა უმოკლესი გზა თორით შიდა ქართლისაკენ და ტაბაწყურით — თრიალეთისაკენ. იყო მომენტი, როცა ეს გზა უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა საქართველოს მეფისათვის. სწორედ იმ დროიდან დაუმორჩილებდა ახალქალაქი თავის გავლენას ზემო ჯავახეთის N ნაწილსაც. ამიტომ, როდესაც თამარის ისტორიკოსი წერს: „გააგეს პირველად აღება ჯავახეთისა, თმოგვისა და ახალქალაქისა“ო[133], ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ მთელი ჯავახეთი თმოგვისა და ახალქალაქის შესავალ ქვეყნებადაა გაგებული.

შუაფეოდალურ ხანაში, გაერთიანებული საქართველოს მეფეებს ზემოაღნიშნული გზებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ. წერილობითი წყაროების ჩვენებებს აკონკრეტებს მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები, რომლებიც ამ გზების გასწვრივ გვხვდება. პირველ ყოვლისა, მკვლევართა ინტერესს იწვევს ფარავნის ქარვასლა, რომელიც ამჟამად დაზიანებული და გვიან გადაკეთებული სახით შემორჩენილა. 26 მ-ის სიგრძის სამნავიანი შენობა თაღებითაა დაყოფილი. შუა დერეფნიდან, ამ თაღების საშუალებით გვერდით სათავსოებში შევდივართ, მათი რიცხვი ხუთ-ხუთია ორივე მხრიდან. ადრე აქ ქართულწარწერიანი ლოდი ყოფილა, რომელიც ამჟამად დაკარგულია. ქარვასლა XII ს-ით არის დათარიღებული[134]. საინტერესოა, რომ ზურტაკეტიდან ჯავახეთს მომავალ გზაზე, ქედის მეორე — O მხარეს, ასევე ფუნდუკია აშენებული, რომელსაც ვახუშტი თამარ მეფის აგებულად თვლის ზამთრის მოგზაურთათვის[135]. ახალქალაქისაკენ მომავალ გზაზე იყო ორჯალარის, ყაურმისა და ბავრას ხიდები ფარავნის წყალზე, რომელთაგან ყაურმისა ახლაც მოქმედია, ორი დანარჩენის მხოლოდ ბურჯებია გადარჩენილი.

კიდევ ერთი ქარვასლის ნაშთს მიაგნო ჩვენმა ექსპედიციამ 1972 წელს პატარა სამსარში, რომელსაც გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ქვემო სამსარი ჰქვია (ზემო სამსარი მის N მხარესაა სამსრის წყლის ზემო დინებაზე). ამ მოზრდილი, სწორკუთხა შენობის ნანგრევი ხევის პირზე დგას, საიდანაც გზა კლდეში ნაკაფს მოჰყვება. ასეთივე კლდეკარია ზემო სამსრიდან ქვემოში მომავალი გზის პირასაც. ე. ი. ორ სამსარს შორის, ხევში გატანილი გზა კლდეკარებით ამოდიოდა სოფლებში, რომელთაგან ერთს გამოქვაბულთა კომ-

132 ის. დოლიძე, იქვე, გვ. 156.

133 ქ. ც. II, გვ. 51.

134 ნ. ბერძენიშვილი, სის, I თბ., 1964, გვ. 100—101; ლ. ჭილაშვილი, იქვე, II, თბ. 1970, გვ. 94.

135 აღწერა... გვ. 40.

პლექსი ხვდებოდა, მეორეს კი — ფუნდუკი. ნაგებობის წყობა და ზომები ძლიერ წააგავს ზურტაკეტის ქარვასლას და იმავე ხანისა უნდა იყოს.

აქაურ სოფლებში უფრო ადრინდელი ძეგლებიც გვაქვს: [illegible] რის გამოქვაბულთა კომპლექსი[136], ან ადრეფეოდალურ ქვაჯვარ[illegible] გზის გაყოლებაზე; მაგრამ შუაფეოდალურ ხანაში სამეფო ხელისუფლების მომეტებული ზრუნვის ნიშანი უნდა იყოს ეს ქარვასლაცა და მისი თანადროული მონასტრები, თუ დიდი სასოფლო ეკლესიები, რომლებიც ამ გზის პირებზე შემორჩენილა. საინტერესოა ისიც, რომ სამსრისა და ახალქალაქის ქარვასლებს შორის, დაახლოებით იგივე მანძილია, რაც ახალქალაქსა და ფარავნის ქარვასლას შორის; ეს კი ქარავნის ერთ დღიურ სავალს უნდა ეტოლებოდეს. ახალქალაქიდან გზა ხიდით გადავიდოდა ბავრასთან, სადაც ერთი მონასტერი იდგა, შემდეგ მაჭატიასთან შეხვდებოდა მეორე მონასტერს; სამსრის ქარვასლის მერე, გზა ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსს ჩაუვლიდა და ცივწყაროჯანჯლა-ბოჟანოთი, ტაბაწყურს მივიდოდა. ამ მონაკვეთს, მონასტრების გარდა, ციხეებიც ხვდებოდა შუაფეოდალური ხანისა. ტაბაწყურთან გზა ორად იყოფოდა: ერთი საპიტიახშოზე გავლით თრიალეთს გადადიოდა, მეორე კი, მიტარბით გუჯარეთ-შიდა ქართლში (იხ. ზევით).

მეორე გზა ახალქალაქიდან არაგვას მიდიოდა, სადაც ციხე იყო შუაფეოდალური ხანისა. აქედან სოფელ ხიდისჯვრის გავლით (მეტყველი სახელი: ხიდი + ჯვარი) მერონიასა და ლრტილას მივიდოდა; აქაც მონასტერი იყო, ერთხანს სამეფო სადგომიც, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული ტაბაწყურის გზასთან, ერთი მხრით, ციხისჯვარ-თორის გზასთან კი, მეორე მხრით.

ცხრაწყაროს უღელტეხილი გვიან გატანილი გზაა, ამიტომ ჯავახეთიდან თორში გადმოსვლა უმეტესად ციხისჯვრის გზით ხდებოდა, რომელიც გაცილებით დაბალია და ადვილად გადასალახი. საინტერესოა, რომ ამ გზაზე ახლაც მოქმედი, ბუნებრივი ცხელი აბანოა ციხისჯვრის მახლობლად... ეს გზა შარვაშეთის მთის გადავლით (ასე ჰქვია მას „ქართლის ცხოვრებაში") უძველესი გზა ჩანს, რაზედაც მეტყველებს ადრეფეოდალური ქვაჯვარები ციხისჯვარსა, თუ სირგვასთან. ამ უკანასკნელში VII ს-ის შესანიშნავი საყდარი დგას[137] და მის სიახლოვეს, მთელ ამ მხარეში ცნობილი ამაღლების სვეტი, კუბურ ბაზისში ჩასმული.

შუაფეოდალურ ხანაში ამ გზაზე წარმოიშვა დაბა-ქალაქი ბარალეთი, როგორც სავაჭრო-ეკონომიური პუნქტი, რაც გზის იმდროინდელ გააქტიურებაზე მიუთითებს.

ახალქალაქიდან არაგვას მოსული გზა, NW მიმართულებითაც განიტოტებოდა, აქედან ხანდო-ვარევან-ალასტანით და გოკიაზე გავლით სამცხეში გადადიოდა, ტამალა-ასპინძაში. ეს გზაც ძველი ჩანს მატერიალური კულტურის ძეგლებით (ხანდოს ქვაჯვარანი და ეკლესია, ცხიას კოშკები, ალასტნისა

136 გ. გაფრინდაშვილი, იქვე, „ძეგლის მეგობარი", 3, 1964, გვ. 4—9.

137 ნ. ჩუბინაშვილი, ჯავახეთის ადრე შუასაუკუნეების..., ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია, თბ., 1974, გვ. 17.

და გოკიის ეკლესიები, კოხტას ციხე ადრეფეოდალური ხანისა), მაგრამ სწო-რედ შუაფეოდალურ ხანაზე უნდა მოდიოდეს გოკიის გადაქცევა დაბა-ქალა-ქად ბარალეთის მსგავსად, რომლის სიახლოვესაც ალასტანი ე. [illegible] ციის მეფეთა“ რეზიდენცია გახდა...

მას შემდეგ, რაც ჯავახეთი სამეფო დომენად იქცა, მეფის აქაურმა რე-ზიდენციამ რამდენიმეჯერ იცვალა ადგილი, რაც გაპირობებული იყო ქვეყ-ნის საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკური სიტუაციით. პირველად ასეთ სამე-ფო სადგომად წყაროებში დლივი ჩანს —არტან-ტაო-კლარჯეთის გზაზე მდე-ბარე, მაგრამ შეიცვალა თუ არა ბიზანტიასთან ურთიერთობა და გართულდა მეზობელ პროვინციებთან კავშირი — XI ს-ში გაჩნდა ახალი რეზიდენცია— ღრტილა ჯავახეთის N ნაწილში.

ბაგრატ IV-ის ლიპარიტთან ბრძოლის ისტორიიდან ჩანს, რომ ჯავახეთის ღრტილაა ის თავშესაფარი, სადაც მეფე ყოველ კრიტიკულ მომენტში მო-დის. ეს მიუთითებს აქ გამავალი ჯავახეთ-თორის გზის მნიშვნელობის გაზრ-დაზე, რომლითაც მეფე შიდა ქართლს ჩამოდიოდა. ეს კი თავისთავად დაკავ-შირებული იყო მეფისათვის თრიალეთის დაკარგვასთან, სადაც მისი მრისხა-ნე მტერი გაბატონებულიყო. ამავე დროს, დლივს ბაგრატისათვის იმიტომაც ეკარგებოდა მიმზიდველობა, რომ იგი ტაოსთან ურთიერთობაში იყო მოხერ-ხებული, ტაოელებს კი ამ დროს ბიზანტიელები ამხედრებდნენ ბაგრატის წი-ნააღმდეგ. აღმოსავლეთით (თრიალეთი) და დასავლეთით (ტაო) მეფისათვის გზადაწყვეტილი დლივი, ბუნებრივია ღრტილათი შეცვალა ბაგრატ IV-მ, საი-დანაც სამცხესთან ურთიერთობაც მოხერხებული ჩანდა.

1046 წ. ღრტილაში მომხდარა შეკრება-პაექრობა ქართველ და სომეხ მო-ძღვართა შორის, სადაც ექვთიმე იერუსალიმელი სოსთენის წინააღმდეგ გა-მოსულა. როგორც მოგვითხრობს აგიოგრაფი „იქმნა კუალად კრებაჲ ღრტი-ლას არა ვიდრემდე სამღუდელო, არამედ უფროსღა სამხედრო“.. აქ მდგარა ამ დროს ბაგრატ IV სამეფო კარით, აქ ყოფილა მაშინ მისი „პალატი“[138].

ღრტილაში ახლა მხოლოდ შუაფეოდალური საყდარია შემორჩენილი. ძველი დეტალების მიხედვით ეტყობა, რომ აქ ადრეფეოდალურ ხანაშივე მნი-შვნელოვანი საყდარი იყო, რომელიც შემდეგ არაერთგზის განუახლებიათ. ად-რეფეოდალური ხანისავე ძეგლები გვაქვს მეზობელ სოფლებშიაც (სტელა-ქვა-ჯვარები, რელიეფები), ციხე კი არც აქა ჩანს, თუ მხედველობაში არ მივი-ღებთ მერონიის გალავანს გორაკზე, სადაც უფრო ადრინდელი ხანების კერა-მიკა ჩანს... საინტერესოა ჯავახური სამეფო სადგომების ეს ხაზგასმული უცი-ხობა დლივში, ღრტილაში, ბოჟანოსა, თუ ალასტანაში. ჩანს, მეფეები ამ პუნქ-ტებს განიხილავდნენ, როგორც დროებით სადგომებს, სადაც საომარი მოქ-მედებისას ხანგრძლივად დარჩენა არ იყო მიზანშეწონილი.

1046—1047 წწ. ლიპარიტ ბაღვაშთან ბრძოლის დროს ბაგრატი ღრტი-ლას მოვიდა ქართლიდან, სადაც მაწყვერელმა მესხნი მოაშველა. „ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა“. მაწყვერელმა ბაგრატს უღალატა; „ვი-თარ ცნა ესე მეფემან, ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდაიარა შარვაშეთი და

---

138 მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 615—621; კ. კეკელიძე, ქარ-თული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 495

ჩავიდა ქართლს“[139]. ეს გადასვლა უნდა მომხდარიყო სწორედ ციხისჯვრის უღელტეხილით, ღრტილა-ღადო-მოდიგანისა და ჭარულის გავლით.

ამ ბრძოლების შედეგად ლიპარიტი აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტიური პატრონი გახდა, მასვე ემორჩილებოდა, როგორც ჩანს, მთელი სამხრეთ საქართველო 1057 წლამდე. ასეთ პირობებში ჯავახეთს თავისი ერისთავი ეყოლებოდა ფარსმან თმოგველის სახით, რომელიც ლიპარიტს ვითარცა მთავარს ექვემდებარებოდა. ამ დროინდელია ზედა ვარძიის წარწერა, სადაც მხოლოდ ლიპარიტი იხსენიება.

„მცირედისა ჟამისა შემდგომად ამის სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი. სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და შეიპყრეს ღლივს ლიპარიტი და ძე მისი ივანე“. შეპყრობის მომენტშიც ლიპარიტი მთელ ჯავახეთს პატრონობს, იგი ღლივში ზის, ხოლო ბაგრატის ძე, მეფედ ნაკურთხი გიორგი და მამიდამისა გურანდუხტ — ღრტილაში, ისინი ლიპარიტს თანვე ჰყავს ჯავახეთში, რადგანაც იგი გიორგის გამზრდელად იყო დანიშნული ბაგრატის ბიზანტიაში ყოფნის დროს.

როცა ლიპარიტს და მის ძეს შეიპყრობენ, გურანდუხტ დედოფალი და გიორგი ღრტილადან გადმოყავთ ახალქალაქში, როგორც ჯავახეთის ცენტრში და აქ მოელიან ბაგრატს[140]. ამ ნაბიჯით ხდებოდა დემონსტრირება ჯავახეთის ავტომატურად სამეფოდ გადაქცევისა.

ჯავახეთის სამეფოდ ქცევა კარგად ეტყობა აქაურ წარწერებსაც: კუმურდოს, ფოკას, ღულალისის, მაჭატიას ეკლესიებს შერჩენიათ ბაგრატის სახელი. ზედა ვარძიაში კი, ლიპარიტის წარწერის გვერდით, საღებავით შესრულებულ წარწერაში ბაგრატი მოუხსენებიათ. ჩანს მცხეთის საკათალიკოსო სოფლების გამრავლებაც—ხშირად იხსენიება იოანე ოქროპირი ქართლის კათალიკოსი. ფოკაში გვხვდება ბავრელი—ჯელოსანი ოქროპირისა, ე. ი. საკათალიკოსო სოფლების მოურავი[141].

გიორგი II-ს დროს ჯავახეთს სრულად ფლობს მეფე. მაშინ დაიბრუნეს ქართველებმა ბიზანტიელთა მიერ გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის მეფობაში „წაღებული“ ციხეები. რომელი იყო ჯავახეთში ასეთი ციხეები, არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში თმოგვი ქართველებს ჰქონდათ. 1073 წ. გიორგის განუდგნენ „თავადები“ (ვახუშტით — „ერისთავნი“); მეფემ ისინი საჩუქრებით დააწყნარა და „ნიანიას (ქვაბულის ძეს—დ. ბ.) მისცა თმოგჳ და სხუანი საქონელნი რჩეულნი“. აქ არ ჩანს რა პირობითაა მიცემული თმოგვი, უნდა ვივარაუდოთ, რომ — საერისთავოდ; ნიანია ქვაბულის ძეს და მის შთამომავლებს სჭერიათ თმოგვი ამის შემდეგაც. ივანე ლიპარიტის ძე კი მეფე გიორგიმ სამშვილდიდან ჯავახეთს გადმოიყვანა „მათ წინაშე, და დაიფიცნეს ეკრანთას და დაიმტკიცა ივანე კლდე-კართა და სამშკლდესა ზედა“[142].

ტაბაწყურის მახლობლად სოფელ ჯანჯლა-ბოჟანოს მიდამოებში დადასტურებულია ტოპონიმი კარანთა. იგი იცის გურჯისტანის ვილაიეთის დავთარ-

139 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 300.

140 ქ. ც. I, მატიანე, გვ. 304—305.

141 ნ. ბერძენიშვილი, სის, I, თბ., 1964, გვ. 94—95.

142 ქ ც. I, მატიანე, გვ. 316—317.

მაც[143]. ეს უნდა იყოს წყაროში მოხსენიებული პუნქტი. აქვე აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელს „აგვისტოს ოცსა“ „ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა“, ანელმა თავადებმა „მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა“[144]. ეს [illegible] მეზობლად მყოფი სოფელი ბოჟანოა, ცნობილი თავისი წყაროებით [illegible] ყოფილა გიორგი II-ისა და დავითის საზაფხულო სადგომი. საინტერესოა მეფეთა საზაფხულო რეზიდენციათა ცვლა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ: დლივი, ღრტილა, ბოჟანო. ჩანს ქართველ მეფეთა მომატებული ინტერესი თბილის-შიდა ქართლისადმი.

ბოჟანო შესანიშნავია თავისი მდებარეობითა და ბუნებრივი პირობებით. თრიალეთისა და თორის საზღვრად მყოფი ეს პუნქტი, მთებით მოზღუდული დიდველის პირზეა გაშლილი, სადაც მრავალი წყარო მთელი ხევის სათავედ გამოდის (ჯანღის წყალი). ამასთანავეა კავშირში ტოპონიმი ცივწყარო, რომელსაც იცნობს დღევანდელი მოსახლეობა და გვხვდება წერილობით წყაროშიაც[145]. იგივე გარემოს ახასიათებს ნასოფლარის სახელი ლეკნარი, წარმომდგარი ხის ჯიშისაგან (клен), ე. ი. ადგილი, სადაც ლეკის ხეებია[146].

აქაურ ნასოფლარებში, ადრეფეოდალური ხანის ძეგლები შუაფეოდალური ეპოქის მძლავრი აღდგენის კვალს ატარებს, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს უსახელო სამონასტრო კომპლექსში. გალავნის შიგნით მონასტრისა და სხვა სათავსოთა ნაშთებია; საყდრის წყობაში ჩანს როგორც ადრეფეოდალური რელიეფები „ბოლნური მედალიონებისა“, ხეზე გამობმული, ერთმანეთის მომზირალი ლომებისა და ფრინველებისა, ისე შუაფეოდალური ხანის წნული ორნამენტებიც; ჯვრიან ლოდზე ნაკლული, ასომთავრული წარწერაა: „..ნათლისმცემელო, შეიწყალე კ... ას ძე“... გამოდის, რომ მონასტერი ნათლისმცემლის სახელობისა ყოფილა.

დავითისა და დემეტრეს მეფობის წლებს მიაწერს ისტორიკოსი თურქთაგან აოხრებული სამხრეთ საქართველოს მოშენებას, სადაც მხოლოდ ციხეებსა და ქალაქებში იყოს მოსახლეობა; „სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქუენა არტანი და ზენა არტანი ამათსა მფლობელობასა შინა აშენდა და ტაოს ნაპირნი“[147].

სწორედ მეფეთა-მეფე დემეტრე იხსენიება საროს ციხის წარწერაში, სადაც ციხის მშენებლობაზეა საუბარი. აქ ნათქვამია, რომ მეფემ ვაჩეს, რეჯი მამულობით უბოძა, მან კი ციხის შესავალად აქცია მაჭას (მაჭატიას?) მამული. აქვე ნახსენებია ე˜ევი, რომლის სახელი არ ჩანს.

XII ს-ის მეორე ნახევრიდან ჯავახეთის საუფლისწულო დომენის გამგებელ ერისთავებად თორელები ჩანან: სტეფანოზ ორბელიანი გიორგი III დროს გამდგარ დიდებულებში ასახელებს კახასა და მის შვილებს, დიდ გამრეკელს, რომლებსაც იგი „ჯავახელებს“ უწოდებს[148], სწორედ ჯავახეთის ერისთავობის გამო.

1177 წ. გიორგი მეფის საწინააღმდეგო განდგომაში მონაწილეობისათვის,

143 ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 287.
144 ქ. ც. I, დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.
145 ქ. ც. II, ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ილი, გვ. 349.
146 ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 148.
147 ქ. ც. I, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 365.
148 Պատմութիւն Նահանգին Սիսական, Թիֆ. 1911, გვ. 384.

თორელებს თმოგვი ჩამოერთვათ და იგი გადაეცა აფრიდონს, რომელი[illegible] „მიიწია მსახურთ-უხუცესობამდის, თმოგვსა და სხუათა ციხეთა [illegible] ნათა პატრონობამდის“[149]. იგი ყოფილა თრიალეთის ერისთავთ[illegible]

„და ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი და თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა... და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი“[151]. ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ აფრიდონის დამხობის შემდეგ გამრეკელ თორელისათვის თმოგვი დაუბრუნებიათ. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ კი ეს ციხე მიუციათ მხარგრძელთათვის. თმოგვის ეს ხელიდან ხელში გადასვლა ნიშნავს ამ ციხის ქვეყნის გადაცემასაც.

მოგვითხრობს რა მონაპირე ერისთავების შესახებ, ბასილი ეზოსმოძღვარი წერს: „ამოლმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი, სადათ ზაქარია და ივანე დაიწყეს პირველად ბრძოლა ლომურად ზემოთ და ქუემოთ.. და ზემოთ ჯავახეთი, სადა სარგის მჯარგრძელივე თმოგუელი და შალვა თორელი მონაპირეობდეს. ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირეობდეს“[152]. აქედან კარგად ჩანს, რომ ჯავახეთში ამ დროს ორი მონაპირე ერისთავი ყოფილა: თორელი— ზემო ჯავახეთის ერისთავი, ცენტრით ახალქალაქში და სარგის მხარგრძელი — „ქვემო ჯავახეთში“ ცენტრით თმოგვში.

არდაველზე სალაშქროდ თამარმა მოუწოდა „მესხთა, თორელთა, თმოგუელთა, ჰერ-კახთა, სომხითართა; ქართველნი არა წარიტანნეს“[153]... აქ თემობრივად დასახელებულია საქართველოს სხვადასხვა ქვეყნების მკვიდრნი, სადაც თორელნი ზემო, ხოლო თმოგველნი — „ქვემო ჯავახეთის“ ლაშქარს ნიშნავს. ეს წყვილი „თორელნი და თმოგუელნი“ შემდეგაც ხშირად იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ და ყოველთვის ჯავახეთის ორი ნაწილის აზნაურ-დიდებულებსა და მათ „ერს“ აღნიშნავს[154]. სწორედ ამიტომაა, რომ თორელების—შალვასა და ივანეს სახელები, მხოლოდ ზემო ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებულ წარწერებში შემოგვრჩენია: ახალქალაქსა და ვაჩიანში, განძანის, სულდისა და კვარშას ეკლესიებზე.

მემატიანე მოგვითხრობს ვარძიის მშენებლობის შესახებ თამარის დროს, საიდანაც ჩანს, რომ ზემო და ქვემო ვარძია ადრევე არსებულა (ზემო ვარძიის ღვთისმშობელი აშენებულია XI ს-ში), თამარს დაუსრულებია მამის დაწყებული და ღვთისმშობლის სალოცავი ზემო ვარძიისა შეუცვლია ქვემო ვარძიის ღვთისმშობლით. საინტერესოა, რომ ეს სამეფო მონასტერი სპეციალურად გაუმაგრებიათ მტრისაგან დასაცავად და შეუწირავთ მრავალი სოფელი[155], რომელთაგან პირველ რიგში, ალბათ, მონასტრის ირგვლივ მყოფი სოფლები იქნებოდნენ. შესაძლოა ამაზე მიუთითებდეს ნასოფლარი „ნავარძიები“ გოგაშნის მახლობლად.

სამეფო მონასტერი ყოფილა ამ დროს ვანის ქვაბებიც, რომლის კარიბჭის წარწერაში მეფე თამარი და ანტონ ჭყონდიდელი იხსენიება[156].

149 ქ. ც. II, ისტორიანი და აზმანი, გვ. 30.
150 ИКОМАО, III, გვ. 55.
151 ქ. ც. II, ისტორიანი და აზმანი, გვ. 55.
152 იქვე, ბასილი, გვ. 129.
153 იქვე, ისტორიანი და აზმანი, გვ. 102.
154 იქვე, ჟამთააღმწერელი, გვ. 195, 306, 308 და სხვ.
155 ქ. ც. II, ისტორიანი და აზმანი..., გვ. 90—91.
156 ნ. ბერძენიშვილი, სის, I, 1964, თბ., გვ. 116—118.

მონასტრის აშენების შემდეგ გახშირდა თამარისა და მისი კარის აქ ყოფნა; რუქნადინთან საომრად „მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს. და მოვიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა ღვთისმშობლის წინაშე“[157]. როგორც ვხედავთ, „ნიკოფსით დარუბანდამდე“ სპის შესაყრელად ჯავახეთია არჩეული არა მარტო მისი სამეფო დომენობის გამო, არამედ გზათა სიმრავლისა და ცენტრალურობის გამოც, საიდანაც ადვილად მივლენ ბასიანს.

გიორგი ლაშა ჯავახეთის მხოლოდ ორ წარწერაში გვხვდება — პრტენას „ჭელისა“ და ბარალეთის ეკლესიაზე. პირველში ის თამართან ერთად იხსენიება, მეორეში კი, ეკლესიის აგება მისი მეფედ დაჯდომით არის დათარიღებული[158]. ლაშას ჯავახეთისადმი დამოკიდებულების განსაკუთრებულობა ხაზგასმულია მისი სახელით მოჭრილი ფულის ზედწერილში, სადაც ჩანს „გიორგი მეფე თამარის ძე, ჯავახთუფალი“. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ჯავახეთი ის პროვინციაა, სადაც მთლიანი საქართველოს მეფე-უფლისწული განსაკუთრებით ჯავახთუფალია. ამ პირველი „ალასტანელის“ მეფედ დაჯდომა განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ჯავახეთში, რომლის „უფალი“ ის აქამდისაც იყო[159].

XIII ს-ის დასაწყისიდან თმოგვის გამგებელი მხარგრძელები ეპატრონებიან ვაჰანის ქვაბებსაც, სადაც საგვარეულო მონასტერს განგებას უდებენ. ამით ისინი ქმნიან საფეოდალო სამამულოს, რომელშიც საკუთრივ თმოგვის გარდა შედიოდა თმოგვის ქვეყანაც, ე. ი. ძველი ქვემო ჯავახეთი სამეფო საკუთრების გარდა. ეს კარგად ჩანს ვაჰანის ქუაბთა განგებით, სადაც თანდართულ, გვიანი ხანის ალაპ-მინაწერებში, მრავლად იხსენიება მონასტრისადმი შეწირული მიწები სოფლებში: ზედა ვარძიას, თმოგვს, კუმურდოს, ტოლოშს, ფიას, მირაშხანს, ერკუატას, ჰაჰკარსა და სხვ.

აქ უკვე ჩანს, რომ ჯავახეთის საუფლისწულო დომენს, რომელიც თორელთა საგამგებლო საერისთავო იყო, ამ დროისათვის გამოეყო თმოგვის ქვეყანა, სამამულო საფეოდალოს სახით. თმოგველებად იწოდებოდნენ სარგის[160], თაყაიდინი, მხარგრძელი, სარგის II—„კაცი მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი“...

ასეთივე სამამულოს მფლობელი უნდა ყოფილიყო იჩქით გურგენის ძე, რომელიც წუნდის XII—XIII სს. წარწერაში ხაზს უსვამს ფეოდალური მფლობელობის სამამულო პრინციპს[161].

თორელთა საგამგეო ჯავახეთი, მონგოლთა შემოსვლის დროსაც თორელებს დარჩათ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან ერთად; მონგოლთაგან დუმნებად დაყოფილ საქართველოში „ვარამ გაგელსა ჴელთ უდვეს ყოველი სომხითი; გრიგოლ სურამელსა ქართლი, და გამრეკელსა თორელსა... ჴელთ უდვეს ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქამდე“[162].

---

157 ქ. ც. II, ისტორიანი და აზმანი... გვ. 94—95.

158 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა... თბ., 1959, გვ. 66, 52.

159 ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 145—147.

160 თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა... თბ., 1896, გვ. 44—49; ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, თბ.. 1939, გვ. 10.

161 ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 129.

162 ქ. ც. II, ჟამთააღმწერელი, გვ. 208.

უნდა ითქვას, რომ თორელთა გამგებლობამ ახალქალაქსა და ახალციხეში ერთგვარად შეცვალა პოლიტიკური გეოგრაფია: გააფართოვა ჯავახეთი მეზობლების ხარჯზე. ეს რა თქმა უნდა ერთბაშად არ მომხდარა, და ჩანს თანდათან გამოიკვეთა თორელთა ბატონობის რამდენიმე თაობის მანძილზე.

XII ს-ის მიწურულს პალაკაციო ჯავახეთში შედიოდა ადმინისტრაციულად. ის ჯავახეთის ერისთავის „სანაპიროს“ წარმოადგენდა, სადაც გამრეკელ კახას ძე შემოსეულ თურქებს ამარცხებს[163].

1260—61 წწ. მურვან მახუნჯაგის ძემ ალათემური და მისი ლაშქარი სამცხეში მოიყვანა. აქედან სარგის თმოგველს და ჯაყელის ლაშქარს უხმო ალათემურის შესაპყრობად. „სცნა ესე ალათემურ, აიყარა... და გამოვლო მტკუარი და მომართა ჯავახეთით კერძო“[164]. როგორც აქედან ჩანს, ჯავახეთი ავტორს მტკვრის მარჯვნივ ეგულება; ჯავახეთის მხარეშია დასახელებული ელასის ალმართიცა და ოშორას ხევიც, რადგან თმოგველიც სწორედ აქ დახვდა მტერს... ეს პუნქტები ყველა ასპინძის ჩრდილოეთითაა და სამცხეს ეკუთვნის, ამ დროს კი ჩანს, ჯავახეთში ითვლებოდა.

მეორე ადგილას ჯავახეთის საზღვარი აწყურამდეა გაზიდული; აწყურთან ფონის მერე პირდაპირ ჯავახეთი იწყება, სადაც ახალქალაქის ერისთავის, კახა თორელის ჯოგი ძოვს; აქვეა მონგოლთა ჯოგებიც[165].

კახა თორელის შემდეგ, როგორც ჩანს, ჯავახეთის ერისთავობა გადადის თორელთა საგვარეულოს ლობიართა შტოზე. ლობიეთი, სამცხის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ნასოფლარი, ახალციხიდან 15—20 კმ-ზე მდებარეობს, რუსთავის ახლოს, მტკვრის მოპირდაპირე — მარცხენა მხარეს სოფელ ზრზველთან. სახელი ამ გვარს მიუღია ადგილის სახელიდან. ჯვარის მონასტრის ალაპებში მოხსენებულია „ლობიარი გამრეკელი ერისთავთ-ერისთავი“[166], რომელიც XIII ს-ის მეორე ნახევარს არ გადასცდება. ნ. შოშიაშვილის აზრით, ეს გამრეკელი როგორც სახელის, ისე სამფლობელო ადგილის მიხედვით თორელია და უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ ამ დროიდან ჯავახეთის ერისთაობა ლობიარებს მიუღიათ — ვითარცა თორელთა საგვარეულოს განშტოებას[167]. ამიტომაც ჟამთააღმწერელი მათაც თორელობით მოიხსენიებს თმოგველთა გვერდით.

კორიდეთის სახარების ერთ-ერთ მინაწერ საბუთში XIII ს-ის მიწურულისა გვაქვს ცნობა მტრობა-შუღლისა ლობიარებსა და ჯაყელთა გვარის ერთ შტოს შორის. აქედან ჩანს, რომ ლობიარებს მათთვის კორიდეთი დაუწვავთ[168], ცხადია, ეს ბრძოლა ამ ორ მეზობელ გვარ შორის სამამულო ნიადაგზე უნდა გამწვავებულიყო. ცხადი ხდება, რომ ჯაყელთა საგვარეულოს სამფლობელოები უშუალოდ ემეზობლებოდნენ ამ დროს თორელებისას. XIV ს-ის დასაწყისამდე ლობიარები ერისთავები ჩანან (უკანასკნელად ვხვდებით მურვან ლობერს, მოხსენებულს ჯვარის მონასტრის ალაპებში — იქვე 95).

---

163 ქ. ც. II, ჟამთააღმწერელი, გვ. 38.

164 იქვე, გვ. 252.

165 ქ. ც. II, ჟამთააღმწერელი, გვ. 265—266.

166 ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 75.

167 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია... კრებ. „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 49.

168 Н. Я. Марр, Грузинские приписки... Известия Импер. Академии Наук, 1911, № 4.

XIII ს-ის ბოლოდან იწყება სამცხის ათაბაგის ჯაყელის სამფლობელოების თანდათანი გაფართოება, რაც 1266 წელს ცალკე სამთავროდ გამოყოფიდან დაიწყო. „მაშინ ბექამან დაიპყრა ქვეყანა ტასისკარითგან ვიდრე ქალაქამდე, სამცხე, აჭარა, კლარჯეთი, და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“[169]. აქ პირველად ჩანს სამცხის ათაბაგის მიერ მიტაცება ჯავახური სოფლებისა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მთელი ჯავახეთის დამორჩილებას, რომელიც, ჩანს, ჯერ კიდევ საუფლისწულოდ რჩებოდა. ბუნებრივია ვიფიქროთ ჯავახეთის „მრავალი სოფლებიდან“ ბექა ჯაყელი პირველად სწორედ თავისი საგამგეოს — სამცხის მეზობელ სოფლებს დაეპატრონებოდა.

1302 წ. თურქთა შემოსევის დროს ბექამ „მოუწოდა ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა, ტასისკარითგან ვიდრე ბასიანამდე: მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტან-კარნიფორელთა, და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ ამას აქუნდა ესე ყოველი ქუეყანა, ამათ თანა თმოგუელთა და თორელთა და შეკრბა სიმრავლე ერთი ბევრი და ორი ათასი[170]. აქ ბექას ქვეშე დაწესებულნი მთელი სამხრეთ საქართველოა ჯავახეთს გარდა. თმოგველნი და თორელნი ამ ბექას საქონებელ „ყოველ ქუეყანაში“ არ შედიან, რადგან ისინი „ამათ თანა“ ყავს დასახელებული ავტორს. ჯაყელების სამფლობელო — სამცხე კოხტასთავამდეა მოსული[171], იგი კი ასპინძის მახლობლადაა.

იმავე ხანებში სულტანმა გიორგი მეფე საბერძნეთს სალაშქროდ გაისტუმრა. მას თან „იახლნეს ჯავახნი და თორელნი, რაოდენნი ყვეს“[172]. მოტანილი მაგალითები მოწმობს, რომ საუფლისწულო ჯავახეთი ჯერ ისევ თორელთ ექვემდებარება, თუმცა კი ჯაყელის სამფლობელო სამცხე, ჯავახეთის ხარჯზე ფართოვდება. თორელების ნაწილი მეფეს ემორჩილება, ნაწილი კი ჯაყელთა ბატონობაში შედის.

XIV ს-ის დასაწყისში ლობიარებიც კარგავენ ერისთავობას; მათი მამული ჯაყელთა სამთავროში უნდა შესულიყო, სადაც შემდეგ დიასამიძენი გაბატონდნენ[173].

1308 წლით თარიღდება ღრტილას ეკლესიის ერთი წარწერა, სადაც თმოგველთა ქალი რუსუდანი იხსენიება, ცოლი ქვეშელი ლიპარიტისა, რომელიც თორელთა გვარს ეკუთვნოდა.

XIV ს-ის I ნახევარში თმოგველებიცა და თორელებიც ჯავახეთიდან ქართლში გადავიდნენ. თმოგვი და ვაჰანის ქვაბნი ღარიბასძეებს დარჩათ. თმოგვის წარწერა 1350 წლისა მიუთითებს, რომ მისი გამკეთებელი მურვან კითხას ძე, დავით მეფის ვარძიელი საწოლის მწიგნობარია და მაშასადამე მისი მოხელე.

---

169 ქ. ც. II. ჟამთააღმწერელი, გვ. 273.

170 იქვე, გვ. 812.

171 იქვე, გვ. 324.

172 იქვე.

173 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური..., გვ. 49.

ამავე მეფის მოლარეთუხუცესია ზაქარია ქამქამისშვილის ძე, რომელიც ხერთვისის 1356 წლის წარწერაში, კოშკისა და გალავნის მშენებლადაა სახელებული, ე. ი. ხერთვისის მფლობელი ფეოდალია.

XIII—XIV ს-შივე, ჯავახეთის ალასტანი—პუნქტი მდებარე მნიშვნელოვან გზასაყარზე, იქცა ე. წ. „პროვინციის მეფეთა“ ერთი შტოის სამფლობელო. პირველად წყაროებში მოხსენიებულია „ალასტანელის შვილი დავით“, რომელიც გიორგი ლაშას უკანონო შვილი იყო. აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ შესაძლოა ამ დავითის დედა იყო ალასტანიდან, ან ეს ალასტანი მიეცა საცხოვრებლად დავით ლაშას-ძის დედას[174]. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, პირველი ალასტანელი ლაშა გიორგი იყო (იხ. წინ).

„ძველი ერისთავთა“ მოგვითხრობს, რომ XIV ს-ის დასაწყისში ვახტანგ III-მ დავით VIII—თავის ბიძას. „მისცა ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუელეთით“[175]. უკანასკნელ „ალასტანელად“ გიორგი მეფე იხსენიება, რომელიც 1373 წ. მოკლეს თურქებმა[176], მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სახელი სხვა უფლისწულებსაც უტარებიათ.

ალასტანში, ჩანს, ადრეფეოდალური საყდარი ყოფილა, რომელიც შუაფეოდალურ ხანაშია გადაკეთებული. აქაური წარწერები ქვის შემწირველთა სახელებით XIII—XIV ს-ისა უნდა იყოს[177].

1415 წ. ალექსანდრე მეფესა და ივანე ათაბაგს შორის მოხდა ომი კოხტას თავს[178]. აქედან ჩანს, რომ ჯავახეთი ჯერ ისევ სამეფო იყო, ხოლო საზღვარი სამცხესთან აქვე გადიოდა.

XV ს-დან ჯავახეთს იმორჩილებენ ჯაყელები, ამაზე მიუთითებს ვარძიის წარწერაც 1444 წ., სადაც ივანე ათაბაგი იხსენიება[179]. 1483 წლის ქვეშ ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს, რომ თავის ვაჟრის შეურაცხყოფით განრისხებულმა ყვარყვარე ჯაყელმა „ხუთასითა რჩეულითა სპითა, გარდმოვლო ფარავანი, ჩამოვლო დმანისი უმასპინძლეს ორბელიანთა“[180]. იმისათვის, რომ ფარავანს მოსულიყო, ყვარყვარეს მთელი ჯავახეთი უნდა გამოევლო თავისი ლაშქრით; იგივე ყვარყვარე უნდა იხსენიებოდეს ქარცების წარწერაშიაც[181]. ცხადია იგულისხმება, რომ ეს ქვეყანა უკვე მას ემორჩილებოდა. ამ დროიდან აღარ იხსენიება ალასტანელი უფლისწულები, ჩანს საუფლისწულო აღარ არსებობს და ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოში შედის. ეს უნდა მომხდარიყო ალექსანდრეს შემდეგ, 1460-იან წლებში, როცა ყვარყვარე II-მ გიორგი VIII დაატყვევა.

---

174 ივ. ჯავახიშვილი, ქეი, III, თბ., 1966, გვ. 126—127.

175 ის. დოლიძე, ქსძ II, თბ., 1965, გვ. 105.

176 ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, წვრილი შტუდიები, ტფ., 1914, გვ. 21—23.

177 ნ. ბერძენიშვილი, სის, I, თბ., 1964, გვ. 157—158.

178 ქ. ც. IV, ვახუშტი, გვ. 279.

179 კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია, ვარძია, თბ. 1955, გვ. 20.

180 ქ. ც. II, ბერი, გვ, 346.

181 ნ. ბერძენიშვილი, სის, I, თბ. 1964, გვ. 114.

ბრძოლა მეფესა და ათაბაგს შორის თანდათან ათაბაგის მხარეს იხრებოდა, ჯავახეთიც მას დაექვემდებარა და ჯაყელებმა გადაწყვიტეს თავისი სამთავროსათვის ეკლესიური დამოუკიდებლობაც მოეპოვებინათ[182]. ქართლის კათალიკოსთან ამ მარცხიანი ბრძოლების კვალი კარგად ჩანს იმ მრავალრიცხოვან საბუთებში, სადაც სამცხეთო მამულების ხელშეუვალობაა დადასტურებული, ეპისკოპოსთა ფიცის წიგნებში, სადაც ერთგულების პირობებია ჩამოთვლილი; ასეთებია ლასურიძე კუმურდოელის (1453—59 წ.), გერასიმე კუმურდოელის (1500—1503), ზოსიმე კუმურდოელის (1519—29 წწ.), ერთგულების წიგნები და ვარძიის წინამძღვრის ერთგულების წიგნი (XVI ს-ის დასაწ.), სადაც ვკითხულობთ: „აწ დღეს და დღეისის უკანის ვიყუნეთ თქუენი ერთგულნი და მადიდებელნი, როგორც დღეთა მისთა... არც უმცხეთოდ ჩუენი მღვდელი და დიაკონი იკურთხებოდეს. არც რა ჯავახეთს დანიალის ყურს ვისაქმოთ სამწყსოობისა პირზედა. და ვიყვნეთ თქუენის ბრძანებისა მორჩილნი“[183]. აქ ნახსენები ჯავახეთი და ნიალის ყური ცხადია სამცხეთოა „სამწყსოობისა პირზე“, მაგრამ თვითონ კუმურდოელიც მთელი თავისი სამწყსოთი მცხეთას ემორჩილება. ეს კარგად ჩანს XVI ს-ის დასაწყისის ნუსხაში, სადაც ჩამოთვლილია კათალიკოსის ხელქვეშეთი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში:

...„2. კუმურდოელის სამწყსო: ხერთვისს ზეით სულ ჯავახეთი ხავეთამდე.

...7. წყაროსთაველის სამწყსო: ზავეთი (ხავეთი — დ. ბ) და იმას ზეით პალაკაციო კოლას სამზღურამდინ, მტკვარს აქეთი არტაანი.

8. ერუშნელის სამწყსო: ტლაოშს ზეითი, სულ არტაანი კოლის სამზღურამდინ“[184].

კუმურდოელის სამწყსოში შემავალი „ხერთვისს ზეით სულ ჯავახეთი“ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მხოლოდ ესაა ჯავახეთი, არამედ ისე, რომ ესაა მხოლოდ კუმურდოელის სამწყსო ჯავახეთი. რომ ეს „სულ“ მთლიანად ჯავახეთს არ ნიშნავს, ჩანს აქვე: წყაროსთაველის სამწყსოში მითვლილია „მტკვარს აქეთი არტანი“, ხოლო ერუშნელის სამწყსოზე ნათქვამია „სულ არტანი კოლის სამზღურამდი“-ო. ცხადია ამის მერე, ერუშნელის სამწყსოში მთლიანად არტანს არ გულისხმობს ავტორი, ისევე, როგორც კუმურდოელისაში მთელ ჯავახეთს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერუშნელის სამწყსოს საზღვრად დადებული „ტლაოში“ („ტლაოშს ზეით“) ექვთ. თაყაიშვილს სოფ. ტოლოში ჰგონია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ასეთ შემთხვევაში გამოვიდოდა, რომ მტკვრის მარცხენა სანაპირო, ჯავახეთი ნიალის ველითა და ერუშეთთან ერთად, ქვემო არტანის ბოლომდე, ერუშნელის სამწყსოში უნდა აღმოჩენილიყო. ჯერ ერთი ეს უზარმაზარი ტერიტორიაა, რომლის ბადალი სამწყსო არ ჰქონიათ სხვა, ერუშნელზე დიდი პატივის მქონე ეპისკოპოსებსაც კი სამცხე-საათაბაგოში. ამას გარდა ამდროინდელი ქვემო ჯავახეთის სოფლები ან სვე-

[182] ქ. ც. IV, ვახუშტი, გვ. 705—707.

[183] ქრ. შარაშიძე, სსიმ, გვ. 33—36.

[184] ის. დოლიძე, ქსძ, თბ., III, გვ. 245.

ტიცხოვლისაა, ან ვანის ქვაბების, ან ვარძიის მონასტრისა. ამიტომ ერუშნელის სამწყსო ერუშეთით და არტანის ნახევრით უნდა განსაზღვრულიყო, რასაც მიუთითებს ვახუშტი, და ადასტურებს ერუშეთის არტანისადმი და არა ჯავახეთისადმი კუთვნილებაც (იხ. ზემოთ).

მას შემდეგ, რაც ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შევიდა და თვით საკათალიკოსო სოფლების კუთვნილებაც კი ეჭვის ქვეშ დადგა, მცხეთის სვეტიცხოვლის მესვეურები ძალ-ღონეს არ იშურებენ თავისი ძველი სამფლობელოების კანონიერების დასაბუთებისათვის. ამ დროს უნდა იყოს დაწერილი „წმიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა მცხეთისა ეკლესიისა ძუელითგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი“. ეს ნუსხა 1516 წლის ახლოსაა დაწერილი და ცხადია, ჯავახეთის მემამულენიც ისევე, როგორც საათაბაგოს სხვა მხარეებისა, სამცხედაა გამოცხადებული. ეს სია იმითაცაა საყურადღებო, რომ ძველ მემამულე ფეოდალთა ნაქონების ახალ მფლობელებსაც ასახელებს, რომელთაც ჩანს დიდი ხანი არაა, რაც ეს მამულები დაუჭერიათ. აქ მომყავს იმ საგვარეულოთა ჩამოთვლა, რომელნიც ასე თუ ისე უკავშირდებოდნენ ჯავახეთს, და იგულისხმებოდნენ ჯავახეთის საუფლისწულო საერისთავოში თორელთა ბატონობისას, ე. ი. ჯავახეთის ყველაზე მეტად დაწინაურება-გაფართოების დროს: „8. ღობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა დაისამისძეთა აქუს.. 11. ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკასშვილთა აქუს. 12. ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქამქამისძისა ეულზედა არიან, ამატაკიანთა აქუს. 13. თმოგუელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა შალიკაშვილთა ელისბაალს[185] და იოთამს აქუს. 14. ბულდადარასშვილნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა რჩეულაანთა და ფროდიანთა აქუს... 25. დიდი და პატიოსანი ვარძიის მონასტერი მისითა შესავლითა და ეკლესიის შვილებით უნაკლულოდ“[186]. როგორც ვხედავთ, ჩამოთვლა გეოგრაფიული თანმიმდევრობით ხდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, და ამ მემამულე ფეოდალების სამფლობელოთა რიგსაც მიგვანიშნებს.

ამათ გარდა, ჯავახეთის მემამულე ფეოდალი უნდა ყოფილიყო აგრეთვე კოხტელი (კოხტას მფლობელი რეზიდენციით კოხტას ციხეში), რომელიც ჟამთააღმწერელთან იხსენიება XIII ს-ში[187].

დამახასიათებელია, რომ დასახელებული ფეოდალური საგვარეულოები, ყველა ქვემო ჯავახეთშია და არც ერთი ჯავახეთის ზეგანზე არ იგულისხმება... შუაფეოდალურ ხანაში, ზემოჯავახურ წარწერებშიაც იხსენიებიან ცალკეული შემწირველები მიწისა, საფასისა, მონაწილენი მშენებლობისა, რომლებიც ადგილობრივი მფლობელები უნდა იყვნენ, მაგრამ სამეფო-საუფლისწულო დომენის ძირებობის პირობებში, ეგენი წვრილ მფლობელებად, უციხო და უმონასტრო აზნაურებად რჩებოდნენ.

სამეფო პოლიტიკის გარდა, რომელიც დომენში მსხვილ მემამულეს არ მოითმენდა, აქ ისევ განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო მთური მეურნეობა (იხ.

---

[185] კუმურდოს ტაძრის XVI ს-ის წარწერაში იხსენიება „მეორედ მაშენებელი პატრონი ელისბალ, დედა მათი ქრისტინა, მეცხედრე მარიამ და შვილები“.

[186] ქრ. შარაშიძე, სსიმ, თბ., 1961, გვ. 34—36.

[187] ქ. ც. II, გვ. 266.

წინ). ქვემო ჯავახეთის „ბარი“ კი, მევენახეობა-მეხილეობით, მებოსტნეობით და მემინდვრეობით, შედარებით ნაკლებმიწიანობის პირობებში, მაღალგანვითარებული ტერასული მეურნეობით ქმნიდა პირობებს ფეოდალური საგვარეულოების სამამულო მფლობელობისათვის. ამიტომ ისევე, როგორც ადრეფეოდალურ ხანაში, ეს საგვარეულოები ახლაც მხოლოდ იქ შემორჩებიან; ჩამოსულნიც ყველა ძველი ფეოდალური სახლების ნაოხარს უფრო ეტანებიან, ვიდრე ჯავახეთის ზეგანს (მდრ. თრიალეთი).

1535 წ. იმერეთის მეფე ბაგრატმა ყვარყვარე ათაბაგი დაამარცხა მურჯახეთის ომში; ამის შემდეგ ბაგრატს დაუპყრია „სრულიად საათაბაგო“[188].

ვახუშტის სიტყვით, ბაგრატს დაუჭერია სამცხე, „გარნა ლუარსაბ მეფემან დაიპყრო ჯავახეთი და კერძონი მისნი“[189]. ჯავახეთში ათაბაგების ბატონობა ათი წლით მოისპო, 1545 წლამდე, როდესაც ქაიხოსრო გაათაბაგდა თურქების მეშვეობით. 1551—52 წლების ომებში მეფესა და ათაბაგს შორის სამცხე-საათაბაგოს ფეოდალებიდან ზოგიერთი ლუარსაბს ემხრობოდა და ათაბაგის წინააღმდეგი ყოფილა[190]. ამიტომ შაჰ-თამაზმა „ვარძია, თმოგვ და ვანის ქუაბი, და აწყური, ასპინძა, ვარნეთი და სრულიად სამცხის ციხეები ალილო და ვარძიისა ღმრთისმშობელი და სრულიად ციხეები ბატონს ქაიხოსროს მოსცა“[191], რომლებიც, ჩანს, ათაბაგის მოწინააღმდეგეებს ჰქონიათ.

1576—78 წლებში ათაბაგების წინააღმდეგ აჯანყება იწყება სამცხე-საათაბაგოს ფეოდალებისა. „მესხური მატიანე“ დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ბრძოლების შესახებ. ათაბაგის მოწინააღმდეგეთა რიგებში არიან შალიკაშვილები (ვარაზას შვილები — კოკოლა, ლაშქარა და მათი ბიძა გურგაქ), ამატაკიშვილები (ამატაკ, აბდუყაფარ, როსტომ და სეხნია). შალიკაშვილები ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგენი ათაბაგებისა, ამ აჯანყების მეთაურები ჩანან. ათაბაგის ერთგულებად არც რჩეულაანი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მათ შემოსამტკიცებლად ათაბაგებს საგანგებო ზომების მიღება დასჭირვებიათ[192].

სწორედ ჯავახეთის მემამულე ფეოდალთა ეს შეთქმულება შემთხვევითი არ უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ ისინი სულ ბოლოს დამორჩილდნენ ათაბაგებს, მთავარი აქ მეფეთა ვასალობისა და მცხეთის საშწყსოსადმი კუთვნილების უპირატესობა უნდა ყოფილიყო, ათაბაგისა და მაწყვერლის ყმობასთან შედარებით.

„მესხური მატიანეს“ მოთხრობით, 1576 წ. ყუარყუარე ათაბაგი, მისი ძმა მანუჩარი და ბიძაშვილი ჰერაკლე მგელციხეს მოსულან ყაენთან ელჩის გასაგზავნად. ოლადის ქვაბიდან ბედანისშვილმა იასონმა შალიკაშვილებს აცნობა ეს ამბავი და ისინიც 500 კაცით მათ დასახოცად წამოსულან, ეს ათაბაგისთვის შეუტყობინებიათ და მასაც გაუსწრია[193].

---

188 ქ. ც. II, გვ. 354, 497.

189 საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. თბ., 1913, გვ. 34.

190 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 273.

191 ქ. ც. II, ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, გვ. 500.

192 ქრ. შარაშიძე, სსიმ, გვ. 155—157.

193 იქვე, გვ. 43.

აქ კარგად ჩანს, რომ მგელციხე ჯაყელთა ხელშია. აქედან მიდის გზა წყაროსთავის გავლით სომხეთზე, საიდანაც ადვილია ყაენთან წასვლა. ოლადის ქუაბნი ათაბაგის მტერს — ბედანისშვილს იასონს ეკუთვნის. [illegible] ათაბაგის ჯარს შეტევა დაუწყია ზედა თმოგვისა და თმოგვის [illegible] ბევით, რომელიც შალიკაშვილთა უდიდესი სიმაგრე იყო; შემდეგ ვანის ქვაბები აუღიათ, რომელიც ასევე შალიკაშვილთა უნდა ყოფილიყო. ამის მერე, სანამ ოლადის ქვაბებსაც აიღებდნენ, „ბატონებმა" რჩეულაანი „შემოიწყუნეს", ე. ი. დაიმორჩილეს[194]. გამოდის, რომ რჩეულაშვილთა სამფლობელო ვანისა და ოლადის ქვაბებს შორის ყოფილა მტკვრის სანაპიროზე (გურგენისძეთა მამული? — დ. ბ.).

ამავე წყაროს მიხედვით, ერთი თვის შემდეგ შალიკაშვილს ზემბედის შვილს „მათივ ნაქონები ო თ ი ს ც ი ხ ე ა უ ღ ი ა".

აგვისტოში „ვ ა რ ნ ე თ ი ს ც ი ხ ე ს ულალატეს მ გ ე ლ ც ი ხ ი დ ა მ ა და ენკენისთუეს ოთხსა პატრონი ერეკლე, მათი ბიძაშუილი, მგელციხეს იყვნეს და შალიკაიანთ აზნაურისშვილებს თავს დაესხნეს. აზნაურისშვილები გადაეხუჭწნეს"[195]. აქ მოხსენებული მგელციხე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე აგებული მაგარი ციხეა. მისი მდებარეობა ვახუშტისთან ბუნდოვანია. იგი ამჟამად თურქეთის საზღვარშია და „კურტ-კალე" ჰქვიან, რაც მგელციხის თარგმანია. ჩვენმა ექსპედიციამ იგი ავლახიდან დაინახა, რომელიც მის გამოსწვრივაა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ეს ციხე დაუთვალიერებია ექვთ. თაყაიშვილს, რომელიც ციხის ტერიტორიაზე მრავალ კოშკსა და ნაგებობას აღწერს. მთავარ კოშკთან ახლაც ჩანს მთელი მცირე საყდარი, ნაგები დიდი გათლილი ქვებით. ექვთ. თაყაიშვილის სიტყვით, საყდარს არ ჰქონია წრიული აფსიდა, ე. ი. ბრტყელაფსიდიანი ყოფილა. სარკმლის თავზე ლამაზი სარქველია, ხოლო მის ზევით ტოლმკლავა ჯვარი. მოპირდაპირე ნაპირზე გამოქვაბულებია, კოშკი და საყდარი[196]. ეს გამაგრება ორივე ნაპირისა ბუნებრავია, რადგან აქ ხიდი ყოფილა მტკვარზე, რომელზედაც გზა ჩამოდის წყაროსთავიდან. მგელციხე მნიშვნელოვან გზაზე მყოფი ძლიერი ციხეა, რომლის საყდარი აღწერილი ნიშნებით IX—X სს. შეიძლება იყოს. იგი თმოგვის ტიპისაა და იქნებ მისი თანადროულიც; თავისი მდებარეობით მტკვარზე, ხიდით, გარშემო სოფლებითა და სიმაგრეებით ორივე წააგავს ერთმანეთს.

ვარნეთის ციხე, სადაც შალიკაშვილების აზნაურები ყოფილან, ნიალის ველზე მდებარეობს და აღნიშნულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც"[197].

„მესხური მატიანის" ცნობით, შემდეგი წლის მარტში „მოგკჳდა კოკოლა და ახჩიის ქუაბი წაგუართუა. წავიდა ბატონი მანუჩარ და იმავე წამს წაართვა"[198].

ეს ახჩიის ქუაბი მტკვრის მარცხენა ნაპირზეა, მირაშხანის პირდაპირ. ნასოფლარში ეკლესიაა შუაფეოდალური ხანისა და გამოქვაბულები, რომლებიც

194 ქრ. შარაშიძე, სსიშ, გვ. 44.

195 იქვე, გვ. 45,

196 MAK, XII, 1909, გვ. 59—60.

197 ს. ჯიქია, გურჯისტანის... წ. III, გვ. 374:

198 ქრ. შარაშიძე, სსიშ, გვ. 45.

კლდეში ნაკვეთ გზას იცავენ. ჩანს, გზა აქ მტკვარს მოყვებოდა, სადაც [illegible] ქვაბებს მისი დაცვა ეკისრებოდათ.

პირველი შეტევით აუღებელი თმოგვი ათაბაგიანთ მეორე შეტე[illegible]ლეს[199]; ეს მოხდა 1577 წ.; თმოგვის დაკარგვით შალიკაშვილებს დი[illegible]დენი გამოეცალათ ათაბაგებთან ბრძოლაში.

ამასობაში თურქთა შემოტევები ძლიერდება; 1578 წ. ლალაფაშა უკვე მგელციხეს მოადგა. ერთი კვირის ალყა და ბრძოლა ათაბაგიანთა გამარჯვებით დასრულდა: „ყოველთ დღეთ ომში იყუნეს ციხოანი: გოგორიშვილი როინ და მისი ძმა ბერი ერუშნელი და მისი ძმისწული ზურაბ იყუნეს, მათის ყმითა და ღთის შეწევნით უკუყარნეს და ციხე ჩუენვე დაგურჩა: ჩუენთა გაემარჯუა“[200].

მოტანილი ამონაწერებიდან ჩანს, რომ მგელციხე დიდი სიმაგრე იყო, ძნელად ასაღები ხანგრძლივი ალყის დროსაც კი. ბერი ერუშნელის ხსენება რომელიც ციხეს იცავს, ნიშნავს იმას, რომ ერუშეთი ათაბაგს ემორჩილება, მგელციხესთან ერთად და რომ ნიალას ველი ვარნეთის ციხით ერუშეთისაგან ცალკე დგას, ის შალიკაშვილთა აზნაურიშვილებს ეკუთვნოდათ, ვიდრე მგელციხიდან არ „უღალატეს“ და არ გარეკეს ისინი.

1578 წლიდან თურქებს ზედიზედ აუღიათ ქაჯის ციხე, ველი, თეთრციხე. ამას ისიც ემატებოდა, რომ ერთმანეთს დარეული ფეოდალები კარზე მომდგარ ლალაშაფას თვითონ შესძლვნიდნენ ხოლმე ციხეებს; ასე გადაუცია მისთვის არტანის ორი ციხე ქოიარ ამილახორიშვილს, ხერთვისი და ჯავახეთის კიდევ ხუთი ციხე—ართუქსად ამატაკისშვილს მიურთმევია, ხოლო მანუჩარს—შალიკაშვილისეული თმოგვის ციხე, სადაც მათი მეციხოვნეები მდგარან. ასევე წაურთმევიათ შალიკაშვილებისათვის თურქებს ახალქალაქიც.

ათაბაგ მანუჩარისა და სხვა ფეოდალების ეს ღალატი იმით იყო პირობადებული, რომ ისინი თურქთა სარდლობას სანჯაყთა უფროსობას სთხოვდნენ, ხოლო მანუჩარი (მისივე ძმის ათაბაგობის პირობებში) — გაათაბაგებას[201]. შემდეგ იგე ახალციხის პირველი ფაშა გახდა.

როდესაც გვიანფეოდალური ხანის ჯავახეთის, ათაბაგთაგან, ან თურქთა მიერ დაპყრობას ვაკვირდებით, ვხედავთ, თუ როგორ თანდათან ციხე-ციხე იღებენ მას. შუაფეოდალური ხანის ერთიანი ქვეყანა, რომლის ხელში ჩაგდება თმოგვისა და ახალქალაქის აღებით განისაზღვრებოდა (რადგან იქ იყო გამაერთიანებელი ცენტრი, სადაც ერისთავი იჯდა — იხ. წინ.), ახლა მცირე საციხისთავო ერთეულებადაა დაყოფილი (და თმოგვის აღებით, ხერთვისის, ვარნეთის, ან ოთას ციხის დამორჩილება არ გადაწყდება). აქ თითქოს მეორდება მათი წარმოქმნის საწყისი ვითარება: ციხე თავისი „შესავალი ქვეყნით“, „ციხე-ქუეყანა“ ის ერთეულია, რომლის მსგავსთა ჯამი ქმნის უფრო დიდ ქვეყანას. ახლა რამდენიმე ასეთი ცენტრი თანაარსებობს და ბუნებრივია, ძველი გამაერთიანებელი ცენტრის ქვეყანა შემცირებულია.

199 ქრ. შარაშიძე, სსიმ, გვ. 46.
200 იქვე, გვ. 47.
201 იქვე, გვ. 165—166.

ადრე და გვიანფეოდალური ხანის ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულე-ბის მსგავსება ერთხელ უკვე ნაჩვენები იყო ქვემო ქართლის მაგალითზე[202]. თითქოს იგივეა ჯავახეთშიაც, ოღონდ ეს ძველის სრული გამეორება [illegible] არამედ ხშირად ახალ პირობებთან შეგუებით, ახალი ვითარებისადმი [illegible] ხეცვლილი ერთეულებია, რასაც ჯავახეთის თურქული ადმინისტრაციული და-ყოფაც მოწმობს.

XVI ს-ის ძეგლის — „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედ-ვით, მთელი სამხრეთი საქართველო (თურქეთის მიერ დაპყრობილი) უკვე და-ყოფილია ლივებად (სანჯაყები) და უფრო მცირე ნაჰიებად (რაიონები).

ჯავახეთი ამ დავთარში ხერთვისისა და ახალქალაქის ლივა-დაა გაყოფილი. პირველში სამი მცირე რაიონია გამოყოფილი: ხერთვისის, ტყეჯავახეთისა და ზუზმარეთისა. ახალქალაქის ლივა კი შე-იცავდა — აკშეჰირის, თმოგვისა და ნიალის ყურის ნა-ჰიებს.

მართალია, ეს ადმინისტრაციული დანაწილება თურქების მიერ ქართული მიწების დაპყრობის შემდეგაა ჩატარებული, მაგრამ წარმოუდგენელია იგი ნებისმიერი ყოფილიყო. ამ დანაწილებას საფუძვლად უნდა ჰქონოდა გაცი-ლებით ძველი ტრადიცია, რომელიც ქართულ სამეფოშივე იქნებოდა შემუ-შავებული. ლივების ცენტრებად არჩეულია ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქ-ტები XVI ს-ის ჯავახეთისა —ხერვთისი და ახალქალაქი. ორივე ეს ლივა მოი-ცავს რაიონებს ისტორიული ჯავახეთისას მტკვრის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროზე და სრულიად ემთხვევა მის ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებს. საზღვარი ამ ორ ლივას შორის გეოგრაფიულადაც გამყოფ ზოლს მიყვება: ესაა სამსრის ქედიდან წამოსული მთება, შემდეგ ეს ხაზი ბარალე-თის წყალს დაყვება, სოფ. არაგვასთან, ფარავნის მტკვარს გაუყვება და სოფ. დილიცკასთან დასავლეთით მოუხვევს, საიდანაც იგი ზეგანის ნაპირზე მიე-მართება; ნაქალაქევთან მტკვრის გადაკვეთის შემდეგ საზღვარი ისევ წყალგამყოფ მთებზე გადის დასავლეთისკენ, რომლებიც გამოჰყოფენ ნიალას ველის მდინარეთა აუზებს ტაშლი-ყიშლასა და შალოშეთის წყლის აუზებისა-გან.

ამრიგად, ხერთვისის ლივაში ექცევა ბარალეთის მდინარის აუზი თავისი შენაკადებით, გოკიის მდინარე მისი შენაკადებით, მტკვრისპირი, შალოშეთის წყალი და ტაშლი-ყაშლას წყალი. დანარჩენი ჯავახეთის ნაწილი კი ახალქა-ლაქის ლივას შეადგენს.

თვით ლივების გაყოფაც ცალკეულ რაიონებად, მოცემული „დავთარში“, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ეს იგივე ქართული მიკროქვეყნებაა დიდი ჯა-ვახეთის შემადგენლობაში, რომლებიც გარკვეული ფიზიკურ-გეოგრაფიული, მეურნეობრივი, თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნით იყვნენ და-ხასიათებულნი. ხერთვისის ნაჰიე ხერთვისის ციხის „შესავალი ქვეყანა“ უნ-და იყოს, ის ტერიტორია, რომელზედაც უშუალოდ გაბატონდა ხერთვისის ციხე თავისი ძლიერების პერიოდში (იხ. წინ).

ხერთვისის ლივას ყველაზე დიდი რაიონია ტყეჯავახეთის ნაჰიე. რო-გორც ვხედავთ, აქ ამ რაიონის ცენტრი კი არაა დასახელებული, არამედ ისე-

202 დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართ-ველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 48—49.

თი გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც მას გამოარჩევს სხვა რაიონებისაგან —ესაა მისი ტყიანობა. შეუძლებელია საზღვრიდან საზღვრამდე აქ [illegible] ვედროდათ თურქებს, მაგრამ მთელ ჯავახეთში, მაინც სწორედ [illegible] სამსართან ახლაც გვხვდება ბუნებრივი ტყის მცირე მასივები. ესაა ჯავახეთის ჩრდილო ნაწილი, რომელსაც თრიალეთსა და თორისაგან მაღალი ქედები გამოჰყოფს, ახალქალაქის ლივისაგან ბარალეთისა და ფარავნის წყლები, ხოლო სამცხისა და ხერთვისის რაიონებისაგან — ზეგანის ბუნებრივი დასასრული. აქ, მცირე ქედებით მორკალულ გოკიასა და ალასტანის მიდამოებში, გვხვდება მებოსტნეობაც. შესაძლოა სწორედ ამ ნაწილის სახელი იყო „ზვარეთი“, რომელიც გვხვდება 1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, სადაც სოფლების ადვილსაცნობლად მითითებულია მხარეთა თუ მიკრორაიონთა სახელებიც. ეს ადგილი იკითხება შემდეგნაირად: „ზვარეთს: სოფელი გოგია, სოფელი ალასტანი, სოფელი ზემო გომი. მტკუარზედ: სოფელი ტოლოში, სოფელი ლორმაკე“[203].

აქ ჩამოთვლილი სოფლებიდან უცნობია მხოლოდ გოგია, რომელიც ალასტანსა და ზემო გომთან ერთად „ზვარეთშია“ დასახელებული. ამიტომ ბუნებრივია აქ გოკია ვივარაუდოთ, რომელიც ალასტანის მახლობლად მყოფი სოფელია. გამოდის, რომ ზვარეთი რქმევია ტყეჯავახეთის რაიონის ერთ ნაწილს, შესაძლოა მისი მყუდრო, მზეზე მიფიცხებული მდებარეობის გამო (შდრ. „მზვარე“). ხერთვისის ლივის მესამე რაიონი იყო ბუზმარეთის ნაჰიე; თურქული ადმინისტრაციული დანაწილებით, იგი ბუზმარეთის ადრეფეოდალური მიკროქვეყნის მომცველი ჩანს, სადაც XVI ს-იაც იგივე ცენტრი მოწინავეობს (იხ. წინ).

ჯავახეთის მეორე ლივას — ახალქალაქის ლივა ერქვა. აქაც სამი რაიონი იყო გამოყოფილი: აკშეჰირის (იგივე ახალქალაქი), თმოგვის და ნიალისყურისა.

აკშეჰირის რაიონი მოიცავდა ახალქალაქის პლატოს ჯავახეთის ქედიდან მოყოლებული, ვიდრე მტკვრის კანიონამდე. ფართობის მიხედვით ეს ყველაზე დიდი ნაჰიე იყო და ყველაზე მრავალსოფლიანიც. ჩრდილოეთით მისი საზღვარი ხერთვისის ლივასთან ზემოთ განვიხილეთ, სამხრეთით კი იგი თითქმის ემთხვეოდა ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვარს. აქაც ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, თურქული ადმინისტრაციული დაყოფა ძველ ქართულ ტრადიციაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

თურქული ადმინისტრაციული დაყოფით, აკშეჰირის რაიონში შემოდის ფარავანიც, ჯავახეთის მიკროქვეყანა, რომელიც ისტორიულად ქართლის სამეფოში ითვლებოდა. მისი კუთვნილება რომ ასე უცილობელი არ იყო, ჩანს დასტურლამალიდანაც, სადაც ვახტანგ VI-ს ხელი მიუწვდებოდა ტაბისყურისა და ფარავნის ტბებზე, აქაურ თევზზე[204].

ახალქალაქის ლივაში შედიოდა თმოგვის რაიონიც; იგი დავთარში განსაზღვრულია, როგორც მტკვრის კანიონის სოფლების შემცველი, ნაქალაქევიდან მოყოლებული სოფ. ვაშლობის ჩათვლით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. თავისი მნიშვნელობით თმოგვი ამ რაიონის ყველა სიმაგრეთა შორის უპირველესი იყო და ცხადია, ცენტრიც იგია XVI ს-ში. ასევე უნდა ყოფი-

---

203 იხ. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 178.

204 იხ. დოლიძე, ქსძ, II, თბ. ,1965, გვ. 262.

ლიყო ადრეულ საუკუნეებშიც. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო თმოგველთა უპირველესი საბატონო რაიონი, რომელსაც დროდადრო ალბათ მტკვრის მარცხენა სანაპიროს სხვა რაიონებიც ემორჩილებოდნენ. ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივია, რომ ფარსმან თმოგველის, XI ს-ის ჯავახეთის ერისთავის [illegible]ნელი, მისი ბრძოლაში დაღუპვის მაცნე წარწერა მირაშხანის გამოქვაბულშია მოთავსებული[205]. მირაშხანის გამოქვაბულები კი სწორედ თმოგვის რაიონის სამხრეთ საზღვარზეა, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

ისევე დამახასიათებელია ისიც, რომ XVI ს-ში თმოგველთა საგვარეულო მამულზე გაბატონებულ შალიკაშვილებს ემორჩილება, პირველ ყოვლისა, სწორედ „დავთრისეული" თმოგვის რაიონი: თმოგვის ციხე და სოფელი ვანის ქვაბი, ოლადის ქვაბი, ახჩია, ვარნეთის ციხე და სხვა. ეს კარგად ჩანს „მესხური მატიანის" ზემოთ მოტანილი ადგილებიდან, სადაც ათაბაგებთან შალიკაშვილების ბრძოლებზეა საუბარი სწორედ ამ პუნქტებისათვის (იხ. წინ).

ახალქალაქის ლივაში შემავალი უკანასკნელი რაიონი — ნიალისყურის ნაჰიჲე იყო. იგი მოიცავდა ნიალას ველის სოფლებს მაღალმთიან პლატოზე. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც „დავთრისეული" ეს რაიონი არ ცვლის ძველ ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მიკროქვეყანას და სახელსაც კი ძველს უტოვებს მას (იხ. წინ).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, ჯავახეთის ადმინისტრაციული დანაწილების განხილვამ დაგვანახა, რომ თურქული ეს რაიონები სხვა არა იყო რა, თუ არ ძველი ქართული ჯავახეთის მიკროქვეყნები თავისი ადმინისტრაციული, თუ ეკონომიური ცენტრებით, მათი „შემავალი სოფლებით"; არც შეიძლებოდა ყოფილიყო სხვაგვარად იმის გამო, რომ ეს იყო საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ფიზიკურ-გეოგრაფიული, სამეურნეო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები დიდი ხნის ტრადიციით. თურქების მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული ცვლილებანი არაარსებითი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ (ფოსო-ჩულურეთის ჩილდირის ლივაში მიეკუთვნება, პრეტენზიები ფარავანსა და ტაბისყურზე...). უმთავრესი უბედურება იქიდან მოსახლეობის გაქცევა და დარჩენილთა გათურქება იყო, რომელსაც თანდათან ახორციელებდა ოსმალეთის მთავრობა. ბერი ეგნატაშვილი XVII ს-ის ამბებთან დაკავშირებით, აღწერს ამ ქვეყნების დაცლას მოსახლეობისაგან „და რომელნიცა დაშთეს მუნ ნეშტნი ქრისტიანენი, იგინიცა მძლავრებით და იძულებით მიიზიდნეს თჳსად... და აწ სრულიად არღარა იპოებიან მუნ მორწმუნეთაგანი, თჳნიერ კლარჯეთისა მსხემთა, რომელ არს ჯავახეთი"[206].

---

205 გ. გაფრინდაშვილი, ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები, „ძეგლის მეგობარი", 3, 1964, გვ. 4—9.

206 ქ. ც. II. ბერი ეგნატაშვილი, ტექსტი I, გვ. 427.

БЕРДЗЕНИШВИЛИ Д. К.

# ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ДЖАВАХЕТИ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Резюме

1. Исторические границы Джавахети точно не установлены. Это объясняется тем, что они часто менялись в зависимости от политических ситуаций и уже Вахушти Багратиони не имел ясного представления о них.

Физико-географически Ахалкалакское плато с трех сторон окружено горами: с N Шарвашетскими, с O Самсарскими, с S Нialискурскими, с W оно граничит с рекой Мтквари. Как выясняется в Джавахети входила и левобережная часть реки Мтквари, так что граница между Самцхе и Джавахети проходила на водораздельных горах Тавтави, Вани, Тохли-юрт, Кара-Чагиль, Кюмбет и Касри.

2. По древнегрузинским источникам, в начале же грузинской государственности, в составе Картлийского царства Джавахети становится административной единицей («саэриставо»), которой правил «эристави» (воевода). Благодаря своим летним пастбищам, лучшим во всей стране, этот край издревле привлекал внимание Картлийских царей, что и отразилось в факте превращения Джавахети в царский Домен.

3. Административным центром древней Джавахети был город Цунда, на правом берегу Мтквари; эпархиальными же центрами были Кумурдо и Цкаростави, эпископы которых упоминаются в списке грузинских архипастырей Двинского церковного собора 506 года.

4. В древнеармянских источниках упоминается «Верхняя Джавахети», что указывает на существование и «Нижней Джавахети». Анализ письменных источников дает возможность определить, что «верхней» называлась Джавахети «от Парвана до Мтквари», т. е. Ахалкалакское плато; каннон реки Мтквари, где находился город Цунда и левобережная часть Джавахети называлась «нижней».

5. Полевые наблюдения на памятниках материальной культуры этого края, наряду с данными письменных источников, помогают выявить раннефеодальные микроединицы со своими центрами. Таковы Ниалискури и Бузмарети, долины Шалошети, а также канионы рек Мтквари и Паравнисцкали, которые подчинялись таким центрам как Цунда и крепость Хертвиси.

По причинам геоморфологических свойств в Верхней Джавахети эти микроединицы создавались вокруг больших и малых озер, рассеянных на плоскогорье, или же в котловинах выделенных холмами. Они четко вырисовываются в окрестностях Табискури и Паравани, Сагамо, Карцахи и Хенчурских озер.

6. Среди раннефеодальных крепостей Верхней Джавахети выделяется Абул, которая упоминается на карте римского географа Касториия (IV в. н. э.). Надо полагать, он был одним из главных центров

этого района, расположенным на важной магистрали, о чем свидетельствуют размеры строения и сложная планировка цитадели.

В отличие от Абула, другие многочисленные крепости Верхней Джавахети, являются простыми укреплениями сельского типа, в которых укрывались жители и скот во время непродолжительных набегов врага. Здесь не встречаются раннефеодальные резиденции местных владык, которые так характерны для низменных районов Грузии. В Нижней Джавахети же такие крепости-резиденции находятся в Хертвиси, Тмогви, Толоши, Кохта и др. По-видимому, это объясняется хозяйственным различием между двумя частями Джавахети: Ахалкалакское плато находящееся выше 2000 м. от уровня моря, характеризуется как горный район, где животноводство является ведущей отраслю хозяйства. Это и ограничивало социальную дифференциацию относительно многочисленного, но однородного слоя местных мелких азнауров, которые довольствовались древними общими укреплениями.

7. Анализ первоисточников дает возможность пересмотреть принятое в грузинской историографии мнение о том, что крепость Квели и кантон Эрушети принадлежали Нижней Джавахети. Находящуюся в верховьях Поцховского ущелья, Квали следует признать пунктом Самцхийского воеводства («саэриставо»), а Эрушети-кантоном Нижней Артани.

8. Данные письменных источников и эпиграфики свидетельствуют, что начиная с X века Джавахети становится доменом царей «абхазских и грузинских». Ею управляли «эристави» (воеводы), имена которых нам известны по тем же источникам (Звиа, Парсман Тмогвели и др.).

9. Цунда — древний центр Джавахети постепенне приходит в упадок и, начиная с X века, все чаще упоминается неприступная крепость Тмогви, которая становится центром Нижней Джавахети.

В XI веке на перекрестке международных караванных путей, первостепенное значение преобретает древний пункт, который перерастает в город Ахалкалаки (дословно «Новгород»). Он вскоре становится главным экономическим центром всей Джавахети. В этой связи интересны выявленные археологическими раскопками развалины караван-сарая, керамических мастерских и маслобойных жернов.

10. Джавахети, как царский домен, свой расцвет переживает в XI—XIII веках. Это пора интенсивного строительства новых караван-сараев, мостов, церквей, монастырей, а то и целых пещерных ансамблей скальных селений... В письменных источниках упоминаются так же некоторые пункты, где находились резиденции грузинских царей и царевичей: Дливи (X—XI вв.), Гртила (XI в.), Божано (XI—XII вв.), Вардзиа (XII—XIII вв.), Аластани (XIII—XIV вв.). По-видимому эти резиденции менялись в зависимости от внутри и внешнеполитических ситуаций от перемещения главных путей и т. д.

11. С XII века царским доменом Верхней Джавахети правили

представители феодального рода Торели (владетели пункта и области Тори на N границе Джавахети); в Нижней Джавахети главенствовали Тмогвели — владетели крепости Тмогви из рода Мхаргрдзели.

В XIII веке Тмогвели захватывают монастырь Ванисквави и создают феодальную вотчину на территории Нижней Джавахети. Так же за счет царского домена должно быть создалась другая феодальная вотчина в Нижней Джавахети Ичкита Гургенидзе, который упоминается в надписях Цунды и Ванисквави.

Правление Торелов в Самцхе-Джавахети продолжалось и в первый период монгольского владычества. К этому времени политические границы Джавахети расширились — в нее входила область Палакацио, а так же часть Самцхе до Ацкури.

12. С конца XIII века, после образования Саатабаго как независимого княжества, начинается обратный процесс постепенного расширения политических границ Самцхе, что к XV веку приводит к полному подчинению Джавахети Атабагам (кнзьям Джакели).

13. Характерно, что в списке феодальных «домов» (сеньорин) Месхети 1516 года, эти владения все расположены в Нижней Джавахети, а в Верхней нет ни одного. Видимо среди других причин, определяющую роль и здесь играли хозяйственные преимущества низменной части этого края (виноградарство, плодоводство, овощеводство, полеводство...), которые даже при сравнительно малоземельных условиях, высокоразвитым земледелием на террасах создавали благоприятные условия для возникновения феодальных сеньорий. Поэтому так же как и в раннефеодальную эпоху эти родовые имения встречаются только в Нижней Джавахети; образование новых сеньорий на развалинах старых феодальных «домов» происходит именно здесь, а не на Ахалкалакском плато.

14. Восстание местных феодалов против Атабагов начинается в 1576 году и Джавахети оказывается театром междуусобных воин. В этом немаловажную роль сыграла политика царей Картли и Имерети, которые стремились присоединить Самцхе-Саатабаго в борьбе против Отоманской империи, постепенно захватывающей всю Южную Грузию. В 1578 году Джавахети оказывается под властью османских войск; они шаг за шагом брали крепости страны, которые не имея объединяющего центра, сопротивлялись разрозненно.

15. После завоевания Самцхе-Саатабаго османское правительство проводит перепись и административное деление этих провинций. В «Пространном реестре Гюрджистанского вилайета», составленном в последней четверти XVI века, Джавахети делится на два санджака: Хертвиси и Ахалкалаки, в каждый из которых входил по три малых района. Сравнение их с историко-географическими микроединицами Джавахети, показывает их тождественность и не могло быть иначе, ибо они были физико-географические, хозяйственные административно-территориальные единицы с вековыми традициями; в силу этого административные изменения проведенные османскими властями, могли быть только незначительными.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ. ბერაძე

# რაჭა ფეოდალურ ხანაში

## (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)

ადრეფეოდალურ ხანაში დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, სვანეთის აღმოსავლეთით, ვრცელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია თაკუერის სახელით მოიხსენიებს. ჩვენი აზრით, ეს ვრცელი ერთეული სამი, შედარებით მცირე, ქვეყნისაგან შედგებოდა: საკუთრივ თაკუერი, ლეჩხუმი ღუ ჩხუმი (ამ პერიოდის ბიზანტიური წყაროების სკვიმნია) და რაჭა, რომელიც შეიძლება ცალკე პუნქტის სახელწოდებაც იყო[1].

სამეცნიერო ლიტერატურაში ტოპონიმი რაჭის ახსნის ორი ცდაა ცნობილი. პირველი ეკუთვნის ვახუშტი ბაგრატიონს, რომელიც ამ სახელს, ალბათ, ხალხური ეტიმოლოგიის გავლენით, ჭა-ს უკავშირებს. აკ. შანიძის აზრით, სახელწოდება რაჭა საკუთარი სახელი რატიდან უნდა მომდინარეობდეს[2]. ჩვენი აზრით, ორივე მოსაზრება დამაჯერებლობასაა მოკლებული.

წერილობით წყაროებში რაჭა XI საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. იგი მოხსენიებულია ამ ხანის რამდენიმე ხატის, ჯვრის თუ ფრესკულ წარწერებ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 1., თბ., 1964, გვ. 340; რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევის მუხლობრივ ანგარიშებში მოხსენიებულია დასახლებული პუნქტი რაჭა. იხ. ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ., 1969; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652 წწ., თბ., 1970. როგორც დადგენილია, რუსი ელჩების რაჭა ნიკორწმინდა უნდა იყოს. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი სახელწოდება XI საუკუნიდან მომდინარეობს. ისმება კითხვა: ხომ არაა რაჭა ამ პუნქტის თავდაპირველი სახელწოდება და ამ ფაქტის გამოძახილი ხომ არაა ნიკორწმინდის რაჭის სახელით მოხსენიება რუს ელჩებთან.

2 „ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ — იხილე, რა ჭაა ადგილი ესე". ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 770. „გეოგრაფიულ სახელს რაჭას საფუძვლად რატი უძევს. ეს სახელი სვანურია წარმოშობით და ნიშნავს რატიანის, „სარატიოს", რატიში→რატშა —რაჭა". აკ. შანიძე, ავრ-ი სუფიქსიანი ქალის სახელები ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 11. თბ., 1963, გვ. 11.

ში[3]. ამ დროისათვის, თუ ცოტათი ადრე, ყალიბდება რაჭის საერისთავო, რომელსაც განაგებდა ბაღვაშთა ცნობილი საგვარეულოს ერთი შტო — კახაბერიძეების სახელწოდებით ცნობილი[4].

რაჭის საერისთავოს ჩამოყალიბების შემდეგ თაკუერის მნიშვნელობა შეიზღუდა. შუაფეოდალურ ხანაში იგი მხოლოდ საკუთრივ თაკუერს (ცხენისწყლის ხეობის შუაწელს) მოიცავდა. ერთხანს ეს ქვეყანა, როგორც ირკვევა, სვანეთის ერისთავს ექვემდებარებოდა[5], ხოლო XII საუკუნის 80-იანი წლებიდან მაინც, რაჭის ერისთავთა გამგებლობაში გადმოდის მთელი საუკუნის განმავლობაში. ეს ვითარება გრძელდებოდა საკუთრივ რაჭის საერისთავოს გაუქმებამდე[6].

შუაფეოდალურ ხანაში რაჭას ჩრდილოეთით სვანეთის საერისთავო ესაზღვრებოდა. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში იყო რიონის სათავეებში მდებარე მთიულეთი, რომლის საზღვრები ჭიდროთას ვიწროებამდე აღწევდა. (მთიულეთის შესახებ იხ. ქვემოთ). ასე რომ, კავკასიონის მთავარ ქედს რაჭის ტერიტორია მდ. ჭანჭახის სათავეებში ესაზღვრებოდა; ჩრდილოეთით რაჭას და სვანეთს ლეჩხუმის ქედი გამოყოფდა.

სამხრეთით რაჭის საზღვრები რაჭის ქედამდე აღწევდა. აღმოსავლეთით მდ. ჯეჯორის ხეობაში, რაჭის ტერიტორია უღვირის ქედამდე ვრცელდებოდა. ამ მდინარის ზემო წელში მცირე ქვეყანა, კუდარო, იყო განლაგებული. დღემდე მოღწეული წერილობითი მასალა არ იძლევა საშუალებას დადგინდეს, თუ ვინ განაგებდა კუდაროს ამ ხანაში — რაჭის თუ ქართლის ერისთავი.

ასევე უცნობია საზღვარი შუაფეოდალურ რაჭასა და თაკუერს შორის. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლაბეჭინას სახარების ცნობილი მინაწე-

---

3 კაცხის საწინამძღვრო ჯვარის წარწერაში მოხსენიებულია „რატ(ი) რაჭის ერისთავი". ამ ჯვარს თავისი წარწერით გ. ჩუბინაშვილი XI საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. იხ. **Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, Тб.**, 1959, გვ. 480. სხვაას ჯვარის წარწერაში, რომელიც კაცხის ხატზე მოგვიანო ხანას განეკუთვნება, ვკითხულობთ: „მეოხ და მფარველ ეყავ ორთავე შინა ცხორებათა მამკობსა შენსა რატის, რაჭის ერისთავსა და ძესა მისსა კახაბერს"... იქვე, გვ. 490. ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის ჩარჩოზე შემდეგი წარწერაა შემორჩენილი: „მე, კახაბერ ყოფილმან კირილე, ძემან სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავისა რატისამან მოვჭედე ხატი ესე. სადღეგრძელოდ ერისთავთ ერისთავისა, რაჭის ერისთავისა რატისა". იქვე, გვ. 595. აქ მოხსენიებული რაჭის ერისთავი რატი გვხვდება მღვიმის მაცხოვრის ხატის წარწერაში. ეს პირი უნდა იყოს მოხსენიებული ამავე ეკლესიის ნათლისმცემლის ხატის წარწერაშიც. იხ. **Г. Чубинашвили.** დასახ. ნაშრომი, გვ. 598;

4 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისი, 1973, გვ. 68—69.

5 ხვამლის მთაზე, ამჟამად დანგრეულ, ძველ ეკლესიას სამშენებლო წარწერა გააჩნდა, სადაც მოხსენიებული იყო „ერისთავთ ერისთავი სვანთა". ამ წარწერას ექვთ. თაყაიშვილი XI საუკუნით ათარიღებს. იხ. ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 83-84. ხვამლის მთა თაკვერს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება. აქ მდგარ ეკლესიაზე სვანთა ერისთავის სამშენებლო წარწერა მოწმობს, რომ ამ ხანაში (XI ს.) თაკუერი სვანეთის ერისთავთა ხელშია.

6 თამარის კურთხევაში მონაწილეობას იღებდა „კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა"; ქართლის ცხოვრება II, თბ., 1959, გვ. 27; დასავლეთ საქართველოს ერისთავებს შორის თამარის მეფობის დასაწყისში მოხსენიებულია „კახაბერ კახაბერის-ძე რაჭისა და თაკუერის ერისთავად"... იქვე, გვ. 33. თაკუერი რაჭის ერისთავის გამგებლობაში უნდა ყოფილიყო XIII საუკუნეშიც. ამის დადასტურება უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მონღოლების მიერ დასავლეთ საქართველოში შექმნილი ორი დუმნიდან ერთი რაჭის ერისთავს დაუმორჩილეს.

რი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში XIII—XIV საუკუნეებითაა დათარიღებული, როგორც ამ მინაწერიდან ირკვევა, ლაბეჭინას საყდარი, მიწისძვრისაგან დანგრეული, გაბრიელ ლაბეჭინელს აღუდგენია და მისთვის ყმა-მამული შეუწირავს: „ზემო აგარასა და კვირიკე წმიდასა,... ქუემო აგარასა... წოგიშს, ქოშხას... საირმეს... არპანას..."[7]

ლაბეჭინას საყდარი დღესაც დგას ლაბეჭინას სერზე, რომელიც მდინარეების — ლაჯანურასა და ასკის წყალის წყალგამყოფს წარმოადგენს. ვახუშტი ბაგრატიონი ამ სერს „გუელის თავის მცირე მთას უწოდებს", ამავე სახელწოდებას ხმარობს ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც. თუ დავაკვირდებით სახარების მინაწერში მოხსენიებულ პუნქტებს, დავინახავთ, რომ ყველა მათგანი ლაბეჭინას სერის აღმოსავლეთით მდებარეობს, ნაწილი, დღევანდელი რაჭის ტერიტორიაზე. ჩვენი აზრით, სახარების მინაწერში მოხსენიებული პუნქტები ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, რაჭის საერისთავოს შემადგენლობაში უნდა ვიგულისხმოთ შესაბამისად, საზღვრად რაჭასა და თაკუერს შორის შუაფეოდალურ ხანაში გველისთავას ქედი (ლაბეჭინას სერი) უნდა მივიჩნიოთ. უშუალოდ რიონის ხეობაში რაჭის საზღვრები იმ ვიწროებამდე აღწევდა, რომელიც სოფელ არპანას (დღევანდელი ალპანას) ქვემოთ იწყება.

ადრეფეოდალური ხანას პირველი საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლები რაჭის ტერიტორიაზე თითქმის არაა დადასტურებული. აღსანიშნავია ერთი გარემოება: ამ პროვინციაში არ შემორჩენილა ციხე, რომლის წყობაშა კვადრები იყოს გამოყენებული. ეს არაპირდაპირი დადასტურება უნდა იყოს იმ ფაქტისა, რომ ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში და ალბათ ადრეც, რაჭა არ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ტომების დასავლეთ საქართველოს დაბლობ მხარეებთან დაკავშირების საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რომ იმ დროს, როდესაც ეგრისის სამეფო და მისი სიუზერენი ბიზანტიის იმპერია უამრავ ენერგიას ახმარდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან კოლხეთში მომავალი გზების გამაგრების საქმეს, რაც დღემდე მოღწეული ამ ხანის ციხე-სიმაგრეთა აგებით გამოიხატებოდა. რაჭაში ამგვარი აღმშენებლობის კვალი არ ჩანს.

უძველესი ეკლესია, რომელსაც რაჭის ტერიტორიაზე მივაკვლიეთ, უნდა მდგარიყო სოფელ აგარაში. ამაში დაგვარწმუნა ძველი ეკლესიის რამდენიმე ფრაგმენტმა, რომელიც აგარის ახალი ეკლესიას შიგნითაა დაცული. მხედველობაში გვაქვს რამდენიმე ქვა, რომელიც თავისი ფორმით სვეტის ბაზებს მოგვაგონებს. ამ ქვების კუთხეში ლომის თათებისა და თავის გორელიფური გამოსახულებებაა. ეს გორელიფები, ჩვენი აზრით, შეიძლება ძალზე ძველი იყოს, VI საუკუნისაც კი.

საეკლესიო მშენებლობას რაჭაში ფართო გაქანება ადრეფეოდალური ხანის უკანასკნელ პერიოდში მიუღია. ამ დროს ეკუთვნის ზოგადად დღემდე უცვლელად მოღწეული ან შემდეგ დროს გადაკეთებული ეკლესიები სოფლებში: არი, უწერა, სორის წმიდა გიორგის ეკლესია, ბოყვა, ჯოისუბანი, სხიერი, გო-

7 ექვთ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

რისუბანი, ღვიარა, კლდისუბანი (სადმელი). ამ ხანის უნდა იყოს ველიეთის წმ. გიორგის ეკლესია, ბარაკონის ძველი ეკლესია და სხვა[8].

ადრეფეოდალურ ხანაში მჭიდროდ დასახლებული ჩანს მდ. ლუხუნის ხეობა. აქ, სოფელ ლიხეთში, დგას ამ ხანის სამონასტრო კომპლექსი მეჭვრეთი. ხეობაში უფრო ზევით, სოფელ ურავის მიდამოებში, შვიდი ეკლესიის ნანგრევია გამოვლენილი ურავის სკოლის დირექტორის ალ. ჯაფარიძის მიერ. მათგან „ჭვარუკასა“ და „ბზანალის“ ეკლესიები მდ. ლუხუნის მარჯვენა ნაპირზე და „ფაქუშის“ ეკლესია ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე, გაუწმენდია კიდეც ალ. ჯაფარიძეს ხელოვნებათმცოდნე მ. დვალთან ერთად. სამივე ეკლესია ზოგადად ადრეფეოდალურ ხანას ეკუთვნის. ასეთივე ადრეფეოდალური ხანის უნდა იყოს გეგმის მიხედვით ურავის მიდამოებში მდებარე „ნასახტრის“ ეკლესიაც.

რაჭაში ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს ჩვენ მივაგენით კიდევ ორ ადრეფეოდალური ხანის ეკლესიას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში არაა მოხსენიებული. ერთი მათგანი დგას სოფელ წედისის ახლოს სოფლის სასაფლაოზე. იგი წარმოადგენს ერთნავიან დარბაზული ტიპის ეკლესიას, რომელიც უაფსიდოა. ეკლესიას მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს და ერთი სარკმელი. ასეთივე უაფსიდო ეკლესიას ჩვენ მივაგენით სოფელ შეუბანიდან მოშორებით. მას შეუბნის „თავასას“ უწოდებენ. როგორც ცნობილია უაფსიდო ეკლესიები ზოგადად ადრეფეოდალური ხანით თარიღდებიან.

საკულტო ნაგებობანი შუაფეოდალური ხანიდანაც მრავლად შემოინახა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ XI საუკუნე. ამ დროს რაჭაში იგება ეკლესიები სოფლებში: პატარა ონი, კვირიკე წმიდა, მრავალძალი, სომიწო, ზედა შავრა, გორასუბანი, ქედისუბანი, მუხლი, ხიმში, XI საუკუნის დასაწყისის უნდა იყოს მთის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესიის სახელითაა ცნობილი. ამ ხანაში რაჭაში იგება ნიკორწმინდის ტაძარი და კრიხის საყდარი, რომელიც X—XI საუკუნეთა მიჯნაზეა აშენებული.

---

8 რაჭის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ იხილეთ: ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963; გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“ ტ. V, თბ. ,1928, ტ. VII, თბ., 1933 და ტ. VIII, თბ., 1935; ვ. ცინცაძე, ზემო კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, „ქართული ხელოვნება“, ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შრ. სერია „ძველი ხელოვნება“, თბ., 1963, ტ. 6; Т. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви села Земокрихи, იქვე; ვ. ცინცაძე, შუა საუკუნეების რეზიდენციების შესწავლისათვის (ცვარას ციხე), „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1968, № 14; მ. დვალი, კულტურის ახლადგამოვლინებული ძეგლები რაჭაში, „კომუნიზმის დროშა“, 1964, 24 ნოემბერი; მ. დვალი, ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია, „მაცნე“, თბ., 1968, № 4; მ. დვალი, სოფ. პატარა ონის „რაკეთის“ წმ. ნიკოლოზის ეკლესია, სსრ მეცნ. აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესია, 1962 წლის 7, 8 დეკემბერს. მოხსენებათა თეზისები და მუშაობის გეგმა; ნ. ალადაშვილი, ნიკორწმინდის რელიეფები, თბ., 1957; 1966 წლის 31 მაისს — 1 ივნისს მოეწყო ხელოვნების ინსტიტუტის XXI სამეცნიერო სესია ამბროლაურსა და ონში. სესიაზე წაკითხული მოხსენებები სპეციალურად რაჭის მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი იყო მიძღვნილი. ამ მოხსენებათა თეზისები გამოქვეყნებულია. Н. Северов, Г. Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда, М., 1947; Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962.

ზოგადად შუაფეოდალური ხანით თარიღდება ეკლესია ტბეთში, „ძელი ჭეშმარიტის“ სხვავაში (ამჟამად დანგრეულია), ეკლესია უყეშში და სხვ... (იხ. რუკა 1).

ეროვნული

საერო ხასიათის ნაგებობებიდან დღემდე მოაღწია შუაფეოდალური ხანის ციხის ნანგრევებმა თავისი ეკლესიით გლოლიდან, მინდას და კვარას ციხეებმა. ამავე ხანის უნდა ყოფილიყო ჭადროთას ციხეც. რაჭის ერისთავთა მთავარ რეზიდენციას, როგორც ჩანს, მინდას ციხე წარმოადგენდა. ადრეფეოდალური ხანის უნდა იყოს ჭყვიშის ციხე, რომელიც შუაფეოდალურ ხანაში რაჭას ტერიტორიაზე მდებარეობდა.

როგორც დავინახეთ, შუაფეოდალურ ხანაში რაჭა მჭიდროდ დასახლებულ, ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელიც სოციალური განვითარების დონით არ ჩამოუვარდებოდა საქართველოს მოწინავე მხარეებს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ნიკორწმინდის „დაწერილი“, რომელიც 1071—1080 წლებშია შედგენილი[9]. აქ მოხსენიებულია ოცდაათზე მეტი პუნქტი, მათ შორის ნაწილი რაჭის გარეთ მდებარეობს, ნაწილი კი რაჭაში. ამ უკანასკნელთა ერთი ჯგუფი დღესაც არსებობს: ზნაკუა (ზნაკვა), ზნაკუას ჯვარისა (ჯვარისა), ნიკოლაოსწმინდა (სოფელი ნიკორწმინდა), კაჩაეთი, ხოტევი, ძირგეული (ძირაგეული), ხივში (ხიმში), შქმერა, აგარა. ნიკორწმინდის „დაწერილში“ მოხსენიებული, დღეს უკვე აღარ არსებული სამი პუნქტას: შომიეთის, შხროს, ჯევჯმელის მდებარეობა გ. ბოჭორიძემ დაადგინა[10]. რამდენიმე პუნქტის ლოკალიზაცია კი მ. ბერძნიშვილმა მოახდინა. მისი სავსებით დამაჯერებელი განმარტებით, ნიკორწმინდის დაწერილში მოხსენებული „საჯადი“ ნიკორწმინდის მიდამოების ზოგადი სახელი უნდა იყოს და მასში შემავალი დღემდე უცნობი ზახლეული, ველიჭრელი, ქუმელოანი და ჰერნეული ნიკორწმინდის მახლობლად არის საძიებელი[11]. მართლაც, ნიკორწმინდის მიდამოებში ჩვენ ჩავვაწერინეს ტოპონიმი თერნეული, რომელიც „დაწერილში“ მოხსენიებული ჰერნეული უნდა იყოს. სავსებით სამართლიანად ეძებს მ. ბერძნიშვილი საბუთში მოხსენიებულ მეტეხარას რიონის პირას. ჩვენი აზრით, ეს სახელი შუაფეოდალურ ხანაში ეწოდებოდა დღევანდელ ამბროლაურს. XV საუკუნის ერთი სიგელის მიხედვით ვახტანგ მეფემ გელათს შესწირა „რაჭას ამაროლისძე მისთა გლეხითა“ (ს. ც. ი. ა. ფ. 1448, ს. 5023). სახელწოდება ამბროლაურა ამაროლისძეს გვარეულობიდან უნდა მომდინარეობდეს: ამაროლისძეამორაული-ამბროლაური, ე. ი. ამაროლისძის ნასახლარი (ეს სახელწოდება XVI საუკუნის დასასრულს უნდა წარმოშობილიყო, რადგან ამ საუკუნის მეორე ნახევრის ერთ საბუთში მეტეხარა დამოწმებულია).

---

9 ნიკორწმინდის „დაწერილი“ რამდენჯერმეა გამოცემული. უკანასკნელად ის გამოცემული აქვს ი. დოლიძეს, იხ. ნიკორწმინდის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.

10 გ. ბოჭორიძეს ცნობით, შომიეთი ეწოდება ნიკორწმინდის ჩრდილო-დასავლეთ ადგილს ჭელიშისაკენ მიმავალ გზაზე, ძველად აქ დიდი უბანი ყოფილა. შხრო წყაროს ეწოდება ნიკორწმინდის დასავლეთით მდებარე მცირე უბანში, ჯევჯმელი ეწოდება ადგილს ნიკორწმინდის დასავლეთით სოფლის ბოლოზე, გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, თბ., ტ. V, გვ. 164, 1928.

11 მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1959, ნაკვეთი 34, გვ. 33—38.

მ. ბერძნიშვილმა დაადგინა „დაწერილში“ მოხსენიებული ზნაკვის აგარას მდებარეობაც. ეს უნდა იყოს ნაავარევი, რომელიც დღეს სოფელ ზნაკვას ეკუთვნის და გვიანფეოდალურ ხანაში ცალკე სოფელს წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ადგილი ნიკორწმინდის, სადაც „ხოტევს ვიყიდე გაბოძისაგან მიწა და მივეც ხარი ა და ზედა აგარაი“[12]. თითქოს გაუგებარი ჩანს ამ „ზედა აგარას“ მდებარეობა. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ლაბეჭინას სახარების მინაწერი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. აქ მოხსენებულია ზემო აგარა კვირიკე წმიდას ახლოს და ქუემო აგარა. ასე რომ, ნიკორწმინდის „დაწერილის“ ზედა აგარა ეს იგივე ზემო აგარაა ანუ დღევანდელი აგარა, რომელიც ამ უკანასკნელი სახელითაცაა მოხსენიებული „დაწერილში“, ხოლო ზნაკვის აგარა იგივე ქვემო აგარაა.

სოფელ ხოტევში ჩვენ ჩავაწერინეს ტოპონიმი ველიშიორი, რომელიც ნიკორწმინდის იადგარის ველიშეულს უნდა შეესაბამებოდეს.

რაჭის კიდევ რამდენიმე პუნქტია შუაფეოდალური ხანის საბუთებში მოხსენებული. გელათის დეკანოზმა ხახულის ღვთისმშობელს შესწირა: „რაჭას, ქორთას: ლავთუისძე, მიქაისძე და დათუისძე“[13].

დავით ნარინმა თავის ზარდახნის უხუცესს ვახტანგ თულისძეს უბოძა ღვერკის ნაცვლად „რაჭას ეკლესიაი პიპილეთი. მისითა შესავლითა ყამქუითა და ირი... ამით რაჭას სოფელი პიპილეთი, შორაპნის სანაცვლოდ და აგრეთვე ირი ღვერკისა სანაცვლოდ მკვიდრად და სამამულოდ გვიბოძებია“[14].

XI საუკუნიდან დამოწმებულაა სოფელი კრიხი: XV საუკუნის წერილობით საბუთებში მოხსენიებულია გადაჭში (დღევანდელი გადამში), წესი, ონჭევი, სორლითი, სორი და ღუნდა[15]. ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში — ონი...

როგორც ირკვევა, შუაფეოდალურ ხანაში რაჭა ცალკეული ხევებისაგან შედგებოდა. ამაში გვარწმუნებს სხვავის საწინამძღვრო ჯვარის წარწერა: „ქ. უხორცოთა მთავარ გაბრიელ, მეოხ და მფარველ ეყავ ორთავე შინა ცხორებათა, მამკობსა შენსა რატის, რაჭის ერისთავსა და ძესა მისსა კახაბერს და აამენენ აზნაურნი ეკლესიისა შენსა შემავალნი და მოჯევენი და ჭევნი და ეკლესიისა შვილნი“[16].

ამ ხანას წერილობით წყაროებში მოხსენებულია ფარახეთის, წესის და შეიძლება სორის ხევი[17].

---

12 ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 30.

13 ი. დოლიძე, დასახ. შრომა, ტ. II, თბ., 1970, გვ. 74:

14 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი HD—1331.

15 კრიხის მთავარანგელოზის ეკლესიის სამწირველოს სამხრეთ კედელზე შემორჩენილია წარწერა: „ქ. სახელითა ღვთისაითა ესე ქელი დავწერეთ ჩვენ კრიხმან სოფელმან“. გ. ბოჭორიძე, რაჭის... საქართველოს... VII, გვ. 236 გადაჭში და წესი მოხსენებულია სორის ოთხთავის მინაწერში, რომელსაც ექვთ. თაყაიშვილი XIV საუკუნით ათარიღებს. ექვთ. თაყაიშვილი, რაჭის... გვ. 35—36, ონჭევი, ფსორი და სორლითი მოხსენებულია 1432 წლის ერთ სიგელში. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი SD—2886.

16 გ. ბოჭორიძე, რაჭის... საქართველოს... VIII, გვ. 292.

17 მრავალძალის ერთი ხატის წარწერაში მოხსენიებულია „ჭევი ფარახეთისა“. გ. ბოჭორიძე, რაჭის... საქართველოს... VIII, გვ. 308, ველიეთის ეკლესიაში დაცული იყო ხატი, რომლის წარწერაში მოხსენიებულია „ჭევი წესისა“. გ. ბოჭორიძე. რაჭის... საქართველოს... VII, გვ. 244; სორის ოთხთავის მინაწერში მოხსენიებულია „ჭევი ცხორისა“, რომელიც შეიძლება დამახინჯებული „ჭევი სორისა“ იყოს. ექვთ. თაყაიშვილი. არქ... რაჭაში, გვ. 38.

ხევი ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ერთეულად უნდა ვიგულისხმოთ და არა გეოგრაფიულ ცნებად. ზოგჯერ ის რომელიმე მდინარის მთელ ხეობას მოიცავდა. მაგალითად, ფარახეთის ხევი მდინარე მურეხანას მთელ ხეობას მოიცავდა; მასში საკუთრივ ფარახეთის (სოფლის) გარდა, შედიოდა სოფელი ქიბრევიც (მართალია, წერილობით წყაროებში ეს სოფელი გვიანფეოდალური ხანიდან მოიხსენიება, მაგრამ აქ დგას შუაფეოდალური ციხის ნანგრევები, რომელიც ამ პერიოდში აქ სოფლის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს). წესის ხევი მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, ალბათ, ის მოიცავდა დღევანდელ სოფელ წესს. გეოგრაფიულად ეს ხევი მკვეთრად იყო გამიჯნული რიონის ხეობაში ხიდისკარისა და სორის ვიწროებით. ასევე ვიწროები გამოყოფდა მას ლუხუნის ხეობის სოფლებისგან, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, ცალკე ხევს შეადგენდა. ასევე ვიწროები შემოსაზღვრავდა სორის ხევსაც. უნდა ვიფიქროთ, რომ თითოეული ხევი ცალკეული სოფლებისაგან შედგებოდა, რომელთაც ერთი საერთო სალოცავი გააჩნდათ. წესში ასეთი იყო ველიეთის წმინდა გიორგის ეკლესია, ლუხუნის ხევში (სახელწოდება პირობითია, რადგან არ ვიცით სინამდვილეში რა ეწოდებოდა მას) ასეთი საერთო სალოცავი უნდა ყოფილიყო ურავთან ახლო მდებარე „ნასაყტრის“ ეკლესია, სადაც მთავარ დღეობაზე უკანასკნელ ხანამდე ამ ხეობას ყველა სოფელი იყრიდა თავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლები ირი, პიპილეთი და ქაშქუა ვახტანგ თულაისძეს უწყალობეს. ბოძების სიგელში ერთი საინტერესო ფრაზაა: „ვითარ მეთემენი აზნაურნი არიან, ეგრეცემცა მეფობასა ჩუენსა ჰმსახურებდეს, ვითა თუითცა ჩამომავლადაცა მეთემე იყო“. საინტერესოა, ხომ არაა თემი ამ შემთხვევაში ხევის სინონიმი. ყოველ შემთხვევაში, გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს საბუთებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ტერმინ ხევს ამ პერიოდში თანდათანობით თემი ცვლის.

შუაფეოდალურ (უფრო ზუსტად XI—XV სს-ის) წერილობით წყაროებში რაჭის ორმოცამდე პუნქტია დამოწმებული. ამის გარდა, ჩვენ რუკაზე დავიტანეთ ის სოფლები, რომელთა მიდამოებში ამ ეპოქის შესაბამისი მატერიალური კულტურის ძეგლებია შემორჩენილი (იხ. რუკა 1). ეს პუნქტები რუკაზე ჩვენ პირობით დავიტანეთ, რადგან არაა აუცილებელი, რომ მათ იმ ხანაში დღევანდელი სახელი ეწოდებოდათ.

XIII საუკუნის დასასრულს რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე, დასავლეთ საქართველოს გამგებელს დავით ნარინს დაუპირისპირდა. ბრძოლა მეფემ მოიგო. ერისთავმა თავიც დაკარგა და საერისთავოც. კახაბერ კახაბერისძეს თვალი დასწვეს და ხელ-ფეხი მოკვეთეს, ხოლო მისი ძენი ბიზანტიაში გაძევეს, სადაც ისინი, მემატიანის ცნობით, დაიღუპნენ, ხოლო კახაბერიძეთა სახლი კი მემკვიდრის გარეშე დარჩა[18]. ეს უკანასკნელი ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია ერთი საბუთი, რომელიც XIV—XV საუკუნეებს ეკუთვნის. აქ მოთხრობილია იმ შეტაკებაზე, რომელიც ერისთავს მირიან ჭარელისძეს ჰქონდა გიორგი კახაბერიძესთან[19].

18 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 275.

19 ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი საბუთი № 1024.

გაუქმებული რაჭის საერისთავო, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XVI საუკუნეში აღუდგენია იმერეთის მეფე ბაგრატ III. სინამდვილეში, როგორც ეს დადგენილი აქვს ო. სოსელიას, ამ საერისთავოს არსებობა XV საუკუნის დასაწყისში უცილობელი ფაქტია[20].

XVI საუკუნის დასაწყისიდან რაჭის საერისთავოს საზღვრები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის (ჩვენ მიგვაჩნია, რომ რაჭა — ქვეყანა — და ამავე სახელწოდების საერისთავო ტერიტორიულად ერთმანეთს ემთხვევა). უპირველეს ყოვლისა, რაჭის შემადგენლობაში შემოდის რიონის სათავეები, შუაფეოდალური ხანის სვანეთის საერისთავოს ერთი ნაწილი, „სრულიად მთიულეთის თემი... ჭიდროთას ზედათი და გლოლას ზედათი, სუანეთს იქით, ოსეთს აქათი“, რომელსაც მეორე სახელად ღების ხევი ეწოდებოდა[21].

„მთიულეთი“ მოიცავდა რიონის ხეობის სათავეებს. მასში შედიოდა სოფელი ხიდარა ორი მონასტრით ცხენისწყალის სათავეებში და ბუბა — სოფელი ჭანჭახის ხეობაში (დღეს ნასოფლარია კურორტ შოვის ახლოს). ამას გარდა, მთიულეთში შედიოდა რიონის ხეობის სოფლები თევარაშა (დღეს თევრაშო ეწოდება), ბრილი, ზედქალაქი, ღები, შოდა, ჩიუეშო, ჭიორა და, სავულისხმოა, გონაც[22].

აქ ჩამოთვლილი სოფლებიდან სამი: ხიდური, ბუბა და შოდა, ძალზე ახლოს მდებარეობდა მუდმივი თოვლის ზონასთან, რაც მოწმობს, რომ ფეოდალურ ხანაში მთა ქართველ ადამიანს საცხოვრებლად ძალზე ფართოდ ჰქონდა ათვისებული.

მომდევნო ხანაში მთიულეთის სოფლების ნაწილი მოიშალა. მოსახლეობამ მიატოვა სოფლები ბუბა და შოდა. ზედქალაქი საკუთრივ ღებს შეუერთდა. ამ სოფლებს შორის ყველაზე ადრე მაინც სოფელი ხიდური მოიშალა. აქ მოსახლე გორგიჭიანები სხვაგან გადასახლებულან; გადმოცემით, ერთი კომლი ღებში დასახლებულა, ერთი — ფარავნეშში. ამ უკანასკნელის შთამომავალნი ხიდურელის გვარს ატარებენ. სხვებიც რაჭის რამდენიმე სოფელში გაფანტულან. ხიდურში მდგარი წმიდის გიორგის საჯანის დიდი სიონის მონასტერი მოშლილა. იგი ონში გადმოუტანიათ და მისი მღვდლობა ხიდურიდან გადმოსახლებულ ერთ ოჯახს გადასცემია მემკვიდრეობით[23]. ამის შემდეგ საზღვარი სვანეთსა და რაჭას შორის ამ სექტორში მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის წყალგამყოფ ქედზე გადიოდა.

თავდაპირველად მთიულეთი ანუ ღების ხევი სოციალურად რაჭის სხვა ნაწილებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. აქ ყმა-მამულის ერთი ნაწილი აზნაურებს: არეშიძეებს, სოსაგიძეებსა და გიგაშვილებს ჰქონდათ დანაწილებული. ყმა-მამულის ნაწილი ხიდურის წმიდის გიორგის საჯანის მონასტერს და

---

20 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 811; ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—74.

21 პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, წ. II, თბ., 1941, წიგნი სასისხლო საქმისა ბალს ზემო სვანეთისა და თავად ჯაფარიძეთა შორის. როგორც ამ საბუთიდან ირკვევა, აქ ჩამოთვლილი სოფლები „ღების შესავალი“ იყო. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთი ხატის წარწერამ, სადაც მოხსენიებულია „ჭვეი ღებისა“, ე. თაყაიშვილი, არქ.... რაჭაში, გვ. 15; უნდა ვიფიქროთ, „ღების ჭვეი“ მთიულეთის სინონიმია.

22 „მთიულეთის“ პუნქტების ლოკალიზაციაზე იხ. თ. ბერაძე, რაჭის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. „მაცნე“ საისტორიო სერია, თბ., 1972, № 1.

23 Л. Мансурадзе. Гебское общество, СМОПК, т. XXII, III, 1897.

ზედქალაქის საეპისკოპოსო საყდარს ეკუთვნოდათ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხარეში გლეხთა დაყმევების პროცესი ბოლომდე არ იყო მიყვანილი. ლების ხევის ოთხასი კომლი გლეხიდან დაყმევებული მხოლოდ ორას ოთხმოც-დათორმეტი კომლი ჩანს: 124 კომლი აზნაურებს ეკუთვნოდა, 157 კომლი ეკლესიას.

ბიბლიოთეკა

1651 წელს იმერეთის სამეფოს რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი ეწვივნენ. მათ ფასის მთის უღელტეხილი გადმოიარეს და რიონის სათავეებში დაეშვნენ. აქ ელჩებს ორი აზნაური შეეგება: ლომკაცი ჯაფარიძე და გიორგი არისუფი, რომლებმაც ისინი გიორგი „კანშოვის" სოფელ თევრეშოში მიიყვანეს[24]. გიორგი „არისუფი ეს იგივე გიორგი არეშიძეა, რომელიც ვახუშტის ცნობით, მიეგება ლომკაც ჯაფარიძესთან ერთად რუს ელჩებს[25]. გიორგი „კანშოვის" ნამდვილი გვარის დადგენა ვერ ხერხდება. ყოველ შემთხვევაში, ტოლოჩონოვისა და იევლევის ცნობები მოწმობს, რომ ლების ქვეყანაში სოციალური ვითარება უცვლელია: ყმა-მამულის დიდი ნაწილი კვალინდებურად აზნაურებს ეკუთვნოდათ. მდგომარეობა შეიცვალა მომდევნო ხანებში.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე III, იმერთა მეფის, გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გაუთავებელი შინაომი ატყდა. ჩანს, ამით ისარგებლეს ლების ხევის და მისი მეზობელი სოფლის გლოლას მცხოვრებლებმა და თავი ბატონყმური უღლიდან გაითავისუფლეს. შემორჩენილია გადმოცემა, თუ როგორ გაწყვიტეს ლებელებმა არეშიძეთა საგვარეულო, რომელთა ციხესიმაგრის ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი ლების ქვემოთ, რიონის მარჯვენა ნაპირზე. როდის ჰქონდა ადგილი ამ მოვლენას, ცნობილი არაა, ყოველ შემთხვევაში, ვახუშტის დროისათვის ეს დიდი ხნის მომხდარი ფაქტია. სახელოვანი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ჭიდროთას ზევით რაჭა „არიან ვითარცა სხუა მთის ადგილნი"[26]. მთის ადგილებთან ამ მხარის შედარება მოწმობს, რომ ვახუშტის დროს ბატონყმური ურთიერთობა ლების ქვეყანაში მოშლილია.

„უბატონო სოფლებს" წარმოადგენდნენ გლოლა-ლების ქვეყნის სოფლები, რუსი მოგზაურის სოკოლოვის ცნობით, გასული საუკუნის დასაწყისშიც[27]. უბატონო თემების საზღვარს ჭიდროთას ციხე წარმოადგენდა. ეს ციხე ამჟამად არ არსებობს. იგი იდგა რიონის მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც დღეს მამისონიდან 36-ე კილომეტრის აღმნიშვნელი ბოძი დგას. ამჟამად აქ უსახო ნანგრევებიღა შეიმჩნევა. ჭიდროთას ციხე მცირე ზომის ყოფილა. იგი შედგებოდა ერთი კოშკისაგან, რომელიც რიონის პირას მდგარ ქვის მასივზე იყო აღმართული. ციხის ქვევით გადიოდა გზა. იგი ხის კარით იყო გადაღობილი, გასავალი მეტად ვიწრო ყოფილა, მასში მხოლოდ ერთი მხედარი ეტეოდა თავი-

24 ალექსი იევლევის 1650—1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ., 1969, გვ. 106.

25 „ხოლო დიდსა რუსეთის მეფესა... წარმოევლინა დესპანად ნიკიფორე პავლეს შვილი და მდივანი ალექსი... ამათ მოაგებნა მეფემან ლომკაცი ჯაფარიძე და გიორგი არეშიძე"... ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვახუშტი, აღწერა..., 831—832.

26 ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი  ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 768.

27 А. С о к о л о в, Путешествие мое в Имеретию, М., 1874, გვ. 21.

სი ცხენით. კარებთან მუდმივად იდგნენ დარაჯები, რომელთა ნებართვის გარეშე ამ კარებში გავლა არ მოხერხდებოდა[28].

უნდა აღინიშნოს, რომ ჰიდროთას ციხეს მეორე სახელწოდებაც ჰქონია — იწროთა[29].

ასე თანდათან ჩამოყალიბდა რაჭის უბატონო თემები, რომელსაც ზოგადად სამეცნიერო ლიტერატურაში მთის რაჭას უწოდებენ. დასახლების ტიპი აქ მკვეთრად განსხვავდებოდა რაჭის სხვა ნაწილებისაგან. ვახუშტის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ეს სოფლები „კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი“ იყვნენ. რაც განპირობებული იყო იმით, რომ მთის რაჭის სოფლებში მრავლად იდგა საგვარეულო კოშკები[30].

არ ვიქნებოდით სწორი, თუ ჩავთვლიდით, რომ მთის რაჭის მოსახლეობა ყოველგვარი ფეოდალური ვალდებულებისაგან იყო თავისუფალი. გარკვეული მოვალეობანი მათ მეზობელ ჯაფარიძეს გვარეულობის თუ რაჭის ერისთავთა მიმართ ყოველთვის ემართათ, ხოლო სოლომონ I მიერ რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ისინი სამეფო გლეხებად ითვლებოდნენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მთის რაჭის ყველა ოჯახი არ იყო თანასწორი[31].

გვიანფეოდალურ ხანაში შეიცვალა რაჭის დასავლეთი საზღვარიც. ამ დროისათვის თაკვერის საერისთავო უკვე მოშლილია, მისი ტერიტორია ლეჩხუმის შემადგენლობაში შევიდა. საზღვარი რაჭასა და ლეჩხუმს შორის რიონის მარჯვენა ნაპირზე, მის შენაკად ასკის წყალზე გადიოდა, ხოლო რიონის სამხრეთით იმ მცირე ქედს მიუყვებოდა, რომელიც სოფელ ღვარდიას ალპანასაგან გამოყოფს[32].

ამრიგად, გვიანფეოდალური ხანის რაჭის საზღვრები შემდეგნაირად წარმოგვიდგება. ჩრდილო-აღმოსავლეთით ჭანჭახისა და რიონის ხეობებში იგი

---

28 „ჰიდროთას არს ციხე მცირე, რათა ვერ ვიდოდნენ მთის კაცნი თვინიერ მის ციხისა რაჭას“, ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 768; „ჰიდრო მხოლოდ ციხე“ აღნიშნავს გიულდენშტედტი, იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962, გვ. 107; ჰიდროთას ციხის აღწერილობა მოცემული აქვს სოკოლოვს, იხ. **А. Соколов**, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

29 ვახუშტის რუკათა მეორე ატლასის მე-19 რუკაზე ჰიდროთას ნაცვლად დატანილია იწროთა. ეს სახელწოდება მოხსენიებულია მერაბ წულუკიძის ერთ ფრესკულ წარწერაში: „ჩემი სამკვიდრო ყოველგან მოვშალე მტერია, იწროთას აქეთ ხონამდის და ხონიც შიგან ერია“. ექვთ. თაყაიშვილი, არქ. რაჭაში, გვ. 41.

30 ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930 წ.

31 ვახუშტის ცნობით მე-18 საუკუნის დასაწყისში რაჭის ერისთავმა მიიტაცა „გლოლა ჯაფარიძითურთ“. ვახუშტი, აღწერა..., გვ. 866; 1731—1743 წწ. რაჭის ერისთავის გრიგოლის სიგელში, ეს უკანასკნელი ჯაფარიძე შიოშს უბოძებს „ღების მოურაობას“. შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, წ. 1, თბ., 1958, ღების მოურავს მოიხსენიებს სოკოლოვიც. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ღების, ჭიორისა და გლოლას მცხოვრებნი სამეფო ყმებად ჩაითვალნენ (ამაზე ქვემოთ).

32 ვახუშტი რაჭის საზღვრად გველისთავის ქედს დებს, რაც მისი დროისათვის არაა სწორი. მით უფრო, რომ გველისთავის ქედის მდებარეობა მას არასწორად აქვს მოცემული. ამ ქედს ის ჭყვიშის აღმოსავლეთით აჩვენებს. „რაჭა ასკის წყალს გამოღმა“ მოხსენიებულია მე-16 საუკუნის ერთ სიგელში. იხ. ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, ტფ., 1914, გვ. 8; ასკის წყალი აქვს მოცემული რაჭის საზღვრად გიულდენშტედტს. იხ. გიულდენშტედტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 127, 137, 327. 1766 წ. კაცია II დადიანმა საირმეს მონასტერს შესწირა ყმა „გლეხი გენდუშ, ცოშხას, ასკის წყალზე სათევზე“. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. 11, თბ., 1921, გვ. 31.



ეროვნული ბიბლიოთეკა

უშუალოდ კავკასიონის მთავარ ქედს ებჯინებოდა. საზღვარი რაჭასა და სვანეთს შორის ლეჩხუმის ქედზე გადიოდა, შემდეგ ის მოუყვებოდა ასკის წყალს და რიონის მარცხენა ნაპირზე რაჭის ქედის დასავლურ ბოლოზე, [illegible] შავას მთასთან (ასკის წყალი და თავშავას ქედი რაჭას ლეჩხუმისგან [illegible] და). სამხრეთით რაჭის ქედი რაჭას იმერეთიდან მიჯნავდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაჭის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჯეჯორის ხეობის ზემო წელში, მცირე ქვეყანა კუდარო იყო განლაგებული. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით იგი კავკასიონის მთავარ ქედს ებჯინებოდა. აღმოსავლეთით მას ლიხის ქედი ესაზღვრებოდა, სამხრეთით — რაჭის ქედი. ჯეჯორის ზემო წელის გარდა მასში შედიოდა ყვირილას სათავე — წონის ტბა და მისი მიდამოები.

გვიანფეოდალურ ხანაში კუდარო ძირითადად იმერეთის სამეფოს შემადგენლობაშია და რაჭის ერისთავს ემორჩილება, ხოლო 1810 წელს, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ეს ქვეყანა იმერეთის სამეფოს სხვა ნაწილებთან ერთად რუსეთის მთავრობის ერთგულების ფიცს იღებს.

შუაფეოდალურ ხანაში კუდარო ქართველებით იყო დასახლებული. გვიანფეოდალურ ხანაში მისი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა იცვლება. კუდარო თანდათანობით დვალეთიდან გადმოსახლებულმა ოსებმა დაიკავეს. გვიანფეოდალური ხანის კუდაროდან შემდეგი დასახელებული პუნქტებია ცნობილი: აბანო, არაშენდა, გულიანთა, დიდი ბოჟა, ზამთარეთი, კობიანთა, ნადარბაზევი, ნაკრებავი, საჯვარი (ცვაისა), ქვემო ბოჟა, შვაჭალა, შეუბანი, წონა, ჯავისთავი, ჯაჭნარა: წყაროები ასახელებენ აგრეთვე სოფელ კუდაროს, მისი მეორე სახელწოდება ჩასავალი უნდა იყოს. აქ მდინარე ჯეჯორაზე გადებული იყო ხიდი[33].

რაჭა მრავალი, მეტნაკლებად მოხერხებული, გზით იყო თავის მეზობელ მხარეებთან დაკავშირებული.

ჩრდილოეთ კავკასიასთან რაჭას ძირითადად რიონის ხეობის ზემო წელი აკავშირებდა. ბალყარეთში გზა ღებიდან იწყებოდა. გორიბოლოს მიდამოებში ეს მაგისტრალი ორად იყოფოდა. ერთი კვლავინდებურად რიონს მიუყვებოდა და ფასის მთის (გეზივცეკის) უღელტეხილის გადალახვის შემდეგ ჩერე-

33 კუდარო პირველად მოხსენიებულია სორის ოთხთავის ერთ მინაწერში, სადაც რაჭის ერისთავმა მონასტერს შესწირა „ერთი ზროხა კუდაროს ბეგრისგან". ექვთ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური... რაჭაში, გვ. 37; ეს მინაწერი XVI საუკუნით თარიღდება. ამ შეწირულების ერისთავ ლომინის დამტკიცებაში მოხსენიებულია „ერთი ზროხა კუდარული". იქვე, გვ. 36; ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, კუდარო ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. იხ. ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 349, მაგრამ ეს მხოლოდ მის დროინდელ სიტუაციას უნდა გამოხატავდეს. ვახუშტის კუდარო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შეყავს. იხ. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 767; გიულდენშტედტის მიხედვით, კუდაროში საკუთრივ კუდაროს გარდა 18 სოფელია და ეს მხარე იმერეთის შემადგენლობაში ითვლება, თუმცა არ ემორჩილება. ამათგან მხოლოდ ნაწილი ლოკალიზდება საკუთრივ კუდაროს ტერიტორიაზე, ნაწილი ვერ ვიპოვეთ, ნაწილი კი, როგორიცაა მაჩხარა და კეშელთა, ლიხის ქედის აღმოსავლეთითაა, ამიტომ გვეეჭვება, რომ ისინი კუდაროში შედიოდნენ. კუდაროს სოფლების სია მოცემულია სიმონიჩის 1810 წ. 29/IV წერილში ტორმასოვისადმი, სადაც შეცდომით შეტანილია მთის რაჭის სოფლებიც „Акты... Т. IV, გვ. 254. წყაროებში ვერ დავამოწმეთ, მაგრამ მაინც რუკაზე დავიტანეთ სოფლები: არაშენდა, აბანო, შეუბანი და შვაჭალა, რადგან ეს სახელწოდებანი აქ ოსური მოსახლეობის მოსვლამდე უნდა გაჩენილიყო. კუდაროში ოსების გადმოსახლების შესახებ იხილეთ ვახუშტისთან, აგრეთვე, Б. Б. Калоев, Осетины. М., 1972, отр. 63.

ქის ხეობაში ეშვებოდა. მეორე გზა გორიბოლოსთან დასავლეთით უხვევდა, გადალახავდა ვაციწვერის უღელტეხილს, დაეშვებოდა ცხენისწყალის ხეობა-ში, ე. წ. ლაფურში, საიდანაც ჩრდილოეთით გადალახავდა მაჩხაფარის ანუ ზეკ-რიცეკის უღელტეხილს და ბალყარეთში ეშვებოდა, ჩერექის ხეობაში, სადაც შთვილასთან უერთდებოდა ფასის მთიდან მომავალ გზას. ლაფურიდან გზა ქვემო სვანეთის სოფელ მახაშიც მიდიოდა, ცხენისწყალის გაყოლებით. მარ-თალია, გზა ბალყარეთში მაჩხაფარით უფრო შორი იყო, მაგრამ რაჭველები მას უფრო მოსახერხებლად თვლიდნენ, რადგანაც ამ უღელტეხილზე საქონლის გადაყვანაც შეიძლებოდა.

მაჩხაფარის უღელტეხილით რაჭიდან ბალყარეთში გადასასვლელად სრუ-ლებითაც არ იყო აუცილებელი ღების გავლა. ერთი გზა ლუხუნის ხეობიდან იწყებოდა. სოფელი ურავის შემდეგ, ამ მდინარის სათავეში, მრავალი ბილიკი გადალახავს ლეჩხუმის ქედს და ქვემო სვანეთის სოფლებში ღობსა და შქედში ეშვება. აქედან კი ლაფურისაკენ მიემართება.

სოფელ წესიდან ველიეთის წმიდა გიორგის ეკლესიის გავლით და სო-ფელ ლიხეთიდან რამდენიმე ბილიკი ადის მდინარე რიცეულას სათავეებში, საიდანაც ყელისის გადასასვლელით შქედში ეშვება. ამავე გადასასვლელს იყე-ნებდნენ რიცეულას ხეობის მცხოვრებლებიც. სადმელიდან გზა მდ. რიცეულას მიუყვებოდა და ლეჩხუმის ქედის გადალახვის შემდეგ სოფელ შქედისაკენ ეშ-ვებოდა. ამავე ქედის გალახვით ცხენისწყლის სათავეებში მდებარე სოფლები-საკენ და შემდეგ მაჩხაფარისაკენ ბილიკები მიემართება სოფლებიდან — ხვანჭკარა და ტოლა.

ლუხუნის გავლით ქვემო სვანეთში მოხვედრა შეიძლება საკაურას ხეო-ბის სოფელ ხიდაშლებიდან, ქვემო ჭალიდან (მდ. ჭალას ხეობა) და გადამში-დან (მდ. სონტარულას ხეობა).

ზემო რაჭა დიგორსა და დვალეთს ესაზღვრება. დიგორისაკენ ორი გზა მიემართება, ერთი ღებიდან მდ. ჩეშურას ხეობას აუყვება და კირტიშოს ანუ ღებივცეკის უღელტეხილით ურუხის ხეობაში ეშვება. მეორე სოფელ ჭიო-რაში იწყება, მიუყვება მდ. ნოწარას ხეობას, გადალახავს ჭიორის მთას ანუ გურზივცეკის გადასასვლელს და ურუხის შენაკად კარაგომის ხეობაში ეშვე-ბა. ეს უკანასკნელი გზა უფრო მოხერხებულად ითვლებოდა.

ნოწარას ხეობით ბილიკი დვალეთშიც მიემართება. მგზავრი გადალახავ-და ჩიჩხვას მთას და რიონისა და ჰანჭახის წყალის წყალგამყოფი ქედით მა-მისონის უღელტეხილამდე აღწევდა. ძირითადი მაგისტრალი კი მამისონის უღ-ელტეხილისაკენ სოფელ გლოლას გავლით ჭანჭახის ხეობას მიუყვებოდა.

მამისონის უღელტეხილისაკენ ბილიკები მიემართება სოფელ გომიდან გომრულას ხეობით და ღარის ხეობიდან.

სოფელი ღარისა და გომის მცხოვრებლები დვალეთში ჩვეულებრივ ღარის ხეობით მიემართებოდნენ. ისინი გადალახავდნენ ქუელეს ანუ ავეშიდზი ბორ-ზენდის უღელტეხილს და სოფელ ქალაქაში ეშვებოდნენ.

საკუთრივ რაჭიდან კუდაროსაკენ რამდენიმე ბილიკი მიემართება. ერთი სოფ. წედისიდან ჩასავალში ჩადის, მეორე სოფელ ირიდან იწყებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთით რაჭას იმერეთიდან რაჭის ქედი გამო-ყოფდა. ამ ქედს მრავალი ბილიკი გადაკვეთდა, რომელიც რაჭას იმერეთთან აკავშირებდა.

ყველაზე აღმოსავლეთით იმერეთისაკენ გზა ირიდან მიემართებოდა, [illegible] ხუთი კილომეტრის შემდეგ რაჭის ქედზე ადიოდა და აქედან სოფელ [illegible]ლეთში ეშვებოდა, საიდანაც პერევ-ჭალას გავლით საჩხერემდე [illegible]

ზემო რაჭიდან ყვირილის ხეობაში გზა ლესორის გავლით [illegible] და. ლესორაში შემორჩენილია ეკლესიის და სხვა ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც გალავნით ყოფილან თავის დროზე შემოზღუდული, აქედან ბილიკი პერევში ეშვებოდა. ლესორაზე სოფელ ჩორდიდან ჩოდრულის ხეობით შეიძლება ამოსვლა, ხოლო ბაჯიხევიდან კი ჩიროლას ხეობით.

ზემო რაჭის მოსახლეობა იმერეთში ძირითადად შქმერიდან ან კიდევ მრავალძალის გზით დადიოდა. ონიდან გზა ხირხონის-ქორთას გავლით აღწევდა შქმერში. ქორთადან დადიოდნენ შქმერში ჯეჯორის ხეობის რაჭის სოფლებიც (ბაჯიხევიდან მოკლე გზა იყო ფოცხვერების მთის გადავლით), შქმერიდან გზა რაჭის ქედის გადალახვის შემდეგ ჯრუჭულას ხეობაში ეშვებოდა და ჯრუჭის მონასტრამდე აღწევდა. სოფლების: ხევას, ფარახეთის, შარდომეთის, ჭიბრევის მცხოვრებლებისათვის უფრო მოსახერხებელი იყო მრავალძალის გავლით იმერეთში გადასვლა. გზა გადაივლიდა ხიხას მთას და უზუნთაში ეშვებოდა.

მდინარე ბარულას ხეობის სოფლები იმერეთში ამ ხეობით მიემართებოდნენ. გზა აღმოსავლეთით გაუვლიდა ველტყევის მონასტერს და მოხვაში ეშვებოდა. ველტყევის მონასტერთან ამ გზას უერთდებოდა სოფელ სხვავადან მომავალი ბილიკიც.

სხვავადან იმერეთში მეორე გზაც მიემართებოდა. რომელსაც საწალიკეს მთასთან შხივანადან მომავალი ბილიკიც უერთდებოდა. ამ მთის გადალახვის შედეგ გზა სოფელ ვანში ეშვებოდა.

საწალიკეს მთაზე იყრიდა თავს სოფლებიდან ბეთლევი და ზემო თლუღი, მომავალი გზები. ამ მთის გადალახვის შემდეგ გზა ზემო რგანში ეშვებოდა, აქიდან კი კაცხურას ხეობით კაცხის ძოხასტერთან გამოდიოდა.

სოფელ უყეშიდან გზა ხრეითში გადიოდა, ხოლო მდინარე შაორის სათავეებიდან ტყიბულის ქედით — მუხურსა და რცხილათში.

ნაქერალას უღელტეხილი ძველად, ისევე როგორც დღეს, ნიკორწმინდას ტყიბულთან აკავშირებდა.

ნაქერალას უღელტეხილის დასავლეთით, წმიდა გიორგის ცნობილი ეკლესიის მიდამოებში, რაჭის მთას კიდევ ერთი უღელტეხილი გადაკვეთს, რომელიც რაჭას ჭელიშის მონასტრის გავლით ოკრიბის სოფელ ძმუისთან აკავშირებდა. ამ უღელტეხილზე ერთი ბილიკი სოფელ თხმორიდან მოდის. ეს სოფელი ადვილად მოსახერხებელი გზებით ოკრიბის სოფლებთან კისორეთთან და ხრესილთანაც არის დაკავშირებული.

თხმორი რაჭას ლეჩხუმთანაც აკავშირებდა; კერძოდ, სოფელ დღნორისთან. ეს უკანასკნელი რაჭის სოფელ ღვარდიასთან არის დაკავშირებული მთაშავის ქედით. ღვარდიიდან გზა მიდის ზოგიშშიც.

რაჭის უკიდურესი დასავლეთით, სოფელი რიონის მარჯვენა ნაპირზე — ტოლა უმოკლესი გზით იყო დაკავშირებული ქუვიშის ციხესთან.

აღსანიშნავია, რომ რაჭა-იმერეთის დამაკავშირებელ გზებზე მეტად მნიშვნელოვანი საკულტო ნაგებობანია აგებული: ჯრუჭისა და ვანის მონასტრები იმერეთში, ველტყევის მონასტერი და მთის წმიდა გიორგის ეკლესია სა-

კუთრივ რაჭის ქედზე, მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია, ნიკორწმინდის ტაძარი, ჭელიშის მონასტერი და სხვა... რაც, რასაკვირველია, შემთხვევით არაა.

საკუთრივ რაჭა მრავალი გზით იყო დასერილი, რომელიც რაჭის სხვადასხვა სოფლებს თუ მხარეებს ერთმანეთს უკავშირებდა.

მნიშვნელოვანი მაგისტრალი ღებთან იწყებოდა. იგი ჭანჭახის ხეობაზე მომავალ გზას საგლოლოსთან უერთდებოდა, სადაც რიონზე ხიდი იყო გადებული ამას გარდა, ღებიდან მოკლე ბილიკები გადადიოდა უწერაში, ძეგლევში, საკაურას ხეობაში: ერთი ბილიკი ღებს ლუხუნის ხეობის სოფლებთან აკავშირებდა.

საგლოლოს შემდეგ ღებიდან მომავალი გზა, რომელიც ჭიდროთას ციხის ქვემოთ გაივლიდა, თავდაპირველად რიონის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა სოფელ ღარის ზემოთ, გადალახავდა ხიდს და რიონის მარცხენა ნაპირზე გადადიოდა. მდინარე ღარზე ასევე ხიდი იყო გადებული, რომლის გადალახვის შემდეგ მგზავრი ონამდე აღწევდა.

ონისაკენ ჯეჯორის ხეობის გავლით გზა წედისიდანაც მოემართებოდა. ეს გზა მდ. ჯეჯორის მარცხენა ნაპირზე გადადიოდა ხიდით პიპილეთთან, ხოლო სოფელ კომანდელთან კი ხიდის გადალახვის შემდეგ ონში მოდიოდა. სოფელ პიპილეთთან ამ გზას უერთდებოდა სხვა გზა, რომელიც ღუნდიდან მოემართებოდა სორგითის გავლით. ასევე ერთი მაგისტრალი უერთდებოდა წედისიდან მომავალ გზას კომანდელთან, რომელიც ბაჯიხევიდან სოფლებს ფსორს, ცხმორს, ქაშქვას და სომიწოს გამოივლიდა. ფსორთან იყო დაკავშირებული სოფელი ჩორდიც.

ონიდან ქვემო რაჭისაკენ გზა კომანდელის ხიდის გავლით მიემართებოდა. გაივლიდა სოფლებს, ველთეთრს, ზუდალს, შარდომეთს და აქ გადალახავდა ხიდს რიონზე და სორში ჩამოდიოდა. ზუდალიდან გზა სევას გავლით ფარახეთში მიემართებოდა, აქედან ერთი მაგისტრალი შარდომეთისაკენ ეშვებოდა, მეორე კი ჭიბრევის გავლით ზემო ბარში მიემართებოდა, ზემო ბარიდან ერთი გზა ბარეულას ხეობით მუხლამდე აღწევდა. აქ რიონზე ხიდი იყო (ამ ხიდის და მისი საყარაულო კოშკის ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი ახალ ხიდთან) და სორის დასავლეთით უერთდებოდა ონიდან მომავალ მთავარ გზას. შემდეგ გადალახავდა მინდას ციხის ძირში, ლუხუნზე ხიდს და სოფელ წესში მიდიოდა. სოფელ წესიდან გზა კვლავინდებურად რიონის მარჯვენა ნაპირზე მიემართებოდა. ხიდისკარის ვიწროებში მდინარის ორივე მხარეს კოშკი იდგა (მათი ნაშთი დღესაც შემორჩენილია) და მათ შორის ხიდი იყო გადებული. ხიდისკართან გზა ორად იყოფოდა, ერთი კვლავინდებურად რიონის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა, გაივლიდა კვაცხუთს, შემდეგ გადაუხვევდა სადმელისაკენ (კლდისუბნისაკენ), სადაც იაშვილების ციხე-დარბაზი იდგა, შემდეგ ლეჩხუმის ქედის ქვემო კალთებს გაუყვებოდა, გაივლიდა ხვანჭკარას და ტოლამდე აღწევდა.

მეორე გზა კი ხიდისკარის ხიდს გადალახავდა და ხიმში მიდიოდა. ამავე სოფელში მიდიოდა ერთი გზა მუხლიდანაც. ხიმშიდან ერთი გზა სხვავას მთის გადალახვით სხვავაში მიდიოდა, მეორე რიონის გაყოლებით ამბროლაურში. ამბროლაურიდან გზა ხოტევისაკენ მიემართებოდა, აქიდან კი ნიკორწმინდისაკენ. ხოტევისაკენ მიემართებოდა გზა სხვავადანაც, კვირიკეწმინდას გავლით.

თავად სხვავაში კი კიდევ ერთი გზა მიემართებოდა ზემო ბარიდან ფუტიეთის გავლით.

ნიკორწმინდა მნიშვნელოვანი გზების შესაყარს წარმოადგენდა [illegible] როგორც აღვნიშნეთ, ნაქერალასაკენ მიემართებოდა, მეორე [illegible]ბის სოფლებს გაივლიდა და ღვარდიამდე აღწევდა. ნიკორწმინდიდან ლემანაურის ქედის გადალახვით, კაჩაეთის გავლით, გზა მიდიოდა ზნაკვისაკენ. ზნაკვაში ეშვებოდა ბილიკები ზედა შავრადან, ხონჭიორიდან და სხვა. აქედან კი ზნაკვის ხეობით გზა რიონის მარცხენა ნაპირსაკენ ეშვებოდა და ამბროლაურიდან მომავალ გზას უერთდებოდა.

ზნაკვის ციხიდან, ქედის უბნისა და ბუგეულის გავლით, გზა მიემართებოდა პატარა ონისაკენ და შემდეგ ცახისა და ღვარდიასაკენ[34].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავით ნარინის მიერ გაუქმებული რაჭის საერისთავო XV საუკუნის დასაწყისისათვის ხელახლა აღსდგა. ერისთავთა თავდაპირველი რეზიდენცია ამჟამად სორში უნდა ყოფილიყო (ამით უნდა აიხსნებოდეს ის ყურადღება, რაჭის ერისთავთა წარმომადგენლები ჭარელიძეთა გვარეულობიდან რომ იჩენენ ამ პუნქტის მიმართ). შემდეგში რაჭის ერისთავთა რეზიდენციამ წესში გადაინაცვლა. ეს უნდა მომხდარიყო XVI საუკუნის დასაწყისში, როდესაც რაჭის ერისთავთა ხელში გადმოდის მინდას ციხე (ეს ფაქტი მიაჩნია ვახუშტი ბაგრატიონს რაჭის საერისთავოს ხელახალი აღდგენის თარიღად).

მინდას ციხე მდინარე ლუხუნის მარცხენა ნაპირზე დგას, მაღალ მთაზე, ამ მდინარის შესართავიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით. იგი გრანდიოზული ნაგებობაა თავისი ეკლესიით და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობით. მინდას ციხესთან თავს იყრიდა ქვემო სვანეთიდან, ლუხუნის ხეობით, და ზემო რაჭიდან მომავალი გზები.

წესში რაჭის ერისთავებს ჰქონდათ თავიანთი სასახლე. აქვე იდგა მათი საგვარეულო ეკლესია — ბარაკონი. 1753 წ. როსტომ რაჭის ერისთავმა ამ ეკლესიის გვერდით ახალი გუმბათიანი ტაძარი ააგო, რომელიც დღესაც კარგადაა შემონახული. წესის გარდა, რაჭის ერისთავთა სასახლეები (უფრო ზუსტად, ციხე-დარბაზები) იდგა ამ უკანასკნელთა სიძლიერის ხანაში სევაში, სომიწოში, სხვავაში...

რაჭის ერისთავი თავდაპირველად მეფის მოხელეს წარმოადგენდა. მისი მთავარი მოვალეობა იყო რაჭის ლაშქრის გამოყვანა, რომელიც იმერეთის სამეფოს მესამე სადროშოს წარმოადგენდა. საკუთრივ ერისთავთა მამული თავდაპირველად ძირითადად ლუხუნის ხეობას, სოფელ წესს (მინდა ციხითურთ) და სორს მოიცავდა[35].

პირველ ხანებში რაჭის ერისთავები თავის მოვალეობას ასრულებდნენ და სამეფო ხელისუფლებას არ უპირისპირდებოდნენ. მდგომარეობა შეიცვალა

---

34 რაჭის გზების შესახებ მასალა შევკრიბეთ რაჭაში ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის დროს. ამავე დროს ვისარგებლეთ შემდეგი ლიტერატურით: ი. ასლანიშვილი, რაჭის კავკასიონი, „პროლეტარული ტურისტი", 1932, № 4; სპარ. რეხვიაშვილი, საუღელტეხილო გზები და ბილიკები მთის რაჭაში, „საქართველოს ბუნება", 1965, № 4, Краевич. Вооенный обзор Рионского края, СПБ, 1870; В. Маевский. Описание Кутанссксй губернии, Т., 1896.

35 ო. სოსელია, ნარკვევები.... გვ. 74—75.

1660 წლიდან, როდესაც პაპუნა, რაჭის ერისთავი, წინ აღუდგა იმერეთის სამეფო ტახტის მიმტაცებელ დარეჯან დედოფალს და მის წინააღმდეგ თურქები მოიწვია[36]. ამის შემდეგ რაჭის ერისთავები ჩაებნენ იმერეთში გაჩაღებულ შინაომში და თანდათანობით აფართოებენ თავის მამულს რაჭაში [illegible] და ცდილობენ მთავრობას მიაღწიონ. შექმნილი ვითარება პირველ ხანებში მათ სასარგებლოდ მოქმედებდა. რაჭის ერისთავებმა თანდათანობით გააფართოვეს თავისი სამფლობელოები და რაჭის ძირითად ნაწილს დაეუფლნენ. ისინი ფაქტიურად ერისთავიდან რაჭის მთავრად გადაიქცნენ.

რაჭის ერისთავთა სიძლიერეს სოლომონ I მოუღო ბოლო. მან თვალები დათხარა 1769 წელს როსტომ რაჭის ერისთავს და საერისთავო გააუქმა. ერისთავის სამფლობელოების დიდი ნაწილი სამეფოდ გამოცხადდა. ნაწილი რაჭის თავადებს დაუბრუნდათ, ხოლო დიდი ნაწილი კი მეფის ერთგულ ვასალებს ხვდათ, მათ შორის დიდი წილი — წერეთელთა საგვარეულოს. 1784 წელს დავით გიორგისძემ, იმერეთის მეფემ საერისთავო აღადგინა და როსტომ ერისთავის- მემკვიდრეებს მიწა-წყლის ნაწილი დაუბრუნა. სოლომონ II რაჭის საერისთავო კვლავ გააუქმა. მხოლოდ 1810 წელს, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, დაიბრუნეს რაჭის ერისთავთა შთამომავლებმა საბოლოოდ თავიანთი მამულის დიდი ნაწილი[37].

რაჭის ერთ-ერთ ძლიერ ფეოდალურ სახლს წულუკიძეების გვარეულობა წარმოადგენდა. პირველად ეს გვარეულობა 1451 წ. ერთ სიგელშია დამოწმებული, რომლის თანახმად ისინი გიორგი მეფისაგან სოფელ იწას იღებენ. XVI საუკუნის პირველ ნახევარში წულუკიძეების სათავადო უკვე ჩამოყალიბებულია. ამავე საუკუნის დასასრულისათვის ეს გვარეულობა ყმა-მამულს იღებს იმერეთში, ვაკე მხარში. განსაკუთრებით გაიზარდა წულუკიძეთა სამფლობელოები მერაბ წულუკიძის დროს, XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა ვრცელი სათავადო, რომელსაც რაჭაში დიდი ტერიტორია ეკავა. აღმოსავლეთით მას საზღვრავდა მდ. ხოტეურა და ამ უკანასკნელის კრიხულას შეერთების ადგილიდან მდ. კრიხულა. ჩრდილოეთით საწულუკიძეოს რიონი ემიჯნებოდა, დასავლეთით მთაშავის ქედი, ხოლო სამხრეთით რაჭის ქედი[38].

წულუკიძეთა საგვარეულოს თავდაპირველი რეზიდენცია ზნაკვას ციხე იყო. იგი დგას სოფელ ზნაკვას ზემოთ, მდ. ზნაკურას დასავლეთით, ამ მდინარის ორი შენაკადის ცივწყალასა და ურიის ღელეთა შესართავში. ციხე დგას გორაკზე, იგი სამკოშკიანია. სამხრეთ-აღმოსავლეთით, ციხიდან ორმოცდაათ

36 გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660—1685 წწ.), საისტორიო მოამბე, № 23—24, თბ., 1970.

37 ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, თავი IV.

38 წულუკიძეების სათავადოს საზღვრებს გვაძლევს გიულდენშტედტი. იგი ამ სათავადოში 30 სოფელს ითვლის და მის აღმოსავლეთ საზღვრად მდ. კრიხულას დებს (გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129), გიულდენშტედტის ეს ცნობა არაა ზუსტი. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ 1819 წლის ფიცის წიგნს: „ესე... წიგნი მოგეცით ჩვენ თავადმა ერთობით წულუკიძეებმა... ერთობით საწულუკიძეოს აზნეურიშვილსა და გლეხსა გაღმართს და გამოღმართს, აგრეთვე ამბროლაურს, კრიხელს, გორელს, ზემო კრიხელის, კვარიკე წმიდელს და ველეველს, შხივანელს, ბეთლემელს, ერთობით აზნაურსა და გლეხს“ (ს. ც. ი. ა. ფ 1448, ს. 7885). გაღმართი ეს იმერეთის საწულუკიძეოა. საბუთში ჩამოთვლილი სოფლები არ შედიან საწულუკიძეოში. წულუკიძეებს აქ მხოლოდ ყმა-მამული ეკუთვნის, საკუთრივ საწულუკიძეოს მდ. ხოტეურა და შემდეგ კრიხულა საზღვრავს.

ნაბიჯზე, დგას განმარტოებული კოშკი. შემორჩენილი კოშკები სათოფურ-ბიანია. ბოლო სართულზე შემორჩენილია ოთხკუთხა სალოდეები. ციხის ფერ-დობზე ჩვენ ავკრიფეთ ადრეანტიკური პითოსის ფრაგმენტები, რაც მოწმობს, რომ ციხის გორაკი უძველესი დროიდან ყოფილა ათვისებული.

ციხის აღმოსავლეთით მდინარე ცივწყალას მარჯვენა ნაპირზე არის ადგი-ლი ნააგარევი, სადაც იყო წულუკიძეთა სასახლე თავისი ეკლესიით. ხშირად ზნაკვის ციხეს ამის გამო ნააგარევის ციხეს უწოდებდნენ.

საწულუკიძეოს ტერიტორიაზე იდგა ბარეულისა და ბუგეულის ციხეები. აქვე, დღევანდელ პატარა ონში შემორჩენილია წულუკიძეთა ერთ-ერთი აზ-ნაურის ციხე-დარბაზი. XVIII საუკუნის დასაწყისში წულუკიძეები ეუფლები-ან ხოტევის ციხეს.

ქვემო რაჭაში, რიონის მარჯვენა ნაპირზე, XVIII საუკუნის დასასრული-სათვის, უკიდურესი სოფელი ტოლა ორად გაყოფილი იყო. დღევანდელი პირ-ველი ტოლა გელოვანებს ეკუთვნოდათ, აქვე იყო მათი ციხე-დარბაზი[39]. მეო-რე ტოლა, ჩორჯო და ხვანჭკარა საყიფიანოს შეადგენდა. ყიფიანების ციხე-დარბაზი (მისი ნანგრევები დღესაც შემორჩენილია) იდგა ხვანჭკარაში ბოსელას მთის ძირში[40].

სოფლები ღვიარა, ძირაგეული, სადმელი და ბოსტანა იაშვილების სათა-ვადოს შეადგენდა, რომელთა ციხე-დარბაზი იდგა სადმელში (კლდისუბანში). იგი დგას რიცეულას მარჯვენა ნაპირას, მაღალ კლდეზე. ციხე თავისი ეკლესი-ით იდგა კლდის ქიმზე. ჩრდილოეთით ასიოდე მეტრის დაშორებით დგას ორი სამსართულიანი კოშკი. ციხე დანგრეულია, კოშკები კარგადაა შემორჩენილი. მეორე სასახლე იაშვილებისა იდგა ღვიარას, ხოლო მათ საძვალეს წარმოად-გენდა სადმელის (კლდისუბნის) ადრეფეოდალური ეკლესია, რომელიც მდი-ნარე რიცეულას პირას დგას დაბლობში[41].

ვერ მოვახერხეთ ზემო რაჭის უძლიერეს საგვარეულოს ჯაფარიძეთა სა-თავადოს შემოსაზღვრა. ზოგადად ისინი ფლობდნენ მათი სიძლიერის ხანა-ში რიონის ზემო წელს ჭიდროთამდე და ჯეჯორის ხეობას კუდარომდე და ამ უკანასკნელ ქვეყანაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას. მათი ერთ-ერთი ციხე-დარბაზი იდგა ლაგვანთაში მდ. საკაურას მარცხენა ნაპირზე.

არ ხერხდება ცალკეულ აზნაურთა საგვარეულოს საფლობელოთა შემო-საზღვრა. ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე, რაჭაში, დატანილია აზნაურის სა-სახლეები, რომლებიც, როგორც მათი დღემდე შემორჩენილი ნაწილის (ველ-თეთრში, კომანდელში, კვირიკეწმიდაში) დათვალიერებამ დაგვარწმუნა, ცი-ხე-დარბაზებს წარმოადგენდნენ. ვახუშტის რუკებისა და ჩვენი საველე ექსპე-დიციების მონაცემების მიხედვით, აზნაურთა ციხე-დარბაზები იდგა სოფლებ-ში: ბაჯიხევი, კომანდელი (გამყრელიძეების), ველთეთრი (ბაქრაძეების), ზუ-დელი, კვირიკეწმინდაში — დღევანდელი კორტი (კვიტაშვილების), კრიხი (აგ-რეთვე კვიტაშვილების), წესში (ცერესელიძეების), დღევანდელ პატარა ონში, საკეცე, სორი (გოცირიძეების), ფუტიეთი, ღარი (ჯაფარიძეების), ჩონისი, ხიმ-

---

39 გელოვანების მიერ პირველ ტოლის ფლობაზე იხ. ს. ც. ი. ა. ფ: 1448 ს. 2270.

40 საყიფიანოს საზღვრები ძირითადად რაჭაში ექსპედიციებით დავადგინეთ.

41 თ ე ო დ ო რ ე  შ ა რ ა ბ ი ძ ე, იაშვილები და საიაშვილო რაჭაში, ხელნაწერი, ს. ც. ი. ა. ფ. 1446, № 714.

ში, ჯინჭვისი (გამყრელიძეების). ამათ გარდა, ალბათ აზნაურთა ციხე-დარბაზებს წარმოადგენდნენ სომიწოში, იაშვილების უბანში, მცირე ციხე და ციხის ნანგრევები გომში.

გვიანფეოდალური ხანის დასაწყისში სამეფო ხელისუფლება დიდ მიწის ფონდს ფლობდა რაჭაში. მასვე ეკუთვნოდა თავდაპირველად მინდას, კვარას და ხოტევის ციხეები. მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდნენ შაორი და ამბროლაური[42]. თანდათანობით სამეფო მამულები რაჭაში შემცირდა. XVI ს-ის დასაწყისში მინდას ციხეს რაჭის ერისთავები დაეუფლნენ. XVIII ს-ის დასაწყისში კი კვარას და ხოტევის ციხეებიც თავადებმა მიიტაცეს[43]. ფაქტიურად ამ საუკუნის I ნახევარში სახასო მამულები რაჭაში აღარ იყო. ვითარება შეიცვალა რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ: როსტომ ერისთავის მამულთა დიდი ნაწილი სოლომონ I სამეფოდ გამოაცხადა. 1810 წ., იმერეთის სამეფოს გაუქმების დროისათვის, სახასო მამულები შემდეგ სოფლებშია დამოწმებული: ღები, ჭიორა, გლოლა, უწერა, გომი, ნაკიეთი· ძეგლევი, ლაგვანთა, საკაო, წესი, ლიხეთი, ურავი, ამბარი, კრიხი, სხვავა, ხვანჭკარა, ხირხონისი, სომიწო, წოლა, ქაშქვა[44].

გვიანფეოდალურ ხანაში რაჭაში ერთადერთი ქალაქი ონი იყო, სადაც სავაჭროდ, რაჭველების გარდა, სვანეთიდან, ქართლიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან იყრიდნენ თავს[45]. ონში სომხებისა და ებრაელების გვერდით ვაჭრობასა და ხელოსნობას ადგილობრივი ქართველი მოსახლეობაც მისდევდა[46].

ქვემო რაჭის სავაჭრო ცენტრს ხოტევი წარმოადგენდა[47].

შუაფეოდალურ ხანაში რაჭა ქუთათელის სამწყსოში შედიოდა. XVI ს-ის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრალი, რომლის სამწყსოს წარმოადგენდა „ღები, გლოლა, ფისონ გამომდინარე რიონი და სრულიად რაჭა ასკის წყალს გამოღმა“[48] (ამ საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ სწორი არაა ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც ეს უკანასკნელი მთის რაჭის სოფლებს ნიქოზელის სამწყსოში ათავსებს[49]).

ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრალი იმერეთის მეფე ბაგრატ III ჩამოაყალიბა, მანვე შესწირა ყმა-მამული ნიკორწმინდის მონასტერს სოფლებიდან: ნიკორწმინდა, უყეში, თლუღი, ზემო თლუღი, ხოტევი, იწა, ბაჯი, ლადიში, შავრა, მეტეხარა, ხონჭიორი და ზნაკვა[50].

მომდევნო ხანებში ნიკორწმინდის მონასტერს ყმა-მამული ნელ-ნელა ემატებოდა. ასე რომ, ერთი საბუთის მიხედვით, რომელიც ზუსტი არ უნდა იყოს, ნიკორწმინდის მონასტერი 1819 წლისათვის ყმა-მამულს შემდეგ სოფლებში ფლობდა: ნიკორწმინდა, უყეში, ხონჭიორი, ბუგეული, აბანოეთი, შავრა,

---

42 ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 763—764.

43 იქვე, გვ. 866—867.

44. Акты, Т. IV, გვ. 258;

45 ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 767, გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

46 ბარაკონის ღვთისმშობლის ეკლესიის ერთ შეწირულებაში მოხსენიებულია: „ონს ვაჭარი მუჯირი თავისი დუქნით“. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი HD, საბ. 1320.

47 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 764.

48 ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, ტფ., 1912, გვ. 8.

49 ვახუშტი, დასახ ნაშრომი, გვ. 370.

50 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—8.

ლადიში, ბარეული, ცახი, თხმორი. ამას გარდა, ნიკორწმინდის მონასტერს სოფელ ბუგეულსა და სოფელ შავრაში დიდი ვენახები გააჩნდა, რომლებიც ერთად ას ჩაფ ღვინოს იძლეოდა. სულ მონასტერს 1819 წლის[illegible] ყმა-გლეხი ეკუთვნოდა, სამას ოთხმოცდაორი სული, რომ[illegible] გადაყვანით ოთხას თხუთმეტი მანეთის გამოსაღებელი ედოთ.

თავისი ყმა-მამული გააჩნდა საკუთრივ საეპისკოპოსო ტახტსაც. მას ორი კომლი აზნაური ყავდა სოფ. ნიკორწმინდაში და რვა კომლი აზნაური, ამ აზნაურთა ოცდათორმეტი სული ყმა სოფელ შავრაში[51].

რაჭის ერთ-ერთ უძველეს მონასტერს წარმოადგენდა სორის ჯვარცმის მონასტერი, რომელიც XIV თუ XV სს-ში ააგეს რაჭის ერისთავებმა ჭარელისძეთა საგვარეულოდან.

სორის მონასტერი დიდი ყურადღებით არ უნდა ყოფილიყო განებივრებული. ჩვენ მივაგენით მხოლოდ ორ დოკუმენტს, რომელშიც ამ მონასტრისადმი შეწირულებაზეა საუბარი. პირველი ეკუთვნის შოშიტა რაჭის ერისთავს, რომელიც სორის მონასტერს სწირავს ყმა-მამულს შემდეგი პუნქტებიდან: ქაშქვა, სომიწო, სხვავა, მუხლი და ონი[52]. მეორე სიგელში სოლომონ I უბრუნებს მონასტერს ყმა-მამულს ამავე სოფელში, რომელიც ერისკაცებს მიეტაცნათ[53].

1819 წლის დოკუმენტში სორის მონასტრის მხოლოდ ორი ყმაა მოხსენიებული სხვავასა და მუხლში, რომელთაც სულ თოთხმეტი მანეთის გამოსაღები ედოთ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თავისი სიმდიდრით გამოირჩეოდა რაჭის ორი მონასტერი: ველტყევის ნათლისმცემელი და ჭელიშის ღვთისმშობელი.

ველტყევის ნათლისმცემელი მდებარეობდა რაჭის ქედზე, სხვავადან ათიოდე კილომეტრის დაშორებით. პირველი შეწირულება ამ მონასტრისადმი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 1740 წლითაა დათარიღებული. მომდევნო ხანაში არც ერთი საეკლესიო ცენტრისათვის არ შეუწირავთ იმდენი ყმა-მამული რაჭაში, რამდენიც ველტყევის ნათლისმცემელს მიუძღვნეს. სულ ჩვენს მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით ამ მონასტერს ყმა-მამული გააჩნდა სოფლებში: აპანოეთი, აბარი, ამბროლაური, ბარეული, ველევი, იწა, კრახი, ლიხეთი, ონი, სამთისი, სხვავა, ტოლა, ფარახეთი, ფსორი, ქვედი, შქმერი, შხივანა, ჩორჯო, ძარაგეული, ხიმში, ჯინჭვისი. 1819 წლისათვის ველტყევის მონასტერს ეკუთვნოდა ვენახები იწასა და ხიმში, სახნავი მიწები ხიმშს, სხვავას, ფსორს და ჩორჯოს. სულ ამ პერიოდისათვს, არაზუსტი ცნობით, ველტყევის მონასტერს ეკუთვნოდა 41 კომლი, 178 სული, ყმა-გლეხი, რომელთაც ორას ოცდათერთმეტი მანეთის გამოსაღებელი ედოთ.

ჭელიშის მონასტერი მდებარეობს ნიკორწმინდიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით, მდ. შარეულას მარცხენა ნაპირას. პირველად იგი ნიკორწმინდის მონასტერს ეკუთვნოდა. უძველესი შეწირულება ამ მონასტრისადმი, რომელ-

51 სცია ფ. 1448, ს 6723 ქვემოთ, სადაც საუბარია რაჭის ამა თუ იმ ეკლესიის მფლობელობაზე 1819 წლისათვის, ეს დოკუმენტია გამოყენებული.

52 სცია ფ. 1451, დავთარი 16.

53 სცია, ფ. 1448; ს. 3306.

საც ჩვენ მივაკვლიეთ, 1788 წლით თარიღდება[54]. 1819 წლისათვის ეს მონასტერი ფლობდა ჩვიდმეტ კომლ ყმა-გლეხს, ორმოცდათოთხმეტ სულს, რომელთაც 75 მანეთის გამოსაღებელი ედოთ. მონასტერი დიდ ვენახს ფლობდა სოფ. იწაში. საერთოდ კი, ჰელიშის მონასტერს ყმა-მამული გააჩნდა 1819 წლისათვის სოფლებში: იწა, ბარეული, ქედისუბანი, ჯვარისა, ზნაკვა, კრიხი, შხივანა, თლუღი, სადმელი, ხვანჭკარა და ტოლა.

გვიანფეოდალური ხანის რაჭაში თავისი ყმა-მამული გააჩნდა აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტს. პირველი ცნობა ამის შესახებ დაცულია ბიჭვინტის იადგარში, სადაც მოხსენიებულია „რაჭის სოფელი ბარი, სასახლე და მონასტერი, ერთის აზნაურის-შვილითა... და ოცდაათით კომლი კაცითა"[55].. მომდევნო ხანებში აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტმა ყმა-მამული მიიღო სოფლებში: მუხლი, კრიხი, ლიხეთი და ამბროლაური.

1578 წლის ქუთაისის საყდრის გამოსაღებლის დავთარში მოხსენიებულია „რაჭას ფუტიეთს საქუთათლო კაცნი"[56], ეს ყმა-მამული ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრალს მთელ გვიანფეოდალურ ხანაში შემორჩა. XVIII ს. მიწურულში აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტის ყმა-მამული, მთელ დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მიტროპოლიტის ხელში გადავიდა, ასე რომ, 1819 წლისათვის ზემოხსენებული სოფლებიდან ქუთაისის კათედრალს ეკუთვნოდა ას თერთმეტი კომლი ყმა-გლეხი, 429 სული, რომელთაც 445 მანეთის გამოსაღებელი ედოთ. მასვე ეკუთვნოდა ვენახი სოფელ კრიხში.

თავისი ყმა-მამული გააჩნდა რაჭაში გელათის საეპისკოპოსო კათედრალს. ჩვენამდე მოღწეული პირველი შეწირულება დავით ნარინს ეკუთვნის, რომელმაც გელათის მონასტერს უბოძა „რაჭას-ქორთას" რამდენიმე კომლი ყმა[57]. შემდგომში ეს შეწირულება მონასტერს დაუკარგავს.

1819 წლისათვის გელათის საეპისკოპოსო კათედრალს რაჭაში, სოფლებიდან ბაჯი, ბუგეული, კვაშხიეთი, ზნაკვა, ღადიში, შავრა, ჯვარისა და ქალაქ ონში დაახლოებით 35 კომლი ყმაგლეხი გააჩნდა, რომელთაც 213 მანეთის გამოსაღებელი ედოთ.

XVIII საუკუნის დასასრულისათვის თავისი ყმა-მამული გააჩნდა რაჭაში ზემო მხარის ორ, ჯრუჭისა და ვანის მონასტერს. პირველი შეწირულება რაჭაში ჯრუჭის მონასტრისადმი 1764 წლითაა დათარიღებული, სულ ამ მონასტერს ეკუთვნოდა რაჭაში ყმა-მამული ონში და სოფლებში: ბარი, ონი, სევა, სხვავა, ფარახეთი, შქმერი, შხივანა, ცხმორი, წედისი, ჭიბრევი[58], სულ ოცდაორზე მეტი კომლი, რომელთაც დაახლოებით 135 მანეთის გამოსაღებელი ედოთ.

ვანის მონასტერს ყმა-მამული რაჭაში XIX საუკუნის დასაწყისიდან გააჩნდა, სულ რამდენიმე კომლი სოფლებში შხივანა, ბარი და სხვავა[59].

---

54 სცია, ფ. 1451, დავთარი 16.

55 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 178.

56 იქვე, გვ. 308; ტ. III, თბ., 1970.

57 იქვე, გვ. 174.

58 სცია, ფ. 1451, დავთ. 16, საბ. № 448, 450, 454, 455, 459, 465, 467, 470, 471, 473, 476.

59 სცია, ფ. 1451, დავთ. 16, საბ. № 432, 434, 435, 436, 441.

რაჭის ეკლესიების უმეტესობა ქვისაგან იყო აგებული, მათი მცირე ნაწილი კი ხის შენობას წარმოადგენდა[60]. ეკლესიების დიდი ნაწილი მოსახლეობის ყოველდღიურ რელიგიურ მომსახურებას ეწეოდა. იყო ეკლესიების [illegible] ჯგუფი, სადაც მღვდელმსახურება მხოლოდ განსაკუთრებულ დღესასწაულებზე იმართებოდა.

ეკლესიების უმეტესობა ყოველგვარ ყმა-მამულს მოკლებული იყო, მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისიც არსებობდა. თავდაპირველად დიდძალ ყმამამულს ფლობდა მთის წმიდა გიორგის ეკლესია როგორც რაჭაში, ისე ოკრიბაში[61]. თანდათანობით ამ ეკლესიამ თავისი გავლენა რაჭაში დაკარგა. უკანასკნელი შეწირულობა ამ ეკლესიისადმი რაჭიდან XVII საუკუნის 80-იან წლებზე მოდის. მომდევნო ხანებში მთის წმიდა გიორგის ეკლესია თავის ყმა-მამულს რაჭაში მთლიანად კარგავს.

თავისი ყმა-მამული გვიანფეოდალურ რაჭაში გააჩნდა მრავალძალის წმიდა გიორგის ეკლესიას, რომელიც 1819 წლისათვის ფლობდა 27 კომლ ყმას სოფლებში მრავალძალი, ბარი და ამბროლაური, რომელთაც 138 მანეთის გამოსაღებელი ემართათ.

მცირეოდენი ყმა-მამული გააჩნდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბარის მაცხოვრის, პიპილეთის წმიდა გიორგის და ღარის მთავარანგელოზის ეკლესიებს[62], აგრეთვე ლადიშის წმიდა გიორგის ეკლესიას[63].

სულ 1819 წლისათვის ეკლესიას რაჭაში ეკუთვნოდა დაახლოებით 378 კომლი, 1856 სული ყმა, რომელთაც 1780 მანეთი გამოსაღებელის გადახდა ევალებოდათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისი ყმა-მამულის მოზრდილი ნაწილი ეკლესიამ რაჭაში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოიპოვა, უნდა ალვნიშნოთ, რომ გვიანფეოდალურ რაჭაში საეკლესიო მიწათმფლობელობა დიდ როლს ვერ თამაშობდა.

გვიანფეოდალური რაჭა მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ეს კარგად ჩანს იმ რუკიდან, რომელიც ამ წერილს ახლავს (იხ. რუკა. 3). იგი შედგენილია წერილობითი წყაროებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების მონაცემების გამოყენებით.

---

60 ხის ეკლესია რაჭაში მოხსენიებულია ალექსი იევლევის საანგარიშო აღწერილობაში იხ. ალექსი ი ე ვ ლ ე ვ ი ს... გვ. 107, უკანასკნელ ხანამდე ხის ეკლესიები იდგა სოფლებში: ონჭევი, ცხმორი...

61 სცია. ფ. 1451, დავთ. 16, გვ. 436, 439.

62 სცია, ფ. 1451, დავთ. 16, გვ. 501—505.

63 სცია, 1449, ს. 429.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Т. БЕРАДЗЕ

# РАЧА В ФЕОДАЛЬНУЮ ЭПОХУ

(Резюме)

В раннефеодальную эпоху горная часть Западной Грузии, восточнее Сванети, составляла историко-географическую единицу, которую грузинские источники упоминают под названием Такуери. Она состояла из трех «Квекана» (земель) — собственно Такуери, Лечхуми и Рача.

Само название Рача в источниках впервые встречается с начала XI века. В это время она составляла отдельное саериставо («воеводство»), которым управляли эристави из дома Кахаберисдзе. Рача занимала среднюю часть бассейна р. Риони. На юго оне доходила до Рачинского хребта, а от Такуери ее отделял «Гвелиставис Кеди» (Хребет Гвелистави); на севере Рача граничила с Сванетским саэриставо, границы которого в ущелье Риони доходили до крепости Чидрота. До главного Кавказского хребта Рача доходила у истоков р. Чанчахи. Рачинское саериставо занимало нижнее течение р. Джеджора. В верхней части бассейна этой реки была расположена Кударо (само название в источниках упоминается с XVI века), которая в это время была населена грузинами.

Среднефеодальную эпоху Рача по социальному развитию не уступала передовым частям Грузинского царства. Главная резиденция эриставов находилась в Миндас-цихе (Крепость Миндата) у деревни Цеси. Другим важным замком был Квара, который в источниках встречается с XI века.

Начиная с IX века, в Рача начинается обширное церковное строительство. До наших дней дошли многие памятники X—XIII вв., среди них такие великолепные образцы грузинской архитектуры, как храм Никорцминда, церковь в селе Крихи и другие.

В среднефеодальную эпоху Рача состояла из отдельных хеви («Ущелий»). В источниках упоминаются некоторые из них.

В конце XIII века Рачинское саэриставо было упразднено, но спустя века оно вновь было восстановлено. В начале резиденция эриставов находилась в дер. Сори, но с начала XVI века она вновь была перенесена в Миндас-цихе.

В позднефеодальную эпоху изменились границы Рача. С конца XV века в ее состав вошла «Мтиулети», которая раньше входила в состав Сванети и занимала верхнее течение Риони, выше крепости Чидрота. После этого границей между Рача и Сванети служил Лечхумский хребет. На западе Рача граничала с Лечхуми. На правом берегу р. Риони Рача от последней была разделена рекой Аскис-цкали, а южнее Риони границей служил хребет Тавшави.

От Имерети Рача по-прежнему была отделена Рачинским хребтом. Изменилось положение и в Кударо, которая была постепенно заселена осетинами-выходцами из Двалети. В позднефеодальную эпоху Кударо в основном входила в состав Имеретинского царства и подчинялась эриставам Рача.

В XVI—XVIII вв. Рача составляла третье садрошо (военный округ) Имеретинского царства. В начале владения эриставов в самой Рача не были обширны. Постепенно эриставы Рача начали закруглять свои родовые владения. Сперва они достигли большого успеха в этом деле; большого успеха достигли они и в борьбе с царской властью за самостоятельность. Успехам эриставов Рача положил конец царь Соломон II, который в 1769 г. упразднил это эриставство.

В позднефеодальную эпоху в Рача были сатавадо княжеских родов Цулукидзе, Кипиани, Яшвили и Джапаридзе.

Сатавадо князей Цулукидзе занимало обширную территорию между Риони и Рачинским хребтом. На Западе оно доходило до Лечхуми, на востоке границей служила р. Хотеура, а после впадения последней в р. Крихула-Крихула. Родовым замком Цулукидзе была крепость Знаква. В начале XVIII века они завладели Хотевским замком.

В сатавадо Кипиани входили деревни Тола, Чорджо и Хванчкара, где стоял родовой замок этих тавадов.

Князья Яшвили владели деревнями Гвиара, Бостана, Садмели и Дзирагеули. Родовой замок стоял в Садмели.

Дошедшие до нас материалы не дают возможность установить владения княжеской фамилии Джапаридзе, один из родовых замков которых стоял в деревне Лагванта. Наряду с князьями у дворян также были свои родовые замки, часть которых дошла до наших дней.

Среднефеодальную эпоху Рача входила в состав Кутайсского епископства. В первой половине XVI века была образована епископская кафедра в Никорцминда, епископ которой был пастырем всей Рача.

В позднефеодальную эпоху в Рача были монастыри в Никорцминда, Велткеви, Челиши, Сори, которые владели крепостными и земельным и угодьями. В Рача свои владения имели митрополиты Гелатский и Кутаисский, а также каталикос всей западной Грузии.

Церкви в Рача в основном строились из камней, но были и деревянные сооружения. Некоторые из церквей владели землями и крепостными.

В позднефеодальную эпоху Рача была густонаселенной и сравнительно богатой частью Грузии.

К работе прилагаются три карты, которые составлены на основе письменных источников и материалов, добытых в полевых историко-географических изысканиях.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი


1. Мусхелишвили Д. Л. Основные вопросы исторической географии Грузии . . . 5
2. გვასალია ჯ. —არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები . . . . . . . . 47
2. Гвасалиа Д. Г.—Вопросы исторической географии Арагвского ущелья . . 80
3. ბერძენიშვილი დ. —ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები . . . . . . . 82
3. Бердзенишвили Д. К. —Вопросы исторической географии Джавахети. . 129
4. ბერაძე თ. —რაჭა ფეოდალურ ხანაში . . . . . . . . . . . . . . . . . 132
4. Берадзе Т. Н. —Реча в феодальную Эпоху . . . . . . . . . . . . . . . . 153

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СБОРНИК ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ГРУЗИИ

## Т. V

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი დ. მუსხელიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
მხატვარი მ. თუშმალიშვილი
კორექტორი ლ. ჯაში

გადაეცა წარმოებას 1.4.1975; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.8.1975;
ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 12.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.9;
უე 01066; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1152;
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19